

ახალსაუნტა

ტექსტების და
კონტექსტების
ქურნალი

№3 (33)

მარტი, 2016 წელი

Sergio Badilla Castillo



ფასი 1,5 ლარი

ნომრის ავტორები

გელა ჩქვანავა & სერხიო გადილია კასტილიო

აოჯია

ნინი ელიაშვილი
ლევან მაისურაძე

პროზა

ოთარ ჯირკველიშვილი

ესეისტიკა

დათო გარბაძაძე

კრიტიკა

ლელა კოძალაშვილი - ოთარ ჩხეიძეზე
მაკო ჯანაშიაშვილი - ფრედერიკ ბეგბაძეზე

ფოლკლორი

გიორგი არაგული

ახალი თარგმანები

უილიამ ბლეიკი
შარლ ბოდლერი

№3 (33) მარტი, 2016 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წონკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე,
დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი,
დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, გელა ჩქვანავა,
სოსო მეშველიანი, სოფიკო მუსელიანი, ნინი ელიაშვილი,
ლევან მაისურაძე, ოთარ ჯირკვალიშვილი, ლელა
კოდალაშვილი, დათო ბარბაქაძე, მაკო ჯანჭიბუხაშვილი,
გიორგი არაბული, ხატია გაგნიძე, მარინე ჭილაშვილი

გამომცემლობა – «საუნჯე»

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34


ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ–ფოსტა: saungeo@gmail.com

**1. ნომრის ავტორები: გელა
ჩქვანავა, სერხიო ბადილია
კასტილიო**

გელა ჩევანავა



გელა ჩქვანავას დროში გაყინული სოხუმი და სხვა ამბები (ეკა ქევანიშვილი)

ეს არის დაუსრულებელი ამბავი ერთი სოხუმელი კაცისა, უფრო კონკრეტულად კი, მწერლისა, ძიძარიას ქუჩაზე მცხოვრები და კაფე «ლედნიკის» მოყვარული, სოხუმის მე-17 სკოლელი გელა ჩქვანავასი, რომელმაც პირველი მოთხრობა საფოსტო ყუთზე დაწერა. კაცისა, რომლის მოთხრობებში თვალდახუჭულმა უნდა შეაბიჯო და ის წაგიყვანს სოხუმში.

დავწერე და რაღაც უსუსურობა ვიგრძენი.

რაღაც მთავარი სათქმელის დაუწერლობით გამოწვეული უსუსურობა. როგორც გელას ერთ ლექსშია, აი:

«მკვდარმა ძმაკაცმა მკვდარი ხელი დამიქნია და გაქრა».

და ლექსების წერა კი, დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო.

ადრე, რამდენიმე წლის წინ, როცა გელაზე პირველად დავწერე, ლექსებს არ წერდა.

ახლა პოეტსა და პროზაიკოსზე, ორივე გელაზე უნდა მოვყვე. უფრო სწორად, თავი მოვაყოლო – პოეტობაზეც, მწერლობაზეც, უსახლობაზეც, უსოხუმობაზეც, ყველაფერზე ისევ თავიდან უნდა ავალაპარაკო. თითქოს ცოტა ჰქონდეს ამ ყველაფერზე დაწერილი. გზაზე უნდა ვალაპარაკო – სულ გზაში რომ არის გამოკიდებული და ახლა სხვები შევახედო მასთან – სადამდე უნდა გვატაროს მან სულ ასე ხელჩაჭიდებულები, აფხაზეთისკენ. სადამდე უნდა ჩაგვიროთოს დიდ დარბაზში გასუსულებს ფილმი

იქაურობაზე, რომელიც ჩვენთვის «იქაურობაა» და გელასთვის «დროში გაყინული სოხუმი».

....

წავედი-წამოვედი და ხედავ, მაინც სოხუმიდან დავინწყე. ალბათ, ეგაა. ასოციაცია. სოხუმის მე-17 სკოლა და შენ – ამ სკოლის მოსწავლე. ბოლო მერხზე მჯდარი, ალგებრის წიგნის ყდაშემოკრული სულ სხვა წიგნი – ფოლკნერის «სოფელი». და შენი ძიძარიას ქუჩა.

ჩემი მშობლიური ძიძარიას ქუჩიდან გელოვანზე, რომლის თავშიც ჩემი, ასევე მშობლიური, მე-17 ა.მ. ჭოჭუას სახელობის სკოლა იდგა (უფრო სწორად, ახლაც დგას, მაგრამ სულ სხვანაირად მოიხსენიება) ჩემუბნელი ბავშვები მოკლე, საფეხმავლო გზით გადავდიოდით, რომელიც გორაზე გადიოდა. იმ გორას უბრალოდ «გორას» ვეძახდით.

ასე დაიწყო გელა ჩქვანავამ ამბის თხრობა და მოისპო ყველა წყალგამყოფი ხაზი, რომელიც ჩვეულებრივ ინტერვიუს და პროზაულ ტექსტს შორის გადის. გელა არ გპასუხობს. გელა ეგრევე ამბავს გიყვება.

იქ მცოცავი მიწა იყო, ამიტომ სახლები არ იდგა, სამაგიეროდ, იყო ბამბუკების ტევრი და აკაციისაც. იმ ბამბუკებში მოვნიე ჩემი პირველი სიგარეტი. იქიდან მთელი ჩემი უბანი ხელისგულივით ჩანდა თავის კორპუსებიან-კერძო სახლებიანად. ტევრის ქვემოთ, საფეხმავლო გზის პირას, ერთი მარტოხელა მიმოზა იდგა, არც ისე დიდი. სხვა ხეებთან შედარებით ნელა იზრდებოდა. ჯერ კიდევ სკოლამდე, დაახლოებით ხუთი წლისას, მისი ყვავილობის ჟამს, რვა მარტამდე ცოტა ხნით ადრე, მამაჩემთან ერთად მომიწია იქ ჩავლამ და მისმა

სურნელმა თავი ამატკია. მანამდე ჩვეულებრივად ვიტანდი ხოლმე მიმოზის ყვავილის სურნელს, მაგრამ მაშინ რა მოხდა, არ ვიცი. მას შემდეგ სხვა მიმოზებზეც აღერგია მქონდა. სკოლაში წასვლის დრო რომ მოვიდა, იმავე გზით მიწვედა გავლა თანატოლებთან ერთად და ზოგჯერ ზამთარშიც კი, როცა მიმოზას გვერდს ჩავუვლიდი, უნებლიეთ სუნთქვას შევიკრავდი ხოლმე. მესამეში ვიყავი, როცა ერთ მშვენიერ დილით, ისევ სკოლაში მივდიოდი, ჯერ კიდევ შორიდან შევხედე აყვავებულ მიმოზას და როგორღაც მივხვდი, რომ მისი სურნელი არ მავნებდა. ასეც მოხდა, ის კი არადა, ერთბაშად გამაბრუა და დამარეტიანა. სწორედ მაშინ შემოაბიჯა ჩემში ცხოვრებაში პირველად მთელი სისავსით გაზაფხულმა. ის შეგრძნება ახლაც მახსოვს. ახლაც, თუნდაც ტელევიზორში ან ფოტოზე თუ დავინახე მიმოზა, ის წამი მაგონდება, ის მაშინდელი სურნელი მოდის. მაღალ კლასებში რომ ვიყავი, ჩემმა მიმოზამ უცებ ერთბაშად აიყარა ტანი, დამშვენდა. მერე ისევ შეანელა ზრდა და ომის დაწყების წინ ისევ შესამჩნევად გამაღლდა. ახლა ცოცხალია თუ არა, არ ვიცი. იმედია, ცოცხალია, კიდევ უფრო დიდია და შევხვდები.

ამდენი წელი გავიდა. ამდენი ანუ ბევრი, ათზე მეტი და 20-ზეც მეტი. ამ წლებმა დააშორა თუ მიაახლოვა? იქაურობას. დავამატე, იქაურობას.

მე რომ ჯოისივით გიჰასუხო, საერთოდ არ წამოვსულვარ იქიდან-მეთქი, ნამეტანი ტრივიალური იქნება. ძალიან ძნელია ამაზე საუბარი, მაგრამ ამ ბოლო დროს მეზობლების ამბებს ნაკლებად ვკითხულობ – მეშინია, არ მითხრან, რომ რომელიმე მათგანი იმქვეყნად გადაბარგდა, ანუ «გაგვეპარა», როგორც მე და ერთი ჩემი ბავშვობის ძმაკაცი ვიტყვით ხოლმე. სულ «იპარებიან» და მიდიან შუა ხნისანიც და შედარებით ახალგაზრდებიც.



ყოველი ასეთი გაპარვა და წასვლა როგორც სხვებს, ისე მეც, მთრგუნავს ძალიან. მიდიან და მიაქვთ გულის ნაწილი. ჩემი ქუჩის ომის შემდგომ თაობას ნაკლებად ვიცნობ. ამიტომ ჩემი გრძნობით და გონებით იმათთან ვარ ისევ, ვისაც მაშინ ვიცნობდი და ვისთანაც მიცხოვრია – არა აქვს მნიშვნელობა, ცოცხალია თუ მკვდარი. ვერ ვიტყვი, რომ ეს კარგია, რომ ეს ნაადრევი სიბერე არ არის ან დაახლოებით რაღაც ამგვარი. ვიკეტებით, ერთი სიტყვით, საკუთარ თავში და

თანდათან ვხვდებით, რომ ჩვენ ის სოხუმი გვინდა, როგორიც იყო და ის გვაშინებს, როგორიც იქნება დაბრუნების შემთხვევაში.

შეიძლება გაგვიკვირდეს, მაგრამ ასეა. «ნაადრევი დაბერების» სინდრომს ვეძახი ჩემთვის ამ მოვლენას და ეს სულაც არ არის ის შემთხვევა, გამოთქმა «ყველა ასაკი თავისებურად მომხიბვლელია», რომ მიუსადაგო. მთლად უიმედობასაც ვერ დავარქმევდი. ჩვენ-ჩვენს გონებაში გვყავს დროში გაყინული სოხუმი.

თვალეხს რომ დახუჭავ და პირველი ამოგიტივტივდება. ეს პირველი სულ სხვადასხვა შეიძლება იყოს სხვადასხვა დროს. ახლა კი, ესაა:

ახლა, ამ წუთას, ყველაზე უფრო გაზის ბალონებზე შემოდებული პლასტმასის სახურავებიანი მინის ქილები მაგონდება და მენატრება კიდევ. ბუნებრივი აირი ჩვენთან

არ იყო – გაზის ბალონებით გავდიოდით ფონს. ყველა ოჯახში გახლდათ ეგეთი ორ-ორი. ერთი რომ დაიცლებოდა, მეორეს, სავსეს მიუერთებდნენ გაბქურას, ცარიელს კი ჭიშკრის გარეთ გადგამდნენ. კვირადღის გარდა უმეტესწილად სახლში არავინ რჩებოდა – უფროსები სამსახურში იყვნენ, ბავშვები სკოლაში მივდიოდით («გორის» გავლით). ჰოდა, გაზის დამტარებელი მანქანა რომ მოსულიყო, ბალონი ჭიშკართან დახვდებოდა. ბალონის სახელურებზეა მოქცეულ მინის ქილაში კი ბალონის გამონერის დამადასტურებელი ქვითარი (ასეთი წესი სუფევდა, შესაბამის კანტორაში უნდა გამოგენერა) იდო და კიდევ ხურდა – ფეხის ქირა, გაზის დამტარებლებისთვის განკუთვნილი, ორმოცდაათი კაპიკი, ან სულაც ჩალისფერი მანეთიანი. ვინც ამ მაღარიჩს იმეტებდა, იმათთან დროზე მიჰქონდათ გაზი. ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ ჩვენს უბანში ეგ ფული დაკარგულიყო, არადა, ადგილობრივების გარდა ქვეყნის ხალხი ირეოდა.

ბალიდან რომ იპარებოდა, ეგ წინა პროფაილში მოვყევი. ავტობუსში ახტომის ამბებიც. სულ უკანა სკამზე ჯდომის და დაკვირვების. სად გარბოდა, რა აინტერესებდა? რას გაურბოდა და იქ, სადაც გარბოდა, რა იყო უფრო საინტერესო?

ჩემი თაობის ბიჭებს პატარაობაში ყველაზე უფრო ფეხბურთის თამაში გვიყვარდა. ასფალტზე რომ არ გვერბინა, მოშორებით, კიდევ ერთი გორაკის ძირას საამისოდ გამოსადეგი პატარა მინდორი გვეგულებოდა. სანამ არაქათი არ გაგვეცლებოდა, ბურთს დავდევდით. იქ ერთ, დაახლოებით ჩვენხელა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბიჭს მოიყვანდა ხოლმე მისი უფროსი და – მეზობლად ცხოვრობდნენ. როგორც კი ჩვენ

მივიდოდით, ისიც გამოჩნდებოდა. სახლეულებს იმიტომ მოჰყავთ, რომ მისგან ცოტა დაისვენონო, ვფიქრობდით, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ თვითონ ითხოვდა ამას. მთელი ის დრო, რაც ჩვენ ვთამაშობდით, იჯდა თავისთვის, ხმას არ იღებდა, არც კი გვეგონა, თუ გვიყურებდა. ის კი, თურმე, ჩვენი წასვლის შემდეგ, შინ მთელი განვლილი მატჩის «კომენტატორობას» იწყებდა, წუთი რომ წუთია, იმას არ გამოტოვებდა, ვინ ვის გადააწოდა პასი, ვინ ჩააწოდა კუთხური და გვერდითი ხაზიდან აუტი და ვინ გოლი გაიტანა, სულ ზეპირად აბუღბუღებდა, ყველას სახელი იცოდა (სამწუხაროდ, ადრე მოკვდა). ეს იმიტომ გავიხსენე, რომ ზოგჯერ ისეთი რამე წამომავიწყდება ჩვენი ქუჩის ამბებიდან, მე თვითონ მიკვირს, რამ გამახსენა-მეთქი. ჰოდა, ყველაფერ ამაზე დაწერა რომ მინდა, გადავწყვიტე, ტაიმ-აუტი ავიღო. აქამდე დაწერილისა და გამოუქვეყნებელის (რომანებისაც და მოთხრობებისაც) მიხედვას რომ დასჭირდება, იმდენი დროით. გადავამუშავებ, გავასალაშინებ და გამოვამბეურებ-მეთქი, ვიფიქრე – რომ მთლიანად გავთავისუფლდე მათგან. მგონი, სწორი გადაწყვეტილებაა. გადაწყვეტილების მიღებისთანავე ერთბაშად მომანვა, უკვე მეორედ, ლექსი დაწერის სურვილი.

ლექსები. მე კი თავიდან აღმოვაჩინე, და სხვებმაც, ვინც გელას ლექსები წაიკითხა, მაგრამ შენ როგორღა ამოსვი-მეთქი ეგ ახალი გელა საკუთარი თავიდან. უფრო პირიქითაა ხოლმე, ყველა პოეზიიდან პროზაში გადადის, ის კი იქიდან აქ მოვიდა. აქ, პოეზიაში.

შემოტევის პირველი «პროდუქტი» იყო «როცა». ბესოს (ხვედელიძეს) გავუგზავნე, მოეწონა და მერე მანანა ჯანელიძემ «ლიტერატურულ პალიტრაში» დაბეჭდა. მაგის მერეც დავწერე ლექსები და თავი კომფორტულად



ვიგრძენი. პრობას რომ ვწერ, სანამ ბოლო სიტყვას არ გამოვიყვან ქალაღბზე და წერტილს არ დავსვამ, სულ დაძაბული ვარ. ეს დაძაბულობა კი მოთხრობის შემთხვევაში ორი-სამი დღე და, ზოგჯერ უფრო მეტიც, გრძელდება. თან, არ უნდა იჩქარო, რომ თხრობა გვერდზე არ გაგექცეს და თან უნდა იჩქარო, რომ ის, პირველი სიტყვის დაწერისას წვეული განწყობა არ გაგინელდეს, სხვანაირში არ გადაგებარდოს. მოკლედ, ჭრელო პეპელასავითა ხარ, არც რომ უნდა გაფრინდეს და არც მოფრინდეს. პოეზიაში კი საქმე სულ სხვაგვარადაა, მოგანვება

რალაცა და კალამი თითქოს თავისით გარბის, უფრო სწორად, თავისთვის, შენ მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ ხელში დაიკავო. დიდი-დიდი, სულ რალაც ნახევარ საათში ამოთქვა, რაც განუხებს, ამოიფერთხავ გულს და შვებას იგრძნობ. ამიტომ ვამბობ, თავი უფრო კომფორტულად ვიგრძენი-მეთქი. მოკლედ, დავდე ოცდაათამდე ლექსი (ახლახან დავთვალე, შენს ინტერვიუმდე) და დავანებე თავი – დარწმუნებული არ ვიყავი, რომ კარგები იყვნენ და ღირდა დროის დაკარგვად. ისევ მანვებოდა და ვითმინე ერთი წელი და ისევ ლექსი დავწერე. მერე ავდექი და ის ძველები შოთას გავუგზავნე. ეს დღეები ვერ მოვიცლი წასაკითხად, ჟურნალი მაქვს ასანწყობიო. როცა მოიცლი-მეთქი. მეორე საღამოს

დამირეკა და ასე მითხრა, ნამდვილი პოეტი ხარო. მგონი, ამ სიტყვების შემდეგ დაიბადა ჩემში პოეტი. როგორი იქნება და რამდენ ხანს იცოცხლებს, არ ვიცი. ისე კი, შოთას ნათქვამის მერე კრებულის გამოცემაზეც ვფიქრობ – მგონია, რომ დამიგროვდა საკმარისი მასალა. მივადგები რომელიმე გამომცემელს ზაფხულისთვის.

კიდევ, პაატა შამუგიას ვიცნობ, ისიც ბაგებში ცხოვრობდა და აფხაზეთიდან იყო. და ზურა ჯიშკარიანს. ეგეც ეგრე. გელაც იქ იყო, წლები. მერე რამდენჯერაც მოვიკითხე, თბილისში არ არისო. ეს მიწერ-მოწერაც ასეთია – დისტანციური. ისე ვკითხე, პოეტურად, ქალაქს გაერიდეთ-მეთქი და პასუხი რომ მივიღე, დიდ სისულელედ მომეჩვენა ეს ჩემი შეკითხვა. პასუხს კი ერთ სიტყვას არ გამოვაკლებ.

სოფელში ვარ ახლა, ნათესავის დროებით გამოთავისუფლებულ სახლში ვცხოვრობ. რამდენ ხანს ვიქნები აქ, არ ვიცი. ალბათ, შემოდგომისთვის თბილისში გადავბარგდები. ერთი პატარა ოთახი გვაქვს მე და ჩემს დას, უფრო სწორად, ჩემს დას დედაქალაქში (ისიც თავის დროზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უწყალობა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში და არა დევნილთა სამინისტრომ). იქ დიდხანს ვერ ვჩერდები, ცხოვრების ჩემი რეჟიმი მაქვს, ზოგჯერ მთელი ღამე ვერ ვიძინებ, კომპიუტერზე ვმუშაობ. ჩემი და კი ითმენს პატიოსნად და არაფერს ამბობს (გენიოსი ვგონივარ და იმიტომ), მაგრამ მე ხომ მაქვს სინდისი?! ცოლ-შვილი ახალციხეშია, მეუღლის მშობლების სახლში. ვაკითხავ ხოლმე. გუგულივითა ვარ, სხვის ბუდეში რომ დადებს კვერცხებს და სხვებს აზრდევინებს ბარტყებს. შარშან, მთავრობა გამოიცვალა-მეთქი და, ბინის მიღებაზე, სხვა დევნილებთან ერთად, ცხოვრებაში პირველად, აპლიკაცია შევაკვე. არ მინდოდა წასვლა, ღმერთია მოწმე, მაგრამ

ცოლმა და დამ დამაძალეს. მერე მწერლებიც დამიდგნენ გვერდში და მინისტრიც შეაწუხეს (მადლობაც ვერ გადავუხადე კოლეგებს ამისთვის ხეირიანად. მარიამ წიკლაურს, ქეთევან ღუმბაძეს, მალხაზ ხარბედიას და კიდევ უამრავ სხვას). თბილისში არაფერი შეგვიძლია და რეგიონშიო. ჯანდაბას-მეთქი. დამიკავშირდა სამინისტროდან ერთი აფხაზეთელი, ახალციხეში მოგცემთ ოროთახიანსო. გაგვიხარდა და უფრო მეტიც. რუსთაველის ქუჩაზეო, დამიკონკრეტეს. სამეგრელოში გახლდით მაშინ მთელი ოჯახით. ვერ მოიგონა ჩემმა ახალციხელმა მეუღლემ რუსთაველის ქუჩაზე დევნილებისთვის გამოყოფილი შენობა. იქაურ მერიაში დაურეკა ნაცნობებს, იმათაც არ იცოდნენ. ბოლოს გაირკვა, რომ ქალაქის განაპირას ყოფილა, განცალკევებით, არც დევნილები და არც სხვა რომ არავინ ეკარება იქაურობას, არც რომ სოფელია და არც ქალაქი. ვიფიქრეთ, თუ ასეთ სიკეთეს იზამდნენ და ოროთახიანს გამოგვიყოფდნენ, გავყიდით და იმ ფულით ერთ ოთახს ვიგირავებთ სადმე, ისეთ ადგილას, რომ იცხოვრობოდეო. საერთოდ ვერ გაყიდითო, მითხრეს ახალციხელებმა. უარი ვთქვი. მერე კიდევ ჟურნალი «სარკე» წამაკითხეს. ერთ მაღალჩინოსანთან იყო ინტერვიუ, აიო, ვთავაზობთ რეგიონებში ბინებს ამ დიდგულა და ყოყლოჩინა დევნილებს და არ მიდიან ცოცხალი თავით, მაგალითად, ახალციხეში, და არ უნდათო. მივხვდი, რომ მე მიგულისხმა. რაღა დაგიმალო და, ძალიან დამწყდა გული, უფრო სწორად, გავბრაზდი, მაგრამ მერე ცივი წყალი დავლიე და გამიარა დროებით. ამ ბუმერანგის პრინციპით მოწყობილ ქვეყანაზე ხომ დროებითია ყველაფერი. თუ ასე კარგია იქ ცხოვრება, ეს დალოცვილები თვითონ წავიდნენ თავიანთი ცოლ-შვილით, ის აფხაზეთელი თუნდაც, ასე ძალიან რომ «წუხდა» ჩემი მდგომარეობით და ის მაღალჩინოსანიც, ვინ

უმლის? ახლა უკვე პრინციპზე ვარ, თბილისში მეკუთვნის, იქ ვარ ჩაწერილი და იქ მომცენ. ვინც როგორც უნდა, ისე გაიგოს და გადაახურდაოს. თუ ეძლევათ დევნილებს ბინა, საერთოდ, პირველ რიგში თუ არა, მეორესა და მესამეში ხომ მეკუთვნის. დიდად არ მეჩქარება, მივეჩვიე ეგეთ ყოფას, როგორც ჩემი ცოლი იტყვის, უსაკურთხო მკვდარივით წანწალს სოფლიდან ქალაქში და პირუკუ – თბილისში იშვიათად, უფრო ახალციხეში. ამ მთავრობის პირობებში თუ არა, მომავალი მთავრობის დროს (რაც, მგონია, რომ მალე იქნება – მაპატიე პოლიტიკური განცხადებისთვის) ხომ მომაქცევენ ყურადღებას. აპლიკაციის შევსების დროს შავად უნდა წარმოგეჩინა შენი ყოფაო, მითხრეს სხვებმა. რაც იყო, ის ვთქვი, რომ, მე თუ უმუშევარი ვიყავი, ცოლს მასწავლებლის ხელფასი ჰქონდა, სიდედრ-სიმამრს, ვისთანაც ჩემი ოჯახი ცხოვრობს – პენსია, ჩემს შვილებს შიმშილისაგან სული არ სძვრებოდათ და ნიორგადასმული შავი პური არ ენატრებოდათ. რამდენს ხარჯავთ საპონ-სარეცხში და პირადი ჰიგიენის ნივთებშიო. რა ვიცი, ჩემი ცოლი სულ რეცხვაშია, არასოდეს მიკითხავს, რა თანხა მიდის მაგ ამბავში-მეთქი. ჩემ ირგვლივ არ მეგულება მამაკაცი, რომელმაც ზუსტად იცოდეს, რამდენი იხარჯება ეგეთებში. ოცდაათი ჩავწეროო, მკითხა ანკეტის შემსვებმა – აშკარად ჩემი მხარე არ ეჭირა, არადა, თითქოს თვალში მოვუვედი. ცოლს დავუძახებ და ვკითხოთ-მეთქი. არ არის დევნილი და არ შეიძლებაო. ექსპრომტად რომ დავიანგარიშე, მეცოტავა თითქოს. მგონი, ოცდათხუთმეტი ჩაწერეს. არადა, ხუთიც არ უნდა გეთქვაო. ხუთ ლარში ხუთი კაცი ხელ-პირს თუ დაიბანს დილით და სადილობის დროს, ვახშმისთვის მართო ბავშვებს თუ დაუთმობ ამ ბედნიერებას, თორემ თვის ბოლომდე ვერ გაქაჩავს. ჰოდა, ეგეთი, მაპატიე გამოთქმისთვის და, იდიოტური კითხვები

იყო სულ, იდიოტური და დაუჯერებელი პასუხებისთვის გათვლილი. «მოიტყუე და მოგცემ»-ის პრინციპზე აგებულს რომ ჰგავს ძალიან. ჰგავს კი არადა, ლოგიკურად თუ დაფიქრდები, ეგ არის, «პრინციპშიო», რომ იტყვიან. რა სიცრუესა და თავის მოქონვაშიც ვცხოვრობდით და ვიყავით, ისეთ ნეხვში ვართ ახლაც ყელამდე. ვართ და არ გვინდა იქიდან ამოსვლა.

ამ ამბამდე დაინერა გელა ჩქვანავას რიგით მეორე ლექსი, «ჩემი ქვეყანა».

საბჭოთა ჯარში

ვის როგორ, მაგრამ საბჭოთა ჯარი მართლა კარგად დამამახსოვრდა. საჰაერო თავდაცვაში ვიყავი, რადიოლოკატორს ვმართავდი. მიწისქვეშ გვინევდა ყოფნა. ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა იყო. აქედან ოცი მაინც თავისუფალი ვიყავი. სამორიგეო პულტს ვერ მიატოვებდი. ან უნდა დაგეძინა, ან ხელის ოცდაერთი გეთამაშა ოფიცერთან თუ სხვა ოპერატორთან, ან კიდევ გეკითხა საბჭოთა გაზეთები და წიგნები – როგორსაც მოისურვებდი. ტელევიზორი და რადიო აკრძალული გახლდათ. ჰოდა, ოპერატორების უმეტესობა ვკითხულობდით. მაშინ აღმოვაჩინე ხელმეორედ ბულგაკოვი. აფხაზეთის ომის დროს სულ მისი «თეთრი გვარდია» მაგონდებოდა. ერთი შტაბელი მაღალჩინოსნის მეუღლე მუშაობდა ჩვენი სამხედრო ნაწილის ბიბლიოთეკაში. არც კი მახსოვს, სულ ბოლოს როდის იყო აქ ქართველიო. მაშინდელ ლენინგრადთან ახლოს ვმსახურობდი. «ინოსტრანკის» ნომრებს მჩუქნიდა – თვითონ ყიდულობდა თავისი ფულით ლენინგრადში. რუსულად ლექსებს მაშინ არ ვეტანებოდი, მაგრამ რამდენიმე ავტორი მაინც შემომეკითხა. არ მიყვარდა,



მაგრამ მომწონდა. უფრო ალღოთი ვხვდებოდი, ვიდრე ვგრძნობდი, რომ დიდები იყვნენ. მერე, ჯარშივე, პლატონოვი გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში და მოძებნა თავისი ადგილი ჩეხოვისა და ფოლკნერის გვერდით. გამოჩნდა კი არადა, იმ მიმოზის სურნელივით შემოაბიჯა. მაგიური რეალიზმის მამას ვუწოდებ. ნირვანაში ვიყავი, მოკლედ. ლენინგრადის მუზეუმებიც დავიარე. შემეყვარდა ეს ქალაქი. მას მერე არც ვყოფილვარ იქ. ისე კი, მომინდება ზოგჯერ ორი თუ სამი დღით ჩასვლა.

ერთხელ მახო ხარბედიამ დაწერა გელას მოთხრობებზე, ესო, «ერთგვარი კოლხური, აფხაზური მაგიური რეალიზმიაო».

რამდენიმე მოთხრობა კი მაქვს, მაგიური რეალიზმისას რომ ჩამოჰგავს. ეგეთების დაწერის სურვილი კარგა ხანს მანვალებდა, მაგრამ თავს ვიკავებდი. ბოლოს დავწერე, ორი ან სამი, შეიძლება, კარგი იყოს, დანარჩენზე თავს ვერ

დავდებ. აი, ლექსის წერის სიამოვნებას რომ ვეზიარე, მასეთი მოთხრობების შექმნის სურვილი უკვე აღარც მაქვს. რა და როგორ იქნება ხვალ და ზეგ, არ ვიცი. იქნებ, იმიტომაცაა მწერლობაცა და პოეტობაც საინტერესო, რომ წინასწარ არაფერი იცი. არ იცი, გაგიმართლებს და რამე

ღირებულის შექმნის ბედნიერება გექნება, თუ მცირე ნანადირევს უნდა დასჯერდე და ისევ დიდის მოლოდინში იყო. ასე მგონია, რომ კარგი მოთხრობა (იგივე ჩეხოვის, თუ გინდა, და პლატონოვის, ან ფოლკნერის) და ლექსი, ცოცხალი ორგანიზმია, ადამიანივით სუნთქავს და სახელად მისივე სათაური ჰქვია. ადამიანების, კითხვის მოყვარულების გონებაში ცოცხლობს.

«იქაურობის» (აფხაზეთის) გარდა რა არის შენი მთავარი ინსპირაცია, თემა... და წერისას მთავარი ხელის წამკვრელი-მეთეი.

მე თუ მკითხავ, მწერალმა ბევრი უნდა იმოგზაუროს. მაგრამ სად არის მაგის ფული. აგერ, ბესო (ხვედელიძე) ნეპალში მეპატიჟება, თუ ცოტა ფული მაინც მოვიგდე, აუცილებლად წავალ. ყოფილი სსრკ-ს ფარგლებს მხოლოდ ერთხელ გავცდი, «დიოგენემ» წამიყვანა გერმანიაში რამდენიმე დღით წიგნების ბაზრობაზე. მაღლობა, რა თქმა უნდა, ამისთვის. სამ ქალაქში ვიყავით შარშანწინის წინ. ახლაც შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. შარშანწინაც ჩამწერეს წამსვლელთა სიაში და მერე ჩამომწერეს. რომ დამირეკეს და მითხრეს, მიდიხარო, ბავშვივით გამიხარდა, მაგრამ ბოლოს ჩამიგდეს, რომ იტყვიან, კოვზი ნაცარში. არ დაერეკათ მაინც, არ დამწყდებოდა გული, ანუ არ გავბრაზდებოდი. მოკლედ, ოცნებად მაქვს გადაქცეული მოგზაურობა და აუცილებლად შევისრულებ ყოველ მიზეზგარეშე მთელი ჩემი ოჯახისთვის. დიახაც, რომ სხვა კაცად ბრუნდები იქიდან.

ლექსები რომ წავიკითხე, გელასი, რამდენიმე სიტყვა გავცვალეთ და, მოიწერა, წვიმდა და ვწერდი, წვიმდა და ვწერდიო.



ლექს
ებს
მართ
ლა
წვიმა
ში
ვწერ.
წვიმი
ს
კაცი
ვარ.
როცა
წვიმს
,
გავხა
ლის
დები
ხოლ
მე,
უაღკ
ოპო
ლო
მსუბუ
ქი
თრო
ბის

ფორმაც მაქვს (რამდენიმე დღე გადაბმულად რომ
ინვიმოს, მაშინაც კი). ჯარში წასვლის წინა დღეს, იმ
შორეულ ოთხმოცდაექვსში, მე და ჩემი ერთი სოხუმელი
მეგობარი ნოემბრის წვიმაში ვისხედით
«ბრეხალოვკასთან» ძელსკამზე. ხალხს კაიფში ვეგონეთ.
ოპერები როგორ არ დაგვადგნენ თავს, არ ვიცი. ჩემი ჯარში

ყოფნის დროს ლენინგრადში წამოვიდა ერთხელ სუბტროპიკულივით მაღლიანი წვიმა. ისე გამიხარდა, რომ მეტი არ შეიძლება. ბავშვობის შემდეგ პირველად იმ დღეს დავწერე ერთი ლექსი. წვიმაზე იყო, თუნუქის სახურავებზე რომ ცხოვრობს და იმ სახურავებქვეშ შეყუჟულ ადამიანებს რაღაცებს უყვება. ჰოდა, ოცდახუთზე მეტი წლის მერე ისევ შემომიტირა.

ჯარიდან დაბრუნებული, პიესებს ვწერდი. ღამე ვმუშაობდი. გამთენიისას გავაბოლებდი კიდევ ერთ ღერს ებოში (სოხუმში კერძო სახლში ვცხოვრობდით), დავწვებოდი და დავიძინებდი. მაშინაც ნირვანაში ვიყავი. დაიწვა ის პიესები ჩემს სახლთან ერთად. მათი შინაარსი მეტ-ნაკლებად დღესაც მახსოვს და აღვადგენ, ალბათ, შეძლებისდაგვარად. ისე, ამ ტაიმ-აუტის ჟამს, ორი პიესა დავწერე. ერთი ომზეა. მოეწონათ ორივე და რა ვიცი. ომზე რომ არის, იმის დასაწერად პაატა ბერიკაშვილმა წამაქება. შარშან «არილში» დაიბეჭდა ერთი ჩემი ძველი მოთხრობა. პაატამ დამირეკა და მითხრა, რომ კინოსთვის იქნებოდა ზედგამოჭრილი. თავიდან მეც მასე მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ პაატას ზარის შემდეგ პიესად გავაკეთე რატომღაც.

კაფე «ლედნიკი» ისევ ისე გენატრება?

«ლედნიკი» ისევ ისე მენატრება. ცხოვრების ისევ ისეთ «დიდ სკოლად» რჩება ჩემთვის, როგორც იყო. ახლა მის ადგილას ერთი დიდი რესტორანია წამოჭიმული. ომის შემდეგ გადაღებული ერთი ფოტო მაქვს – იქ «ლედნიკი» გაველურებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს. სურათზე, შუაში, ბეტონის ბოძსა და ნაძვს შორის რომ მოჩანს სვეტებზე შემდგარი გადახურვის კონსტრუქცია, ეგ არის. ამ ღია კაფეში ერთ დროს სიცოცხლე ჩქეფდა.

დიდხანს ნაფიქრ-ნაწერ მოთხრობაში რომ 50 ან 100 ლარ ჰონორარს აიღებ, მაშინ რას ფიქრობ ხოლმე?

წინათ კი, მაგრამ ახლა იმაზე არც ვფიქრობ, მოთხრობაში რამდენს გადამიხდიან – იმიტომ, რომ მაინც არ მშველის (ზოგან, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ღირსეული ანაზღაურებაა, მაგრამ იქ ყოველთვის ხომ ვერ დაიბეჭდები). შვილები როცა გყავს, ორმოცდაათ ლარსაც მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა, მაგრამ ახლა ამ ქვეყანაში ყველა პატიოსან კაცს უჭირს, ასე რომ, წუნუნი არ ეგების. არაფერი შეედრება იმ განცდას, როცა იცი, რომ რაღაც კარგი დაწერე და შეგიძლია, კიდევ უფრო შორს წახვიდე. ჰოდა, ამ დროს ნაკლებად განუხებს, რომ რაღაც პრემია არ მოგცეს ან კულტურის სამინისტროში შენი წიგნი არ დაამტკიცეს სათარგმნად. მოვა დრო და სხვა თარგმნის. მწერალმა დღეს საქართველოში ალბათ, სხვა შემოსავლის წყარო უნდა იპოვოს. მოვა ის დროც, როცა ჰონორარით შესაძლებელი იქნება სრულფასოვანი ცხოვრება თუ არა, თავის გატანა მაინც. არიან მწერლები და ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენლები, რომლებსაც ესა თუ ის მეცენატი აფინანსებს და ხელს უმართავს. სხვებს გული სწყდებათ – მაგაზე უკეთესი ვარ და მე რატომ არაო. არცაა საჭირო ეს მოწყალება. არა მგონია, რომ ჩეხოვს ვინმესგან ხელფასი აეღო მხოლოდ იმიტომ, რომ ის მწერალი იყო და თავის უკვდავ მოთხრობებს ქმნიდა. მედროვეები და კარის მწერალ-პოეტები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან. ნამდვილები კი როგორმე მოახერხებენ, დატოვონ კარგი მოთხრობა ან ლექსი. ძნელია წერა, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა შენ შვილს რაღაც აკლია, მაგრამ არც იმათ ჰქონიათ იშვიათი გამონაკლისის გარდა დაღმნილი ცხოვრება, განსაკუთრებული კვალი რომ დატოვოს ლიტერატურაში, ან ხელოვნების სხვა დარგში. თუ იმისთვის ხარ გაჩენილი,

რომ წერო, ადრე თუ გვიან დაწერ – მორჩა და გათავდა. გასული წელი ჩემთვის მძიმე იყო – შეიძლება ითქვას, რომ სოხუმის დაცემის შემდეგ ეგეთი შავი წელი არც მეონია. ეს ორი ათას თექვსმეტიც ცუდად დაიწყო ჩემთვის, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რადგან ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი. თუ აქამდე რამე ღირებული შემიქმნია, წინ უფრო დიდი საკეთებელი მელოდება. ამას, უბრალოდ, ინტუიციით ვგრძნობ. მიუხედავად ასაკისა, ვთვლი რომ ყველაზე მთავარი ჯერ კიდევ წინაა და ახლა იწყება.

შენი გმირები ხშირად იცვლებიან წერის პროცესში? ვინ არიან ისინი, რა ადამიანები?

ზოგჯერ შემხვდება ხოლმე ქუჩაში, ან, თუნდაც, სუფრაზე, ისეთი ადამიანი, შევხედავ და უცებ აღმოვაჩენ, ჩემი რომელიმე მოთხრობის გმირს რომ ჰგავს რაღაცით, აქამდე რომ არც მახსოვდა. ესეც თავისებური კაიფია ალბათ. ღირს ამისთვის კალმის წვალება და მოთხრობის დაწერა.

ადრე მითხარი, ყველაზე ცუდი ამბები სოხუმზე ჯერ არ დამიწერიო, მას მერე გავიდა რამდენიმე წელი – რა ქენი, დაწერე თუ ისევ დულს? არ ვიცი, ტყვეობის ამბავს გულისხმობდი თუ დაყრუებული სოხუმისას...

იმ ყველაზე ცუდ ამბებზე, რაც სოხუმში მოხდა, მართალია ჯერ არ დამიწერია, მაგრამ, იქნებ, არც ღირდეს. ის, რასაც ცუდი ჰქვია, ყველგან ერთნაირია. სოხუმის აღების შემდეგ, უკვე ენგურის ხილამდე რომ იყვნენ აფხაზები და კაზაკები ერთი უწყვეტი მარშით ჩამოსულები, რამდენიმე დღით დამალვამ მომიწია სოხუმთან ახლოს, ერთ სოფელში. საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ სოფელში «გავიჭედე», ვერ გავდიოდი იქიდან რაღაც დროის განმავლობაში. ერთ პატარა სიმინდის ყანაში ვიჯექი, იქვე, ოცდაათ მეტრში, ქართველების სახლი იყო, მოხუცები იყვნენ, ძალიან



სიმპა
თიურ
ები,
სამო
ცდაა
თს
გადა
ცილე
ბულე
ბი.
ბაბუ
თუთუ
ნს
ენევა
, მე
კიდე
ვ
უსიგა
რეტო
ბისგა
ნ
ხელი
სგულ
ები
მაქვს

დასიებული, შიმშილისგან ჰალუცინაციები მენყება. ავდგები, მინდა, მივიდე იმ მოხუცებთან და თუთუნი ვთხოვო (საჭმელი, ჯანდაბას) და გამოველაპარაკო, რომ არ გავგიჟდე, მაგრამ რალაც ძალა უკან მებრუნებს. ნაშუადღევია და საღამომდე ასეთ ყოფაში ვარ, ავდგები-დავჯდები. ერთხელ სულ ახლოს მივედი და სულ ახლოდან ჩავისუნთქე თამბაქოს კვამლი, მაგრამ ისევ უკან

დავბრუნდი. უკვე უნდა მოსალამოვდეს, ის დროა. აფხაზი მოროდორები ღამე არ დადიან, ყველანი სოხუმში მიდიან ღამის გასათევად. ჰოდა, უკვე საბოლოოდ რომ გადავწყვიტე მივალ ამ ხალხთან-მეთქი, მათ ჭიშკარს «უაზი» მოადგა და გადმოლაგდნენ აფხაზები, მივიდნენ ბებრებთან, ნავთი მოუტანეს ბიდონით ლამფისთვის და კიდევ რაღაცები, ესენი კიდევ პატიოსნად უკეთებდნენ «დაკლადს» რა ხდებოდა იმ უბანში იმ დღეს, ვინ სად იყო, რომელ სახლებში შეამჩნიეს მოძრაობა და ეგეთები. თურმე იმათი «ნასედკები» ყოფილან. ხომ წარმოგიდგენია, რა მოხდებოდა, მათთან რომ მივსულიყავი – გამოიძახებდნენ ძალებს სოხუმიდან და წმენდას ჩაატარებდნენ, მარტო მე კი არა, სხვებიც ვერ გამოვიდოდნენ იქიდან ცოცხლები. ღმერთმა გადამარჩინა მეც და ისინიც. აფხაზები მალევე წავიდნენ – ქალაქში ეჩქარებოდათ. მე კიდევ, თავი სიზმარში მეგონა. ეგეთ სიტუაციაში რომ მოხვდები ხოლმე, თავი სიზმარში გგონია და იმიტომაა, რომ არ გიჟდები. ჰოდა, დავწერე ყველაფერ ამაზე და დავხიე, უფრო სწორად, კომპიუტერიდან წავშალე. რომ არ დამეწერა, არ შემეძლო, მერე, რომ დავწერე, მართალია, სახელი და გვარი და ეგეთი ამოსაცნობი დეტალები არ მექონდა მითითებული, მაგრამ რომ არ წამეშალა, ისიც არ შემეძლო. იმის მერე ის მოხუცები ხშირად მაგონდება და ისე ძალიან არ ვბრაზდები მათზე. ახლა მათი ძვლებიც აღარ იქნება მიწაში დარჩენილი. საშინელი რამ არის ზოგჯერ ადამიანი.

წიგნები:

«კოლორიტები», «ტორეადორები», «დაუმთავრებელი ამბავი», «სოდგარენელი შ», «ჭიანჭველები», «ასე», «მანუჩარის დიდი გასეირნება», «მკვდარი ქვიშის უდაბნო», «ფეისბუკზე».

ჩემი ქვეყანა

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის
არც არასოდეს ყოფილა ჩემი
მას მერე რაც მე როგორც ამომრჩეველი
პირველად მომატყუეს

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის
რადგან აქ კმაყოფილი სახეები
მხოლოდ მთავრობის წევრებს
დეპუტატებს ქურდებს ავაზაკებს
და მკვლელებს აქვთ
და კიდევ მათ შვილებს

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის
რადგან აქ ფარმაცევტული კომპანიები
წამლებს ათჯერ უფრო ძვირად
ყიდიან და სუფთა მოგების
მეათედსაც არ ხარჯავენ ქველმოქმედებაში

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
აქ კომერსანტებს სულაც არ რცხვენიათ
ვადაგასული პროდუქტების გაყიდვა
ანუ სხვისი შვილების მოწამვლა
ხოლო საახალწლო ფეირვერკებში
უფრო მეტი ფული იხარჯება ვიდრე
უპოვართა დაპურებაში

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან აქ კარგი პოეტებიც
სულს ყიდიან პოლიტიკურ პარტიებზე
საკუთარ სულებს ანუ მეუღლების და შვილებისაც

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
მთავრობის წევრები თავიანთი ბავშვობის ქუჩებზეც

მოხუცი დედის მოსანახულებლად
გრძელი ესკორტით დადიან
იმ პატარა ქუჩებზე გრძელი რომ არის
და ასე გგონია რომ ქვეყნის მოსახლეობის
მესამედი მაინც ამ გაუთავებელ ესკორტებშია
დასაქმებული

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
აქ მთავრობის წევრების ესკორტზე წინ
ვერ გაივლიან რიგითი მოქალაქეების მანქანები
ვერც ის მანქანები მშობიარე ქალი რომ მიჰყავთ
ვერც ისინი სოფლის ალალი ბავშვები რომ
ჩამოიყვანეს ექსკურსიით დედაქალაქის
დასათვალიერებლად

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
კანონმორჩილი მოქალაქის შვილებს
კანონმორჩილი მამა აფრთხობთ
უფრო სწორად კი რცხვენიათ
რომ ასეთი მამა ჰყავთ
და რომ წამოიზრდებიან დიდი-დიდი
ეს სირცხვილი უბრალო უხერხულობაში
გადაიზარდოს მეტი სამწუხაროდ რომ არაფერი

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
აქ ცოლებსაც ეუხერხულებათ
კანონმორჩილი ქმრები
რომლებსაც დაქალებთან თუ არა
თავიანთ მშობლებთან მაინც უფხო კაცად
მოიხსენიებენ

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის მას მერე
რაც მე როგორც ამომრჩეველი პირველად
მომატყუეს და დემოკრატიის სახელით ახლაც

მატყუებენ დიდ ქვეყნებში ცირკის ძაღლებივით
გამონვრთნილი პოლიტიკოსები

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის ძილშიც კი
რადგან ჩემს შვილებს ერცხვინებათ
კანონმორჩილი მამის რომელსაც ყოველთვის
ატყუებენ დიდ ქვეყნებში გამონვრთნილი ფინიები
მაგრამ ეს მგონი უკვე ვთქვი

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
წინა მთავრობის მინისტრები
მილიონები რომ ჭამეს ახლაც მასწავლიან
ჭკუას ტელეეკრანებიდან და
რაც მთავარია სამშობლოს სიყვარულს
მასწავლიან და თუ საჭირო გახდა ამას კიდევ
გავიმეორებ

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
ჩემს შვილებს პოლიტიზირებული და
ნახევრადმშიერი მასწავლებლები ასწავლიან
განათლების სისტემა კი რომელიღაც წარმატებული
ქვეყნის განათლების სისტემის უნიჭო
პაროდიაა

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
აქ ჩემი შეიძლება მხოლოდ უიმედობა იყოს
და ჩემი გულდანყვეტილი შვილიც არ იყოს
ჩემი და არც ცოლი

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
ის დიდ ქვეყნებში ცირკის ძაღლებივით
გამონვრთნილი პოლიტიკოსებისაა
სამშობლოს სიყვარულს რომ მასწავლიან

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
აქ შეიძლება მთვრალმა პარლამენტარმა კაცი გაიტანოს
და ამის შესახებ არაფერი თქვან ტელევიზორში
თუ ის დეპუტატი ოპოზიციონერი არ
არის

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
მე მეშინია ამის თქმის როგორც ამ ლექსის
გამოქვეყნების და რომელსაც
დიდ ქვეყნებში ცირკის ძაღლებივით
გამონვრთნილი პოლიტიკოსები ფორმას
დაუნუნებენ თუ გამოვაქვეყნე ან თუ
დამიბეჭდეს

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
მე მეშინია ამ ლექსის დაბეჭდვის
როგორც მეშინოდა წინა მთავრობის
და იმის წინა მთავრობის დროსაც

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
ჯერ ისე არ გავმწარებულვარ
რომ ამ ლექსის გამოქვეყნების არ
შემეშინდეს

ჩემი ქვეყანა ჩემი არ არის რადგან
მე მეშინია ხვალინდელი დღის
და საერთო მეშინია
დიახ
მეშინია

ჩემი ქვეყანა
ჩემი ქვეყანა
ჩემი ქვეყანა
ჩემი.

მე კი ვიტყვი: წერტილი.

მეთევზის სიმღერა

ეს ზღვაა
ეს მე ვარ ზვიროსაქცევზე
და სადღაც ახლოს დაცურავს
თევზი
მინა ახურავს ახლა საბნად
ჩემს ხუჭუჭა ბიჭს
ჩემი ცოლი დარდისგან დადნა

ეს ზღვაა
ეს მე ვარ ზვიროსაქცევზე
აქ ბავშვობაში მიბანავია

ეს ზღვაა
ეს მე ვარ
და არც კი ვიცი
ვარ თუ არა ვარ
სამაგიეროდ
სადღაც ახლოს
დაცურავს თევზი

ფიქრი მდინარის პირას ანუ დამიდგით რომელიმე ჩანჩქერთან ობელისკი

დაეშვებიან
მდინარეები თავდადმართებში
თავის მოსაკლავად
გადმოვარდებიან კლდეებზე
და დაარქმევენ იმ კლდეებს
ჩანჩქერებს
მათ შემხედვარეს
უხმაურო
სიკვდილზე ფიქრიც კი
მზარავს

ცოლს

ჩემმა ლექსებმა როგორც ჩვენმა შვილებმა შენი საშო უნდა
გამოიარონ

დაბადებამდე და შენი ძუძუ უნდა წოვონ და რომ
დაბერდები

ზურგი მოგფხანონ გულიც როგორც შვილებმა

ჩემმა ლექსებმა ჩემი თავი უნდა გაგახსენენონ როცა აღარ
ვიქნები

და მოგენატრები წვიმის ხმაურში

ან სულაც ისე უმიზეზოდ მოგენატრები

ჩემმა ლექსებმა უნდა გაგახსენონ რომ ეს სიცოცხლე
წარმავალია

რომ ადრე თუ გვიან უკან უნდა მომეწიო

და სიკვდილის წინ მოგელანდო ჩემი ლექსებით

ჩემი ლექსები შემოდგომის ფოთლებივით გასცვივდა
პარკში იმ მაგნოლიას

რომლის ძირშიც ძელსკამზე ზამთრის პირას ცოლობა
გთხოვე

შენ კი მითხარი რომ ეს დღე გესიზმრა დიდი ხნის წინათ და
მაკოცე

ამძუვნებული კატებივით არიან ჩემი ლექსები დაურვება
რომ მონდომებიან

მდინარის ჩამოტანილი ნაფოტებია ჩემი ლექსები

სიყრმის მეგობართა საფლავებია

პარადონტოზის გამო დაკარგულ უნაკლო კბილებზე
დარდია ჩემი ლექსები

სერზე შემომდგარი ახალგაზრდა ან პირიქით ბებერი

მგელია სულ პირველად
რომ დაინახა სოფელი და ადამიანები

დედა ღორია პატრონს ტყეში დაყრილი და ოდნავ
წამოჩიტული გოჭები
რომ მიჰგვარა და ახლა კმაყოფილი სალაფავს შეექცევა
რომ რძე ჩაუდგეს

შენი და ჩემი პირველი შეყვარებულის სხვისგან და
სხვასთან გაჩენილი
შვილებია ჩემი ლექსები

* * * (ეს ლექსი მინდა ვუძღვნა ფოსტალიონს)

ეს ლექსი მინდა ვუძღვნა
ფოსტალიონს რომლის სახელსაც
ახლა ველარ ვიხსენებ დიდი ხნის
მკვდარია უკვე ლურჯი მანქანა ჰყავდა
და
ჩვენი კეთილი ჯეკა გაავებული
უყეფდა ხოლმე
ალბათ იმიტომ რომ ერთხელ ჩვენს რკინის
ლობეს მიაფსა
ძალიან უჭირდა ალბათ და იქნებ
შებუებუებუელიც კი გახლდათ
როგორც თვითონ უყვარდა თქმა
ჰოდა
ჩვენმა ჯეკამ შეაძულა
ჩვენს ჩიხში შემოსვლა
ტანდაბალსა და ვერცხლისწყალივით
მოძრავს თავისნაირი ეშმაკი ცოლისა
და ტლუ შვილის პატრონს
რომელსაც ცოლის ხელისმომკიდე
ქორწილის დღესვე უცდუნეს მეზობლის ბიჭებმა
და რომელიც რაკი
მართვის მოწმობის გამოცდები ვერ
ჩააბარა რათა მერე მამამისის ლურჯი
მანქანით
წაეყვანა ხოლმე ბოზი ცოლი ბაზარში
დაუნდობელი პოლიციელი გახდა
და ყველას შეაძულა თავი
რა მინდოდა ძალოვან სტრუქტურაში
მამაჩემივით ფოსტალიონობას

დავჯერებულვიყავიო წამოსცდენია ერთხელ
როცა სპეცოპერაციის დროს
მისი ტყვიით შემთხვევით
მისი კოლეგა მოკვდა
რა უბედური ვყოფილვარო
ეთქვა თვითონ ფოსტალიონს
როცა სიკვდილის წინ
განვლილი ცხოვრებისთვის
ერთი წამით გონების თვალი
გადაევლო
აღბათ იმის თქმაც ღირს
რომ ახალი გაზეთის სუნზე
სულ ის ფოსტალიონი მაგონდება
და მიუხედავად ამისა
ახლა
ამ წუთას
მის სახელს ველარ ვიხსენებ
მისი ნემსებივით თვალებიც
მახსოვს და მისი მზერაც
როცა შეიტყო რომ რძლის მეჯვარე
ქორწილის დღესვე მეზობლის ხვითო ბიჭებმა
შამპანურით გამოათვრეს და მერე აკვნესეს
აუწყობელი ფანდურივით
მისი მანქანაც მახსოვს
გაზეთების დარიგებისას
ყოველ ოცდაათ მეტრში
რომ აჩერებდა
და ჩვენს ვინრო ქუჩას
თუ შეიძლება ასე ითქვას
ყელში თევზის ფხასავით ადგა
გამვლელ ავტოთა შოფრებს
პატრონის დედას აგინებინებდა

მეც
შენც
ისიც
ყველანი
ვიღაცის მახსოვრობაში ვიღეეებით
რომელიც მერე ჩვენს სახელს
ვერ გაიხსენებს

*** * * (მკვდარმა ძმაკაცმა მკვდარი ხელი დამიქნია)**

მკვდარმა ძმაკაცმა მკვდარი ხელი
დამიქნია და გაქრა
ვერ მოვასწარი მეთქვა რომ მომენატრა

ეცვა
თეთრი პერანგი და შავი პიჯაკი
იმავე ნაჭრის შარვალი მისი ცოლის შერჩეული
უკვე მკვდარს რომ ჩავაცვი კუბოში ჩასვენებამდე

მკვდარმა ძმაკაცმა მკვდარი ხელი
დამიქნია და გაქრა
ვერ მოვასწარი გამეფიქრა რომ ჩემი და მისი
ბავშვობაც მოკვდება როცა მე მოვკვდები

მკვდარმა ძმაკაცმა მკვდარი ხელი
დამიქნია და გაქრა

უსათაურო

ჩემი სიდედრი ლამაზი ქალია ჩემს სიმამრზე
მბრძანებლობს სხვანაირად არ შეუძლია
და რა ქნას
ჩემს სიმამრსაც არ შეუძლია
არ უყვარდეს ცოლი
ის სწორედ ამისთვის გაჩნდა
მოხუცი მამაჩემი კი იმის გახსენებაზე
როგორ მორჩილებს მძახალი
თანამეცხედრეს
ყოველთვის იფურთხება და დედაჩემს
კიდევ უფრო მკაცრად
ექცევა რომ მას ჩემი სიდედრის
მიბაძვის სურვილმა არ წამოუაროს არადა
დანამდვილებით ვიცი
საწყალ დედაჩემს ეს ფიქრადაც
არ გაუვლია ჩემს შვილს კიდევ ჰგონია
რომ მისი სამშობლოდან
პირველი კოსმონავტი იქნება სამშობლოც უყვარს
ბებიაც
ბაბუაც
ორივე მხრიდან
ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს ყველანი
და მეც სხვა არაფერი დამრჩენია
გარდა იმისა რომ დედის მხრიდან ბაბუამისის
მსგავსად ვუთხრა მას რომ ის
აუცილებლად
უნდა გახდეს პირველი კოსმონავტი
მისი სამშობლოდან რომელიც უნდა უყვარდეს
და იქ

კოსმოსში

უნდა იმღეროს ისეთი სიმღერა

ამ პლანეტის იქით ჯერ რომ არავის უმღერია

ანუ ჩაკრულოს გარდა

რომელიც უკვე გაგზავნილია

სხვა რამე თუნდაც ოდოია მზის ოდა

ან სულაც ჯანსულო

ადრე თუ გვიან ის მიხვდება

თუ რატომ დავიბენი როცა კიბეებზე

ჩვენი ახალი მეზობელი მდგმური ქალბატონი

შეგვხვდა რომელიც თავისი თეძოებით

ორჯერ მესიზმრა უკვე და ძილშივე

შეყვარებული ყმანვილივით

ბედნიერი გახლდით

და გულიც ჩიტისვით შემოფრთხილდა

დიახ ჩიტისვით

* * * (ჩემი მეზობელი)

ჩემი მეზობელი
კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარე
ენერგიული ქალბატონი რომელიც აივანზე
გამბეურებულ ქვეშაგს დიდი ხმაურით ფერთხავდა
მანვნის გამყიდველს კი
ქოქოლას აყრიდა
შენი ყვირილით ხალხს აფორიაქებო
გუშინწინ ცალთვალა მესაფლავემ
და მისმა შვილმა
დაკრძალეს
მამა საქმიანად აყრიდა მიწას
ძვირფას კუბოს
რომელიც მიცვალებულის
ბიზნესმენმა სიძემ შეუკვეთა
ვისაც კორპუსში
სოფელის ეძახიან
შვილი მესაფლავე
მთლად გაჭრილი ვაშლივით ვერა
მაგრამ მაინც ერთ ცნობილ
მსახიობს ჰგავდა
ადგილობრივს
ანუ არა ჰოლივუდისას
მზერა უშტერდებოდა
ვინმეს ენატრებოდა ალბათ
მინა იყო მშრალი
და მეზობლებისთვის ხელი არც კი
დაუსვრია
როცა მისი თითო მუჭი
თუნუქის სახურავზე

აცეკვებულ წვიმასავით მხიარულად
კუბოს თავზე ავახმაურეთ
ქელეხის სუფრას
ფულიანი სიძის წყალობით
ჩიტის რძეც არ აკლდა
გეახელით სოკოს კეცზე და ფიქრობდი
რომ დამეწერა ცალთვალა მესაფლავესა
და მის ვაჟზე კიდევ იმაზე
რომ სიცოცხლე სასჯელიცაა
რომ სიყვარული არც ისე ბრმაა
რომ მდინარეები ზღვებს
თავიანთ თავგადასავალს უყვებიან
როცა ერწყმიან და ერთსულ
და ერთხორც ხდებიან
რომ სულაც არ არის ცუდი
თუ ჩვენ ყველანი ვგავართ ერთმანეთს
და რომ სადღაც
ჩვენი შვილმკვდარი
ოქროსკბილება მემანვნის
ორეულიც დადის

კორპუსის პატრიოტი ბიძაჩემი ვარლამი

მკაცრი მმართველის მოლოდინშია
რომლის ხელშიც ქვეყანა გაბრწყინდება
კორპუსის ეზოში ჩადგმული სტანდარტული
გარაჟი მისი მეორე სახლია სადაც მეზობლები
დომინოს თამაშობენ და სადაც თაროებზე უწყვია
მათი შესაკეთებელი უთოები
თმის საშრობები და მიკროტალღური
ღუმელები
სიამოვნებისგან წკურავს თვალებს
როცა ოქროსხელებას უწოდებენ
თავის დროზე შეებრძოლა ქურდს
როცა ეს უკანასკნელი მისი გარაჟის სიახლოვეს
ახალი მეზობლის ჯიპიდან სათადარიგო
საბურავს იპარავდა
და მის დანას სასწაულებრივ გადაურჩა
იმ მეზობელმა კიდევ მოგვიანებით
სტუმრად ჩასული მისი პროვინციელი დისშვილის
შეცდენა სცადა
ბავშვობაში ნაბოლარა ძმისთვის ავადმყოფი
დედის მაგივრად ძილისპირულიც უმღერია
ახლა კი მის საფლავზე დიდის ამბით
თავისი დაწურული ღვინო მიაქვს
შენ მაგივრად მე უნდა ვიწვე ახლა
მაგ ცივ მიწაში ეტყვის
ასე მგონია რომ
ნიგბვისფერთვალება ბიცოლაჩემი უყვარს
რომელიც უკვე ასაკს ველარ დამალავს
რადგან ამ ბოლო დროს დიაბეტმა
ძალიან მოტეხა

ბიძაჩემი ამასაც დარდობს
ხოლო როცა მის ჭაღარა უღვაშებს მიღმა
ნიკელის კბილები გაიბრწყინებენ
ჩემს
გულში
საგვარეულო სევდა შემოაბიჯებს ხოლმე

კიბოიანი ქალი

ძნელია შეწყვიტო სუნთქვა
როცა უკვე მიხვდი
თუ რა დიდი საჩუქარია სიცოცხლე
და
მართლაც რომ ძნელია
ამ სიცოცხლის წყურვილი
იმიტომ არ გაამართლო
რომ არ გინდა დედის სითბო
მოაკლდეთ შვილებს ისიც ძნელია
არ გეშინოდეს შენი ცოდვების
სადედოფლო კაბის გრძელ შლეიფზე
მიკრული
შემოდგომის მახინჯი ფოთლებივით
რომ აგდევნიან ძნელია დაიჯერო
რომ უშენოდ გათენებული
პირველი დილა
ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი იქნება
და მილიონები ისეთები
როგორც იყავი ჯერ კიდევ გუშინ
მოიმზადებენ
შენს საყვარელ ხსნად ყავას
და გაერინდებიან სიგარეტის პირველ
ნაფაზს
რომელიც მართლაც რომ
გემრიელია
დედის რძესავით
რომლის გემოც არავის ახსოვს

ძნელია როცა უკვე
სამუდამოდ უნდა დაისვენო
და არ დაიღალო უკვე აღარასოდეს

ამაყები კვდებიან ადრე

*ჩემი სიმამრის ბებერსა და ამაყ ფინიას,
რომელიც უგზოუკვლოდ გადაიკარგა მას შემდეგ,
რაც პატრონებმა სახლში სხვა ახალგაზრდა ძაღლი
მოიყვანეს*

ალბათ უკვე მკვდარი ხარ
იქნებ დაგგლიჯეს
მანანნალა ძაღლებმა
რომლებსაც ყოველთვის შურდათ შენი
და შენც სისხლისგან დაცლილს
წყურვილისაგან პირი გაგიშრა
როცა კვდებოდი
ან იქნებ შიმშილმა მოგიღო ბოლო
ან ყინვამ სიკვდილის წინ კი
მხოლოდ ერთი წამით ინანე
რომ შენი სიამაყე ვერ დათმე
ასეთი წამიერი სისუსტის უფლება
ყველა კარგ ძაღლს და ადამიანს აქვს
მახსოვს როგორ ცნობისმოყვარედ ასცქეროდი
ცაში მავანი პოლიტიკოსის შვეულმფრენს
რომელიც მშობლიურ ქალაქში მისი თაოსნობით
წამონწყებული გრანდიოზული მშენებლობის
დასათვალიერებლად მობრძანდა
რათა მერე დედამისს ეამაყა ამ ფაქტით
იქნებ ჩემი არ იყოს შენც წარმოიდგინე მაშინ
თუ როგორ ელაპარაკებოდა ის პოლიტიკოსი
თავისი სახლის აივანზე გადმომდგარ
სიამაყისცრემლებთვალზემომდგარ
დედიკოს მობილურით შვეულმფრენიდან

როცა შენი და ჩემი სიმამრის ქალაქის
თავზე ეკიდა
ჰო დე ეს მე ვარ როგორა ხარ
წნევა ხომ არ განუხებს ახლა აღარ მცალია და
კვირის ბოლოს ჩამოვალ
ბავშვებთან ერთად
და გაგახარებ
ეტყოდა ის დედამისს
და სევდიანად გაიღიმებდა
მერე პილოტს უკნიდან მხარზე ხელს დაკრავდა
და ეს იმის ნიშანი იქნებოდა
რომ დედაქალაქში დაბრუნების დრო მოვიდა
პილოტს ალბათ თავისი დედა გაახსენდებოდა
ალბათ შენც მოგაგონდა შენი დედა
რომელსაც ჩვენ არ ვიცნობდით
ვიცი რომ
ძაღლებსაც უყვართ თავიანთი პატარა ქალაქები
და ქუჩებიც
რომელზეც გაიზარდნენ

იმათ სახელზე ვინც მოგვენატრა მოდით გავუშვათ ცაში ბუშტები

გადამრიეს
ზამთრისაზე ოდნავ ფაფუკმა
აპრილის ღრუბლებმა
რომლებზეც
როგორც ყავის ნალექზე მკითხაობს
ჩემი ორსული ცოლი
დღისითაც
მის ძილს ვდარაჯობ
და მიხარია
მომავალი სიცოცხლე
ჩვენი გაგრძელება
ვსვამ ღვინოს სიმამრთან
რომელიც
კარგი კაცია
სულ უნდა იარო
რომ არ გაგყინოს
ამ ცხოვრების სუსხმა
ყოველდამე მოდის მთვარე
და
ცაზე კვლავ ტოკავენ
ნეკერჩხლის კვირტებივით
ოდნავ დაბერილი
აპრილის ღრუბლები
რომლებსაც ჯერ კიდევ სცივათ
მათი შემხედვარე
დიდი ხნის წინათ
წაკითხული წიგნის
გმირ მჩხიბავ ინდიელს

ვგავარ
დაფიქრებული რომ გასცქერის
შორეული კოცონის კვამლს
რომლითაც თავისი გასაჭირი
ამცნო
ცხრა გორაკს იქით მისმა
მხარში დაჭრილმა ძუძუმტემ
და ვამბობ ჩემთვის
რომ
ლექსიდან ლექსამდე
ერთხელ მაინც უნდა მოკვდე

ქალაქში შემოვიდა მატარებელი

მემანქანის ღამენათევმა
თანაშემწემ
რომელმაც მანამდე
მასწავლებელთან ერთად
მზის ამოსვლა ნახა
საყვირიდან სიგნალი მისცა მშობლიურ
ქალაქს რომელიც უყვარს
და სადაც ეგულება ცოლი
და შვილი
ვისაც უნებურად ეს სიგნალი
უძღვნა კიდევ
ასევე უნებურად გარეთ გაიხედეს
ცნობისმოყვარე მგზავრებმა
რომლებსაც წინასწარ
ფანჯრებზე ფარდები გადაეწიათ
ნუ დაკუჭავთო
ესაყვედურა მათთვის გამცილებელს
და იქვე ეთხოვა
სადგურში შესვლამდე ადგილებზე
დარჩენილიყვნენ
რადგან ტამბური ყველას ვერ
დაიტევდა
ტამბურის არ იყოს
მეც ერთი ვარ და თქვენ ათასიო
ისიც ეთქვა როგორც
ყოველთვის
თითქოს თავს აცოდებდა
გულის სიღრმეში კი
ანუ ქვეცნობიერადო რომ იტყვიან

თავის გამორჩეულობას გაუსვა
ხაზი

ქალაქში შემოვიდა მატარებელი
და შემოიტანა
უცხო მხარის ხიბლი და მტვერი
როგორც მამაჩემს შემოჰქონდა
თბილ ოთახში
დრაფის პალტოთი
თოვლის და ყოველი შემთხვევისათვის
ხელს გამოყოლებული
და გზაში ყუადაგემოვნებული
ცხელი პურის სუნი
და იმ სუნით გაგიჟებული
წრიალებდა კარებთან ცუგა
თოვლში მეზობლის ძაღლთან
თამაშით გართულს
პატრონის მოსვლა რომ გამოეპარა
და რომელმაც მერე
სიკვდილის წინ
სახლიდან წასვლა მოინდომა
მაგრამ მე და მამაჩემმა დავაბრუნეთ
ხელში ატატებული
და გვეგონა
რომ სწორად მოვიქეცით
ყველაფერი რაც კი არსებობს
ქალაქში სულ ახლახან
შემოსული მატარებელის არ იყოს
ღვთის ნებაა
უსაზღვროა მოლოდინი ღიანდაგების

ჩემს დიდი ხნის წინ მკვდარ ძაღლს

წუხელ მესიზმრე
მერე კი
მთელი დღე ძაღლებს ვაკვირდებოდი
მანანალებსაც და იმათაც
ვისაც პატრონი ასეირნებდა
მოუვლელ და ნაკლებმოვლილ პარკებში
შეიძლება ითქვას
რომ მათში გეძებდი
და გიგონებდი
ვიხსენებდი
როგორ გიპოვე ქუჩაში ერთი ციცქნა
როგორ ღრღნიდი ფეხსაცმელებს
როცა კბილები გექავებოდა
როგორ უყეფდი პირველ თოვლს
და მერე შეჭამე კიდევ
როგორ დევნიდი მეზობლის კატას
როგორ დასდევდი ხვადებს
ის რაც იწყება უნდა დამთავრდეს
შენც დამთავრდი
როცა მთვრალი მეზობლის მანქანამ
გაგიტანა
ის მთვრალი ინჟინერი მეზობელიც
დამთავრდა
როცა შეიტყო რომ ცოლი
მისსავე სახლში ადგამდა რქებს
ერთხელ უკვე ნაოპერაციევ თავში
დაიხალე ტყვიანო დაატირა დამ
მისი აშენებული ერთი ხიდის გადავლა
თითქმის ყოველდღე მიწევს

ნეტავ ძაღლებს თუ ესიზმრებათ
გარდაცვლილი პატრონები
აღბათ კი
იქნებ ძაღლებიც
ადამიანებივით
თავიანთი სიკვდილისწინა სიზმრისთვის
ცოცხლობენ მთელი ცხოვრება

ქებათა ქება ჩემს ავტოს

შემოგხედე თუ არა
მაშინვე მიგრძნო გულმა
რომ პატრონი
კიდევ უფრო დააკლებდა ფასს
და ჩემი გახდებოდი
შენი ძრავით
რომელიც ზეთს არ იკლებს
ავტომატური
თანაც მეტად გამძლე
სიჩქარეთა კოლოფით
და
ტყავის სავარძლებით
რომლის გამათბობლის შეკეთება
არც ისე ძვირი ჯდება
შენი წარსულით
რომლისაც ბევრი ვერაფერი შევითყვე
მხოლოდ ეგ ვიცი
რომ არა შენი წინა პატრონის ნარკომანი
შვილი
ჩემი ვერასოდეს გახდებოდი
რადგან მამამისს
სასწრაფოდ გასასტუმრებელი
ვალების გამო
არ მოუწევდა შენი გაყიდვა ნახევარ
ფასად
უნდა გითხრა რომ ბოლომდე
ვერ აკმაყოფილებ ჩემი პრეტენზიული
ცოლის მოთხოვნებს
შენ

უავარიო
უჟანგავი ძარით
ქარხნულ საღებავზე
მთელი სამი აირბაგით
უცხო მხარის ქარხნის კონვეირზე აწყობილს
სხვადასხვა პატრონების ხელში გამოვლილს
ამ შენი სიჭარმაგის ჟამს
განგებამ ჩემს ფრთებქვეშ მოგიჩინა ბინა
შენც შენი მხრივ
ყოველთვის შემეფარებ ხოლმე
როცა სახლიდან წასვლა მომინდება
და მომინდება შენთან ერთად
ავიჭრა ზეცად
ანუ გავიქცე შენთან ერთად
სადმე შორს
და იქ დავწერო ლექსი
თუნდაც ჩემს მშვენიერ ცოლზე
რომელსაც გავექეცი
როგორც მობეზრებულ მოტივს
ან არადა შენს ყოფილ პატრონებზე
რომელთაც ალბათ
შენთან ერთად ზეცაში აჭრა მონდომებიათ
თუ არადა
თავიანთ ცოლებთან და საყვარლებთან
ან უბრალოდ ბოზებთან
შენს უკანა სავარძელზე
როგორც იტყვიან
ჰქონიათ სექსი
რაც სხვა არაფერია თუ არა
მინად მყოფის
ცაში აჭრის მცდელობა

ამა სოფლის სამდურავი

იაფი იყო იმ დღეს ბაზარში
ხორცი ძროხისაც ხბოსიც
უქშევდნენ
უმეტესად დაფნის ტოტებით
ბუზებს გამყიდველები
მოლოდინი ედგათ თვალებში
და თითქოს დასაკლავი ხარის
სევდაც ედგათ
მათ მეზობლად ახალგაზრდა ქვრივს
სულუგუნის ვაჭარს
რომლისთვისაც ეს ცხოვრება
იყო ავი დედინაცვალი
გულით უხაროდა რომ იმ დილით იაფად
ჩაიგდო ხელში
ყველის ახალი პარტია
ცხოვრება დუღდა ბაზარში
და გადმოდუღდა
ცხოვრება კაცთა და ბუზთა
და ორივენი სისხლისა და რძის
საუფლოს გარდა ეტანებოდნენ
თაფლსაც და თევზსაც
შუაგულ ტბაში დაჭერილს
და ტრიალებდა ბედის ბორბალი
ისე როგორც უნდა ეტრიალა
სულუგუნის ვაჭარი კვლავ
მიფიცებდა ობოლ შვილებს რომ
ყველი იყო ახალი და უმაღლესი ხარისხის

იმ დღეს სულუგუნისგან განსხვავებით
რატომღაც ხორცი იაფი იყო
ძროხისაც ხბოსიც
ხმაურობდა ბაზარი
და ყველასთან იყო ღმერთი
გამომზრდელი კაცთა და ბუბთა
საკუთარი
სიმარტოვის მშობელი მამა

ვრცლად მოყოლილი ერთი პატარა ამბავი

(ციკლიდან «ლუნაჩარსკის ქუჩის ამბები»)

არდევან გეგიას თავის სამსახურში, პირდაპირ კაბინეტში ეწვია სიკვდილი სრულიად მარტოს.

ერთი ჩია კაცი იყო, მორიდებული და ლამის, ქალივით ნაზი, სამაგიეროდ, უღვაშები ჰქონდა უხეში, ბოთლების სარეცხი ჯაგრისივით გაფშეკილი – იმასაც ამბობდნენ, მისი ქალიშვილი, დონორა, ბავშვობისას მამამისს საახალწლო ნაძვის ხის სათამაშოებს ჰკიდებდა ზედ ხუმრობითო, მაგრამ ბუსტად არავინ არაფერი იცოდა.

არდევანს გულმა ორმოცდაათი წლის ასაკში უმტყუნა. მიცვალებული საშინლად გაშავდა, მუქ ალუბლისფერ პრიალა კუბოში იწვა, რომელიც ერთი ზომით მაინც ჰქონდა დიდი, მაგრამ ეს არავის უკვირდა, რადგან არდევანს სიცოცხლეშიც ტანსაცმელი ყოველთვის ერთი ზომით მეტი ეცვა და როცა მუჭში ახველებდა ან სულაც ამცხიკვებდა, მის შემხედვარეს ასე ეგონა, პიჯაკის სახელოში ახველებსო. ბოლო დროს გული ხშირად ჩხვლეთდა და ამ დროს ძალიან მოიწყენდა ხოლმე, პერანგზე ზედა ორ ღილს შეიხსნიდა, ბანჯგვლიან მკერდს მოიფხანდა და ცხოვრების წარმავალობაზე დაფიქრდებოდა.

– ეს ცხოვრება იმად არა ღირს, რომ მასზე გული დაგწყდეს!
– განაცხადებდა ის, მაგრამ მაშინვე შეატყობდი, რომ სიკვდილის წინ მაინც დასწყდებოდა გული, თუმცა ამ ფაქტს ვერავინ შეესწრო – თავის – მთავარი ბუღალტრის კაბინეტში აღესრულა სრულიად მარტო, შესვენების დროს, როცა თანამშრომელი ქალები მეზობელ ახალგახსნილ

კაფეში გახლდნენ გადასულები ყავის დასალევად, თავად არღევანი კი სახლიდან გამოტანებულ მოხარშულ კვერცხებს ფცქვნიდა.

– ალბათ თავისი ხისფეხა მამა მოელანდა სიკვდილის წინ,
– ივარაუდა არღევანის ცოლმა, მსუქანმა და მხიარული ბუნების წითურა ნანულიმ, რომელსაც ქმრისაგან ზეპირი ანგარიშის მანია გადასდებოდა და სახლშიც კი პრიალა კაბებს ატარებდა. – შარშანწინ, კლინიკური სიკვდილი რომ ჰქონდა, მაშინაც მამა გამოეცხადა საწყალს!

არღევანის მამა ჩვენს ქუჩაზე კარგად ახსოვდათ, რადგან მარჯვენა ფეხი ხის ჰქონდა და როდესაც მეზობლები გადაიპატიჟებდნენ, ყველგან ერთსა და იმავეს ამბობდა ხუმრობით: «კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახშიო» (თავისებურ იუმორში შვილიშვილი, დონორა დაემსგავსა). ის ერთ წელიწადში გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ლუნაჩარსკიზე ვაჟიშვილს სახლი უყიდა. თითქმის ყოველ კვირადღე ჩამოდოდა შვილისთვის ახალშეძენილი სახლის სანახავად. ჩამოჯდებოდა ეზოში, ლელვის ხის ქვეშ, ათვალეერებდა სახლს და მისი სილამაზით ისე ტკბებოდა, თითქოს პირადად მისი აშენებული ყოფილიყო.

სახლი თავიდან ერთი კოხტა ბელეტაჟი იყო, მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ არღევანმა მას კიდევ ერთი სართული დააშენა და საცხოვრისიც თავის დიასახლისს დაამსგავსა, ნანულის, რომელსაც მრგვალ თავზე საუკეთესო შამპუნებითა და ბალზამებით აფუებული თმები თივის ბულულივით ადგა.

უნდა ითქვას, რომ არღევანს თავისი ცოლი უყვარდა და, ცოლსაც, შეიძლება იმდენად არა, როგორც ის ქმარს, მაგრამ მაინც უყვარდა თანამეცხედრე და მისი მთავარი ბულალტრობა წარმოუდგენლად ეამაყებოდა. ძნელი

სათქმელი იყო, ეყვარებოდა თუ არა ნანულის არდევანი, ეს უკანასკნელი მთავარი კი არა, რიგითი ბულალტერი, ან, სულაც, მამამისივით უბირი გლეხი ყოფილიყო, ან, კიდევ უფრო უარესი, ნანულის მამამთილს ქალაქში რომ არ ეყიდა ვაჟიშვილისთვის სახლი და ნანულიც იძულებული ყოფილიყო, თავისი პრიალა კაბები სოფლის ორღობეებში შეეხარბებინა მეზობელი ქალებისთვის.

არდევანი ცოლს «ბიცოლას» ეძახდა, რადგან ნანული მასზე რვა წლით უფროსი გახლდათ, თუმცა, ასაკი დიდად არც ეტყობოდა და, თუ კარგად შეიღებებოდა, ქმარზე ახალგაზრდულადაც გამოიყურებოდა. არდევანის ქალიშვილის, დონორას მკერდზე კი თვითონ «ირორდისაც» დაეწერა ზედიზედ ორი ლექსი («ირორდი» – მეგრულად, «შენ ყოველთვის იყავი»-ს ნიშნავს. ავტ.შენ). ირორდიმ ისიც კი თქვა, ისეთი დიდი მკერდი, როგორიც დონორას აქვს, ალბათ სატარებლად ძალიან მძიმეაო, მაგრამ დონორას ეს არც უჭირდა და არც ეზარებოდა, პირიქით, სიამოვნებდა კიდევ და ამ სიამოვნებას ოდნავ მორცხვი ჩალიმებით გამოხატავდა.

დონორამ თავისი მკერდის ფასი კარგად უნყოდა. იცოდა, რომ მის ტარებაზე ამქვეყნად არც ერთი ქალი არ იტყოდა უარს, ისიც იცოდა, რომ პირადად მისი ფასი უამმკერდოდ სამოცი პროცენტით მაინც დაეცემოდა. შეიძლება ითქვას, რომ თავისი მკერდისთვის ცოცხლობდა, მისით სულდგმულობდა, თავს ევლებოდა და ამქვეყნად მამაკაცთაგან ცოტა ვინმე თუ ეგულებოდა ისეთი, ვისაც მისი შეხების ღირსად თვლიდა.

ლუნაჩარსკიზე ბავშვმაც კი იცოდა, რომ დონორა შინ ყოფნისას ზოგჯერ ლიფს არ იცვამდა და ამიტომ ზაფხულობით, არდევან გეგიას სახლის წინ, ყოველთვის

აივლ-ჩაივლიდნენ ხოლმე ქარების მპეპლავი ბიჭები ისეთი სახით, თითქოს დონორასათვის თვალის შესავლებად კი არ დაძრწოდნენ, არამედ რაღაც უმნიშვნელოვანესი საქმის მოსაგვარებლად დადიოდნენ ასე უთავბოლოდ. ზოგიერთი თავხედი მძლოლი კი არდევანის სახლთან მოკლე სიგნალსაც კი აძლევდა, ეგებ დონორამ გამოიხედოსო, იმ იმედით.

არდევან გეგიას სახლი მოსახვევთან იდგა, ამიტომ არდევანი თავიდან ფიქრობდა, რომ მძლოლები მოძრაობის უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით აპიპინებდნენ, მაგრამ მეზობლების იქედნურმა ღიმილმა საბოლოოდ აუხილა თვალი ყველაფერზე და მაშინ არდევანი საშინლად ეჭვიანი გახდა – ცოლზეც ეჭვიანობდა და ქალიშვილზეც, სანამ ეს უკანასკნელი წარმატებით არ გათხოვდა.

დონორას გათხოვება ყველაზე უფრო კობა ესართიას უფროსმა ძმამ, კახამ იდარდა. კახა შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, ქალაქში ცნობილ შულერებთან არ ეთამაშა «სეკა» და ათიდან რვა შემთხვევაში წაეგო. ძლიერი ნებისყოფის ბიჭი გახლდათ, ემოციებსაც იშვიათად გამოხატავდა – ერთი შეხედვით ვერც მიხვდებოდი, კარტში მოგებული იყო თუ წაგებული, მაგრამ დონორას გათხოვებას რომ დარდობდა, ეს ყველამ შეატყო და, მათ შორის, დონორას ჩამრგვალებულმა, თავზე თივის ბულულდაკოსებულმა დედიკომაც.

ბიცოლა ნანული ყოჩაღი ქალი იყო: საოჯახო საქმეებსაც არ აკლებდა ხელს და იმასაც ახერხებდა, ფრჩხილები იმ ფუქსავატ ქალებზე უფრო გრძელი და მოვლილი ჰქონოდა, რომლებიც მათ შესანარჩუნებლად საოჯახო საქმეებს თავს არიდებდნენ. ბიცოლა ნანულის სამართლიანი ქალის

სახელიც გავარდნოდა, თავის დროზე არაერთხელ გაეფრთხილებინა ქალიშვილი, თუ შენს ღირსად არ თვლი, ნუ უღიმი ასე იმედისმომცემად კახა ესართიასო. ნანული თავის ქალიშვილს კარგად იცნობდა და იცოდა, რომ ის კახას არაფრისდიდებით არ მისთხოვდებოდა, რადგან კახა ბუნებით მანანწალა იყო, თანაც უფულო. დონორას კი მაყუთიანი ტიპების დანახვაზე ელეთ-მელეთი მოსდიოდა, თავისი გამორჩეული მკერდის გამო ეგონა (შეიძლება არც ისე უსაფუძვლოდ), რომ ის ღმერთს სხვებისგან გამორჩეული გაეჩინა და, რომ ის გამორჩეულად მდიდარ კაცს უნდა მისთხოვებოდა.

დონორას ქმარი მდიდარი იყო, მაგრამ ასაკით მასზე თითქმის ორჯერ უფროსი. ქმარმა დონორას იმაზე ორჯერ მეტი ლიფი უყიდა, ვიდრე თვითონ დონორას სურდა რომ ჰქონოდა და ყველა პირობა შეუქმნა საიმისოდ, რომ საკუთარი მკერდისთვის უკეთ მოევლო. არც დეკოლტეების ტარებას უკრძალავდა, მაგრამ ვერ დააორსულა. სიდედრ-სიმამრს აგდებით ექცეოდა და როცა შეთვრებოდა, სახალხოდ ერთს «იმანოვიჩს» ეძახდა, მეორეს – «იმანოვნას», რასაც «იმანოვიჩზე» უფრო «იმანოვნა» განიცდიდა, ოღონდ არ იმჩნევდა, რათა მის ქმარს ისედაც სუსტი გული კიდევ უფრო არ ასტკიებოდა.

საერთო სერიოზულმა საწუხარმა არდევანი და ნანული, ოცდასამი წლის ცოლ-ქმარი ერთმანეთს კიდევ უფრო დააახლოვა. თითქოს ხელახლა შეუყვარდათ კიდევ ერთმანეთი. არდევანმა თავისი ქმრული მოვალეობის აღსრულებას მოუხშირა.

– არ გინდა, არდევან, გულმა არ გიღალატოს! – ეტყოდა ბიცოლა ნანული ქმარს, მაგრამ თვითონაც ვერ ამბობდა უარს შემოთავაზებულზე და სიამოვნებისაგან თვალები

წინასწარ უელამდებოდა, როგორც ოცდასამი წლის წინათ, თაფლობის თვისას. დილით კი სამსახურში მიმავალ ქმარს ბიცოლა ნანული პატარა ბავშვივით ჩაიკრავდა გულში და შეთხელებულ თმებზე ხელს გადაუსვამდა.

– ხომ ჭკვიანად იქნები, სხვა ქალებისკენ ხომ არ გაგექცევა თვალი? – ჰკითხავდა ბიცოლა ნანული არდევანს. – თუმცა თვალი შეიძლება, ოღონდ გული – არა. ჩემზე იფიქრე და არაფერზე იდარდო!

არდევანიც ჰპირდებოდა, რომ მხოლოდ მასზე იფიქრებდა და არაფერზე იდარდებდა, მაგრამ ეტყობა, მაინც დარდობდა.

კახა ესართიას გათხოვილი დონორას მკერდის კერტები ეზმანებოდა (თუმცა ცხადად არც ჰქონდა ისინი ნანახი, მხოლოდ ვარაუდით თუ იცოდა, როგორები უნდა ყოფილიყვნენ). დადარდიანებული ქალაქის საბილიარდოებში დაყიალებდა, ტურისტებს ფულს უგებდა და მერე იმ ფულს ადგილობრივ შულერებთან აგებდა, თავისთვის მხოლოდ სიგარეტისა და საღეჭი რეზინისთვის იტოვებდა ცოტას, ყავას კი ყველა საბილიარდოსა და კაფეში ნისიად სვამდა. ყავას ნისიად კობა ესართიაც სვამდა, მაგრამ რაკი თავის ოთხი წლით უფროს ძმას წვეთი წყალივით ჰგავდა, ნისიებს ზოგჯერ კახას სახელზე აწერინებდა. ჰოდა, ერთხელ ედიკაც მოატყუა, კახა ვარო, უფრო სწორად კი, ეგონა, რომ მოატყუა.

ედიკა კიდევ იმით იყო ცნობილი, რომ თავის დროზე ჭკუიდან სრულიად უმიზეზოდ გადასცდა, ჯიბით ლიმონი დაჰქონდა და ყველას სთავაზობდა, პლომბირში ჩაგინურავთ თითო წვეთს სამ კაპიკადო (რაოდენ გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, ზოგიერთი ტურისტი, რომელსაც ეს ეგზოტიკური ადგილობრივი ტრადიცია

ეგონა, თანხმდებოდა), ხოლო სამედიცინო ტექნიკუმის ყოველ სტუდენტ გოგონას, ვისაც ყავის ნალექზე ოც კაპიკად მკითხაობდა, პლასტმასის ფერადი ჭიქისაგან სახელდახელოდ ძალიან ლამაზ ვარდს დაუმზადებდა და თავისი ხელით მიაბნევდა გულზე, თან გარდაცვლილი დის სულს დაიფიცებდა და ეტყოდა, ძალიან გიხდება, დედოფალს ჰგავხარო.

კობამ ედიკას ხუთ მანეთად პლასტმასის ჭიქებიდან ორმოცდაათი ვარდი დაამზადებინა, თაიგულად შეაკვრევინა, ჩემი თანდასწრებით გარდაცვლილი და დააფიცა, რომ არ გათქვამდა და დონორასთვის მიატანინა კახას სახელით. ედიკა კიდევ ისეთი იყო, რომ თუ ვინმეს თანდასწრებით გარდაცვლილ დას დააფიცებდი, ნებისმიერ საიდუმლოს შეგინახავდა, თუკი მის გასამხელად ისევ იმავ გარდაცვლილ დას არ დააფიცებდა ხელმეორედ სხვა ვინმე. არადა, სინამდვილეში და არც არასოდეს ჰყოლია, უბრალოდ, აკვიატებული ჰქონდა, ძალიან მაღალი დაიკო მყავდა და ავარიაში დამელუპა სხვის მაგივრადო. »სხვის მაგივრად« დალუპვა რას ნიშნავდა, ამას არავის უმხელდა.

– ასე უნდა იმ ნაბოზვარ დონორას! – გამოსცრა კბილებიდან კობამ, როცა ედიკა გაისტუმრა. – ჯერ გადარია ჩემი ბოთე ძმა, მერე ადგა და სხვას მისთხოვდა. ახლა მივიდეს და ყნოსოს პლასტმასის ყვავილები!

დონორას ქმარმა ედიკას ვერც ხუთ მანეთად და ვერც ორმოცდაათად ამ უჩვეულო თაიგულის გამომგზავნის ვინაობა რომ ვერ დასტყუა, კიბეებიდან დააგორა. დონორას ქმარი, სახელად მოგელი, ხალხში «დონ მოგელად» წოდებული, ძველი აფერისტი, მანამდე სამჯერ თუ ოთხჯერ შესწრებოდა იმას, თუ რა დიდებულ ცოცხალ

ყვავილებს უგზავნიდნენ თაყვანისმცემლები მის ცოლს. ჭკვიანი კაცი იყო, ეჭვიანობა ნაკლებად სჩვეოდა, მაგრამ პლასტმასის ყვავილების გამოჩენამ ძალიან შეაშფოთა (იცოდა, რომ მამაკაცების ყურადღებით განებივრებული დიდმკერდა ახალგაზრდა ქალების გულის მოგება მსგავსი უტიფრული გამოხტომებით სავსებით შესაძლებელი რამ არის). გაცოფებულმა დონ მოგელმა დონორას ყველა ძვირიანი ლიფი ან დაუხია, ან დაუჭრა და შინიდან გასვლა აუკრძალა. დონორამ გულწრფელი ცრემლებით ადვილად დაარწმუნა ქმარი იმაში, რომ მან მართლა არ იცოდა, თუ ვინ გამოუგზავნა პლასტმასის ვარდები.

ერთი კვირის შემდეგ დონორა ედიკას დაელაპარაკა, გარდაცვლილი და დააფიცა და სთხოვა, მისთვის ყვავილების გამომგზავნის ვინაობა დაესახელებინა.

კობამ, ყავის მომხარშავი ქალებისაგან განსხვავებით, ედიკას, რომელიც მართლა ჭკუანაკლული იყო, თავის ძმის მაგივრად ვერ შეასალა თავი – ედიკამ დონორას ასე უთხრა, ის ბიჭი, ვინც შენთან პლასტმასის ვარდები გამომატანა, კახა ესართიას სახელით მელაპარაკებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სინამდვილეში კახას ძმა, კობა იყო.

დონორამ არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ კობას დაურეკა და მათხოვარი ეძახა. კობამ კახას უთხრა, დონორა შეგიმზადე, მხოლოდ ლიფის გახდალა დარჩაო. კახაც ადგა და ძმის მაგივრად ბოდბის მოსახდელად დაურეკა დონორას.

კახასა და დონორას მთელი ორი თვე სატელეფონო საუბრები ჰქონდათ.

– ტელეფონით ანძრევენ! – მითხრა კობამ. – ჩათლახი ვიყო, თუ დონორა ჩემს ძმას არ აბამდეს, თავს დააორსულებინებს და ცოლადაც დაუჯდება. ჩემი ძმა ნოკაუტშია, მაგის იმედი უკვე აღარცა მაქვს!

ორთვიანი სატელეფონო საუბრების შემდეგ კახა და დონორა ერთმანეთს შეხვდნენ. შეხვედრიდან კი კახა იმდენად კმაყოფილი დაბრუნდა, რომ ყველაფერი ნათელი იყო.

ორი მამაკაცის ხელში დონორა თავიდან ჯერ იყო და კიდევ უფრო გაღუვდა, გაიფურჩქნა, მკერდი კიდევ უფრო აენია და გამოებზიკა, ნაბიჯებიცა და ღიმილიც უფრო თავდაჯერებული გაუხდა, მერე და მერე კი ცოტათი მოეშვა, ძუძუები ოდნავ მოეფლაშა, ღიმილში გადაღლილი ქალის ნაღველი გაუკრთა – ერთდროულად ორ ფრონტზე ბრძოლა ყველა ქალს როდი შეუძლია, მით უმეტეს, თუ ქმრის ფულით საყვარლის რჩენაც უნევს. მაგრამ დონორა, ასე თუ ისე, მაინც უძლებდა, თავის მკერდზე ორ მამაკაცს ერთად ადებინებდა ერთგულების ფიცს და არცერთის არ სჯეროდა. იცოდა, რომ თუ ქმარი მიატოვებდა და ფული მოაკლდებოდა, მაშინ საყვარელიც ზურგს შეაქცევდა, ხოლო თუ საყვარელი მიატოვებდა, მაშინ მისთვის მამისტოლა ქმარი აუტანელი გახდებოდა – მეუღლეს საყვარლის ხათრით ითმენდა და საყვარელიც იმიტომ გაეჩინა, რომ ქმარი აეტანა.

ყველაფერი მარტივი იყო და ნათელი, მაგრამ ამავედროულად ჩახლართული და ბუნდოვანიც.

დონორას მშობლები კი, რომლებმაც დონორას გაორებული ყოფის შესახებ არაფერი უწყობდნენ, ერთმანეთთან ხშირად წვებოდნენ და ერთმანეთით უფრო მეტად ტკბებოდნენ (რაც სახეზე ეტყობოდათ კიდევ) და,

მიუხედავად იმისა, რომ დონორამ ქმარი ვერაფრით გადააჩვია სიდედრ-სიმამრის უდიერ მოპყრობას, «იმანოევნა» და «იმანოვიჩი» ბაზარში მაგარკანიან, მშრალ კვახს ეძებდნენ, სწორედ ისეთს, როგორც დონორას უყვარდა ბავშვობიდანვე. დონორას, მიუხედავად იმისა, რომ გათხოვების შემდეგ კომპივით მახრჩობელა მშრალი კვახების მიმართ სიყვარული გაქრობოდა, მშობლების მიერ მორთმეულ ძღვენს სიამოვნებით იღებდა და უხაროდა, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ.

– შენ არა მართო მე, ჩემი მშობლებიც გააბედნიერე, ისინი ახლა ახალშეუღლებულებივით არიან და ამისთვის სიკვდილამდე შენი მადლიერი ვიქნები, – ეუბნებოდა დონორა ქმარს და ასაკისაგან გამომშრალ და გაუხეშებულ ტუჩებსა და ლოყებზე კოცნიდა. ხოლო, როცა ცხვირის წვერით კახა ესართიას ახალგაზრდულ კანს ეფერებოდა, კატასავით კრუტუნს მოჰყვებოდა ხოლმე.

– ნეტა შემეძლოს შენგან დაორსულება, ისე, რომ არავინ არაფერი იეჭვოს, მაშინ ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნებოდა ამ ქვეყნაზე. ერთხელაც იქნება, ყველაფერს ფეხებზე დავიკიდებ, ჩაგყლაპავ და აქ მეყოლები – მუცელში! – ეტყოდა დონორა კახას და ხელებს მუცელზე მოისვამდა. – მეშინია, რომ ერთხელაც ტვინი გადამიტრიალდება და შენი მეორე «მე» ჩემს მუცელში მეყოლება და ის ჩემი იქნება – მხოლოდ ჩემი და სხვისი არავისი!.. აი ასე!

პროფესიონალი სუტენიორის ინსტინქტებშეძენილ კახას დონორას საშოში გარდასახული თავისი მეორე «მე»-ს წარმოდგენა დიდად არ აფრთხობდა, რადგან მასში, როგორც ყველა პროფესიონალ სუტენიორში, გუგულის ინსტინქტებიც იღვიძებდა. არადა, ცხოვრების ასეთი სტილი

თვითონ დონორამ შესთავაზა კახას. ბიცოლა ნანული კი კახას ისევ მიმტევებლურად და თანაგრძნობით უყურებდა. კახა ამ მზერას იფერებდა, ერთხელ კი ბიცოლა ნანული გზაზე გააჩერა და ნაეკაიფა კიდევ.

– ხომ ვერ მეტყვით, არდევან ბიძია გულზე რომელ ექიმთან მკურნალობს, ნანული დეიდა? – ჰკითხა კახამ ბიცოლა ნანულის. – მეც მანუხებს გული და იმიტომ გეკითხებით.

– გული რამ აგატკივა ასეთ ახალგაზრდას?! – გულწრფელად შენუხდა ნანული.

– ეხ-ხ, რა ვიცი... – განელილად ამოიოხრა კახამ და სათქმელი არ დაასრულა.

– ცხოვრება წინაა! – უთანაგრძნო ნანულიმ.

– გააჩნია როგორი... – ისევ არ დაასრულა სათქმელი კახამ.

ბიცოლა ნანული თავის ქალიშვილს იმავ საღამოს მოუყვა ტელეფონით იმაზე, თუ როგორ ძლიერ ჰყვარებია თურმე ის კახას, როგორ იტანჯებოდა მისი გათხოვების შემდეგ და ნერვიულობისაგან როგორ ასტკივდა გული, ხოლო უპეები კი ჩაუშავდა.

დონორა იმ საღამოს ბედნიერი იყო, თავისი ღალატი ქმრის მიერ სიდედრ-სიმამრისადმი გამოჩენილი უპატივცემლობით გაამართლა. ქმრის დაძინების შემდეგ კახას დაურეკა და მთელი ღამე ალერსიანი სიტყვები უჩურჩულა.

დონორას «დონ მოგელად» წოდებული ქმარი კი გარკვევით გრძნობდა, რომ მის თავს ვერ იყო ყველაფერი რიგზე, იქნებ სწორედ ამიტომ ეპყრობოდა სიდედრ-სიმამრს იმაზე ორჯერ უფრო უდიერად, ვიდრე წინათ,

ჰოდა, არდევან გეგიას გულმა ამდენი დატვირთვა ვერ აიტანა...

დონორა წრფელი გულით დასტიროდა მამას – ერთადერთ მამაკაცს ამქვეყნად, ვისაც ბოლომდე ენდობოდა. დაკრძალვის წინა ღამეს ცხედარს ფრჩხილები ქლიბით მოუმრგვალა, როგორც ამას გათხოვებამდე აკეთებდა ხოლმე.

«დონ მოგელმა» კი სიმამრისათვის ძალიან ძვირიანი, იტალიური, ბრტყელი, მუქი ალუბლისფერი სასახლე შეუკვეთა.

ეგეთი კუბო ლუნაჩარსკიზე ჯერ არცერთ მიცვალებულს არ ღირსებოდა და ის ტრადიციულის – მაღალის და მძიმეს, ლოკოკინას ნიჟარასავით გაფუყულად დაორნამენტებულის ფონზე სრულიად უწყინრად გამოიყურებოდა. არდევანიც უწყინარი სახით იწვა მუქ ალუბლისფერ სასახლეში, დონ-მოგელის სახეს კი მწუხარება უხდებოდა და სამძიმარზე მოსულ ხალხსაც განგსტერული თავაზიანობით ართმევდა ხელს, ხოლო მამამისის ცხედარზე დამხობილ ცოლს რომ შეავლებდა მზერას, ყველას გასაკვირად თვალეებში გულწრფელი თანაგრძნობა გაუკრთებოდა.

გამოსამშვიდობებელი სიტყვა ირორდიმ წარმოთქვა.

თითქმის ყველა დანარჩენზე ერთი თავით მაღალი ირორდი მთვრალი იყო და საუბრისას მარჯვენა ხელს იქნევდა, მოდური კუბო აშკარად არ მოსწონდა და ამიტომ მიცვალებულისკენ იშვიათად იხედებოდა, თითქოს მასზე ნაწყენიყო. მარცხენაში გაზეთი ეჭირა, რომელშიც მის მიერ არდევანზე შედგენილი ნეკროლოგი იყო დაბეჭდილი.

არდევანის ერთ-ერთ მესაფლავედ ირორდის უმცროსი ვაჟი, «კიკო» გაემწესებინათ.

ჩვენს სამეზობლოში დაწესებული განრიგის მიხედვით მესაფლავე მე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ წინა ჯერზე მე კიკოს მაგივრად წავედი, ამიტომ ამჯერად ამ უკანასკნელმა შემცვალა. ირორდი იმაზე წუხდა, საფლავეზე მისულთ კიკო ზომაზე მეტად დაბოლილი არ დახვედროდა, აზრი ეფანტებოდა და ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებას ორჯერ წარმოთქვამდა.

– არდევან გეგიაზე, როგორც სახლიდან სასეირნოდ გამოსულ იმანუელ კანტზე, საათს გაასწორებდი, იმიტომ, რომ არდევან გეგია პუნქტუალური კაცი იყო და სამსახურში ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მიდიოდა და იქ ხუთი წუთით ადრე გამოცხადდებოდა ხოლმე, რათა მასზე დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეესრულებინა და საქვეყნო საქმეები ეკეთებინა. არდევან გეგიაზე, როგორც სახლიდან სასეირნოდ გამოსულ იმანუელ კანტზე, საათს გაასწორებდი, იმიტომ რომ ის სამსახურიდან ზუსტად ერთსა და იმავე დროს ბრუნდებოდა, რათა თავისი ძვირფასი ოჯახისთვის მიეხედა და იქ დაბრუნება ხუთი წუთითაც კი არ დაგვიანებოდა!.. – გაჰყვიროდა ირორდი.

მე და კობა პროცესიას სასაფლაოზე არ გავყოლილვართ. პროცესიამ კი კობას სახლის წინ ნაჩქარევად ჩაიარა – თითქოს იმათ, ვისაც ახალმოდური კუბო მიჰქონდათ, ის ირორდზე უფრო არ მოსწონდათ და უნდოდათ, რაც შეიძლება, ჩქარა მიეტანათ გასტრონომამდე, სადაც კატაფალკი ეგულეობდათ (ჩვენი უბნიდან მიცვალებულებს, პატივისცემის ნიშნად, საკუთარი ხელით მივასვენებდით ხოლმე გასტრონომამდე და ეს ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა).

კუბოს კახაც შეუდგა სხვა მეზობლებთან ერთად და პროცესიასაც გაჰყვა სასაფლაომდე.

მე და კობა დაბოლილები ვიყავით და მურაბიანი ჩაი ვხვრიპეთ, მერე აივანზე დავსხედით და სასაფლაოდან ხალხის დაბრუნებას დაველოდეთ.

– ეს რა კუბო იყო! – აღშფოთდა კახა. – მე მამაპაპური მირჩევნია. კუბო წაქცეული კარადისაგან ცოტათი მაინც უნდა განსხვავდებოდეს!.. შენ რას იტყვი?

– ჩემი აზრით, არ არის ცუდი კუბო, – მივუგე მე.

– საანგარიშო თუ ჩააყოლეს, ცხონებულს? – გაიხუმრასავით კობამ.

ამასობაში სასაფლაოდან დაბრუნებული პირველი მანქანაც გამოჩნდა.

– არდევანი ახლა უკვე მინაშია. იმ უცნაურ კუბოს ჭიები ორი-სამი დღე გარს უვლიდნენ იქნება, მიახლოებას ვერ გაბედავენ! – ვთქვი მე.

– იმედია, იმქვეყნად მაინც არ კვდებიან. ვერაფერი სიამოვნებაა კუბოში, თუ გინდა იტალიური იყოს, ორჯერ ჩაწოლა! – თქვა კობამ და გაოგნებულს, ჭიების წარმოდგენაზე, ჩემი არ იყოს, მასაც, მიუხედავად იმისა, რომ არდევანი გულწრფელად ეცოდებოდა, მაინც ნიშნისმოგებით გაეღიმა.

ამონარიდები



«გამომცემლობა
«დიოგენემ»
ერთდროულად გელა
ჩქვანავას
ორი წიგნი
გამოსცა,
«სოდგარენელი შ» და
»ჭიანჭველები« –
მოთხრობების
კრებულები,
რომლებიც
სტილურადაც

განსხვავდება ერთმანეთისგან და თემატურადაც.

პირველ კრებულში 4 ვრცელი მოთხრობაა შესული: «მონადირე», «სოდგარენელი შ», «აგარაკზე» და «ნიკო» – მოთხრობები, რომლებსაც გარკვეული ჟანრული თუ სტილური ერთიანობა აკავშირებთ. ესაა ტრადიციული თუ პირადი მითოსის, ოცნებისა და ლიტერატურული ესკაპიზმის ნაზავი, სადაც ავტორი მაქსიმალურად ცდილობს დაშორდეს რეალობას. როდესაც გელას ამ კრებულის შესახებ ვკითხე, მიპასუხა, რომ მისთვის მთავარი იყო რეალობიდან გაქცეულიყო, შეექმნა რაღაც

ფანტასტიკური სამყარო, ფანტასტიკური სიტუაციებითა და გმირებით. შესაძლოა, ბევრს ამ ვრცელმა მოთხრობებმა ანდრეი პლატონოვის ზოგიერთი ნაწარმოებიც გაახსენოს. და ეს, არსებითად, ალბათ სწორი პარალელიც იქნება, რადგან არავის ისეთი გულმოდგინებით არ კითხულობს ხოლმე გელა ჩქვანავა, როგორც ანდრეი პლატონოვს. ეს ერთგვარი კოლხური, აფხაზური მაგიური რეალიზმია, რომლის ნიშნები ყოველთვის იყო გელასთან, მაგრამ ამ კრებულში განსაკუთრებით გამოჩნდა. [...] განსხვავებულია მეორე კრებული, «ჭიანჭველები», სადაც ძირითადად ნოველებია შესული, თანამედროვე თუ ბოლო ერთი-ორი ათწლეულის ამბები, ძირითადად სოხუმური ისტორიები. სხვათა შორის, გელა ჩქვანავა სოხუმური ტექსტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ავტორია. არც ქართულ, არც აფხაზურ ან რუსულ ენაზე ასეთი მთლიანი სამყაროს შექმნა არავის უცდია, მიუხედავად იმისა, რომ სოხუმს ბრწყინვალე აპოლოგეტები ჰყავდა და ჰყავს. ესაა სოხუმი, როგორც იოკნაპატოფა ან უაინსბურგი, რეალური და, იმავდროულად, ოცნების სოხუმი... პერსონაჟები, რომლებიც მოთხრობიდან მოთხრობაში გადადიან... გრძნობები, სიტყვები, ადგილები, რომლებიც ახალ-ახალი მნიშვნელობებით ივსებიან. მართალია, «ჭიანჭველებში» ცოტათი შეცვლილია ხედვის კუთხე, მაგრამ მაინც ჩანს ის განუმეორებლობა, რაც ქალაქსაც და მწერალსაც ერთნაირად ახასიათებთ. [...]

ეს ამბები, გრძელი აღწერები, ტრადიციები, უცნაურობები, ცრურწმენები – გელას საყვარელი მასალაა. თხრობა ხშირად მონოტონურია, ზოგჯერ კი დინამიკით სავსე. ნებისმიერ შემთხვევაში, გელა ბოლომდე ამუშავებს თემას, ზოგჯერ სანტიმენტალურია, ხანდახან მკაცრი,

ცივისსახლიანი. მაგალითად, მის ამ კრებულს,
«ჭიანჭველებს», ბედისწერის თემა აერთიანებს. [...]

სხვათა შორის, გუშინნინ «საბას» «შორთლისთი»
გამოცხადდა და, ჩემდა გასაკვირად, გელას არცერთი ეს
კრებული არ მოხვდა ჟიურის მიერ შედგენილ ფინალურ
სიაში – არც «სოდგარენელი შ» და არც «ჭიანჭველები».
სამწუხაროა, რომ წლევეანდელი «საბა» ყველაზე
მონდომებული და მშრომელი, მოუთოკავი ფანტაზიის
მქონე ქართველი მწერლის გარეშე დარჩა.»

მალხაზ ხარბედია

რადიო თავისუფლება. 27.05.2012

«თუკი ერთი სიტყვით მომიწევდა გელა ჩქვანავას
შემოქმედების ძირითადი მახასიათებლების ახსნა, ეს
სიტყვა აუცილებლად იქნებოდა «დაკვირვებულობა».
მახვილი მზერით შემჩნეული ისეთი ყოფითი
წვრილმანები, რომლებიც ჩვეულებრივ, ლიტერატურის
მიღმა რჩება, მის ტექსტებს სხვებისგან გამოარჩევს...
ავტორები ხომ ძირითადად პროტაგონისტის მიმიკებს,
ჟესტიკულაციას, ცნობიერების ნაკადს აღწერენ; გელა
ჩქვანავა კი მაქსიმალური სიზუსტით აცოცხლებს
არამართო მთავარ გმირს, რომელიც თავის უჩვეულო
თავგადასავალს გვიყვება, არამედ, იმათაც, ვინც მის
გარშემო ტრიალებს – იმათაც კი, ვინც მხოლოდ წამიერად,
ფრაგმენტულად გაიელვებს ტექსტში და ეპიზოდურ როლს
სჯერდება. «მანუჩარის დიდ გასეირნებაში» სიუჟეტი
სოხუმში სულაც არ ვითარდება, მაგრამ მე, რატომღაც,
ჯიუტად მჯერა და მგონია, რომ აქ ყველაფერი – გარემო,
აურა, ექსტერიერი – სწორედ ამ ზღვისპირა ქალაქის
ფერებშია გადაწყვეტილი, თითქოს, სხვაგვარად
წარმოუდგენელიც კია, გარემო, რომელიც ავტორში

ცხოვრობს, ფურცელზეც გადმოინაცვლებს-ხოლმე – გემის კივილით დაწყებული და ბინის გამქირავებლებით დამთავრებული... ავტორისთვის ძალიან ნაცნობ და კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალს თავად ავტორის მიერ შექმნილი სამყაროც აფერადოვნებს – ქუჩებში, სახლებსა თუ პლაჟზე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ტიპაჟები დასეირნობენ, დიდ ტილოზე დახატული ადამიანებისგან დაცლილი ქალაქისთვის რიგრიგობით ფანქრით მიხატული სახეების მსგავსად, თანდათან ჩნდებიან ახალ-ახალი პერსონაჟები, მერე, თითქოს, საშლელით შლიან, აქრობენ, მერე თავიდან ხატავენ და ყოველ ახალ ჯერზე ახალ-ახალი თვისებებით აჯილდოვებენ. პერსონაჟები ჩნდებიან და ქრებიან, ქალაქი კი უცვლელი რჩება, მისი ნაშლა შეუძლებელია, იმიტომ, რომ ის ფანქრით არ არის შესრულებული... ნაწარმოების ჟანრის განსაზღვრისას სერიოზული დილემის წინაშე აღმოვჩნდებით – თუ დავუშვებთ, რომ საქმე გვაქვს სათავგადასავლო რომანთან, რომლის მთავარი გმირი ერთი ჩვეულებრივი ავანტიურისტია, რომელიც ზღვისპირა ქალაქში თავგადასავლების საძიებლად ჩამოვიდა, მაშინვე გაგვიჩნდება მოსაზრება, რომ ეს უფრო პაროდიაა ამ სათავგადასავლო რომანებზე, სადაც ტიპური დონ ჟუანისა და ავანტიურისტის ერთმანეთში გადახლართული სასიყვარულო თავგადასავლებია ჰიპერბოლიზებული და ირონიულ მანერაში გადაწყვეტილი; თუკი დეტექტივია, რომლის თვითმიზანსაც დანაშაულის გახსნა წარმოადგენს, სრულიად გაუგებარი ხდება პერსონაჟთა ასეთი მრავალფეროვნება და ასეთი მეტყველი, ფსიქოლოგიურად დამუშავებული და ზუსტი სახეები, წარსულის ანმყოში რეინკარნირების მცდელობა... არც კლასიკური ფსიქოლოგიური დრამაა – ამაში ხელს

თხრობის სილაღე და სისადავე უშლის, არც ტროპული მეტყველების სახეები გამოიყენება. ქალაქისთვის გემის მიკვივლებაც კი, რომელსაც ტრადიციული რომანების კითხვას შეჩვეული მკითხველი სიმბოლოდ აღიქვამს, კარიკატურული და გაუვლებელყოფილია ავტორის მიერ მხატვრულ ტექსტში გამოყენებული ბანალური ლიტერატურის თეორიის ტერმინით «ლაიტმოტივი» და სიმბოლოს პაროდიას უფრო წარმოადგენს... [...]

პირველივე გვერდიდან მანუჩარი მკითხველის წინაშე წარსდგება, როგორც ტიპური სახე პატიოსანი და პატივსაცემი ადამიანისა – კლასიკური საქმოსანი, დახვეწილი, განათლებული, წარმოსადეგი, ინტელექტუალური ჰაბიტუსითა და რეგალიებით (ჭრაჭუნა ფეხსაცმელი), გულჩათხრობილი, მშვიდი და მოწესრიგებული ცხოვრების მოყვარე, შუა ასაკს მიღწეული, თავის პროფესიაში საკმაოდ რეალიზებული, ერთფეროვანი ცხოვრებისგან გადაღლილი ადამიანი... რომანის სათაურში, ალბათ, სიტყვა «დიდის» ადგილას «უჩვეულო» რომ ფიგურირებდეს, ბევრად ბუნებრივი იქნებოდა, რადგან სწორედ მანუჩარის მსგავსი ტიპებისგან მოველით ყველაზე ნაკლებად იმას, რაც რომანის შემდეგ 200 გვერდზე ხდება – ამიტომ, ნაწარმოებს მანუჩარის უჩვეულო ტრანსფორმაციაც შეიძლება ვუწოდოთ; პერსონაჟი დედაქალაქში ისეთი იყო, როგორად ყოფნასაც მისგან საზოგადოება და ის გარემო მოითხოვდა, რომელშიც ცხოვრობდა – ზღვაზე რამდენიმე დღით ჩამოსული კი იოდით გაჯერებული ჰაერის რამდენჯერმე ჩასუნთქვისთანავე კლავს საკუთარ სუპერ-ეგოს და არაცნობიერის ჭკუაზე იწყებს სიარულს. [...] საინტერესოა, რომ მისი სურვილების ნებას გარემო და ბედისწერაც ემორჩილება – დამთხვევები, შემთხვევები, ახალ-ახალი, ერთმანეთისგან ასაკით, წარმომავლობით, ინტელექტითა

და ფიზიკური მონაცემებით განსხვავებული ქალები, ყოვლისმომცველ ქაოსში მოულოდნელად შემოჭრილი ყოფილი ცოლი, პირველი სიყვარული, ბავშვობაში მასზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა გოგონა – ერთი სიტყვით, ხორცშესხმული, ქალებად განსხეულებული და წარსულიდან ამოზრდილი არაცნობიერი... პირველი იმპულსური ქმედებების შემდეგ ერთგვარი სელექცია იწყება და ბუნებრივი კითხვაც ისმება – ვინ დარჩეს თამაშში, ვინ – თამაშგარეთ, მაგრამ არჩევანის გაკეთება არც ისე ადვილია, ფავორიტებიც განწყობისა და შინაგანი მდგომარეობის მიხედვით უცვლიან ერთმანეთს ადგილს. [...] თავგადასავალი რისი თავგადასავალია, ინტრიგაც თუ არ ახლავს – ასე შემოდის ტექსტში კრიმინალური ისტორია დაკარგული განძისა, რომელიც მანუჩარის ნაძველბიჭარი ღროებითი მეზობლის სახელთანაა დაკავშირებული. ესეც ერთგვარი პაროდია უფროა იმ ლათინო-ამერიკული ტელესერიאלებისა, დიანას ტელევიზორში გაუთავებლად გადის... ფინალისკენ თხრობის ტემპორიტმი იცვლება, პარალელური და ჯვარედინი მონტაჟის მსგავსად, მოქმედება ხან ერთ ფლანგზე გადაინაცვლებს, ხან მეორეზე... ბოლოს ყველა ერთად იკრიბება და შინაგანი დაძაბულობის ფონზე კულმინაციური მომენტი იკვეთება – კულმინაცია კი ნაძველბიჭარის ფიზიკური განადგურებაა და მაინცდამაინც, მანუჩარის ხელით... ყველა სიკეთესთან ერთად, მკვლელიც გახდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ – ნამდვილი მკვლელი, ეს კი უკვე ბოლო წერტილია – აქ მთავრდება დანაშაული – ჰიბრისი და მთავრდება რომანიც, რაზეც ფურცლის ბოლოში მიწერილი სიტყვა «დასასრულიც» მიანიშნებს, თუმცა, ფურცლების რაოდენობა ჯერ არ დასრულებულა – წინ კიდევ რამდენიმე გვერდია. რა შეიძლება ეს იყოს – ავტორის კომენტარი? რომანის ავტორისეული შეფასება, ან გადაფასება?!

ვნახოთ, რას წერს თავად ავტორი: «უპრიანი იქნებოდა, ეს რომანი აქ დასრულებულიყო, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს არ არის რომანი ლიტერატურული გაგებით, არამედ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ისტორია ერთი საკურორტო რომანისა მანუჩარისა და დიანასი, ავტორი თავს ვალდებულად თვლის, თავისი საქმე ბოლომდე მიიყვანოს და მკითხველს აცნობოს ამ კლასიკური სტილის რომანის (არალიტერატურული გაგებით) დასასრული» – და იწყება მანუჩარის დასჯა – ნიმესისი. ის ჰომოსექსუალისტის მიერ შემთხვევით გასროლილი ტყვიით კვდება და სიკვდილის წინაც ბოლომდე ვერ აცნობიერებს, ეს ცხოვრება სიზმარია, თუ სინამდვილე... შემდეგ სხვა პერსონაჟების ბედიც წყდება – ვიღაც გათხოვდა, ვიღაც პარიზში წავიდა საცხოვრებლად, ვიღაცამ სახლი გაყიდა... თუმცა, უკვე ყველაფერი მეორეხარისხოვანია, მხოლოდ მოვალეობის მოხდაა ავტორის მხრიდან, შუა გზაზე არ მიატოვოს მის მიერ ასე მთელი სიზუსტით გამოძერწილი პერსონაჟები... რეალურად, თხრობა მანუჩარის გარდაცვალებასთან ერთად სრულდება. [...] მანუჩარის სახით ავტორმა შექმნა საკმაოდ საინტერესო ანტიგმირი ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ბევრს გააღიზიანებს თავისი მამაკაცური მესაკუთრეობით, ქალებისადმი უმეტესად მომხმარებლური დამოკიდებულებით, მათი ბედით თამაშის მცდელობითა და მათი ინტერესების გაუთვალისწინებლობით. ამ მხრივ რომანი, საკამათო ტერმინი რომ ვიხმაროთ, «მასკულინური პროზის» ნიმუშია და მამაკაცური საწყისის დომინანტობის წარმოჩენას ცდილობს, მაგრამ საბოლოოდ მანუჩარი მარცხდება – კვდება, რომანი კი შემდეგი ფრაზით სრულდება: «არ იცოდა, საკუთარ თავში რომელი საწყისისთვის მიენიჭებინა უპირატესობა – ქალურისთვის თუ

მამაკაცურისთვის». ესაა ხარკი, რომელსაც გელა ჩქვანავას «კაცური პროზა» უხდის იმ აქტიურ პროცესს, რასაც ლიტერატურის ფემინიზაცია ჰქვია და მართლაც, თემასთან რა კავშირშია და – ერთდროულად ამდენი ქალი ავტორი ქართულ ლიტერატურაში არასოდეს ყოფილა... ავტორის მეხსიერებაში, შესაძლოა, ძველი პერსონაჟები მთლიანად წაიშალონ, ან მხოლოდ მათი კონტურები დარჩეს, მაგრამ ქალაქი – თავისი უცნაური ქუჩებით, არასდროს წაიშლება, ყოველ ჯერზე სიამოვნებით მიიღებს ახალ-ახალ დამსვენებლებს და უფლებას მისცემს, მის ქუჩებში დიდი გასეირნება მოაწყონ.»

სოფო წულაია

24 საათი – Weekend. 20.08.2012

სერხიო ბადილია კასტილიო (Sergio Badilla Castillo)



ჩილე
ლი
პოეტ
ი,
მწერ
ალი
და
ჟურნ
ალის
ტი.
დაიბ
ადა
1947
წელს
. ჯერ
ჟურნ
ალის
ტიკას

სწავლობდა ჩილეში, ხოლო შემდგომ ანთროპოლოგიას სტოკჰოლმის უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში მუშაობდა შვედეთში, რადიოს ჟურნალისტად, მიჰყავდა გადაცემა ლიტერატურის შესახებ. ჩილეში დაბრუნების შემდეგ, 1993 წლიდან მუშაობს, როგორც მასწავლებელი და ჟურნალისტი. ბევრს მოგზაურობს ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში.

პირველი პოეტური კრებული 1972 წელს გამოსცა, მას შემდეგ მისი წერის მანერა მნიშვნელოვნად შეიცვალა,

დღეს სერხიო ბადილია კასტილიოს ფინური და შვედური გავლენის მქონე ჩილეელ პოეტს უწოდებენ. 1989 წელს მისი ორგანიზებით შვედეთში ჩატარდა ლათინოამერიკული პოეზიის ფესტივალი, სადაც ორმოცზე მეტმა პოეტმა მიიღო მონაწილეობა. 2004 წელს მიენიჭა «უიდობრო»-ს საერთაშორისო პრემია პოეზიაში. გამოცემული აქვს მოთხრობების კრებულიც. თარგმნის პოეზიას შვედური, ფინური, ფრანგული, ინგლისური და ლათინური ენებიდან.

სერხიო ბადილია კასტილიო არის თბილისის II საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე (16-21 მაისი).

ინტერვიუ

პოეტი სერხიო ბადილია კასტილიო (1947, ვალპარაისო) ჩილელი პოეტია, ტრანსრეალიზმის ფუძემდებელი თანამედროვე პოეზიაში, მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატი. ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჩილელია და იმ ცნობილი ჩილელების ათეულშია, რომლის სათავეშიც პაბლო ნერუდა და აუგუსტო პინოჩეტი არიან. ბადილია პოეტი და ჟურნალისტია, რომელიც შვედეთში დასახლდა, შემდეგ კი იქ განავითარა თავისი პოეტური მრწამსი და ლიტერატურული კონტაქტები. შვედეთში მის ლიტერატურულ ქმნილებებს უფრო აფასებენ, ვიდრე ჩილეში.

– რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ლიტერატურული ნაწარმოებები ნაკლებად არის ცნობილი ჩილეში, ვიდრე ევროპაში? რა გაძლევთ დაეჭვების საფუძველს? ნუთუ მართლა განელდა ინტერესი იმ ხელოვანების მიმართ, ვინც დიქტატურის პერიოდში გადაიხვეწა სამშობლოდან?

– მე ვფიქრობ რომ ინტერესის ნაკლებობა პოეზიის მიმართ გამოიწვია დღევანდელმა არსებულმა სიტუაციამ ზოგადად ლიტერატურაში. მოხდა რალაცნაირი გაუცხოება მკითხველსა და ავტორს შორის. აბსოლუტურად სხვა ვითარება იყო, როცა ჩემი თაობა მოვიდა. ჩვენ თითქოს ჩუმად ვეჭიბრებოდით ერთმანეთს, შემდეგ ერთმანეთში ვცვლიდით წიგნებს ან უკვე ცნობილი პოეტები მიგვითითებდნენ, რომელი ავტორის კითხვა იყო საჭირო, რომელი ავტორი უფრო საჭიროებდა მკითხველს. მახსენდება ხუან ლუისი. როცა მე თხუთმეტი წლისა ვიყავი, მიხსნიდა სიმბოლისტების ტექსტებს, რუს აკმეისტებს თუ

იაპონელ კლასიკოსებს. რატომღაც მგონია, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ერთდროულად ამდენი აღიარებული პოეტის გამოჩენამ დააჩქარა შემდგომი თაობების ქიმერული დამახინჯება, რამაც ხელი შეუწყო დაჩქარებულ და დამანგრეველ ნარცისიზმს.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს არ არის პერსონალური ვალდებულება, რადგან არცერთ ათეულში არ იხსენიებენ იმ არაჩვეულებრივ პოეტებს, რომლებიც სამშობლოში არიან, მაგრამ უცნობებად რჩებიან. ჩემს შემთხვევაში სულ სხვაგვარად არის, მე ათწლეულები ვიცხოვრე ჩემი ქვეყნის გარეთ და ამის მერეც მუდამ მოძრაობაში ვიყავი, წელიწადში სულ მცირე სამჯერ-ოთხჯერ მაინც გავდივარ სხვა ქვეყნებში პოეტური მოტივაციების გამო.



–
**მაშას
ადამ
ე
არის
ისეთ
ი
ნაწა
რმოე
ბები,
პოპუ
ლარ**

ობით რომ არ სარგებლობს ჩილეში, მაგრამ ცნობილია ქვეყნის საზღვრებს გარეთ?

– თქვენ წარმოიდგინეთ რომ ასეა. დავანებოთ თავი რიცხვობრიობას. ცხადია, რომ არიან ძალიან საინტერესო პოეტები და მწერლები, რომელთა შესახებაც არაფერი

იციან ჩილეში. თითქოს აქვთ მწირი ჩანაწერები მათ შესახებ, თუნდაც რომელიმე უნივერსიტეტის რაღაც გაუგებარ ცნობარებში, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ბოლანომ რამდენჯერმე გაუსვა ხაზი იმას, რომ ჩილეს მოსახლეობის აბსოლუტურად დიდი ნაწილი არ კითხულობს ლიტერატურას, ბევრჯერ გამოხატა თავისი დელეკატური ზიზღი ამ ქვეყნის ელიტის მიმართ.

– რა ენაზე წერთ, რომელი ენაა თქვენთვის უფრო მოსახერხებელი და როგორ მოხდა, რომ თქვენ წერთ შვედურ ენაზე? არსებობს კი მათი თარგმანი ესპანურ ან რომელიმე უცხო ენაზე, თუ მხოლოდ ორიგინალში უნდა იკითხებოდეს?

– მე, რა თქმა უნდა, ესპანურენოვანი პოეტი ვარ, თუმცა ვწერ ასევე შვედურ და ინგლისურ ენებზე, მაგრამ მიუხედავად ამისა ესპანური ენა მაინც ერთადერთია, რომელიც უფრო მაძლევს მანევრირების საშუალებას, სხვაა ის ნიუანსები, რისი ფორმულირების საშუალებასაც იძლევა მშობლიური ენა. როცა მე სამშობლოდან წამოვედი, უკვე მქონდა ფორმულირებული კონცეპტუალური საფუძველი და ენის რიტმიკა, ამით ვარ განონასწორებული და დღემდე ესპანური ენის მქადაგებელი.

– რა მოგონებები გამოგყვით ვალპარაისოდან, როგორი იყო თქვენი ბავშვობა პლაია ანჩაზე ამ ქალაქს აქვს რამე პოეტური? რას ამბობენ, ან თქვენ რას გამოყოფდით?

– დიდია საფრთხე, მისი იერსახის ასე გაუაზრებლად, ძირფესვიანად შეცვლისა მინდა ფრთხილად შევნიშნო, რომ არსებობენ ურბანული «ტომები», რომლებიც სარგებლობენ ამ არეულობით და თავისი გააქვთ, თუმცა მაინც არსებობს ვალპარაისო, ულამაზესი ადგილი

მსოფლიოში. რამდენჯერაც ჩავდივარ ჩემს მიწაზე, ნეტარებისგან თავბრუ მეხვევა. მაქვს მშობლების და დედამამიშვილების ზღვისპირა სასაფლაო პლაია ანჩაზე, ოკეანის მახლობლად, თავისი შეუდარებელი ხედებით და «პიტესპორუმის» მძაფრსუნიანი ბუჩქებით.

ჩემი ბავშვობა პლაია ანჩას ერთ უბანში გავატარე, რომელიც დღეს უნივერსიტეტის სექტორია. ჩემი ყველაზე ტკბილი მოგონებები უკავშირდება ჩემს ბავშვობის მეგობრებს. შემდეგ იყო ლიცეუმი, სადაც მყავდა პირველი ლიტერატურის მასწავლებლები, ისეთები, როგორებიც იყვნენ სერხიო ჰერნანდესი, კლაუდიო სოლარო და ლუის ვალე. ამავე პერიოდში დავუკავშირდი ხიტანო როდრიგესს და პაიო გრონდონას, უკვე თხუთმეტი წლისა დავუახლოვდი ხუან ლუის მარტინესს, ტიტო ვალენსუელას და ედუარდო ემბრის.

შემდეგ უკვე ინსტიტუტში დავუმეგობრდი ხუან კამერონს. ამას მოჰყვა მჭიდრო კავშირი aclit-თან (პედაგოგიური ინსტიტუტის ლიტერატურული აკადემია), ასევე, ურთიერთობა პოეტებთან – რენადო კარდენასთან, გრეგორიო პარედესთან და ანა მარია ვეასთან. იყო ხშირი სტუმრობები და შეხვედრები კაფე Cinema de Vica-ში.

– გაქვთ იქაურ პოეტებთან კონტაქტები? ვიცი რომ თქვენ იწოდებით ოთხმოციანელთა თაობად.

– დიახ! მე დღემდე ხშირი კავშირები მაქვს ხუან კამერონთან, შედარებით იშვიათი – კრისტიან ვილასთან, სერხიო მაღრიდთან, ენრიკე მუროსთან და კარლოს ჰენრიკსონთან.

გარდა ამისა, მაქვს მუდმივი კონტაქტი სანტიაგოელ პოეტებთან, და მათთანაც, ვინც ქვეყნის სამხრეთით

მოღვაწეობს. მინდა გამოვყო ის კავშირები, რომელიც გამაჩნია (მიუხედავად ჩემი ტერიტორიული სიშორისა) ჩემს ძველ კოლექტივთან და ყოფილ დაჯგუფებასთან Taller de Estocolmo: სერხიო ინფანტესთან და ადრიან სანტინისთან.

– **რას იტყვით დამოუკიდებელ გამომცემლობებზე?**

– სწორედ ისინი არიან ლიტერატურის ფილტვები, რომლებიც ცდილობენ დივერსიფიკაცია მოახდინონ ეროვნული ლიტერატურის პროდუქციის, რადგან წიგნის მნიშვნელოვანი კორპორაციები ახალი ტალანტების აღმოჩენით არ არიან დაკავებული, ისინი ერთიანდებიან მხოლოდ მოგების მიზნით, იწვევენ უცხოელებს. ეს ნიშნავს, რომ ხდება უზრუნველყოფა «ადიდას-გაბანას პრინციპისა». ნოველისტ ხორხე კალვოს სიტყვების პერიფრაზირებას ვახდენ.

– **ჩილე ეს არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც მწერალთა ოთხმოც პროცენტს თავისი მწერლობით ერთი პესოც კი არ შეაქვს ოჯახში. თუ რაზე გამოდის, ძირითადი მოგება მაინც გამომცემლებს რჩებათ, ასე ხდება სხვა ქვეყნებშიც?**

– კარგით! უნდა მოვუხმო ერთ ანდაზას «ყველა მხარეს ხარშავენ ლობიოს». ახლა მთავარია ერთმანეთისგან გარჩევა. ხომ ისედაც დიდი სხვაობაა კომპეტენტურ ქვეყანას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქვეყნებს შორის, და ეს პირველ რიგში ლიტერატურაზე და საერთოდ, კულტურაზე აისახება. შვედეთის მოქალაქეობის მიღების შემდეგ მივხვდი, რომ თურმე არსებობს რესურსები, რომელსაც გამოყოფს სახელმწიფო, რათა მწერალი უზრუნველყოფილი იყოს სტაბილური სუბსიდიით თუ სტიპენდიით, ეძებს გზას პროდუქციის გასატარებლად, მოკლევადიან თუ მუდმივ კონტრაქტებს,

გზას იკვალავს ამ ყველაფრისაკენ. თუმცა, შეიძლება არსებობდეს პოეტური ჯგუფები, რომლებიც ამ დახმარებას ვერ აღწევენ, მაგრამ მაინც იგრძნობა რაღაც შვების მაგვარი ასეთ «მართლმსაჯულებით შემოსაზღვრულ» ამოსუნთქვაში. როგორც ჩემი მეგობარი მწერალი, ომარ პერეს სანტიაგო აღნიშნავს, «რადგან გადანყვეტილებები მიღებულია როტულ და არაობიექტურ მსაჯულთა მიერ».

ესპანურიდან თარგმნა სოფიკო მუსელიანმა



სანკტ-პეტერბურგი

ძველი ლენინგრადის რომელიღაც ქუჩის კუთხეში იოსიფ ბროდსკი დავინახე

იდგა და გაჰყურებდა გაყინულ ნევას მელანქოლიური თვალებით

ასე ჩამოძონძილს თითქოს დაბრუნება სურდა თავის შორეულ საზღვრებში

ამ მკაცრი ზამთრის გაცრეცილი მზის ქვეშ.

გვერდით ახალგაზრდებმა ჩაუარეს ბოლო ხმაზე აწეული მაგნიტოფონით

ფეხქვეშ ჭრაჭუნობს კანალიზაციის ჭის ხუფი ყინვით გამომშრალი თოვლის თხელ საფარქვეშ.

ქარის ტალღა ღუნავს გემის ანძებს

ასე უიმედოდ მოტორტმანეს ყინულის სქელ ნატეხებში. კუნძულებს შორის.

გაყინულა აღმოსავლეთ ბალტიის სრუტეები ნისლი ბინდავს და თენტავს გარეთ დარჩენილი უსახლკაროს მეხსიერებას.

რომელიღაც სახლის საკვამურიდან სქელი კვამლი ამოდის

მხოლოდ ცეცხლი თუ მოდრეკს ამ მკაცრი ზამთრის ქედმაღლობას.

ბარში ხმამაღლა იცინიან გოგოები და არყიან ჭიქებს მალღა სწევენ

წონასწორობადაკარგული ჭაბუკი მეზღვაური მაგიდებს შორის დაბარბაცებს

ტყის ნიმფასავით შიშველს ხედავს ყველა გოგონას.

ამ ღამით მეც მელოდება ერთი ბნელი ოთახი

მექნება გრძელი უძილო ღამე და ვიფიქრებ შენზე

შენს ქერა თმებზე შორს მტრულ მიწაზე

რომელიც ზოგჯერ მიყვარდა კიდევ.
ამ დღით ხელმეორედ დავინახე იოსიფ ბროდსკი
ძველი ლენინგრადის რომელიღაც ქუჩის კუთხეში
მელანქოლიური და მოუვლელი
თითქოს დაბრუნება სურდა თავის შორეულ საზღვრებში.
ამ მკაცრი ზამთრის გაცრეცილი მზის ქვეშ.

ფიქრები კანდინსკიზე და გაბრიელა მიუნტერზე

[1]

ჩემი მეტსახელი მეტად გამომწვევად ჟღერს მიუნხენის ამ ბოჰემურ უბანში

გარშემორტყმული ორთოდოქსი ებრაელებითა და აღმოსავლელი ტურისტებით

ორი მხატვარი «რეალტოს» სასაუბრეში

რამდენიმე ქერათმიან მეძავთან ერთად მიირთმევს ჭინს ლუდით.

დამე ნათელია ბნელ კუთხეებს ამოსცდა მთვარე.

რა მუსიკას უსმენდა მთვრალზე კანდინსკი

თავის სახელოსნოში?

რა უფრო შლიდა ჭკუიდან არაყი «მოსკვა» თუ

«კუბანსკაია»?

ნინა^[2] კოშმარმა კაიროში გააღვიდა

სადაც მარტოხელა ბავშვი თამაშობდა მარტოსულ თოვლში.

ვასილის ყველაზე დიდი სურვილი –

გაბრიელას მკერდის მოხაზვა თავის სარეცელში

მთვრალ ფუნჯს მიანდო ვალკირიას დახვეწილი და დაძაბული კუნთები.

ქალი ტირის რადგან ვასილი მას მისტირის მოსკოვში

წარმოსადექი ქალბატონი ვარდისფერ კაბაში (იხვეები დაფრინავენ)

პორტრეტი ბარონესასი

მერე რა!.. ფორტეპიანო და ვიოლინო დღემდე თუ იმ

სახლშია.

ვიჭერ და მეკარგება მხედველობიდან

და Neuilly sur Seine-ზე^[3] პაულ კლევსთან (სვამს მდინარის

სამხრეთ ნაპირთან)

ნათელ-ბნელი და ნაცრისფერი იპყრობს საზიზღარ სულს და მოჰოი-ნადი^[4] მობილიზებას ახდენს თავისი ჟესტების (მისი ვირტუოზული ფოტოაპარატით) როცა ხატავს რაღაც სამკუთხედს

რომელიც მშვიდს ჰგავს.

ფუნჯი აბუნდოვნებს დროს და ფერთა ტონალურ სიცხადეს ეს ვასილის აკვიატებაა რადგან ის არის მელანქოლიური გენიოსი

ვის წინაშე ღმერთიც დუმს ღამის სრულ სიბნელეში.

მეორე სახარება

დავიბადე ჯოჯოხეთის კარიბჭის გარეთ იმ დროს როცა
გავრცელდა ჭირი

პირველსავე წელს ვისწავლე ბილწსიტყვაობა წარსულის
ენიდან

ალმენდრალის სიბნელის იგნორირებისთვის.

მესამე დღეს ავედი ანჩას პლაჟზე და დამსვეს

მამაჩემის ხელმარჯვნივ

დღეთა განმავლობაში (როგორც დარსენაში) იმატა
უბედურებამ.

თითქოს უფსკრულის დამცრობა შვება იყო

სამუდამო ცოდვების მონანიების.

თავშეყრა ერთ ქოხში მოგოტესის^[5] მაღლობზე

ან თავის შეფარება ავაზაკების ზღვისპირა გამოქვაბულში.

ღამეები მოგვითხრობენ ჩემს ანტიქრისტიანულ წლებზე

ამაღლებულის და დაცემულის ჩინურ უბანში

თავისი სიცარიელებითა და სიღრმეებით.

გარდასახვა ფარისევლებად

საშინელი წინათგრძნობის ფრინველებად^[6]

და ფაუსტი მეტისტოფელის ხელში მოსაუბრე უხამსად და

ჟარგონულად

კიდევ სხვა ძველი თმადაცვენილი ბარდი

რომელსაც სურდა შეღწევა სამოთხეში ჩემს ხეტიალისას

ეჩაურენისა და კახილას მოედნების გავლით

ძალიან გამხდარი მეძავეებით

მძარცველები გაჟღენთილნი მანკიერებითა და

უსინდისობით

მათ უწყიან ყველაფერი მოლაყბეებისა და ნაძირლების

შესახებ.

რამდენჯერმე ვიყავი შეყვარებული

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე
ასაკს არა აქვს მნიშვნელობა მომენტალური
დანყვილებისთვის
მხეცებიც ხომ ლოშნიან თავიანთ მდედრს მთელი
შემართებით
ბოქვენის მგრძნობიარე თხელ კანზე
ზოგ შემთხვევაში კონცენტრირებას ვახდენდი ძველ
დროზე
ჩემი ჩრდილების ბნელ ყურეში
რომლებიც ჰყვებიან ჩემს ანტიქრისტიანულ წლებზე.
მხოლოდ დღეს თუ აკლდება ჩემი განუსაზღვრელი ფერის
წვერი
და ჩემი სატელიტური რეფლექსების გამოხატვა
ვალპარაოსოს ზოგიერთი ადგილის კართან.

გალაქტიკის ნაკვერცხლები

ეს გალაქტიკის ცენტრია რომელიც ავაგე საკუთარი ხელებით
თავისი კარდინალური და მოუსვენარი წერტილებით ჩემი მოულოდნელი კოლაფსის შემდეგ.
ახლა აქ ვარ დასუსტებული ქარიშხალი ვის მუხლებთანაც ჩადგა ქაოსი
მაშინაც კი როცა ბარბაცით ჩემი ოთახის გამო დავდივარ და ვფარავ ჭრილობებს ამ ზეციურ სიბნელეში შეძრწუნებული
სათნო ბერის ლოცვებთან ერთად.
რა ძლიერი ქარიშხალი მიათრევს ძველ ცოდვებს ამ გრძელ ღამეში
ასე აეწყო – ვიძინებ მოხრილი თავით ღრუბლებში აღმოსავლეთისკენ –
მხოლოდ აქ არ აღმართულან ნაგვის მთები კონტეინერებში
ბრმა ცხოველების ტვინი გადაადგილდება ყოველ დილით უშუქო ღრუბლებს შორის.
ძილბურანში მყოფი ავტობუსის მომლოდინე კაცები ასთმიანებივით ქოთქოთებენ გარიჟრაჟზე.
ეს გალაქტიკის ცენტრია რომელიც ავაგე საკუთარი ხელებით
ახლა კი მზად ვარ დავლიო ჭიქა ყავა ჩემს კატასთან ერთად
დროტინგატანის ქუჩის კუთხეში ან დუნაის დელტის ლერწმოვანში.
ერთი უძლეველი მეომარი ითხოვს მსხვერპლს მოგორავე გალაქტიკის ნაკვერცხლებზე.
ნუ ამოიღებთ მიზანში ჩემს ძმას, ბორხესის უკანასკნელ

მეგობარს

დაშორება ხომ იმ წყლულზე მტკივნეულია

ისარი რომ ტოვებს მაჩოს მკერდში.

ყოველთვის გამოჩნდება ვინმე ვინც სიყვარულში კოცნით
მაცდუნებს

ზოგჯერ ხშირია ჩემი სიყვარული აივნების მიმართ და ჩემი
ბასრი ეშვები

ასე ტკბილად რომ აქუცმაცებენ პრესას.

მირჩევნია ეს კვირა მშობლების სახლში გავატარო.

მედუზას თავი

მე პარიზი ვარ დედა რომელიც სასიკვდილო ჩხვლეთას გრძნობს მკერდში.

აქ შეძლო დაბუდება მორიელმა – ერთმა მწუხარე კაცმა ჰუმბოლდტის კვალდაკვალ მიმავალმა სამხრეთ პოლუსისაკენ.

ჩემს თავში სკდებოდნენ ჭურვები როცა ბომბავდნენ დრებდნენ:

ეს იყო მეკობრეთა თამაში ბნელ ღამეში

მარგარიტა დურაციოს^[7] სასახლიდან – თავისი

სარჩულებით და კრინოლინებით –

ერთობ ვნებიანი ხედით – მუცელი ცეცხლის ალში –

უცებ ყველა დაქანცულია.

ათლეთი ხვდება რომ მისი საასპარეზო მოედანი არ არის ნათელი

დიახ, – ყველაფერი დაჩქარებით მოხდა თვალის

დახამხამებაში –

ის ახლა იქ ზის – კუთხეში სადაც გარდაიცვალა ვივალუსი^[8]

–

ბზინავენ საფლავის ქვები სიკვდილის ბრწყინვალეებით.

მე პარიზი ვარ დედა რომელიც სასიკვდილო ჩხვლეთას გრძნობს მკერდში.

ცხოვრება არის უტოპია მთელი არსებით

ქარის წისქვილი რითიც ბრუნავს მთელი სამყარო.

გიჟი მსხვერპლს სწირავს ვესუბიოში

ჯოჯოხეთიდან გასასვლელის აღმოსაჩენად

როგორც თებევსი მიწისქვეშა ლაბირინთში ან დანტე

მდინარე ლეთეში.

სიყვარული ნელია თავის ბრძოლაში და კულმინაციაში.

ვინ გაურბის შიშს

იქ სადაც შიშვლდებიან ნიმფები ენთუზიაზმში
ბებერ მუხებსა და თივის ზვინებს შორის.
მედუზას თავი მაქვს ბრინჯის ქაღალდში გახვეული
და ჩინური რუკები ადმირალ ჩუენ ხესი^[9]
მოზამბიამდე არ მისული.
ქარიშხალმა შთანთქა სიბნელე თავის ღია
საშვილოსნოსთან ერთად.
მე პარიზი ვარ დედა რომელიც სასიკვდილო ჩხვლეთას
გრძნობს მკერდში.

წყვდიადი

რა მელოდიას ღიღინებდა ჰაიაში ფუსაო^[10]?
როცა დედამინა-უცებ-იძრა

მთვრალი თავის კოტეჯში.

ჭრაჭუნობს ზორბა მოხუცივით.
ეს იყო ჰონჯობო შუს^[11] მიწისძვრა
რომელმაც აუშვა თავისი სიგიჟე?
რა აზრი აქვს!..

როცა გაქრა მხედველობიდან
სიგიჟე შემოფარგლავს თავის სულს
და ანგრევს საკუთარ ენას.
დრო გაურბის თავის სამართალს
ჰაიაში ფუსაო უხმოდ ჩაკეტილა ახლა
საკუთარ ტვინში ღამის აბსოლუტურ სიბნელეში.

ესპანურიდან თარგმნა სოსო მეშველიანმა

2. პოეზია

ნინი ელიაშვილი



დები
უტი

*** * * (რომ თენდებოდეს. ღამდებოდეს. თუნდაც, ისედაც)**

რომ თენდებოდეს. ღამდებოდეს. თუნდაც, ისედაც,
რომ ყველაფერი მაღელვებდეს. ცრუ სცენებს ვდგამდე.
გაზაფხულამდე. ზაფხულამდე. შემოდგომამდე.
ზამთარს ვტოვებდე. ერთხელ წვიმით რომ დამისველდა
დღემდე სველ ლაქად შერჩენია ქურთუკს კისერთან.
რომ დროში რამე იცვლებოდეს. რაც არ მამძიმებს –
მამსუბუქებდეს და რაც არ მკრებს – ქარში გავქონდე.
ეს ყველაფერი მაღელვებდეს მაინც. ან ქოთნის
ყვავილებს ვრწყავდე. ან ვიღებდე აბებს საძილეს.
ანდა რომ მოვკვდე, პირველი ვინ მიუსამძიმრებს
ჩემს ნათესავებს. რომ არ მოვკვდე სულაც და მიწას
მსხვილი ხესავით მყარად ვადგე მთელი ცხოვრება,
ვინ გამოივლის ყოველდღე. ვის ემახსოვრება,
რომ ცოცხალი ვარ. გადავლახე დღემდე სამი ცა.
დღეს აქ ვარ. ვიღაც არამზადამ ზედ გადამიცვა.
და ვფიქრობ, რამე რომ ხდებოდეს, რა მოხდებოდა.

*** * * (თავისებური სიტბო ჯერაც შერჩათ ამ კედლებს)**

თავისებური სიტბო ჯერაც შერჩათ ამ კედლებს.
რომ მაგრძნობინებს სახლში ვარ და გარეთ არა ვარ.
თითქოს მინდოდა. მოვედი და მაინც ჩამკეტეს.
რა სიგიჟეა ყველაფერი, რაც გავაკეთე.
რაც ღიად. ფართოდ. საიდუმლოდ და შემპარავად
ვაკეთე. თითქმის სისულელე. თითქმის არაფრის
მომცემი. (კანში დაწყებული კვდება კანშივე.)
თითქოს მინდოდა. ვჩუქნიდი და მაინც წამართვეს.
თავი არ მექონდა, სამწუხაროდ მერე, კამათის.
ახლა რაღაცა დანაკლისს ვგრძნობ. რაღაც საშინელ
შიმშილს. (განცდების გამწვავება იცის შიმშილმა.)
რომ არაფერი გადამირჩა და რომ ვიციანი.
რომ დათხუპნული ამოვდივარ, როგორც ქვიშიდან,
სიზმრებიდან. რომ გულთან ერთად ხმა დამისივდა.
რომ შემიძლია მიყვარდეს და მოვკვდე სირცხვილით.
რომ დრო გადის და გული მტკივა და თავს ვიმხნევებ
უდროობაში მოგონილი მოგზაურობით.
რომ ვერ ვივინყებ ბავშვობიდან ვერცერთ სიმღერას.
რომ ჩუმად ვარ და სათქმელი მაქვს თანაც იმხელა,
აქა-იქ თუკი გამოვურევ ხოლმე ხუმრობით..

*** * * (პასუხი ვაგო შეცდომებზე – ვიგემო თავი)**

პასუხი ვაგო შეცდომებზე – ვიგემო თავი.

შური ვიძიო, რომ როგორმე ვიგრძნო სიმშვიდე.

ერთ სიცოცხლეში უამრავი სიკვდილის გავლით –

ჯერ ვიყო ჩვილი. მერე – ბავშვი. მოზარდი. ქალი.

შენ მომყვებოდე ჩუმ-ჩუმად და წარსულს მიშლიდე,

რომ ვერასოდეს გავიხსენო, როდის და როგორ

დავინწყე. მშვიდად შევეგებო მოსვლას არყოფნის.

– რატომ მტკიოდა გამუდმებით ტკივილი ორგან

ადამიანის ტყავში მხოლოდ ცალხელგაყოფილს?

ან რატომ მსურდა ყველაფერი გულით და რატომ

არ მსურდა გული მომეძებნა და დამეთვალა?

მთელი ცხოვრება, ვხედავ, როგორ ურცხვად მღალატობ,

მაინც შენთან ვარ,

რადგან ყველაფერს დამავინწყებ და ამად ღირდა,

რომ ყველაფერი ყოფილიყო. რომ ამის შემდეგ

მივხვდე, თუ როგორ არ ვყოფილვარ პირველი დღიდან

(ყოფნა კი არა, თურმე მხოლოდ არყოფნა მღლიდა)

სულ ბოლო დღემდე.

* * * (მე მახსოვს, მეონდა ორივე ხელი)

მე მახსოვს, მეონდა ორივე ხელი
და არაფერი მეონია მეტი.
როგორც ცარიელ ოთახში შუქი,
მეც არაფერზე მით უფრო ვღელავ,
რაც ყველაფერში ვებმები. კეთილ
ადამიანად ვიქეცი. თუკი
გზა ბევრი იყო და ბოლო ერთი,
რა აზრი ჰქონდა მარჩიელობას..
ვისაც სწამდა და არც კი ელოდა,
პირველმა იმან უარყო ღმერთი.
მე, რა თქმა უნდა, არცერთ მხარეს ვარ.
იყო ბნელი და იყო ნათელი.
ოც წელში საუკუნე გავთელე,
რომ ჩაკეტილი გული გამეხსნა.
დავდევნებივარ გაფრენილ ბუშტებს.
მომიგონია რამდენი ანმყო.
ახლა კი მხოლოდ ვზივარ ჩემს საწოლ
ოთახში მშვიდად, რომ გამოვშუშდე.
მე მახსოვს, მეონდა ორივე ხელი.
ორივე ხელით მომქონდა შენკენ
დასაბრუნებლად შენივე ნეკნი.
შენ კი გეძინა თვალებგახელილს.
იმ ყველაფრიდან, რაც არ ყოფილა,
მე ერთი რამე გავიგე მხოლოდ,
(გამოძერწილა სინაზე ქვიდან)
რომ მე უბრალოდ ავადმყოფურად
მწამდა, რომ ვარ და მწამდა, რომ ვცხოვრობ
და უნებლიეთ მერე შენც გქმნიდი...

*** * * (დავიკარგები ხოლმე უცებ საკუთარ თავში)**

დავიკარგები ხოლმე უცებ საკუთარ თავში,
მიუცხოვდება ყველა, ვისზეც თვალი მეჭირა.
და მდორე ტბაში ჩავარდნილი წვრილი კენჭივით
მხოლოდ ხავსიან ჩემს ცივ ფსკერთან ვამყარებ კავშირს.
დავიკარგები ხოლმე უცებ საკუთარ თავში
და ვინმე, თუკი, გადმოაგდებს ანკესს, თევზივით
მიფრთხება გული. ვუცხოვდება ყველასთვის, ვისაც
თვალი ეჭირა ჩემზე, რადგან ვერ ავითვისეთ
ჩვენ ერთმანეთის სიღრმეები და ხარვეზების
ძებნა დავინწყეთ ზედაპირზე. სხვაში ვეძებდით,
ჩვენივე თავში მოგვარებას ითხოვდა, რაც კი.
გაოგნებამდე მისასვლელად სულ ცოტა მაკლდა,
როცა უეცრად გამოგლიჯეს გადახრილ საყდარს
ბოლო ძელი და მეც მომიხდა უაზრო დასკვნის
გამოტანა, რომ მეყვირა და ხმა გამენასკვა.

.....
დავიკარგები ხოლმე უცებ საკუთარ თავში,
მიუცხოვდება ყველა, ვისზეც თვალი მეჭირა.
და მდორე ტბაში ჩავარდნილი წვრილი კენჭივით
მხოლოდ ხავსიან ჩემს ცივ ფსკერთან ვამყარებ კავშირს.
დავიკარგები ხოლმე უცებ საკუთარ თავში.

ლევან მაისურაძე



დები
უტი

გადაფრენა

თოვა გადაფიქრებულ ამინდში, შუა ვაგზალზე,
დგას კაცი ახალგაზრდა ხელებითა და ხნიერი თვალებით.
არგათოვებულ ამინდში, ფიქრს რომ გადალებს
სითბოზე, სახლზე...

დგას კაცი სპორტული ჩანთით და ნერვიულად ეწევა.

მე ზუსტად ამ დროს,

ზუსტად ამ დროს,

ვფიქრობ რამე პრიმიტიულს, არაპოეტურს,

კაცი ხნიერი თვალებით კი დროდადრო ამბობს:

«რა უბედურებაა, რა ხდება, კაცო.»

შემცივებული სტუდენტები ბაქანს ავსებენ,

თბილ სახლებში გადაფრენის მოლოდინით.

კაცი კი ახალგაზრდა ხელებით

ბოლთას სცემს,

ბოლოა რიგში,

ეწევა,

ხოლო დროდადრო ხმამაღლა ამბობს:

«რა უბედურებაა, რა ხდება, კაცო,

ამხელა ვაგზლიდან

არცერთი ტრანსპორტი სოხუმში არ მიდის.»

კინალამ ვუთხარი: «რაღა დროს სოხუმია.»

*** * * (საკმაოდ მოშორებით ქვიანი ნაპირიდან)**

საკმაოდ მოშორებით ქვიანი ნაპირიდან,
რატომლაც გამახსენდა, რომ ცურვა არ იცოდი,
ცა იყო ჩვენებური, წვიმასაც აპირებდა,
და ქარი – დასავლეთის შეშლილი მკვდარი ცოლი.

თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რომ ასე შორს,
ასე შორს შეგიყვანე, ვიგრძენი – შეგეშინდა.
ღიმილით შემოვბრუნდი და სევდით სხვათაშორის,
დაცლილი ნაპირისკენ გავცურე ვითომ მშვიდად.

გათვლა

*«ეს არის ძახილი,
რომელსაც გარდაცვლილთა სულების
გაყინული სიბმრები ეხმიანებიან მაშინ,
როცა ისინი,
როგორმე რომ გათბნენ,
ცოცხლების თბილ სიბმრებში შემოდიან.»
მილორად ჰავიჩი*

I

ქარებშეშლილი ამინდები თუ დაიჭირა,
გააღე სახლის ყველა თვალი, გააღე კარი,
არ შეიმჩნიო ღობის გვერდით თუთა მოჭრილი,
ფოთლები,
ჩრდილი
და შრიალი გამოიცანი!

ისე წამოდი, არ შეხედო სახეს სარკეში,
თორემ არსებობს ალბათობა, ველარ მიპოვო.

ქარებშეშლილი ამინდები თუ დაიჭირა,
ვიქნები ბავშვი – დაკარგული თივის ზვინებში,
შეშინებული დავბრუნდები მძიმე დღის ბოლოს.

II

ათამდე ვითვლით და თამაშს ვინწყებთ.
გამხმარი ხის ტოტები არის თოფები,
მინა მინაა,
სახლი სახლია,
მეგობარი – მტერი,
ეზოში ხის სკამი არის საფლავი.

გოგოებიც ითვლიან ათამდე და იწყებენ თამაშს;
დროშობანას, ორდროშობანას თუ როგორც არის.
გამხმარი ხის ტოტები არის დროშები,
მინა მინაა,
სახლი სახლია,
მეგობარი – მტერი,
ასფალტზე ცარციით გავლებულ ხაზზე გადის სიკვდილი.

ჩვენ – ომობანაში დავიხოცეთ
და ხის სკამზე დავიმარხეთ.
ისინი – ხაზს იქით გაშეშდნენ,
ისე, რომ უკან არც მოუხედავთ...

III

ქარებშეშლილი ამინდები თუ დაიჭირა,
ნიშნავს, ბავშვობა შემოვიდა ჩემთან სითბოსთვის.
არ შეიმჩნიო გამოსვლისას თუთა მოჭრილი,
და არც სარკეში ჩაიხედო, ისე წამოდი.

გაშლილი თმები დამაფინე გაყინულ შუბლზე
და შემცივნებულს დამიძახებს დედა სავახშმოდ.

ნაგატა კოიჩირო

ჩვენ შეგვიძლია, მივუხუროთ ფანჯრები მზეს
და ვეძებოთ ჩვენი სუნთქვის სიხშირე
რადიომიმღებში.

და იყოს შიშინი მანამდე, სანამ.
ქუჩის გვერდებზე ხეები დგანან,
ხეები დგანან.
ხეები...

შემოგვყვა ოთახში ვაგონის ხმაური,
ღამის აღმოსავლეთიდან –
დილის დასავლეთისკენ.
უცხოა ქალაქი, ჰავა და აურა.
იხდი და საწოლზე მსუბუქად ეშვები.
გიყურებ კედლიდან
და არის დრო სანამ...

ჯერ ისევ ცივია ნოტიო ჰაერი
ქუჩებში,
დგები და სიმშვიდეს მიმზადებ.
რომელიც გამოგდის უზადოდ.
და გარეთ არ არის არცერთი ნაცნობი,
საკუთარ ქალაქში ნაგავი დაყარეს.
შენ გიკვირს. მე გიხსნი, წესია ასეთი.

ვბრუნდებით ღამით და ფანჯარას ვაღებთ,
ვეძებთ სიხშირეს რადიომიმღებში,
არცერთი შიშინი არ ჰგავს ჩვენს სუნთქვას.
და არის შიში გათენების.
ონკანი წვეთავს.
იმდენად მძიმეა პერანგი, იხდი.

აქ ხარობს ხეები,
რომლებიც არ ხარობს ჩვენთან...

რომაული ჰაიკუ

დაარტყა იანვრის სუსხმა
და როგორც ტოტი,
დაეცა ტოტი.

3. პრობა

ოთარ ჯირკვალიშვილი

კაბადოკიელი მამები, ანუ სატანა მე-4 საუკუნეში

(რეალური ამბავი)

[12]

ედღვნება

საქართველოში ფანატიზმისა და ობსკურანტიზმის აღსასრულს

ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო. ხშირად ისეც მომხდარა, პატრონიან ეკლესიასაც დაჰპატრონებიან პატრონიანი უპატრონოები!

ა. წ. აღ. 380 წელი იდგა, ბიზანტიის ძღვევამოსილი იმპერატორი თეოდოსი ჯარისკაცებთან და მის მიერვე აღბევებულ ნაზიანზელ მოძღვართან ერთად კონსტანტინოპოლის მოციქულთა სახელობის საკათედრო ტაძარში მიემართებოდა, რათა მას დაჰპატრონებოდა, თუმცა ისიც კარგად უწყოდა, რომ ტაძარს პატრონი ჰყავდა, – ღირსეული ეპისკოპოსი დემოფილე...

თეოდოსის თანმხლები მოძღვარი, მომავალში კარგად ცნობილი გრიგოლი ღმრთისმეტყველია, რომელსაც იმ დროს ჯერ კიდევ ვერ გაერკვია, რეალურად ნაზიანზის ეპისკოპოსი იყო თუ სასიმასი, რომელზეც მისმა მეგობარმა, ბასილი დიდმა დააყენა. ახსოვს გრიგოლს, როგორ გამწარდა მაშინ; რამდენიმე თვე აღარც კი ელაპარაკებოდა ბასილს, რადგან მიუხვდა, რომ კარგად გათვლილი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს... გაბრაზებამ გადაიარა, რადგან უფრო დიდი კათედრა და დიდი ძალაუფლება ელოდებოდა წინ. განა სულ ახლახან თავად იმპერატორმა თეოდოსმა არ გადაულაპარაკა: ჩემი მეშვეობით, ღმერთი ამ ტაძარს, შენი ჯაფის საფასურად

გაძლევსო. ჯაფა მართლაც დიდი იყო, დიდი და აუტანელი. რა არ გადახდა გრიგოლს, რა არ გაიარა, რათა საბოლოოდ იმპერატორთან ერთად კონსტანტინოპოლის ყველაზე დიდებული ტაძრის გზას დასდგომოდა. იხსენებდა დედ-მამას, ღვთისმოსავ ნონას და გრიგოლს, რომელიც თავიდან წარმართი იყო, მოგვიანებით აღიარა ქრისტე და ნაზიანზის ეპისკოპოსიც კი გახდა. ღიმილს ჰგვრიდა იმის გახსენება, თუ როგორ ცდილობდა დედა მასში ამბიციების გაღვივებას; ბავშვობიდან არწმუნებდა რჩეულობაში; ამის დასამტკიცებლად ათასგვარ ლეგენდასა და სასწაულს თხზავდა. მაგალითად, ხშირად მოუთხრობდა, ერთხელ ძილში თუ როგორ გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: ახლა შენს წარმართ მეუღლესაც ვეცხადები და 121-ე ფსალმუნის სიტყვებს ვკარნახობო. ჩემს ქმარს ცხოვრებაში წმინდა წერილი არ გადაუშლია და რას მიხვდება-მეთქი? ჰოდა, ხვალ ზეპირად რომ გეტყვის ფსალმუნის სიტყვებს, გადაუშალე და თავისი თვალით ნახოს და წაიკითხოსო. რის ნიშანია, წმინდა ანგელოსო-მეთქი? რისიც არის, გაიგებო. დილით რომ გამომეღვიძა, მამაშენი ოთახში შეშლილივით აქეთ-იქით აწყდებოდა და სულ ამ სიტყვებს იმეორებდა: «ვიხარე, რომელთა მარქუეს მე: სახლსა უფლისასა შევიდეთ». ხომ არ იცი, ვისი სიტყვებია, წუხანდლიდან ამეკვიატაო. ვიცი, როგორ არ ვიცი, ფსალმუნმომღერლის სიტყვებია-მეთქი. ეგ ვინლააო. აი, ბიბლიის ერთ-ერთი წიგნის დამწერი-მეთქი. რა ბიბლია, რის ბიბლია, ცხოვრებაში არ გადამიშლია, ეს სიტყვები საიდან უნდა მცოდნოდაო? ჰოდა, გადავუშალე 121-ე ფსალმუნი და თავისი თვალით ამოვაკითხე. თავში ხელები წაიშინა და იღრიალა, – ამ სიტყვების მნიშვნელობას თუ ხვდებიო. ვხვდები, როგორ არა, ფსალმუნმომღერალს უხარია უფლის სახლში შესვლა-მეთქი. ჰოდა, ეგ ფსალმუნმომღერალი მე ვარო! – და გიჟივით გავარდა

სახლიდან. მოგვიანებით გავიგე, ნიკეაში გაქცეულა, დაუჩემებია, – იქ ბევრი წმინდანია შეკრებილიო, – შევარდნილა დიდ დარბაზში, სადაც მართლაც ბევრი წმინდა მამა ყოფილა და დაუყვირია, – მწამს ქრისტე, მომნათლეთო! იქ ერთი ახალგაზრდა დიაკვანი შემოჰკვებებია, დაჩოქილი ფეხზე წამოუყენებია და მოსანათლად ტაძარში წაუყვანია. საოცრება ის არის, ჩემო შვილო, რომ მამაშენი იქიდან მარტო მონათლული კი არა, მღვდელი დამიბრუნდა, მღვდელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ის კი არა, ნიკეიდან ახალი მოძღვრებაც ჩამოიტანა, რომლის მნიშვნელობაც დღემდე ვერ შევიცანი, თუმცა ვიცი, რომ ქრისტე ჩვენი ღმერთია. განა არ არის ეს სასწაული, – წარმართი მამაშენი ერთ დღეში გაქრისტიანდა, მე კი ქრისტეზე ახალი მოძღვრება მოვისმინე სწორედ მამაშენისგან, გრიგოლისგანო? მიუხედავად იმისა, რაც შეემთხვა, მამაშენმა დღემდე ვერ დაიჭერა, რომ იმ ღამეს ანგელოსი ერთდროულად გამოგვეცხადა. იმედია, უფალი შეუნდობს მცირედმორწმუნეობასო... იხსენებდა გრიგოლი ამ მონათხრობს და ეღიმებოდა, სიყვარულით ეღიმებოდა დედამისი ნონას მონათხრობის გამო, რომლის სიმართლეშიც, რა დასამალია და, თავადაც ეჭვი ეპარებოდა. იმედია, უფალი მასაც შეუნდობს!..

შვილო, შენ უფლის რჩეული ხარ, დიადი საქმეებისთვის მოწოდებული, ისევე, როგორც დიდი წინასწარმეტყველი სამუელი, – განაგრძობდა ნონა პატარა გრიგოლის წაქეზებას. – თუ იცი, რატომ ხარ დედისერთა? – პატარა გრიგოლი თავს გააქნევდა, დედა კი განაგრძობდა: – მე და მამაშენს, გრიგოლს, შვილი არ გვიჩნდებოდა. ასე გადიოდა წლები, ღმერთისადმი ლოცვა არასდროს შეგვიწყვეტია, აღთქმაც დავუდეთ უფალ იესოს, თუ შენს თავს

გვაჩუქებდა, შვილს მასვე მივუძღვნიდით. ჰოდა, ერთხელაც, ღვთისმსახურების დროს, დილის ხილვაში ანგელოსი ეჩვენა მამაშენს და უთხრა: შვილი გეყოლებათო. ეგ როგორ მოხდება, ჩემს ცოლს დედათა წესი შეწყვეტილი აქვსო (ეს რასაც ნიშნავს, რომ გაიზრდები, გაიგებ). რადგან ურწმუნოება გამოავლინე, ნაზიანზელს ეპისკოპოსს, და ჩათვალე, რომ იმას ვინც ბუნება შექმნა, ბუნების კანონების შეცვლა არ შეუძლია, ღმერთი თავის განგებულებას მაინც არ გადავა და გეყოლება ვაჟი, რომელსაც გრიგოლს დაარქმევ, შენ კი დამუნჯდები და, იმისგან განსხვავებით, ვინც ერთხელ უკვე დავამუნჯე, შვიდი წელი ველარ ამოიღებ ხმას. ამის გამო ეპისკოპოსის ტახტს ჩამოშორდები, შვიდ წელიწადში კი კვლავ დაუბრუნდები. შენი შვილი გრიგოლი ნაზიანზელი იმდენად დაჩრდილავს მამას, გრიგოლი ნაზიანზელს, რომ შენი ხსენება ისტორიაში მხოლოდ იმდენად იქნება, რამდენადაც მისი მამა ხარ. ახლა შენ ხარ დიდი, ის კი პატარა. მომავალში ის იქნება დიდი, შენ კი პატარაო!.. აი, ეს ქნა მამაშენის მიერ უკვე მეორედ გამოვლენილმა ურწმუნოებამ. შემდეგ იგივე ანგელოსი გაბრიელი მეც გამომეცხადა და მითხრა, – ერთი კარგი ამბავი მაქვს, ერთი ცუდიო. კარგი ის, რომ უფალმა შეიწყნარა შენი ვედრება და გაის ამ დროს ბიჭი გეყოლება, რომელსაც ალთქმისამებრ, ისევ უფალს დაუბრუნებ. ცუდი კი ის, რომ შენმა ქმარმა კვლავ ურწმუნოება გამოავლინა და დავამუნჯეო. დაე, იყოს, როგორც არის-მეთქი! დიდ რწმენას ვხედავთ შენში, დედაკაცო, – ეს თქვა და გამშორდა. გავიდა ერთი წელი და შენც გვეყოლე. აგერ, აქ დაიბადე, სადაც ვცხოვრობთ, სოფელ არიანზში. მამაშენმა დაფაზე ამოტვიფრა შენი სახელი. აი, ამ დაფაზე. დღემდე შენახული მაქვს. და იმის შემდეგ სულ ვცდილობ, უფლის სიყვარული ჩაგინერგო ალთქმისამებრ, ჩემო საყვარელო შვილო. მამაშენმაც

ახლახან ამოიდგა ენა და ეპისკოპოსის ტახტსაც დაუბრუნდა, შენ კი უფრო დიდი ტახტი გელოდება დედამინაზეც და სასუფეველშიც, თვით უფალმა მაუწყა ამის შესახებო. – ეუბნებოდა დედამისი პატარა გრიგოლს. გრიგოლს ისიც კარგად ახსოვდა, მოგვიანებით როგორ ბრაზდებოდა დედ-მამაზე, – ნეტა, რა უფლება ჰქონდათ ჩემ მაგივრად რომ დებდნენ აღთქმებსო. აკი, არასდროს მქონია ლტოლვა ღმრთისმსახურებისკენ, არიანელმა მამაჩემმა მღვდლად ძალით მაკურთხა, ალბათ, ასე შეეცადა ჩემ მაგივრად დადებული აღთქმის შესრულებას, თან რჩეულობის მნიშვნელობაც შესძინა ჩემი ცხოვრების გზასო...

მართალია, ამ ყველაფრის გახსენებაზე ღმრთისმეტყველებაში ღრმად განსწავლულ ნაზიანბელ ეპისკოპოსს, კონსტანტინოპოლის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე, მსუბუქად და უხერხულად ეღიმებოდა, მაგრამ იმასაც აცნობიერებდა, რომ დედამისის მონათხრობიდან მოსმენილმა რამდენიმე ფრაზამ თუ სიტყვამ დიდწილად განსაზღვრა მისი მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი. მაგალითად, სიტყვამ «ნიკეა» იგი ნიკეის სიმბოლოს ფანატიკოს დამცველად გადააქცია. ვერ ვუღალატებ იმ ადგილის რწმენას, სადაც მამაჩემი ქრისტიანი გახდაო, – უყვარდა ხოლმე გახუმრება. «...იქ იყო ერთი ახალგაზრდა დიაკვანი, რომელმაც დაჩოქილი მამაშენი ფეხზე წამოაყენა», როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს დიაკვანი ათანასე დიდი აღმოჩნდა, რომლის ბრმა განმადიდებელიც გრიგოლი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. ბევრჯერ თავის მეგობარ ბასილთანაც მოუვიდა უსიამოვნება ათანასეს გამო. ერთხელ, როდესაც მამაზე გაბრაზებულმა გრიგოლმა ბასილს პონტოში, საგვარეულო მამულში, მის მიერვე დაარსებულ მონასტერში ჩააკითხა, რათა იქ მეგობართან

ეპოკა სულის სიმშვიდე, – უკვე აღვნიშნეთ, მამამისმა გრიგოლი, მისი ნების საწინააღმდეგოდ, გაუგებარი მიზეზებით (ამბობენ ძალაუფლების სიყვარულის გამო) მღვდლად აკურთხა – ბასილმა უარესად გააგულისა, რადგან უთხრა, – დიდი უცოდინარი ვინმეა ეგ შენი ათანასეო. ვისზე ამბობ ეგრე, ათანასე რომ არა, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ჭეშმარიტება დაიღუპებოდაო. ჭეშმარიტებაზე ღმერთი ზრუნავს, ათანასემ კი ბევრი ბუნდოვანება შეიტანა სამების დოგმატის გაგებაშიო. რა ბუნდოვანებაზე ლაპარაკობო. იმაზე, რომ ათანასე ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტერმინოლოგიაში საერთოდ ვერ ერკვეოდა, ის კი არა, შობასა და ქმნას, არსს და ჰიპოსტასს ვერ განასხვავებდა ერთმანეთისგან; ისე გაგვირთულა საქმე, მოდალისტებისა და საბელიოზის მწვალებლობასთან გვაიგივებს დღემდე მრევლიო. მერე რა, არ გახსოვს, მწვალებელმა ევსევი კესარიელმა შემოიტანა მრწამსის ძირითადი ნაწილი, ის კი არა, «ერთარსი» მართლაც საბელიოზის მიერ დამკვიდრებული ტერმინია, რომლსაც 325 წელს მხარი თვით ათანასემ დაუჭირაო. ჰოდა, მეც მაგას ვამბობ, – არ ცხრებოდა ბასილი, – ვერ ერკვევა აპოლინარის მეგობარი ათანასე მნიშვნელოვან საღმრთისმეტყველო ნიუანსებში. მამას და ძეს თითქმის აიგივებს ერთმანეთთან, სანამ ჩვენ არსის და ჰიპოსტასის გამიჯვნას არ მოვახდენთ, ყოველთვის საბელიოზის მიმდევრებად მიგვიჩნევენ. ვერ ხედავ, სულიწმინდის ღმერთად აღიარებაც კი იმდენად ახალი მოძღვრებაა, საჯაროდ ვერც კი ვაღიარებ. უამრავი რამ არის ტერმინებში გამოსათქმელი, ათანასე კი საქმეს გვირთულებსო... – ეს თქვა და გრიგოლმა, უარესად ნაწყენმა და გულგატეხილმა, მიატოვა პონტო და კვლავ ნაზიანზს დაუბრუნდა. ღვთისმსახურებას შეუდგა მამამისის ტაძარში, რომელიც (რა თქმა უნდა, მამამისი და

არა ტადარი), როგორც მოგვიანებით გაირკვა, მას თურმე ეპისკოპოსობისთვის ამზადებდა. იხსენებდა გრიგოლი და შემდეგ შეკითხვაზე გადადიოდა: რატომ არ გამოსდიოდა არასდროს უდიდეს კაბადოკიელ მამასთან ურთიერთობა? (თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევას, – მაგალითად, როდესაც გრიგოლმა ბასილს პირველად უამბო მისი სასწაულებრივად ჩასახვის ამბავი. ბასილს გულიანად გაეცინა და უთხრა, – დედაჩემი ემილიაც ზუსტად იმავე ამბავს მომიყვა ჩემზე. ის კი არა, ჩემს და მაკრინეზეც იმავეს მიამბობდა, – ანგელოზმა სახელიც კი შეურჩია და თეკლა უწოდაო. და ძალიან ბრაზდებოდა ხალხზე, რომლებმაც რატომღაც ანგელოსის მიერ შერქმეული სახელი უგულებელყვეს და დღემდე მაკრინეს ეძახიანო. დიდად მხიარულობდნენ ახალგაზრდები ამ ამბების გახსენებაზე.) ისინი ხომ ბავშვობის მეგობრები იყვნენ?! სულ რაღაც ერთი წელია, გარდაიცვალა ბასილი და, ისე ჩავიდა სამარეში, კრინტი არ დაუძრავს გრიგოლთან ურთიერთობაზე. იხსენებდა გრიგოლი ათენის აკადემიაში ბასილთან ერთად გატარებულ ბედნიერ წლებს და ცდილობდა, მიეგნო მიზეზისთვის, რის გამოც ბასილმა ჯერ ათენიდან წასვლა არ შეატყობინა თავის საუკეთესო მეგობარს, შემდეგ კი მთელი ცხოვრება ეკამათებოდა და თითქოს ცდილობდა, რაღაც წყენა მიეყენებინა მისთვის. რა იყო ამის მიზეზი, განა ათენში ჩამოსვლისთანავე გრიგოლი არ დაეხმარა და დაიცვა დაცინვისაგან და იმ განსაცდელებისაგან, რასაც პლატონის მიერ დაარსებულ ფილოსოფიის აკადემიაში აყენებდნენ ახალ ჩასულებს იქ დახვედრილი სტუდენტები? და, აი, მიხვდა, მიხვდა გრიგოლი, რაც ხდებოდა, – აკი ისტორიულად ქართველებს და სომხებს ყოველთვის ქიშპობა და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, ბასილი კი ძალიან დიდ პატივს სცემდა,

მოწინებით მოიხსენიებდა ქვეყანას, საიდანაც იყო წარმოშობილი, ვერ აპატიებდა სომხებს თავისი სამშობლოს აბუჩად აგდებას. მას შეეძლო, პირადი წყენა ჩაეყლაპა, ყურადღება არ მიექცია, მაგრამ რაკი ხვდებოდა რომ იმ დამოკიდებულების მიღმა, რასაც აკადემიაში სწავლის დროს სომხები ამჟღავნებდნენ, ეროვნული მოშურნეობა იდგა, იგი შეუვალი გახდა, შეუვალი და დაუნდობელი! ბასილი კესარიელი წარმოშობით ბერძენი არ ყოფილა, – მაშინ ეს ყველამ კარგად ვიცოდით. ჯერ კიდევ იოსებ ფლავიუსი წერდა, – კაბადოკიელები ეროვნებით მესხები არიანო. მესხები, მოგეხსენებათ, კოლხთა უდიდესი ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ მარადჟამს. იმ კოლხეთის, სადაც არგონავტებმა იმოგზაურეს და სულ ახლახან კი სწორედ კაბადოკიიდან მოჰფინა მარიამ ღმრთისმშობელმა ქრისტეს ნათელი, რითიც ხშირად ამაყობდა ბასილი! დღიდან ბასილის ათენში ჩამოსვლისა, იმის გამო, რომ ნიჭით, ცოდნით და გაგების უნარით ყველას აღგვემატებოდა, სომეხი მოსწავლეები მტრულად განეწყვნენ მის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიის შესწავლა წლებით ადრე გვექონდა დაწყებული, სულ რამდენიმე თვე დასჭირდა ბასილს, ფილოსოფიის, რიტორიკის და სოფისტიკის ცოდნაში უპირატესობა გამოეჩინა ყველა სტუდენტთან შედარებით. ამას სომხები ვერ აპატიებდნენ და შეფარვით, ისე, როგორც სადუკეველებს სჩვეოდათ, შეთქმულება მოუწყვეს ბასილს, მისი სიტყვიერ პაექრობაში გამოწვევით, ვითომ ათენის დიდების დასაცავად. აი, აქ უნდა ვეძებოთ მიზეზი იმისა, რისი შენდობაც ბასილმა ველარასდროს შეძლო... მოვტყუვდი, მე უგუნური, როცა ვიფიქრე, რომ სომხებს გულწრფელი მოტივები ამოძრავებდათ და კამათში მათ მხარეს დავდექი. მაშინ, როცა ბასილი კედელთან მიიმწყვდევდა მოწინააღმდეგეთ და ისინი უკვე

გასაქცევად ემზადებოდნენ, კამათში ვერეოდი და მოპაექრეთა ძალებს ვათანაბრებდი. საუბედუროდ, გვიან მივხვდი, რა მზაკვრობა იმალებოდა ამ მოჩვენებითი სიკეთის მიღმა და სომხებს დავუპირისპირდი, მაგრამ გვიანლა იყო, ბასილმა ამ ღალატის პატიება ველარასდროს შეძლო და მართალიც იყო. მე კი ახლაც, მთელი არსებით მეჯავრება სომხები, – ეს მზაკვარი და იმ კლდეს მიმსგავსებული ხალხი, რომელზეც ხომალდები იმსხვრევა. აი, მიზეზი იმისა, თუ რატომ მტკენდა ხშირად გულს ბასილი კესარიელი, ბევრჯერ უმიზეზოდაც, თუმცა ძმასავით ვუყვარდი. გარდა ამ მიზეზისა, არის კიდევ ერთი, – მისი მძიმე ხასიათი. იგი მეტისმეტად მელანქოლიური ადამიანი იყო, იმდენად, რომ მისი მელანქოლია ხშირად მიზანთროპიაში, კაცთმოძულეობაშიც კი გადაიზრდებოდა ხოლმე. ხასიათის ამგვარი ცვლილებები მისი სუსტი ჯანმრთელობით უნდა აიხსნას, – ბავშვობიდან დაჰყვა სუსტი სხეული; ხშირად ავადობდა, რის გამოც ისე შეისწავლა მედიცინა, რომ კაბადოკიაში პირველი ექიმი გახდა. ეს გამოადგა კიდევ მომავალში, რათა ბევრ ავადმყოფსა და კეთროვანს დახმარებოდა. მას ჰქონდა ფერმკრთალი სახე, გრძელი წვერი. წყნარი სიარული, დინჯი, დაფიქრებული საუბარი იცოდა, საკუთარ თავში ჩაღრმავებული. თუმცა ლაპარაკი დიდად არ უყვარდა, არც მხიარულებისა და გართობისა გაეგებოდა რამე. ხშირად საყვედურობდა ადამიანებს, თუმცა გულწრფელი ღიმილიც ახასიათებდა, რაც ვინმეს შექებას ნიშნავდა. ის იყო სრული ანტიპოდი ათანასე დიდისა, ათანასესი, რომელსაც ემოციური აღტყინება და სწრაფი, ხისტი გადაწყვეტილებების მიღება სჩვეოდა. არავითარი სიდინჯე, მოფიქრებულობა. იყო რისკიანი, აგზნებული, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული, ბასილისაგან განსხვავებით, რომელიც სიდინჯით,

კარჩაკეტილობითა და პესიმიზმით გამოირჩეოდა. ათანასე ცხოვრებაში უფრო კარგს ხედავდა, ვიდრე ცუდს, ბასილი კი – პირიქით. ალბათ, აქ უნდა ვეძებოთ ის დიდი შინაგანი მიუღებლობა და დაპირისპირება, რაც ბასილს ამოძრავებდა ათანასეს მიმართ. ყოველთვის ეცინებოდა ბასილს, როდესაც იხსენებდა, თუ როგორ გაექცა ნავით ათანასე იმპერატორ იულიანე განდგომილს, რომელიც ჩვენთან ერთად სწავლობდა ათენის აკადემიაში და წარმართობის მიმართ ყოველთვის დიდ სიმპათიებს გამოხატავდა, რის გამოც ჩვენი მეგობრობა ვერ დაიმსახურა. ვიდრე მდევარი დაეწეოდა, ათანასე დიდმა ნავი მისკენ შემოაბრუნებინა და შეკითხვაზე, – ათანასე ხომ არ გინახავთო, – თავადვე მიუგო: – ვნახეთ, თუ სწრაფად გაცურავთ, დაეწევით კიდეცო. ეცინებოდა, მაგრამ ეს სიცილი უფრო დაცინვა იყო, ვიდრე კეთილგანწყობა ათანასეს მიმართ. აკი, ადამიანის განწყობის და ჰუმორის გრძნობის შეფასება სწორედ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მას რამეზე ეცინება, და არა მაშინ, როდესაც ის საერთოდ არაფერზე იცინის. იუმორის გრძნობა არა აქვსო, – არ ითქმის მასზე, ვინც პირქუში და გაუცინარია, უფრო იმაზე, – ვინც ხშირად იცინის. ჰოდა, ამ დაცინვაში იყო სარკაზმი. განა შეიძლება, დიდი წმინდანი უფლის მიერ დადგენილ ხელისუფალთ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყუებდეს და თან ასე ცერცეტა ბავშვივით იქცეოდესო? რამდენიც უნდა ირბინოს რომში, მისგან ღმრთისმეტყველი მაინც არასდროს დადგებაო, – ოხუნჯობდა ბასილი. უნდა ითქვას, ამ დაპირისპირებაში ბასილი დიდმა გაიმარჯვა, მაგრამ, როგორც დედაჩემმა მასწავლა, ყველა გამარჯვებას როდი მოაქვს დიდება. დიდების შარავანდი სხვა გზით მოიპოვა ჩემმა უძვირფასესმა მეგობარმა, ბასილმა, რომელიც სულ რაღაც ერთი წელია გარდაიცვალა და სამუდამოდ დაამწყხრა

ჩემი სული... რა იქნებოდა, ახლა ჩემს გვერდით ყოფილიყო და ერთად გაგვევლო დიდებისკენ მიმავალი ტაძრის გზა?! ახსენდებოდა გრიგოლს ბასილი დიდის ძმაც, გრიგოლ ნოსელი, – ბასილზე უმცროსი და თავქარიანი, რომელიც გულზე არასდროს ეხატებოდა. ბასილისგან განსხვავებით, გრიგოლს მთელი ცხოვრება გაუნათლებლობა და ამის შედეგად გამოწვეული არასრულფასოვნების შეგრძნების მძიმე ტვირთი სტანჯავდა, ამიტომ იყო ასე გადარეული ფილოსოფიაზე. ჩვენს დროში თითქმის ყველა უსწავლელ ადამიანს დიდ ფილოსოფოსად მოაქვს თავი, სიბრძნისმოყვარეობის ხიბლში იხარშება, აღფრთოვანებულია პლატონის და არისტოტელეს ზედაპირული და მეტად თავისებური, გულუბრყვილო წაკითხვით. არადა, რა დიდებულია პლატონი, შესაძლოა, არისტოტელე – კიდევ უფრო დიდებული. რომ არა მისი უკვდავი პარაგრაფი («მეტაფიზიკა» 5, 15.):

«ი გ ი ვ ე ო ბ რ ი ვ ი ა ის საგნები, რომლებსაც ერთი ა რ ს ი აქვთ,

მ ს გ ა ვ ს ი ა ისინი, რომელთაც ერთი თ ვ ი ს ე ბ ა აქვთ.

ტ ო ლ ე ბ ი ა, რომლებსაც ერთი რ ა ო დ ე ნ ო ბ ა აქვთ.» –

მეტ-ნაკლებადაც კი ვერასდროს ჩავწვდებოდით სამების არსს, ტერმინებში გამოთქმა ხომ საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ მგონია, რომ ლოგოსი ათენელ ფილოსოფოსებშიც მოქმედებდა, აკი სულ მალე თავად ლოგოსი დედამიწაზე უნდა განხორციელებულიყო და სჭირდებოდა გარკვეული ისტორიული წანამძღვრები მის დიდებულ სწავლებას. იოანე ნათლისმცემელმა იუდეაში, ხოლო პლატონმა და არისტოტელემ საბერძნეთში მოუსწორეს უფალს ბილიკები... ისევე, როგორც ნათლისმცემელი, პლატონი და არისტოტელეც შეგვიძლია

ქრისტემდე არსებულ ქრისტიანებად მივიჩნით, განა მთელი ჩვენი მომავლის დოგმატური ღმრთისმეტყველება პლატონს, არისტოტელეს და სტოელებს არ დაეფუძნა? რად ღირს დიდი პლატონის მოძღვრება იდეებზე, რომელიც ერთარსება ერთამდე ადის; ასევე არისტოტელესი – კოსმიურ გონზე და ზენონ კიტიელის მოძღვრება ლოგოსზე, სამყაროს სულზე – დიდი, წარმართული სამება, რაც სულ ახლახან, დიდმა პლოტინუსმა გააერთიანა ტერმინით «ჰომოუსიოს» (ერთარსება) და ვისაც დაეყრდნო თანამედროვე ტრინიტარული დოგმატური ღმრთისმეტყველების დიალექტიკა! განა მათ წინასწარ არ განჭვრიტეს ეს უდიდესი, გონით მიუწვდომელი საიდუმლო? დიდად არის დავალებული ქრისტიანული სამყაროს ღმრთისმეტყველება ამ ოთხი უდიდესი წარმართი მასწავლებლისგან, რომლებმაც უამრავი სკოლა და სააზროვნო მიმდინარეობა შვეს... მე და ბასილს ხშირად გვისაუბრია ამ და სხვა ფილოსოფიურ საკითხებზე გრიგოლ ნოსელის თანდასწრებით და, როგორც გაირკვა, ეს სრულიად ზედმეტი გამოდგა მისი მოუმწიფებელი სულისთვის, განვითარდა რა მასში მოშურნეობის, მეტოქეობის, პატივმოყვარეობისა და დაპირისპირების სული. გრიგოლს იმდენად შურდა თავისი ძმისა, რომელთან გატოლებაც ვერასდროს შეძლო ვერც სიტყვით და ვერც საქმით, რომ, როდესაც კესარიის ეპისკოპოსი ევსევი გარდაიცვალა, ბასილის ეპისკოპოსად ხელდასხმა კი მეტისმეტად სათუო იყო (ძალიან კი სურდა კესარიის ეპისკოპოსობა!), რადგან იქ უმრავლესობას არიოზელები წარმოადგენდნენ, ისინი კი მხარს არასდროს დაუჭერდნენ ნიკეის მრწამსის მაღიარებელს, ბასილმა დახმარებისთვის უმცროს ძმას მიმართა. იცოდა, რომ მისი ავტორიტეტი დიდად შეეწეოდა მეზობელი რეგიონებიდან

ხმების მიღებაში. გრიგოლმა ძმის დასახმარებლად კესარიაში ჩასვლაზე უარი განაცხადა, რაც პირდაპირ ღალატს ნიშნავდა არამართო ძმისა, არამედ ქრისტეს ეკლესიისა. მიზეზად კი ის მოიძო, ვითომც «ფილოსოფოსად დარჩენა» სურდა... რომ არ წამექეზებინა მაშინ მამაჩემი, ნაზიანზელი ეპისკოპოსი, და მას წერილებით არ მიემართა ევსევი სამოსატელისა და კესარიელეებისთვის, ბასილის არჩევის მოთხოვნით, გრიგოლი ნოსელის ღალატის გამო, ბასილს არასდროს აირჩევდნენ. ბასილის წარუმატებლობაც დასავლეთის ეკლესიასთან ურთიერთობაში, გარკვეულწილად მისი ძმის აუხსნელ საქციელს უნდა დავაბრალოთ, – შორებელი არასდროს დაგეხმარება თუ მან იცის, რომ ახლობელმა გიღალატა! შეუძლებელია, ყოველთვის აღფრთოვანებული არ ვიყო ჩემი საყვარელი მეგობრის დიდსულოვნებით, რომელმაც შეუნდო უმცროს ძმას და მოგვიანებით, უკვე კესარია-კაბადოკიის მღვდელმთავარმა, თავისი ხელით აკურთხა იგი ქალაქ ნისის ეპისკოპოსად, უფრო იმ მიზნით, რომ, როგორც მწერალი, გრიგოლი ერესებთან ბრძოლაში დახმარებოდა და არა როგორც სასულიერო მოღვაწე. ვერც იქ ისახელა თავი გრიგოლ ნოსელმა, რაღაც წვრილმანი დანაშაულები დაუმტკიცეს და დემოსთენეს ბრძანებით დააპატიმრეს. თუმცა მოახერხა, ფიზიკური სიძლიერის წყალობით, მცველებს დასხლტომოდა და სამი წლის მანძილზე მიმალვაში ყოფილიყო ნოსის ყოფილი ეპისკოპოსი, რომელსაც საეკლესიო ქონებისა და უკანონო ხელდასხმის ბრალდება წაუყენეს და ეპისკოპოსის ხარისხი ჩამოართვეს. სხვა ჯერ დიდი არაფრით გამოუჩენია თავი გრიგოლი ნოსელს, დაველოდოთ, რას იზამს მომავალში...

ამ ფიქრებში იყო ღრმად წასული წმინდა გრიგოლი ნაზიანზელი, როდესაც იმპერატორმა გადაუჩურჩულა, – მოემზადეთ, ტაძარს ვუახლოვდებითო. მართლაც, გრიგოლმა შორიდან მოჰკრა თვალი დიდებულ ტაძარს. ტანში ჟრუანტელმა დაუარა და საბოლოოდ აეშალა მოგონებები, ექსტაზურ ფანტაზიებს მისცა თავი. მის გარშემო საგნებმა მოძრაობა დაიწყო, როგორც დედამიწის ირგვლივ მბრუნავმა ცდომილებმა, აკი, ასე სჯეროდა პლატონს და გრიგოლმაც დაიჯერა. რა ძალაა, მითიურო დიოტიმა, რაც სამყაროს წრებრუნვას და დიდებულებას განაპირობებს? რა დააქროლებს ამ გზააბნეულ კოსმიურ სხეულებს, თითქოს ქაოტურად მიმობნეულ ვარსკვლავთა ხომლში? მშვენიერო დიოტიმა, ამ მარადიულ ლტოლვას, ყოველი არსის, ყოველი სიცოცხლის ამ ინტიმურსა და ნათელ კანონს სიყვარული ჰქვია სახელად. ერთი მრავალია და სიყვარულის წყალობით მრავალი ერთიაო, – ამბობდა ემპედოკლე. სამყაროს ერთიანობის კანონი სიყვარულია! «შენ ვარსკვლავებს უმბერ, ჩემო ასტერ; ნეტა შემეძლოს ცად ქცევა, რათა მირიადი თვალთ გიმზირო შენ!» – ასე მიმართავდა დიდი პლატონი თავის მოწაფეს, ამ სიყვარულის პოეზიაზე ააგო ჩვენმა უფალმაც ჭეშმარიტება. პოეზია და მშვენიერება ერთადერთი რამაა, რასაც კაცი უანგაროდ ემსახურება, რისთვისაც მზადაა თავი სამსხვერპლოზე მიიტანოს. ანტიკურ სილამაზეს პიროვნულობა აკლდა, ებრაულს კი – პლასტიკურობა, ქრისტემ გააერთიანა ხსნის დიად იდეაში ეს ორი რამ და მიიღო უზენაესი სიკეთის იდეალი, რაც არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; სიცოცხლე, უანგარო და ვნების ფანტომებისგან დაცლილი; სიკეთე, რომელიც არის არა ბედისწერა, არამედ – ჰარმონია, ერთიანობა და ადამიანი; ტაძარი ღვთისა, სადაც დავანებულია იგი, – ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება! დაანგრეთ ტაძარი ესე და

მე აღვადგენ მას, დაამსხვრიეთ ძველი ტიკები, რადგან ახალი ღვინო მოგიტანეთ, შესვით, ეს ჩემი სისხლია, შემოიძარცვეთ ძველი ტანისამოსი, აგერ ხელთუქმნელი კვართი, ზეციურ სამანებში და ეთერის თეთრ ჰორიზონტებში ქროლვით განმტკიცებული, ნულარ ჩაიცმევთ იმას, რასაც ჩრჩილი ჭამს, და ნურც იმას დააგროვებთ, რასაც ქურდები მოგპარავენ, მე ჩაგიდგამთ ახალ გულებს ახალი სისხლის გასატარებლად, მოგცემთ ახალ ყურს ახალი მუსიკის სასმენად, ახალ თვალებს სასუფევლის დიდებულების დასანახავად, შეიმოსეთ წმინდა გრძნობით, რომელიც არის სიყვარული და თავმდაბლობა!..

უახლოვდებოდა გრიგოლი წმინდა ადგილს, სადაც ის ქრისტეს ძმათა შორის პირველი უნდა გამხდარიყო და უყურებდა ტაძრიდან ამომავალ კვამლს, რომელიც ნაზად, ლბილად, მაგრამ გასაოცარი სიჭიუტით ერწყმოდა წვიმას და ამოუცნობ ნელსურნელებად ეფინებოდა ღრუბლებს. მის ყურამდე ტაძრიდან მომავალი ღვთაებრივი გალობა აღწევდა, რაც მიუთითებდა, რომ იქ, ახლა, ამ წუთებში, საკრამენტული ღვთისმსახურება აღევლინებოდა. გრიგოლის აღელვებულ სულში, ყოველივე ამის წარმოდგენისას, ერთდროულად შემზარავი ძალით ერთიანდებოდა შიშის, ხელოვნებისა და მისტიკის განცდა, რაც კიდევ უფრო აღაგზნებდა და ლტოლვას უღვივებდა წმინდანს ძალაუფლების მწვერვალებისკენ! ახლა მასში სიკვდილიც კი აღარ იყო დამარცხება, ისევე, როგორც არც სიცოცხლეა გამარჯვება. მისმა დიდმა მეგობარმა სწორედ მისსავე მოედანზე, სიკვდილის სარეცელზე დაამარცხა სიკვდილი, როდესაც მოსანახულებლად სამედიცინო ხელოვნების ბრწყინვალე მცოდნე, ურწმუნო იოსები ესტუმრა. ამ ებრაელმა პირდაპირ და დაურიდებლად

გამოუცხადა ბასილს, – თუ შენ ხვალამდე იცოცხლებ, ქრისტეს ვირწმუნებო, – და რა ქნა დიდმა წმინდანმა?! – სიკვდილშეპარული ხელები ზეცად აღაპყრო და თქვა, უფალო, მომეცი შანსი სიკვდილის წინ კიდევ ერთი სული გადავარჩინო წარწყმედასო და უფალმაც შეისმინა, ისე, რომ მეორე დღეს, მკურნალი იოსები ბასილმა თავისი გაყინული ხელებით მონათლა, ღმერთს კი უთხრა: შენს ხელებს გადავცემ, სულს ჩემსასო, – და სული განუტევა. საბედნიეროდ, სამყაროში არის განზომილებები, სადაც დაპირისპირებულნი ერთმანეთში გადადიან და უზენაეს ერთიანობას აღწევენ, როგორც გვასწავლიდა დიდი ეფესელი დიალექტიკოსი. რა არის სიკოცხლე, ანდაც სიკვდილი იმ ტაძართან თანაფარდობაში, რომელიც ახლა ჩვენ წინაა და რომლიდანაც არსაამსოფლო ხმები გამოდის, ტაძართან, რომელიც ზედმიწევნით იმეორებს ადამის არსის იდუმალებას, სხეულის ასოებს და ამ ასოებში განფენილ, დანაწევრებულ ხუთ გრძნობას და სულის დაუნაწევრებელ ღვთაებრივ სიმარტივეს, რომელიც დღიდან დაბადებისა, პირველწყაროს ხატებაა, მიმსგავსებას კი ცდილობს... ცდილობს, ტაძარი იყოს ქრისტეში და ქრისტე იყოს მასში, და საბოლოოდ ღმერთი იყოს ყველაფერი ყველაფერში, რათა სამყაროს დიდებული ერთიანობის მისტერია განხორციელდეს, რომელსაც ჰქვია სიყვარული!..

მეუფევ, უკვე მოვედითო, – მოკრძალებით გადაუჩურჩულა ტრანსში გადასულ წმინდანს თეოდოსიმ და, მართლაც, იმპერატორის დახურული კარეტა ოდნავ მოშორებით, ზედ მოციქულთა სახელობის ტაძრის შესასვლელის პირდაპირ გაჩერდა. გრიგოლი გამოერკვა, ეკლესიას გახედა და დაინახა ტაძარს გარსშემორტყმული უამრავი ადამიანი, რომლებმაც, როგორც გაირკვა, შესანიშნავად უწყოდნენ,

რისთვისაც მოესურვებინა იმპერატორს მათთან
სტუმრობა. იმპერატორმა სიფრთხილის ზომები მოიმიზეზა
და მოძღვარს გარკვეულ დრომდე კარეტაში დარჩენა
ურჩია. სინამდვილეში, ამით გრიგოლის გამოჩენით
გამონვეული შესაძლო უხერხულობა გაფანტა. მოძღვარი
მიუხვდა და დაემორჩილა. თავად კი კარეტიდან
გადმოვიდა. ნაწილი ჯარისკაცებისა განლაგდა
იმპერატორის ირგვლივ, დანარჩენებმა კი რაღაც უცნაური
მანევრის განხორციელება დაიწყეს. ხალხში თავიდან
ჩამიჩუმი არ ისმოდა, ისინი, თითქოს გაოგნებულნი და
გაკვირვებულნი, უცნაური სიმშვიდით და უშფოთველობით
შეჰყურებდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს, თუმცა, როდესაც
შეატყვეს, რომ იმპერატორის კარგად განვრთნილმა
ჯარისკაცებმა მათი მიმართულებით დაიწყეს მოძრაობა,
გაუვალი კედელი შეკრეს და, როდესაც მრევლიდან ერთ-
ერთმა დაიძახა, – შეჩვენებულ იყოს იმპერატორი,
მწვალებელ გრიგოლთან ერთადო! – დაიწყო და რა
დაიწყო! – თითქოს ხმათა ერთიანმა ქუხილმა
კონსტანტინოპოლის მოციქულთა სახელობის ტაძარი
შეაზანზარა. მწვალებელი !!! მწვალებელი!
მწვალებელი! – სკანდირებდა ხალხი და ტაძრის
შესასვლელთან უფრო და უფრო ძლიერ ზღუდეს კრავდა.
ჯარისკაცები კი, იმპერატორის ბრძანებისამებრ, ტაძრის
შესასვლელისკენ ჯიქურ მიიწევდნენ. ტაძარში, თითქოს
გარეთ არც არაფერი ხდებოდა, ჩვეულებრივ
გრძელდებოდა საერთო ღმრთისმსახურება. ჯარისკაცები
კიდევ ერთხელ გადაჯგუფდნენ, გაიშალნენ, შეერთდნენ,
თითქოს სამკუთხედის ფორმა მიიღეს და სვლას უმატეს.
რაც უფრო უახლოვდებოდნენ ტაძრის შესასვლელს, მით
უფრო უჩქარებდნენ სვლას ისე, თითქოს მთელ უკანა რიგს
ჯარისკაცებისა, წინა რიგი ხელში ჰყავდა აყვანილი და
კოლოსალური ძალით, ხალხის მიმართულებით

მიაქროლებდა. წინა რიგის ჯარისკაცებმა ფარები ოდნავ გვერდულად გადახარეს, შეკრეს და არაადამიანური ძალის დარტყმა მიაყენეს შესასვლელში მდგარ მრევლს. თითქოს კლდე შუაზე გააპესო, ხალხი აქეთ-იქით მიმოიფანტა და თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, ჯარისკაცების დარჩენილი ნაწილი მივარდა შესასვლელთან და იმპერატორს უსაფრთხო კორიდორი გაუკეთა. იმპერატორმა, ვითომც არაფერი მომხდარაო, თავი ამაყად აწია, ხელში რაღაც ეტრათი გაშალა და ტაძრის შესასვლელისკენ გაემართა ისე, რომ პირად დაცვას კვლავ ალყაში ჰყავდა მოქცეული. ტაძარშიც ბევრი ხალხი იყო, დაჩოქილნი და თავჩაღუნულნი, მათ თითქოს არც კი შეუმჩნევიათ იმპერატორის სტუმრობა, ქრისტეს რაღაცას შესთხოვდნენ და ხმადაბლა გალობდნენ. მოხუცი ეპისკოპოსი საკურთხეველთან ზურგშექცევით იდგა, საკმეველს აკმევდა, პირჯვარს იწერდა და რაღაცას ბუტბუტებდა. წარმოშობით ესპანელი იმპერატორი თეოდოსი უცებ მიიჭრა, საკურთხეველზე პერგამენტი დადო, რომელზეც ნიკეის მრწამსი ეწერა და მოხუც ეპისკოპოსს დემოფილეს ხელის მოწერა მოსთხოვა. თან დაამატა, – სასწრაფოდ აღიარე ნიკეის კრება საჯაროდ ან ახლავე დატოვე კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის კათედრაო! ღირსეული ეპისკოპოსი დემოფილე ნელ-ნელა, ძალდაუტანებლად შემობრუნდა, ოდნავ დაფიქრდა, პირჯვარი გადაიწერა და ისე, რომ საკურთხეველისთვის არც დაუხედავს, იმპერატორს მიუგო: ეკლესია, რომელიც ქრისტემ დააფუძნა, სულისაა და არა ხორცისა. შენი ძალაუფლება, იმპერატორო, ვრცელდება ხორცზე და არა სულზე; შენი ძალაუფლება ვრცელდება ტაძარზე, როგორც ნაგებობაზე, და არა ეკლესიაზე, რომელიც ქრისტეს სხეულია, ამიტომ დამითმია შენთვის ეს ნაგებობა, ჩვენ კი ღმრთისმსახურებას ქალაქგარეთ გავაგრძელებთო. ეს

თქვა და ტაძრის გასასვლელისკენ გაემართა, მრევლი კი ტალღისებური სინქრონულობით, თითქოს წინასწარ იყო მომზადებულიო, ფეხზე დგებოდა და მოჰყვებოდა ეპისკოპოსს ისე, რომ ეპისკოპოსის ზურგი სამწყსოს სიმრავლით, დიდებით და მადლით ივსებოდა. ამ სცენის შემსწრე იმპერატორის ჯარისკაცებშიც კი გაიღვიძა განსაკუთრებულმა ჰეროიკულმა განცდებმა, მათ კორიდორი გაადიდეს და თავანულებმა გამოატარეს ნეტარი ეპისკოპოსი მრევლთან ერთად... დაბნეული იყო გრიგოლი, ველარ გაეგო, რა ექნა, რამდენ ხანს უნდა მჯდარიყო კარეტაში და, აი, რას ხედავს: ეპისკოპოსი დემოფილე, მრევლთან ერთად, მისკენ მოემართება. თავიდან ცოტა შეეშინდა, – ნეტა, იმპერატორს მისთვის დაცვის დატოვება ხომ არ გადაავიწყდა, მაგრამ, როდესაც კარეტიდან ოდნავ, შეუმჩნევლად გამოყო თავი, დარწმუნდა, რომ მას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა, – ჯარისკაცების ნაწილი, ფარებით და შუბებით, გარს ერტყა კარეტას. ახლა კვლავ ტაძრის შესასვლელისკენ გაიხედა გრიგოლმა, დამშვიდებულმა და საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებულმა, აკი, დიდი მიხვედრა არც სჭირდებოდა იმას, რომ იმპერატორმა ეპისკოპოსი დემოფილე ტაძრიდან გამოაძევა... უყურებდა მისკენ მომავალ ეპისკოპოსს, რომელიც საკმევლის კმევით მოუძღვოდა მრევლს და თან კარეტის ფარდებს თვალს არ აშორებდა. აქ გამოსცადა გრიგოლმა თავისი თავი: იგი, დიდი ჭკუისა და ნებისყოფის ნაზიანზელი ეპისკოპოსი, შეძლებდა თუ ვერა ფარდების გადაწევის და საკუთარი ქრისტესმიერი ძმისთვის თვალელებში შეხედვას?! გრიგოლის მოღვაწეობის მანძილზე არ ყოფილა ამაზე ამაღლებული წუთი, ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი შანსი იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რაც დღესაც აწუხებს ნებისმიერ ღვთისმოსავ ადამიანს – იმსახურებდა თუ არა გრიგოლი დიდი

კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსობას? ღრმა სულიერ განცდებში იყო გრიგოლი, არადა, დროც აღარ ჰქონდა, სასწრაფოდ უნდა მიეღო გადაწყვეტილება. იქნებ, არც იცოდა დემოფილემ, რომ იგი დახურულ კარეტაში იჯდა? მაშინ რატომ უყურებს ასე დაჟინებით კარეტის ფარდებს, რატომ მოაბიჯებს ასე მტკიცედ მისი მიმართულებით, თან საკმეველს აკმევს, ეს რას უნდა ნიშნავდეს? გრიგოლმა ფარდები გადაწია და აშკარად და ნათლად დააკვირდა ეპისკოპოსის სახეს. ეპისკოპოსიც თავდაუხრელად თვალებში უყურებდა გრიგოლს. არ დახარო სახე, გაუძელი, გაუძელიო, – იმეორებდა გრიგოლი, – უფალო იესო ქრისტე, მომეცი ძალნი, რადგან, რაც ახლა ხდება, ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. ამით მივხვდები, რომ ღირსი ვარ. იქნებ, ახლა ეპისკოპოსი დემოფილე ჩემი ხელდასხმის რიტუალს ატარებსო... და იგი მივიდა შესაძლებლობის უკანასკნელ ზღვართან და, აი, მან თავი უნდა დახაროს. თითქოს მიუხვდა ბრძენი ეპისკოპოსი და მრევლს ხელით ანიშნა რაღაც. ისინი მორჩილი ფარასავით ორად გაიყვნენ, გაარღვიეს იმპერატორის ჯარისკაცების კორიდორი; ზოგი მარჯვნივ წავიდა, ზოგიც მარცხნივ გაჰყვა ეპისკოპოსს და ახლა უკვე კარეტის მეორე მხარის ფარდებიდან ხედავდა გრიგოლი, სადღაც შორს, სივრცეში, კვლავ როგორ ერთიანდებოდა ხალხი ისე, რომ ჰორიზონტზე დასადნობად განწირული თოვლის გუნდა გეგონებოდა. გრიგოლი კარეტიდან გადმოვიდა და ზუსტად ის გზა განვლო, რაც დემოფილემ ცოტა ხნის წინათ გამოიარა და აი, შევიდა იგი პირდაპირ საკურთხეველსა ღმრთისასა, პირველი წირვაც ჩაატარა, მხოლოდ და მხოლოდ იმპერატორისა (რომელიც ღმერთს და ბიზანტიას ერთდროულად წარმოადგენდა) და ჯარისკაცების თანდასწრებით და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსადაც «ეკურთხა», როგორც იმპერატორს თავიდანვე ჰქონდა

განზრახული. ასე დაეპატრონა წმინდა გრიგოლი
ნაზიანზელი სხვის ეკლესიას.

ამ მოვლენების შემდეგ, აგერ, უკვე თითქმის 19 წელი
გავიდა, 70 წელს მიტანებული გრიგოლი, როგორც ხდება
ხოლმე, ისევ იმ ადგილს დაუბრუნდა, საიდანაც ქვეყანას
მოევლინა, – სოფელ არიანზს. მამისეულ პატარა სახლს
მიაშურა, რომელსაც გარს ხშირი და ჩრდილმრავალი ბაღი
ერთყა. იქ განმარტოვდა გრიგოლი, ყველასგან
მიტოვებული და ნალალატევი, კვლავ უღრმავდებოდა
წარსულს, მომავალი თაობებისთვის კი
საღმრთისმეტყველო შრომებს ქმნიდა, სადაც
ნეოპლატონიკოსთა (ამონიოს საკა, პლოტინი და სხვა) და
დიდი სტაგირელის ფილოსოფიის წანამძღვრებზე
დაყრდნობით, ახალ ორთოდოქსიას აყალიბებდა. მთელი
ცხოვრება იმის დასაბუთებას მოანდომა «ახალი
ნიკეელების» თვალსაჩინო წარმომადგენელმა, რომ «ძე
არსებითად მამის თანასწორია». ხვდებოდა, რომ ამით
პირდაპირ უპირისპირდებოდა მისი და ბასილის უდიდესი
მასწავლებლის, ორიგენეს სუბორდინიზმს და ასევე ყველა
სწავლულ და აღმოსავლეთის ეკლესიის მნათობად
აღიარებულ წმინდა მამას, რომლებიც მამის ძეზე
უწინარეს და დაუსაბამოდ მყოფობას აღიარებდნენ. თუმცა,
მას არ შეეძლო ავტორიტეტებს დაჰყრდნობოდა. აკი,
ბასილთან ერთად თავად უნდა გადაქცეულიყო ყველაზე
დიდ ავტორიტეტად!.. ფიქრობდა ქრისტეს ბუნებაზეც,
თუმცა ვერ შეძლო, ამ საკითხში ბოლომდე
თანმიმდევრული ყოფილიყო... როგორაა შესაძლებელი,
შემოქმედი ქმნილება გამხდარიყო? ამის დაშვება ხომ
ორივეს ბუნებას ეწინააღმდეგება, – ქმნილებისაც და
შემქმნელისაც. ალბათ, აქ რჩება ადგილი რწმენისთვის,
უფალი ყველაფერს თავის დროზე გაგვიმჟღავნებსო,

იმშვიდებდა თავს გრიგოლი და ყველანაირად ცდილობდა, გაჰქცეოდა აზრს, რომელიც კარგა ხანს აწამებდა, – ვაიმე, ხომ არ ვცდები ჩემს შეხედულებებშიო? ამ აზრის დაშვებას გაუბობდა გრიგოლი და იწყებდა გამოსავლის ძიებაზე ფიქრს ისეთი არაბიბლიური, ფილოსოფიური ტერმინების გააზრებით, როგორც არის: «ჰიპოსტასი», «ერთარსი», «ღვთაებრივი ბუნება» და ა. შ. თუმცა ამ ძიებას კვლავ ეჭვებთან მიჰყავდა და იხსენებდა წმინდანად შერაცხული ლუკიანეს «ფორმულას», – იქნებ, ეს იყო მართალი და ჩვენ, ალექსანდრიელებს, ანტიოქიელებთან დაპირისპირებაში მეორე უკიდურესობა დაგვემართაო... თითქოს თავის თავს ეპაექრებო, ნაშრომების წერაში ცდილობდა გრიგოლი ეჭვების ჩაკვლას, ეჭვების, რომლებიც განსაკუთრებით მაშინ უმძაფრდებოდა, როდესაც იგონებდა ავადსახსენებელ კონსტანტინოპოლში იმპერატორის და მისი ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო კრებას, სადაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა და გაიმარჯვა ფორმულამ, რომელსაც მოგვიანებით «ნიკეა-კონსტანტინოპოლის სიმბოლო» ეწოდა. რა ადვილად მოატყუა და უღალატა მართლმადიდებელმა იმპერატორმა, თეოდოსი დიდმა, რომელმაც ასე ტრიუმფით შეაბრძანა კონსტანტინოპოლის ტაძარში, იქიდან ეპისკოპოსი გამოაძევა და მის ტახტზეც ააბრძანა... თან რა დროს, – როდესაც იგი კრებას თავმჯდომარეობდა. ეჰ, რატომ არ მყავდი გვერდით, ჩემო დიდო მეგობარო, რამდენ განსაცდელს ავაცილებდით ქრისტეს ეკლესიას, რა ნაადრევად დამტოვე და შემატოვე მტაცებელ მგლებს, რომლებიც სამწყსოს არ ინდობენ. გვერდით რომ მყოლოდი, როგორ გაბედავდა შენი უმცროსი ძმა გრიგოლ ნოსელი ასე მომქცეოდა. კრებაზე სიტყვით გამოვიდა და ალექსანდრიის მიმართ ღალატში და მტრულ დამოკიდებულებაში დამადანაშაულა. უბედურება ის არის, რომ ამ გამოხდომას აჰყვა

ალექსანდრიის ეკლესია, – შენ ცდილობ, დიპტიქში კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს განსაკუთრებული ადგილი მოუპოვო რომის შემდეგ და ამით ჩვენი ღვანლის უგულებელყოფა და დაჩრდილვა გინდაო! – მთელი რომი და ალექსანდრია ამიმხედრდა მაშინ. რა იყო ეს, თუ არა ბრძოლა ძალაუფლებისთვის?! საკითხი ასე დააყენეს: მოდით, განვიხილოთ, როგორ იქნა არჩეული გრიგოლი ნაზიანზელი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად და ეპისკოპოსის არჩევის წესიც განვსაზღვროთ. ბრალდება ორ საკითხს მოიცავდა: 1. მე ვიყავი სასიმას მოქმედი ეპისკოპოსი და 2. ეპისკოპოსთა თანხმობის გარეშე, იმპერატორის მიერ დანიშნული. ყველანაირად ვენინააღმდეგებოდი ამ საკითხის განხილვას, ვფიქრობდი, რომ ამ თემის წინ წამოწევა ეკლესიას მხოლოდ ვნებას მოუტანდა, მაგრამ უმრავლესობამ იმარჯვა და მიიღეს კონსტანტინოპოლის კრების მე-4 კანონი, რომელმაც ეპისკოპოსად ჩემს მსახურებას წერტილი დაუსვა. იმპერატორი თეოდოსი კი, რომელიც მანამდე ძმურ ქრისტესმიერ სიყვარულს მეფიცებოდა, სასწრაფოდ დათანხმდა მიღებულ დადგენილებას და კათედრა დამატოვებინა. მეც, რა გზა მექონდა, ასეთი სიტყვით მივმართე კრებას: «ქრისტეს ეკლესიის მწყემსნო! არ გმართებთ კამათი ჩემ გამო, რადგანაც უკეთესი როდი ვარ იონა წინასწარმეტყველზე. გადამაგდეთ მე ზღვაში, ოღონდ კი თქვენს შორის მშვიდობა სუფევდეს!». ზღვაში გადამაგდეს, როგორც იონა, თუმცა მგონია, რომ ეს ხალხი უფრო ვეშაპს ჰგავდა, რომელმაც იონა გადაყლაპა... და მივატოვე კათედრა და კრებაც დავტოვე... ჩემო განუყრელო მეგობარო, ძვირფასო ძმაო ბასილი, დადგა გადამწყვეტი წუთი: ან მომავლისთვის უნდა შევინახოთ ჩვენი წმინდა დოგმატი, ან კიდევ იგი განხეთქილებისაგან უნდა დაეცეს. დაე, გაიმარჯვონ ჩვენზე მცირედში, რათა

ჩვენ თვითონ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვოთ, გადავრჩეთ ღმრთისთვის და გადავარჩინოთ სამყარო... ყველა გამარჯვებას როდი მოაქვს დიდება. კეთილად მოკლება კი უმეტესია ცუდად შეძენაზე! საბოლოოდ მაინც უნდა დავივიწყოთ ის, რაც დროებითია, იმის სასარგებლოდ, რაც მარადიულია. პირადი წყენა გვერდზე გადავდოთ და თავანულებმა, ყველას გასაგონად ვთქვათ, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ! მრწამსმა, რომელიც სულს ღაფავდა აღმოსავლეთში და რომელსაც ჩვენ ვიცავდით, გაიმარჯვა, – ეს დედა ეკლესიის გამარჯვებაა! ახლა, ასე მიტოვებული, მარტოდმარტო, ჭეშმარიტების სულში ჩაძირული, სრულ ჭვრეტაში დანთქმული, განღვთობამდე ამაღლებული, მშვიდად წამოვალ შენთან, დაღლილი და დაბერებული, უფალ იესოს სასუფევლის წიაღსა შინა...

და აი, კვდებოდა წმინდა გრიგოლი იმ კანონებთან და წესებთან სრულ შესაბამისობაში, რაც ჯერ კიდევ დღიდან ადამის შეცოდებისა ეუნყება დათრგუნვილ კაცობრიობას და რომლის შინაარსიც რამდენიმე სიტყვით ასე გამოიხატება: რა ილუზიებითაც უნდა კვებოთ გონება, სიკვდილი მაინც, თავისი სიდიადით, საშინლად და შემადრწუნებლად ძნელი რამაა! თუმცა, გრიგოლი რჩეულობის შეგნებას არასდროს მიუტოვებია, ის კი არა, დაჰქროდა იგი აპოლონთან ერთად პოეტური ლიცენციის სრულ სისავსეში. პარნასზეც არაერთხელ შედგა ფეხი, ალბათ, ორგანიზმმა დიდი რაოდენობით ენდორფინის გამოყოფაც დაიწყო; სპერმის უკანასკნელი წვეთებიც დაიძრა სხეულის მისატოვებლად. ასე ხდება სიკვდილის წინ, – ყველა და ყველაფერი გტოვებს, რაც უდიდესი ბედნიერებაა. იძირები განწმენდილ სხეულში და თავისუფლდები განავალისაგან, შარდისაგან, სურვილებისაგან, დარდისაგან, მეგობრებისაგან,

სინდისისაგან და სპერმისგანაც კი... – უკანასკნელი აკორდი, დამაგვირგვინებელი კაიფი სიკვდილის წამს!.. მაგრამ, როგორც სხეულში ეკალი, რომელიც თავს გახსენებს და მუდმივად გაშხამებს ნეტარებას, ასე არ ასვენებდა მის სულს დაუკმაყოფილებლობის და ეჭვის გრძნობა. სიკვდილის წუთებშიც კი პარნასიდან არაერთხელ დაენარცხა დედამიწაზე, თითქოს რაღაცა აზრი სულის სხეულთან გაყრას აფერხებდა, კვლავ მწარე რეალობაში აბრუნებდა და სიკვდილს დევნიდა მისი მკვდარი სხეულიდან... რა იყო ეს ეჭვი, ეს ეკალი? – ეკალი იყო ბასილი დიდი, რომელიც უჩინარი აისბერგით მოულოდნელად ამოსრიალდა მისი ქვეცნობიერის ბნელი წიალიდან და გაფართოვდა, გაფართოვდა და მთლიანად მოედო მის ტვინში დარჩენილ ფრაგმენტულად მიმობნეულ სასიცოცხლო იმპულსებით ჯერ კიდევ მფეთქავ ნაწილს. ო, რა შემზარავად გააცნობიერა დედამისი ნონას მიერ, მისი რჩეულობის შესახებ ბავშვობაში მოყოლილი ზღაპრების სრული უაზრობა. მისმა მეგობარმა სიკვდილის სარეცელზეც კი შეძლო სასწაულის მოხდენა და კიდევ ერთი წარსაწყმენდად განწირული სულის გადარჩენა. მას კი, გრიგოლს, არათუ არავინ გადაურჩენია, ერთი სასწაულიც არ მოუხდენია თავისი რელიგიური მოღვაწეობის განმავლობაში. განა შეიძლება წმინდანმა, ღმრთისმეტყველმა, ეპისკოპოსმა ერთი სასწაულის მოხდენაც კი ვერ შეძლოს?! ბასილმა სიცოცხლეში ყველაფერში გადააჭარბა და ახლა სიკვდილიც კი ვერ ათანაბრებდა მათი მოღვაწეობის მნიშვნელობას. მხოლოდ ხალხის ლეგენდებზე და თქმულებებზეა ჩემი მომავალი ჩამოკიდებულიო. ვიცი, ათასი ცრუმორწმუნე უამრავ ლეგენდას შეთხზავს, ახალ რეალობას შექმნის ჩემ შესახებ. ნუთუ მხოლოდ ეს არის ჩვენი სულიერი მოღვაწეობის მთავარი მიღწევა, რომ ჩვენი

ყოფნა-არყოფნა რამდენიმე ბრიყვის მოშლილ ფანტაზიებზე იყოს დამოკიდებულიო? ნუთუ ასე დაუნდობლად გადაყლაპა ბასილმა გრიგოლი? ჯერ მაშინ არ დაინდო, როდესაც იძულებით დაასხა ხელი სასიმას ეპისკოპოსის ტახტზე, პირადი მიზნებისთვის გამოიყენა, რამაც საბოლოოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტახტი დააკარგვინა და ავტორიტეტიც გვარიანად შეურყია. ახლა კი, სიკვდილის შემდეგაც უნდა შთანთქას, გაანეიტრალოს მისი მოღვაწეობის სიდიადე, არად აქციოს მისი ღმრთისმეტყველება და, როგორც მამამისი გრიგოლი, რომელმაც ძალით აკურთხა მღვდლად, შემორჩება ისტორიას შვილის წყალობით, ასევე უნდა შემორჩეს ისიც ისტორიას, ბასილთან მეგობრობის წყალობით. შემდეგ შეეცდებიან, მეგობრები ჭკუით, ზნეობით და სარწმუნოებით ერთმანეთს გაუთანაბრონ, – «კაბადოკიელ მამებს» შეარქმევენ ან რაღაც ასეთს. აბა, ბასილს თავს ხომ არ მოჭრიან, აკი, რამდენჯერმე ისიც და მეც შევცდით მეგობრების არჩევაში... და შეთხზავენ მასზეც (გრიგოლზე) ათასგვარ ლეგენდას და ზღაპარს, ისეთებს, როგორსაც დედამისი თხზავდა ხოლმე რჩეულობაში დასარწმუნებლად. და გამოკეტავენ და ამოხუთავენ და ამოახრჩობენ მის ხსოვნას შეთხზული ადამიანის ჩრდილში, რომელსაც სახელს იმავეს დაუტოვებენ – წმინდა გრიგოლი დიდი, ნაზიანზელი! მომანერენ ათას «სიბრძნეს» და უამრავ სასწაულს, სულების და სხეულების განკურნების უნარს და მილიონები დაიჯერებენ ამ სიცრუეს... და ვარ ასე მიტოვებული, მარტოდმარტო ვკვდები მამაჩემისეულ სახლში, ბასილის ჩრდილში გამოკეტილი, მომავალში კი ბრბოს მიერ აბუჩად ასაგდებად განწირული. ამ ფიქრებში დანთქმული გრიგოლი სიკვდილს ვერ ახერხებდა და ახალ-ახალი მოგონებით ივსებოდა, რაც კიდევ უფრო აწამებდა მის

გატანჯულ გრძნობას და გონებას. ის კი არა, მოაგონდა: ერთხელ მისმა მეგობარმა ბასილმა, სასიმას ეპისკოპოსად კურთხევიდან რამდენიმე დღეში, გაბრაზებულ გრიგოლს ნაზიანზში ყმანვილკაცი ჩაუყვანა, რომელიც ყრუ-მუნჯი აღმოჩნდა, – შენი მოსმენა სწადიაო. – ის არ მეყოფა, რა წყენაც მომაყენე, გული მომიკალი, ახლა დამცინი კიდეც. ყრუ-მუნჯმა, რომელსაც სასმენელნი უფალმა დაუბოძო, ჩემი მოსმენა როგორ უნდა შეძლოსო, – გაგულისდა გრიგოლი. ეს ყმანვილი ანტიოქიაში, ტაძრის შესასვლელთან დაჩოქილი აღმოვაჩინეო, – მიუგო ბასილმა და განაგრძო, – სანამ აღმოვაჩინდი, ხილვა მქონდა: უფლის ანგელოსი გამომეცხადა და მითხრა, – მიხვალ ტაძარში, იქ ყმანვილკაცი დაგხვდება, მუხლებზე დაჩოქილი, წლებია უკვე ასე შემოგვღალადებს, ბაგე და სასმენელნი დახშული აქვს დედის მუცლიდან. დედამინაზე მისებრ დიდი რწმენა ვერსად ვპოვეთ, ვერც შენში, მხოლოდ ერთია, ვისაც ამის განკურნება შეუძლია, – ასეთივე დიდი რწმენით გამორჩეული, სიბრძნის მოყვარე გრიგოლი. წაიყვანე ნაზიანზში და წადი. ეს ყმანვილი, ჩვენი რჩეული, გრიგოლივით დიადი საქმეებისთვის მოწოდებული, ჯერ ტაძარში მკითხველი იქნება, მერე მქადაგებელი და მწყემსმთავარი გახდებაო. მივხვდი, რომ საქმე სერიოზულად იყო, – განაგრძობდა ბასილი. – აბა, სად გაგონილა, ანგელოსს უბრალო მოკვდავთან ამდენი ელაპარაკა და ასე უხვად მოეყოლებინა ახსნა-განმარტებები. მეც სასწრაფოდ მივედი ანტიოქიის ტაძართან. ხელი შევახე თუ არა, არც შემოუხედავს, თავდახრილი დასაკლავი ცხვარივით წამომყვა, თითქოს ვილაცას წინასწარ ჰყოლოდეს გაფრთხილებული და, აი, შენთან მოვიყვანე. მჯერა, შენს ქადაგებებს მოისმენს და აქედან ისე წავა. შენ, ერთადერთს შეგწევს ამის ძალა, როგორც ანგელოზმაც მითხრა. მოგეხსენება, ანგელოზს

სიცრუის თქმა არხელენიფებაო. დაუტოვა ბასილმა
ყმანვილკაცი და პონტოში დაბრუნდა, – ასე, ორმოც დღეში
დავბრუნდებიო... რა გზა ჰქონდა გრიგოლს, ახლაც ის
აირჩიეს და უფალს უარს ხომ ვერ ეტყოდა? თან,
ცხოვრებაში პირველად, ბასილზე უპირატესობის
მოპოვების შანსი მიეცა. ყმანვილკაცთან ერთად
იჩოქებდა, ლოცულობდა, ფსალმუნებს კითხულობდა,
ბაგებზე ბაგით ეხებოდა, ხოლო ყურებზე ხელებს ადებდა,
მაგრამ შედეგი თვალსაჩინო არ იყო. თუმცა, უნდა ითქვას,
რომ რწმენა არ დაუკარგავს. ის კი არა, დღიდან დღემდე
ემატებოდა დარწმუნება იმაში, რომ ყმანვილს
განკურნავდა. აკი უფალმა წინასწარ გაამჟღავნა თავისი
განზრახულობა... და აი, ორი კვირის თავზე დადგა ნანატრი
და გარდაუვალი დღეც, – ყმანვილკაცმა პირველი
სინქრონული და თანმიმდევრული ბგერებიც გამოთქვა!
მართლაც საოცრება იყო ეს სასწაული! როგორც ზოგადად
სასწაულებს ახასიათებს, სწრაფად და სპონტანურად კი არ
მომხდარა, ნელ-ნელა, დიდი შრომისა და ლოცვის
წყალობით ვითარდებოდა ისე, როგორც ბავშვი სწავლობს
ლაპარაკს... მესამე კვირის თავზე ბიჭი სრულად
ამეტყველდა. ის კი არა, ისეთ ბრძნულ აზრებს აფრქვევდა,
გრიგოლი გაოგნებისაგან კინალამ თავად დამუნჯდა. ბიჭი,
ჩამოყვანიდან ოთხი კვირის თავზე, გამართულ ქრისტიან
მქადაგებლად გადაიქცა. ცოტაც და, ათენური
მჭევრმეტყველების კორიფეებს გადაასწრებდა. მართლაც,
რა დიდებული ხარ, უფალო ჩვენო, იესო ქრისტე, რაოდენ
მიუკვლეველი არიან გზანი შენნი და რა გამჭვირვალე და
წმინდაა შენი განგებულება და მადლის
ყოვლისშემძლეობა! – იმეორებდა გრიგოლი, ჯერ ჩუმად,
მერე ხმამაღლა, ბოლოს ყმანვილიც აჰყვა და ახლა უკვე
ერთად განადიდებდნენ უფალს სიტყვითაც და საქმითაც.
ზუსტად მეორმოცე დღეს ბასილიც დაბრუნდა და ბიჭს

უკვე, არა უბრალოდ სასმენელნი ჰქონდა განხმულნი, არამედ ღმრთისმეტყველებაშიც დახელოვნებულიყო. ღმერთს მადლობა შესწირა, მეგობარს გადაეხვია, დაკოცნა და ყმანვილკაცთან ერთად ანტიოქიაში გაემგზავრა. ამ შემთხვევის მერე გრიგოლს წყენამ დიდი ხნის მანძილზე გადაუარა, საკუთარ შესაძლებლობებშიც განმტკიცდა და ღვთივრჩეულობაც თითქოს საბოლოოდ დაიჭერა. ახლა მიხვდა, სიკვდილის სარეცელზე გააცნობიერა, რაც მოხდა სინამდვილეში. დრო რომ გადიოდა, ანტიოქიიდან ხმები აღწევდა ბიჭის საოცარი ნიჭიერების შესახებ, მისი გონების გაფურჩქვნისა გრიგოლთან განსწავლის შემდეგ. აკი, არცერთ ანტიოქიელს აზრადაც არასდროს მოსვლია, გრიგოლისთვის ეთქვა, ეს რა სასწაულებრივი განკურნება მოახდინე, რა ბიჭი აჩუქე ანტიოქიის ეკლესიასო. სასწაულს არავინ ახსენებდა, მხოლოდ ღმრთისმეტყველებაში განსწავლაზე და მჭევრმეტყველებაზე აკეთებდნენ აქცენტს. ის კი არა, მაშინ ყურადღება არც მიუქცევია, ერთმა ანტიოქიელმა ქრისტიანმა პილიგრიმმა როგორ უთხრა, – ყმანვილი იოანე, სანამ შენთან განისწავლებოდა, ფოლადის ბაგენი ჰქონდა, იქიდან გადმომავალი, გულის განმამტკიცებელი, რკინის სიტყვებით ნაჭედი. ხოლო შენთან სტუმრობის შემდეგ ოქროს პირი გაუხდა, სულის აღმაფრთოვანებელი, ვერცხლის სიტყვებით მოვარაყებულყო... როგორ ვერ მიხვდა მაშინ ალექსანდრიის სკოლის წარმომადგენელი ამ ალეგორიული შეფასების მნიშვნელობას. ბასილმა მაშინაც გააცურა. ვითომ მისი გულის მოგება სცადა, სასწაულის სცენა რომ გაათამაშა. რა ბრიყვულად და უგუნურად დააბრმავა ნონასგან ჩანერგილმა რჩეულობის ამპარტავნულმა იდეამ?! ახლა კი ხვდება, ახლა ხვდება ყოველივეს გრიგოლი, მაგრამ რაღა დროსია, ყველაფერმა გაიარა, ჩაიარა მისმა ცხოვრებამ. მომავალი კი

ოქროსბაგიანი ახალგაზრდებისაა, სწორედ მათ მიერ შეთხზულმა ლეგენდებმა უნდა გადაარჩინოს გრიგოლის ხსოვნა. ისინი თავიანთი მჭევრმეტყველებით, ფერიულად მოქარგულ-მოოჭვილი სიტყვა-თქმანით გადაარჩენენ გრიგოლებს, რომლებიც არასდროს გამოელევა ეკლესიას. რას იზამს გრიგოლი, უნდა შეეგუოს მარადიულ გახვევას სიცრუის საბურველში. ეკლესიის გულისთვის ღირს, ნამდვილად ღირს, ის ხომ ქრისტეს მისტიკური სხეულია. მერე რა, რომ ზეცაში სხვა გრიგოლი ავა, დედამინაზე კი სხვა დარჩება, განა ჩვენ მუდმივ ცვლილებას არ განვიცდით? განა ერთი წუთის წინათ ვინც ვიყავით, ერთი წუთის შემდეგაც იგივენი ვართ? ხომ შეიძლებოდა, სხვანაირები ვყოფილიყავით? განა ხსოვნა, თავისი არსით, წარმავალი და მოძრავი არაა? ჰოდა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვიყავი, მთავარია, ვინ ვიქნები! მეგონა, ერთი სასწაული მაინც მქონდა მოხდენილი, არც ეს აღმოჩნდა მართალი. წმინდანად ქცევის უკანასკნელი შანსიც კი დაკარგულია. ჩემი სხეული, გაციებული არც ვიქნები, ხრწნას რომ დაიწყებს, საშინელ მყრალ სუნს გამოუშვებს. აი, ბასილმა კი სიკვდილის სარეცელზეც შეძლო სასწაულის მოხდენა. ცოტა ხნის წინათ საფლავიდანაც აღმოუყვანებიათ და სხვაგან გადაუსვენებიათ. ამბობენ, სხეული ისეთივე იყო, როგორც სიკვდილის დღესო: ფერმკრთალი, გაყვითლებული სახე, გრძელი წვერი და მარადიული მეღანქოლია სახეზე აღბეჭდილი... მკვდარსაც კი სასწაული მოუხდენია. კეთროვანთათვის შეხების ნება დაურთავთ, აკი, უყვარდა ძალიან კეთროვნები, უვლიდა, ეფერებოდა... და ყველა განწმენდილა და განკურნებულა... განკურნებულან კი? იქნებ, ბასილმაც ისეთივე სასწაულები მოახდინა, როგორიც მე იმ ერთხელ? უფალო, არ განსაჯო მკაცრი სამართლიანობით შენი მსახურნი, არამედ მოეფერე მათ. მოგვეფერე შენი გულმონყალებით და

მიგვიღე წმინდა სასუფევლის ნეტარების წიაღსა შინა!.. ეს რომ გაიფიქრა გრიგოლმა, ეგონა, მოვკვდიო, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სურვილი რეალობას არ დაემთხვა, – იგი კვლავ ცოცხალი იყო, უფრო სწორად, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნასთან მყოფი. მაინც როდის ითვლება ადამიანი გარდაცვლილად? – როცა ტვინი საბოლოოდ წყვეტს ფუნქციონირებას თუ როდესაც იგი უფალს ხედავს? გრიგოლი უფალს ხედავდა და ბასილსაც, უფლის ფერხითი მჯდომარეს, შარავანდედით მოსილს. უახლოვდებოდა გრიგოლი ბასილს, ხელები ჰქონდა მისკენ გაშვებული და გრძნობდა, რომ სიყვარულის უდიდესი ძალა მიაქანებდა უკიდევანო, უწონად სივრცეში და, აი, წინასწარმეტყველებაც გაქრა, ცოდნაც დასრულდა, რწმენას საფუძველი გამოეცალა, იმედმა ფასი დაკარგა, დარჩა გრიგოლი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იყო მასში სიყვარული და სიყვარულში – გრიგოლი. სიყვარულში, რომელიც ზეადამიანური ძალით, კოსმიური სისწრაფით ღვთისკენ, მეგობრისკენ და იმ რალაც გაურკვეველი შავი წერტილისკენ მიაქროლებდა, რომელიც მიახლოებასთან ერთად მის თვალწინ უსასრულოდ იშლებოდა, ფართოვდებოდა და ყველაფერს თვალისმომჭრელ სითეთრეში ახვევდა... და შეერწყა გრიგოლი რძისფრად აელვარებულ გაუმჭვირვალე ეთერს, – რა მოსატანია მზის სინათლე ამ დიდებულ, ღვთაებრივ, წმინდა ნათელთან!.. და აი, სპერმის უკანასკნელმა წვეთმაც დატოვა მისი სხეული.

P. S. და მაინც, სად იყო და რას აკეთებდა სატანა მთელი ამ დროის განმავლობაში? ღმერთზე ბევრი გველაპარაკა, ეშმაზე კი კრინტიც არ დაუძრავს გრიგოლ ღვთისმეტყველს. სამწუხაროდ, ჩვენ მოგვიწევს ამ რიტორიკულ კითხვაზე გულში პასუხის გაცემა...

დანართი. განმარტებები:

1. ეკლესია – მორწმუნეების კრებული, რომელიც დღეს უგემოვნოდ ნაგები შენობები ჰგონიათ.

2. ბიზანტიის წმინდა იმპერატორები – ღმერთები დედამიწაზე.

3. იმპერატორი თეოდოსი – ეს ის თეოდოსია, რომელმაც მოგვიანებით ალექსანდრიის პატრიარქ თეოფილეს უფლება მისცა, გაენადგურებინა ალექსანდრიის უდიდესი ბიბლიოთეკა, რომელშიც, მართლმადიდებლობისთვის დამღუპველი ნაშრომები ინახებოდა. წმინდა თეოფილე კი ის პატრიარქია, რომელმაც 403 წელს მოწვეულ სინოდზე, თავის ძმისშვილთან, წმინდა კირილე ალექსანდრიელთან ერთად წმინდა იოანე ოქროპირი დააგმობინა და გადაასახლებინა.

4. ბიბლიოთეკა – წარსაწყმენდელი, საზიზღარი რამ.

5. მართლმადიდებლობა – მითვისებული სახელწოდება, რომლითაც არიანელებიც სარგებლობდნენ. ყველა რელიგია იჩემებს...

6. წმინდა – ტერმინი, რომელიც მხოლოდ ღმერთს მიემართება.

წ მ ი ნ დ ა ნ ე ბ ი – ხალხი, რომელიც ღვთის დიდებას ეპოტინება და მათ ეკლესია ეთანხმება.

7. წმინდა თეოფილე ალექსანდრიელი – აგრესიული ეპისკოპოსი. ბიბლიოთეკების და იოანე ოქროპირის დაუძინებელი მტერი.

8. წმინდა კირილე ალექსანდრიელი – არსებითად ბიძამის თეოფილესნაირი. ცოტა უფრო განვითარებული.

9. წმინდა იოანე ოქროპირი – კაცი, რომელსაც ლაპარაკი ძლიერ უყვარდა, რის გამოც საქართველოში გადმოასახლეს (სასჯელიც ამას ჰქვია!).
10. ეპისკოპოსი დემოფილე – არიანელი, რაც იმას ნიშნავს, რომ 325 წელს ჩატარებულ ნიკეის კრებას და ქრისტეს უზენაეს ღმერთობას არ აღიარებდა. ბევრი აქებს.
11. ნიკეის საეკლესიო კრება – ადგილი, სადაც იმპერატორ კონსტანტინეს და იესო ქრისტეს უსამართლოდ მიანიჭეს ყოვლისშემძლე ღმერთის სტატუსი.
12. გრიგოლი ღმრთისმეტყველი (ნაზიანზელი) – «კაბადოკიელი მამა», დიდი მნათობი, რომლის სიკაშკაშემაც, აგერ უკვე 1600 წელია, დააბრმავა ეკლესია, რათა არ ებრწყინა მისთვის სახარებისეულ ნათელს. პრინციპში, ეს ადამიანია ამ მოთხრობის მთავარი გმირი.
13. ბასილი დიდი (კესარიელი) – იხ. გრიგოლი ღმრთისმეტყველი (ნაზიანზელი).
14. პოლიტიკური მიზნები – ის, რითიც ხელმძღვანელობს ეკლესია ა. წ. აღ. 313 წლიდან დღემდე.
15. ტაძრის გზა – იხ. ფილმი «მონანიება».
16. ნონა და გრიგოლი – გრიგოლი ღმრთისმეტყველის ფანატიკოსი მშობლები.
17. წარმართი – დამამცირებელი ტერმინი.
18. ლეგენდები და სასწაულები – ის, რასაც მარტიროლოგი (იხ. ლექსიკონი) ეფუძნება.
19. გამოცხადება – ის, რასაც ვერასდროს გადაამოწმებ. ჯობს გჯეროდეს.
20. ანგელოსი – ვინც გვეცხადება.

21. ფსალმუნი – პოეზია, რომელიც ღმერთს განადიდებს.
22. ბიბლია – წიგნი, რომლის გავრცელებასაც საუკუნეების განმავლობაში ხელს უშლიდა ეკლესია და არც ახლაა მაინცდამაინც ბედნიერი მისი გავრცელებით.
23. სალოსი – იგივე სულელი. ადამიანი, რომელიც ქრისტესთვის რატომღაც თავს იგიჟიანებს («თუ სრულყოფილად ასრულებ გიჟის როლს, ე. ი. გიჟი ხარ!» – ჟან ბოდრიარი).
24. ნათლობა – ის, რაც ბავშვებისთვის არ შეიძლება.
25. დიაკვანი – ადამიანი, რომელიც მღვდლობაზე ოცნებობს.
26. ღიმილი – ცინიზმის ერთ-ერთი სახეობა.
27. დაჩოქვა – ქრისტიანი ქალბატონების საყვარელი პოზა. მოჩვენებითი თავმდაბლობა.
28. მღვდელი – ადამიანი, რომელიც ეპისკოპოსობაზე ოცნებობს.
29. ღამე – დღის მისტიკური პერიოდი, როდესაც განსაკუთრებულად სწამთ ღმერთი. საპირისპიროა – დილა.
30. მცირედმორწმუნეობა – იგივეა, რაც საღი აზრი.
31. შენდობა – ლამაზი სიტყვა.
32. რჩეულობა – აკვიატება.
33. წინასწარმეტყველი – ადამიანი, რომელიც ხშირად ნახულობს შთამბეჭდავ სიზმრებს.
34. შვილი – პირობითი სახელწოდება. თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალება.

35. ლოცვა – მდგომარეობა, როდესაც სხვა გზა აღარ გაქვს.
36. ღვთისმსახურება – რიტუალი, როდესაც გგონია, რომ ღმერთს ემსახურები.
37. დედათა წესი – იხ. წიგნ ლევიაანის მე-12 თავი.
38. ურწმუნოება – დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე.
39. ბუნების კანონები – შეჩვევა აღქმის ტყუილებთან.
40. ღვთის განგებულება – შეეკითხეთ მღვდელს.
41. აღთქმა – ემოციური დაპირება, რომელიც არასდროს უნდა დადო.
42. ტახტი – ადგილი, რომელიც არასდროს არის ცარიელი.
43. სასუფეველი – თავმდაბლობით მოამაყეთა საოცნებო ადგილი.
44. კურთხევა – იგივეა, რაც თვალთმაქცობა.
45. ღმრთისმეტყველება – უსაქმურთა და ყბედთა თავშესაფარი.
46. კონსტანტინოპოლი – ქალაქი, სადაც სატანამ მინიმუმ სამჯერ გაიმარჯვა.
47. მსოფლმხედველობა – სუბიექტურის ობიექტივიზაციის ჯიუტი მცდელობა.
48. ფანატიზმი – ერთობ მარტივი და სასიამოვნო რამ. იწვევს დამოკიდებულებას.
49. ათანასე დიდი – ღვთისმეტყველების ოხუნჯი.
50. მონასტერი – უსაქმურობით დაკავდი და ყველა საქმე შენთან მოვა.

51. ჭეშმარიტება – ეკლესიის საფირმო ნიშანი.
52. სამება – ანტინომიურ-პარადოქსული მოძღვრება რიცხვებზე.
53. დოგმატი – ჩვენს მაგივრად ნაფიქრი და გადაწყვეტილი ჩვენი ფიქრი და გადაწყვეტილება.
54. ფილოსოფია – წარმართული ჩირაღდანი ქრისტიანი თეოლოგების ხელში. ბევრ უსწავლელს გაარეკინა, მაგ. გრიგოლ ნოსელს.
55. ელინური ტერმინოლოგია – ქრისტეს მოძღვრების დამახინჯების გამართლება.
56. არსი და ჰიპოსტასი – არაქრისტიანული ტერმინოლოგია.
57. საბელიოსი – მწვალებელი, რომლის ძირითადი იდეაც ეკლესიამ მიიღო.
58. ევსევი კესარიელი – დახვეწილი, ღრმად განსწავლული ისტორიკოსი. რა თქმა უნდა, დაგმობილი და გადასახლებული ეკლესიის მიერ.
59. ეპისკოპოსი – ადამიანი, რომელიც პატრიარქობაზე ოცნებობს.
60. ემილია და ბასილი – ბასილი დიდის მშობლები. იხ. ზემოთ – ნონა და გრიგოლი.
61. მაკრინე – წმინდა ბასილის წმინდა და. 7 წმინდანი ერთი ოჯახიდან. იხ. წმინდანები.
62. გარდაცვალება – კარგი რამ.
63. ათენის აკადემია – სახარებისეული ჭეშმარიტების გილიოტინა.

64. დაცინვა – ძირითადი თეოლოგიური კატეგორია.
65. პლატონი – ქრისტესმიერი ძმა ეკლესიისა. ეკლესიის ფაქტობრივი დამაარსებელი.
66. ქართველები – დიდებული ერი!
67. სომხები – სამარცხვინო ხალხი!
68. ბერძნები – კარგი ხალხი. მართლმადიდებლები.
69. იოსებ ფლავიუსი – ადამიანი, რომელიც, რასაც გვინდა, იმას წერს.
70. კაბადოკიელები – იგივე მესხები და პირიქით.
71. მარიამი – ქრისტესა და საქართველოს მშობელი დედა.
72. სოფისტიკა – პატრისტიკის (იხ. ლექსიკონი) ფუძე.
73. სადუკევლები – დაახლოებით იგივეა, რაც თანამედროვე მღვდლები.
74. კამათი – ტაძარი, სადაც ღოცულობდა ყველა წმინდა მამა.
75. მოჩვენებითი სიკეთე – იხ. პლატონის სახელმწიფო.
76. ჰუმორი – ის, რაც ცხოველისგან განგვასხვავებს.
77. დიდება – ეპისკოპოსების საყვარელი სიტყვა.
78. გრიგოლი ნოსელი – ბასილი დიდთან და გრიგოლი ღმრთისმეტყველთან ერთად (ჰომოუსიოს) მესამე და საბოლოო ჰიპოსტასი, «კაბადოკიელი მამა». ბასილი დიდის ხორციელი ძმა.
79. არისტოტელე – იხ. პლატონი.

80. ლოგოსი – სიტყვა, აზრი, რომელიც თავდაპირველად ღმერთთან იყო და ახლაც მასთან არის.

81 სტოელები – ქრისტემდე არსებული ქრისტესმიერი ძმები, სამების მესამე პირის გამომგონებლები.

82. პლოტინი – წარმართი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი, სამების იდეის ავტორი. არაბიბლიური ტერმინის «ერთარსის» (ბერძ. ჰომოუსიოს) გამომგონებელი.

83. ეპისკოპოსად ხელდასხმა – სანუკვარი მომენტი. მანამდე გულისხმობს ყველა მეთოდით კონკურენტების ჩამოცილებას.

84. არიოზი – სასულიერო პირი, რომელიც ქრისტეს ღმერთობის იდეას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა. მოგვიანებით, ათანასე დიდის გარდა, მთელი აღმოსავლეთის ეკლესია არიანელი გახდა.

85. ღალატი – იერარქების ძირითადი იარაღი იმპერატორების და ერთმანეთის წინააღმდეგ.

86. დასავლეთის ეკლესია – პაპის ეკლესია, რომელმაც ეშმაკის მესამე ცდუნებას ვერ გაუძლო (დოსტოევსკი).

87. საეკლესიო კრება – მოვლენა, რომელიც შვიდჯერ კი არა, თითქმის ყოველ წელს იმართებოდა. იღებდნენ ურთიერთგამომრიცხავ გადაწყვეტილებებს. მოგვიანებით, რომელიც აწყობდათ, იმ კრებას აღიარებდნენ. ზოგს ადგილობრივს არქმევდნენ და ზოგსაც – მსოფლიოს.

88. ფანტაზიები – ის, რითიც მდიდარია თითქმის ყველა «წმინდა მამა».

89. დიოტიმა – იხ. პლატონის «ნადიმი».

90. სიყვარული და თავმდაბლობა – ძირითადი ქრისტიანული თვისებები, რომლებსაც თავისი წიაღიდან დევნის ეკლესია.
91. წმინდა ადგილის მოლოცვა – კერპთაყვანისმცემლობის ერთ-ერთი მიმზიდველი ნაირსახეობა.
92. ძმათა შორის პირველი – ძალაუფლების შესანიღბად და გასამართლებლად გამოგონილი უწყინარი ფრაზა.
93. ებრაელები – ხალხი, რომელიც დასასჯელად დაარჩინა ღმერთმა და სამაგალითოდ, საჩვენებლად იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს ადამიანი, – განმარტავენ წმინდა მამები.
94. ეფესელი დიალექტიკოსი – ჰერაკლიტე, რომელიც ლოგოსს განიხილავდა, როგორც საყოველთაო კანონზომიერებას.
95. მეუფევი – მითვისებული ტიტული. ფარისევლური მიმართვის ფორმა.
96. ტრანსი – თავდავიწყების ცრუ მდგომარეობა, რომელსაც აქტიურად იყენებს ეკლესია, ღმერთთან შერწყმის მისტიკური ილუზიის შესაქმნელად.
97. მწვალებელი – სახელი, რომელსაც არსებითობას მწოდებელი ანიჭებს.
98. იმპერატორის ბრძანება – ის, რის უკანაც ყოველთვის ეკლესია დგას.
99. პირჯვრის გადაწერა – თავის მოტყუების ეფექტური საშუალება.
100. სუბორდინიზმი – სამების წევრთა ურთიერთდაქვემდებარებულობა.

101. საკმევლის კმევა – მაღლი კვამლში ან პირიქით.
102. «სამება», «ჰიპოსტასი», «ერთარსი», «ღვთაებრივი ბუნება» – არაბიბლიური ტერმინები.
103. «ლუკიანეს ფორმულა» – სამების დოგმატის ერთ-ერთი ვარიანტი. ლუკიანე მონამეობრივად აღესრულა.
104. ალექსანდრია და ანტიოქია – დაპირისპირებული ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო სკოლები, სადაც უამრავ უაზრო ფორმულას აყალიბებდნენ.
105. 381 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრება – ჩამოაყალიბეს და დაადგინეს სამების სიმბოლო.
106. იონა წინასწარმეტყველი – სამი დღე იყო დიდი თევზის მუცელში.
107. პარნასი – პოეტების წმინდა მთა, სადაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა მოხვდე.
108. ილუზია – საეკლესიო რიტუალების ძირითადი თავშესაფარი.
109. «კაბადოკიელი მამები» – სამი ადამიანი, რომლებმაც ეფექტურად შეფუთეს სიცრუე და ჭეშმარიტებად შემოგვასაღეს. არც ის არის გამორიცხული, რომ თავად ეს ადამიანები შეფუთეს... აღსანიშნავია, რომ «კაბადოკიელი მამები» მონათლულნი და ხელდასხმულნი იყვნენ სწორედ არიანელი ეპისკოპოსების მიერ, რომლებსაც შემდეგ მთელი ცხოვრება ებრძოდნენ. მანამდე «მოციქულთასწორი» იმპერატორი კონსტანტინეც არიანელმა ეპისკოპოსმა ევსევი ნიკომედიელმა მონათლა.
110. სიკვდილი – რასაც ვერაფერი დაიჭირავს. ის, რატომაც არსებობს რელიგია, ხელოვნება, ზნეობა, წმინდა მამები

და ეს მოთხრობაც (ასევე იხ. ჟოზე სარამაგუს რომანი «სიკვდილი ისვენებს»).

111. კოსმოსი – იგივეა, რაც ჯოჯოხეთი.

112. სპერმა, იგივე თესლი – კაცობრიობის მამოძრავებელი თეთრ-რუხი ფერის სითხე.

113. სატანა, ეშმაკი – შერქმეული სახელი, რაც გამართობს ნიშნავს.

4. ესეისტიკა

დათო ბარბაქაძე



FRAGMENTARIUM ფრაგმენტული ფრაგმენტები (ფრაგმენტები)

მე-20 საუკუნეში ტრადიციული კულტურული მოდელების კრიზისმა კულტურის ვიზუალიზაცია კი არა, სწორედ ვიზუალური რეპრეზენტაციების კონცეპტუალიზაცია გამოიწვია, ლიტერატურის მიმართულებით გადაისროლა სახელოვნებო ენები (არქიტექტურის, მხატვრობის, ქანდაკების). ეს თუ რამეზე არ მეტყველებდა, პირველ რიგში – სწორედ ხელოვნების ამ დარგებში არსებულ სიმშვიდეზე. როცა ერთი კონკრეტული დარგი იძულებული ხდება, საკუთარი თავის გამოხატვის მიზნით სხვა დარგის იარაღებს მოუხმოს, ერთი დარგის შიგნით უფრო მძიმე კრიზისი ძნელი წარმოსადგენია. მე არ ვგულისხმობ ინტერდისციპლინური დინებების გაძლიერებას, არამედ – სწორედ სხვა დარგის ენით მეტყველების დაწყებას და თვითრეპრეზენტაციის წამყვან, გადამწყვეტ იარაღად მის გადაქცევას. 01.11.2010

თუ სადმე რეტროგრადიზმის და დოგმატიზმის საფრთხე არსებობს, პირველ რიგში – ავანგარდულ ხელოვნებაში, ვინაიდან ავანგარდი თვითგანადგურებისკენ სწრაფვის სინონიმია. მეორე მხრივ, ავანგარდი ყველაზე ნაკლებ იძლევა კრიტიკული თვითრეფლექსიის შესაძლებლობას. ეს იგივე იქნებოდა, ციხე-სიმაგრე რომ ყოფილიყო ასაღები, მებრძოლებს კი ამ დროს ეთიკური დებატები გაემართათ და გახურებულ ბრძოლაში სწორედ ეთიკური მოტივით უკანდახევა გადაეწყვიტათ. მუდმივი ბრძოლის სიტუაციაში ყოფნა აჩლუნგებს შემოქმედებითი აზროვნების უნარს (მით უმეტეს, რომ შემოქმედებით დაძაბულობასთან მას ცოტა რამ აქვს საერთო). ასევე

აჩლუნგებს აღნიშნულ უნარს გარეთკენ მიმართული მზერა, განუწყვეტლივ ნებისმიერი საგნის სხვად გადაქცევის ვნება (რაც, თავის მხრივ, ხედვის გაუხეშებასაც იწვევს, რეალობას გამარტივებული სახით წარმოადგენს: რევოლუციური ცნობიერება არ დაუშვებს კრიზისს საკუთარ თავში, ის კრიზისს ყოველთვის თავის ირგვლივ ხედავს, ყოველთვის რალაც აქვს დასაპყრობი თავის გარეთ და არა – საკუთარ თავში: ის ვერც ეჭვს დაუშვებს, რომ სწორედ მისი უკომპრომისო ბრძოლის უმაღლეს ფაზაში, პიკზე, შეიძლება თავად იყოს ბურჟუაზიული მორალის მსხვერპლი. უფრო მდარე შემთხვევაში, საკუთარ თავში ამ ნეგაციას აცნობიერებს, მაგრამ – პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე – ამაზე თვალს ხუჭავს). 02.11.2010

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანები კოლექტიურად ცდილობენ სიკვდილის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური დამცავი მექანიზმების გამომუშავებას და შიშის ასეთ კუნძულზე ცხოვრებას თუ – ინდივიდუალურად. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ასეთ სამუშაოებს კოლექტივი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიჰყავს დემორალიზებამდე, მაშინ, როცა ინდივიდი სიკვდილს ყოველთვის სიკვდილის წინააღმდეგ მიმართავს და ინტელექტუალური და სულიერი დემორალიზებისგან დაცულია. კოლექტივი მოწყვეტილია სიკვდილს, იზოლირებულია მისგან, პიროვნული საწყისი კი დემორალიზების საშიშროების მოახლოებისთანავე სიკვდილის ინსტრუმენტარის შესწავლას და მის ათვისებას, სიცოცხლის სამსახურში მის ჩაყენებას იწყებს. ხალხურ და ინდივიდუალურ კულტურებს შორის ფუნდამენტურ განსხვავებას, შესაძლოა, სწორედ სიკვდილთან მიმართების ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ფორმა ქმნიდეს. 19.12.2010

უდაბნოში აქლემზე ამხედრებული და ხელში რადიომომარჯვებული ბედუინი, რომელიც საინფორმაციო გადაცემას უსმენს მაშინ, როცა ეს გადაცემა მისთვის გაურკვეველი ცნებებით და კლიშეებით მისივე რეალობის აღწერის პროცესს წარმოადგენს, ამ ბედუინის მოუმზადებლობისა და არათანადროულობის ისეთსავე წარუმატებელ მეტაფორას წარმოადგენს, როგორც – მისი მოუმზადებლობის ან კულტურული ჩამორჩენილობის ხატოვანი აღწერის მიზნით – კანტის «წმინდა გონების კრიტიკით» რადიოს ჩანაცვლება. 19.12.2010

მე ვფიქრობ, ჩემთვის ცნობილი ყველა რელიგია, დიდიც და მცირეც, ერთი მხრივ პირწმინდად მატერიალისტურია, მეორე მხრივ კი – პირწმინდად ანთროპოცენტრისტული. ფილოსოფია ამ რელიგიური მატერიალიზმის საზღვრებიდან გასვლად, კაცობრიობის სულიერ გამოცდილებაში მომხდარ გადამწყვეტ იდეალისტურ გარღვევად წარმომიდგენია. ღმერთების ბერძნულ კოსმოსთან ანუ მის უმშვენიერეს და უღრმეს პოლითეიზმთან შედარებით ნებისმიერი რელიგიური მონოთეიზმი შეზღუდულ და უკიდურესად დავიწროებულ მატერიალისტურ სისტემად გამოიყურება. ბერძნებმა ფილოსოფიური აზროვნება მას მერე დაიწყეს, როცა თეოგონიური კოსმოსი ამოწურეს. მათ საკუთარი, მათ მიერვე შექმნილი კოსმოსი გაარღვიეს და შეკითხვა დასვეს არა მხოლოდ ერთ-ერთი კოსმოსის პირველმიზეზის და სტრუქტურის, არამედ – მილიონობით სხვა კოსმოსის მიღმა არსებული პირველმიზეზის შესახებ. ამით ბერძნებმა ადამიანურ აზროვნებას სწორედ ის იდეალისტური განზომილება მიანიჭეს, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა ევროპული

ფილოსოფიის გნოსეოლოგიური ჰორიზონტი და შექმნა
ფილოსოფიური პოლითეიზმი. 03.08.2012

შეიძლება თუ არა არაფრის სუბლიმირება? შესაძლებელია
თუ არა თუნდაც არაფრის სუბლიმირების შეუძლებლობის
რეპრეზენტირება? 07.10.2013.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გაძლიერდა
ნაციონალური რეგიონების მიერ ინტერნაციონალური
სახელოვნებო კომუნიკაციებისთვის სათანადო
პლატფორმის შეთავაზების ტენდენცია: რიტუალური
სამხატვრო და კინემატოგრაფიული ბიენალეების,
პოეტური ფესტივლების, სახელოვნებო ფორუმების
რაოდენობა უკვე დევალვაციის საშიშროებაზე აღარ
მეტყველებს, ასეთი დევალვაცია, უბრალოდ, უტყუარი
რეალობაა. ამაზე ბევრს წერენ. ყველა ხედავს, რომ
ხელოვნების სიყვარულზე მეტად ასეთი ცენტრების
აღმოცენების მოტივაცია პოლიტიკური და ეროვნული
სუვერენიტეტის ხაზგასმა და დაცვაა, ამასაც ხშირად
აღნიშნავენ. მაგრამ ბევრად უფრო საინტერესოა ასეთი
ცენტრების წახალისების, მულტიკულტურალიზმის ნიშნით
მათი გამრავლების ტენდენცია, რაც, კარგად თუ
დავუკვირდებით, აუცილებლად მიგვახვედრებს, რომ ამით
მწვანე შუქი ენთება პირველ რიგში დეკორატიულ
ხელოვნებას, მისი პოპულარიზაცია და მისი გავრცელების
დაჩქარება უკვე გლობალური პოლიტიკური ამოცანაა.
მსოფლიოს ყველა კუთხეში ასეთი ცენტრების გამრავლება
არა მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ დიდმა ევროპულმა
ბიენალეებმა, პოეტურმა ფესტივლებმა და წიგნის მესებმა
დიდი ხანია ამოწურეს საკუთარი თავი, არამედ – იმაზეც,
რომ ისინი საბოლოოდ გადაიქცნენ უწყინარი კრეატიული
თამაშების ადგილებად. და რაც კიდევ უფრო
მნიშვნელოვანია: მეტყველებს იმაზეც, რომ წამყვან

სახელმწიფოთა ძლიერების რიტუალური რეპრეზენტაციის ფუნქცია, რაც იმთავითვე ჰქონდათ დიდ ბიენალებს და ფესტივლებს, უკვე ჩანაცვლებულია სხვა, არანაკლებ ქმედითუნარიანი ფუნქციებით. პოლიტიკამ უკვე დაკარგა ინტერესი ხელოვნების, როგორც პროპაგანდის ინსტრუმენტის მიმართ, ყოველ შემთხვევაში – ხელოვნებისთვის ახალი საქმის გამონახვამდე მაინც. პოლიტიკისა და დეკორატიული ხელოვნების თანამედროვე უფერული სიმბიოზი მხოლოდ ინერციით და, შესაძლოა, იმის იმედითაც არსებობს, რომ პოლიტიკა შეძლებს ხელოვნების დასაქმებას. ამიტომაც არის, რომ ასეთ გამოფენა-გაყიდვებზე მოხვედრის თითქმის ყველა კრიტერიუმი არაესთეტიკურია, შემთხვევითობის წილი კი – იმდენად მაღალი, რომ ხელოვნებას და სიმულაციას თანაბარ პლატფორმას უქმნის, საერთოდ აუქმებს ინდივიდუალური ძიების, მიღწევის, დამსახურების, თუნდაც პირობითი ნოვაციის ღირებულებას. დასანანი ის არის, რომ ხელოვნები დიდხანს ხუჭავდნენ თვალს ასეთ თამაშებზე და ძალადობაზე, ახლა კი ისღა დარჩენიათ, პასიურად ადევნონ თვალი მათი დამსახურებული ავტორიტეტის გამოყენებით წარმოებად ყალბ ვარსკვლავებს და ბრაზი და ბოღმა გულში ჩაიკლან. 07.10.2013.

მე მაინტერესებს ადამიანის შინაგანი მდგომარეობა მაშინ, როცა ის საბოლოოდ დაკარგავს უკვდავების, ღმერთის, იმქვეყნიური ცხოვრების, ამქვეყნიერებამდელი არსებობის და ბევრი მსგავსი საკითხის შესახებ ცოდნის მოპოვების იმედს. არა – ტრანსცენდენტური სამყაროს რწმენას, არამედ – სწორედ ცოდნის იმედს. ანუ, როცა ერთ მშვენიერ დღეს მას ეს იმედი მიატოვებს. აი, ეს მაინტერესებს: თუ როგორ გამოიყურება ასეთი

ტრანსცენდენტალური ადამიანი და როგორ გამოიყურება ასეთ ადამიანთა ერთობა, უამრავი ადამიანი; როგორი იქნება ამ დროს სევდიანი ადამიანი, აღტაცებული ადამიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი. ეს არ მოხდება ხვალ ან ზევ, მაგრამ ოდესმე აუცილებლად მოხდება, ის ოდესმე აუცილებლად დათმობს საწყისების შესახებ ცოდნის მოპოვების იმედს. და მინდა, ძლიერ მინდა, რომ მაშინ, როცა ეს მოხდება, ადამიანი ისევ ადამიანი იყოს, არ იყოს იგი გენეტიკურად დაშლილი, ხელოვნური გზებით წარმოებული, კონვეიერულად მიღებული პროდუქტი. მინდა, იგი ისევ ბუნების ნაყოფი, ბუნებრივი მშობლების ბუნებრივი შვილი იყოს, თუნდაც ტოტალურად სახეცვლილი, მაგრამ მაინც – ბუნებრივი მშობლების ბუნებრივი ნაყოფი. აი, ასეთი ადამიანის სევდის, დაუპროგრამებელი სევდის და სიხარულის წარმოდგენას ვცდილობ. როგორი იქნება ასეთი ადამიანის სიყვარული სიცოცხლის მიმართ? მისი ერთადერთი სამყაროს მიმართ, რომელსაც მისი თვალები, აზროვნება, მეხსიერება იტევს? (22.10.2013)

მოდერნისტული ხელოვნება, უკვე საუკუნეზე მეტია, გადაქცეულია პოლიტიკურ ინსტრუმენტად მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ხელში. ეს პროცესი, საერთოდაც, მოდერნისტული ხელოვნების გაჩენისთანავე დაიწყო. ხელოვნების ინსტრუმენტალიზაციის ამ ტრადიციაზე და მექანიზმებზე უამრავი კარგი წიგნი და სტატიაა დაწერილი. მეორე მიმართულებაა თვით ქვეყნებს შიგნით მსგავსი მექანიზმების კიდევ უფრო ძველი გამოცდილება, ზოგან – უკეთ რაციონალიზებული, ზოგან – ნაკლებად. მაინცდამაინც ევროპული კლასიციზმის სულისკვეთების და პოეტიკის ანალიზს თუ არ შევუდგებით, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ანუ

სახელმწიფოების მიერ საზოგადოებრივი აზრის კონტროლისა და მართვის ინსტრუმენტად კინოსთან ერთად მასმედიის გადაქცევის მერე, პოლიტიკისგან უმართავი და კასტრაციას დაუქვემდებარებელი დიდი ჯგუფური ან კოლექტიური სახელოვნებო პროექტების დასახელება შეუძლებელია. ნებისმიერი სახელოვნებო პროექტი სცენაზე გამოჩენისთანავე ექვემდებარება ზონდირებას და მისი სოციალური საშიშროების ხარისხის გათვლას. ყველაზე სახალისო და ინტელექტუალური გართობების მოყვარულთათვის საინტერესო ის არის, რომ დაძაბულობის შესაძლო რისკის შეფასებისა და განეიტრალების კონკრეტულ პროცესებში წამყვან მუშა პოზიციებს თვით ხელოვნების სხვადასხვა სექტორიდან წამოსული პროფესიონალები ინანილებენ. პრაქტიკულად, მათ ავტორიტეტს, ფინანსურ მდგომარეობას, სრულ სოციალურ დაცულობას და ბევრ სხვა სასიცოცხლო ხასიათის თუ ფუფუნებისთვის აუცილებელ სარგებელს სწორედ პოლიტიკა განსაზღვრავს და არა – თავისუფალი სოციალური ესთეტიკა ან ხელოვნების ავტონომიური მექანიზმები. ეს პროცესი უკანასკნელ ათწლეულებში ისეთი სისწრაფით განვითარდა, რომ დღესდღეობით ყველა დიდი ჯგუფური პროექტი და მოძრაობა დეკორატიული ხელოვნების შემადგენელი ნაწილია. ასე რომ, უკვე ყველაფერი უწყინარი ინტელექტუალური კლიშეების გადათამაშების კალეიდოსკოპია და არა უმეტესი. ნულოვანი ნიშნული 70-იანი წლების დასაწყისში ნეოავანგარდის ამოწურვით დაფიქსირდა. დანარჩენი ხელოვნების პატივმოყვარეობის გამოცდები და დიდი სოციალური ესთეტიკების პერმანენტული განეიტრალების პროცესში პოლიტიკური ინსტრუმენტების გართულება და გამრავალფეროვნება იყო. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკამ მხოლოდ შეაჯამა თავისი მრავალსაუკუნოვანი

გამოცდილება. ერთი სიტყვით, რასაც ფილოსოფოსები ყოველთვის წინასწარმეტყველებდნენ, რეალობად იქცა. პირადად მე გამოსავალს ვერ ვხედავ ვერსად, სადაც ხელოვნება დიდ ფულთან არის დაკავშირებული. მხატვრობაში, საერთოდაც, ისეთი განუკითხაობა ბატონობს, რომ იმედის მისხალსაც არ უტოვებს ხელოვნების ერთგულ ექსპერტებს. იქ, უბრალოდ, საჩვენებელი სოფისტიკაც კი ზედმეტია ახალი გენიოსების დასამზადებლად, ისინი კონვეიერული პრინციპით იწარმოება იმათ მიერ, ვისი ფული და ძალაც აღმართს ხნავს. ასეთ ეთიკურ ატმოსფეროში ჯერ კიდევ შემორჩენილი პოეტური კუნძულების შენარჩუნება მხოლოდ არაეგზიბიციონისტური ძალისხმევით არის შესაძლებელი. ჩემი უტოპია უხელოვნებოდ დედამიწის დატოვებაა. ხელოვნებამ, უბრალოდ, უნდა მიატოვოს პოლიტიკა. უნდა დატოვოს ის მარტო თავის თავთან, აღარ იქცეს მისი გართობის ობიექტად. რა თქმა უნდა, პოეტები არსებობდნენ და არსებობენ ყველგან, მაგრამ მას მერე, რაც პოლიტიკამ უკვე საბოლოოდ დაასრულა დიდი ჯგუფური ენერჯიების განმუხტვა ერთის მხრივ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათი სიმულაციების გამოწვევა მეორეს მხრივ, ჯერი ინდივიდუალური ენერჯიების განეიტრალებაზე მიდგა. ამ ახალ ეტაპზე კი, როცა პოლიტიკა მხოლოდ ერთ ფრონტზე იბრძვის, მისი მგრძნობელობა კიდევ უფრო გაფაქიზებული და გასათუთებულია. ასეთ ატმოსფეროში პოეტებს საკუთარი თავის და ერთმანეთის მეტი აღარავინ დარჩენიათ. მათ უკვე აღარაფერი ესაქმებათ პოლიტიზირებულ საზოგადოებასთან. ყველა ასეთი საზოგადოება თავისი ინტელექტუალებით და ცოცხალი ფასიანი ქაღალდებით მათთვის ხაფანგია და მეტიც არაფერი. ნებისმიერი მორიგი ეგზიბიციონისტური ნაბიჯი პოეტურ სანყისის

თვალთახედვის არიდან კიდევ უფრო შორს წასვლის და გადაკარგვის ტოლფასია. ერთადერთი გამოსავალი პოეტების მიერ საკუთარი თავის და ერთმანეთის ძიების და მოპოვების ხელოვნებაა, ანუ – ურთულესი შრომისთვის თავის მიძღვნა. ასეთი და მსგავსი ინდივიდუალური სტრატეგიები ნებისმიერი საზოგადოების, ნებისმიერი პოლიტიკური ძალის, ნებისმიერი ინტელექტუალიზმის (ინტელექტუალურად ღარიბ საზოგადოებებში კი ფსევდოინტელექტუალების) მიერ, რა თქმა უნდა, ავტომატურად ფასდება, როგორც – რადიკალური. მაგრამ ხელოვნება არ შეიძლება იყოს რადიკალური, ის ისევე ვერ იქნება რადიკალური, როგორც ქვა ვერ იქნება ბალახი, ბალახი კი – მიწა. ხელოვნების პოეტური სანყისი, მისი ჩაუქრობი პოეზია ის არის, რომ პოეტი ყოველთვის ფხიზლად აფასებს და ადექვატურად პასუხობს პოლიტიკის და პოლიტიკის მიერ დაპყრობილი საზოგადოების რადიკალიზმს. ეს პოეზიის თანდაყოლილი თვისებაა. ყველაფერი, რასაც დღესდღეობით ვხედავთ (გლობალური კოლონიური ომები, გლობალური იმპერიალიზმი, ნებისმიერი სახის მრავალფეროვნების გასაქრობად წამოწყებული გლობალური უხილავი ომები, რასაც აუცილებლად მოჰყვება – თუ უკვე არ არის დაწყებული – გენეტიკური ომები ანუ საჩვენებელი მულტიკულტურალიზმის მიღმა გაჩაღებული შეტევები გენეტიკური ბირთვების დასაპყრობად, შესაცვლელად, გარდასაქმნელად და ა. შ.), მხოლოდ რადიკალიზებული იდიოტიზმია, რომელსაც პოეტები უნდა გაერიდონ. დავაზუსტებ, რომ მე ვლაპარაკობ პოეტებზე და არა – ადამიანებზე (ან თუნდაც კომპიუტერებზე და რობოტებზე), რომლებიც ლექსებს წერდნენ, წერენ და დაწერენ ყველგან და ყოველთვის, მით უმეტეს მეტი ხალისით – ფსევდონოვაციების კვლავწარმოების გლობალურ

მატერიალურ სივრცეში (რატომაც არა: მთვარეზე დაწერილი პირველი ლექსი და მისი ავტორი, როგორც ნოვატორი; მარსზე დაწერილი პირველი ლექსი და მისი ავტორი, როგორც სუპერნოვატორი და ა. შ.). მე კი ვლაპარაკობ პოეტებზე ანუ – იმათზე, ვისთვისაც პოეზია ბედისწერაა, ვისი ცხოვრებაც ამ ბედისწერით იმართება და წესრიგდება და არა – ცვალებადი კონვენციებით. 07.10.2013.

გაერიდე ყველას და ყველაფერს, ვინც და რაც შენს პოეტურ ენერგიას პირდაპირ ან ირიბად უტევს, თავს ესხმის, შემცირებით ემუქრება. არ ეცადო! უბრალოდ, გაერიდე ასეთი აგრესიების ველს! გარიდების ზუსტი ფორმა თავად მოგნახავს! 25.10.2013.

გადამწყვეტი ეთიკური (და არა მხოლოდ ესთეტიკური) შეცდომა პოეტური სულის ამოწურვის მტკიცებაში მდგომარეობს. სინამდვილეში პოეზიის რეპრეზენტაციის ფორმები ამოიწურა და არა – პოეტური სული, რომელიც, პირიქით, მხოლოდ ისეთ ერთგულებას მოითხოვს, როგორიც მას დიდი აღმოსავლური თუ დასავლური ეპოქებიდან ახსოვს. ცივილიზაციის დიგიტალურმა ფაზამ სწორედ პოეტურის სულის მიმართ ერთგულებისა და «ერთგულების» აღრევის (შესაბამისად კი სიმულაციათა წარმოების) მხოლოდ ტექნიკა კი არა, სისტემური ბიზნესგეგმა, ეფექტური ეკონომიკური აგრეგატი აამოქმედა. დღეს ამ აგრეგატის გამართულ მუშაობას აღარაფერი ემუქრება. მასთან დაპირისპირება პოეტს ძალების უაზრო ფლანგვის მეტს არაფერს მოუტანს. (საერთოდ, ყველა მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური, სულიერი პარადიგმული ხდომილება, რომელსაც თანამედროვე ფილოსოფიური და სოციოლოგიური ჟურნალისტიკა აღწერს, უკვე მომხდარი და

განალიზებულია როგორც კლასიკურ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში, ისე – XIX-XX საუკუნეების ინტელექტუალურ დისკურსში. მაგალითად, ნიცშესთან, ჰაიდეგერთან, ორტეგა-ი-გასეტთან, სოროკინთან, გელენტან და ბევრ სხვა მოაზროვნესთან ნაწინასწარმეტყველებია უკლებლივ ყველა თანამედროვე და მოსალოდნელი კრიზისული ტენდენცია, მეტიც, ამ ტენდენციების გაღრმავების კონკრეტული მიმართულებები და სამომავლო შედეგები. თანამედროვე ინტელექტუალური ჟურნალისტიკის ყველა პროგნოზი, ყველა დასკვნა, ყველა შეფასება ემყარება უკვე დიდი ხნის წინ ჩატარებულ ანალიზს. ანუ, ახლა იმ ყველაფრის პრაქტიკული ექსპლიკაციის პროცესს ვადევნებთ თვალს, რაც ფილოსოფიაში უკვე მომხდარი და მოდელირებულია). ერთადერთი, რაც მწირი ეპოქის მოცემულ ფაზაში შეუძლია პოეტს, არის განსვლა, გარიდება. პოეტებმა იატაკქვეშეთში უნდა გადაინაცვლონ, მათ უარი უნდა თქვან მკითხველის დევნაზე, სახელის დევნაზე, პოპულარობის დევნაზე, ანუ – იმ ყველაფერზე, რასაც მათზე იოლად, მათთან ერთად და მათი გამოყენებით აღწევენ მათი სუროგატები (უფრო ზუსტი იქნება იმის თქმა, რომ უკვე არავინ არაფერს აღწევს, არამედ ნებისმიერის გამორჩევა და ფუნქციურად განთავსება დაგეგმილი ბიზნესის შესაბამისად ხდება და მანიპულაციის ასეთი სულისკვეთება არა მხოლოდ კულტურის მოწესრიგების ირაციონალურ საწყისებს, არამედ საერთოდ კულტურის არსებობის სილამაზეს უპირისპირდება). მწირ ეპოქებში ნამდვილი მკითხველის რაოდენობა ისევე მცირდება, როგორც – პოეტების. შესაბამისად, მცირდება იმ მკითხველთა რაოდენობაც, პოეტური ტექსტის და მისი სუროგატის ერთმანეთისგან გარჩევა რომ შეუძლიათ (შესაძლოა, ასეთი მკითხველი იმაზე უფრო ცოტაც კი იყოს, ვიდრე პოეტია). მკითხველს

უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ისევ მოიპოვოს, დაიბრუნოს პოეზია. ამის შესაძლებლობა მას პოეტმა უნდა მისცეს იმით, რომ ამ უკანასკნელმა დატოვოს მკითხველი, ზურგი აქციოს მას (ანუ ზურგი აქციოს საკუთარ სენტიმენტალიზმს, ეგოიზმს, ნარცისიზმს), მხოლოდ ამ გზით გაათავისუფლებს იგი ნამდვილ მკითხველს პოეტის ხაფანგად ყოფნის ჯოჯობეთისგან. როცა დრო მოვა, ნამდვილი მკითხველი მიაგნებს და დაიბრუნებს პოეტს, ვინაიდან ის ხომ პოეზიას არ კარგავს, პირიქით, კიდევ უფრო მძაფრად შეიგრძნობს მის გულისფეთქვას. ეს შეგრძნება კიდევ უფრო გამიმძაფრა ორიოდე თვის წინ შტუტგარტში მიღებულმა სულიერმა გამოცდილებამ. აგვისტოში, ჩემდა სასიხარულოდ, ვიყავი შტუტგარტის ცენტრალურ უბანში, ებერჰარდშტრასეზე, მატერიალისტური შინაარსით გადახუნძლული, დიდი და მძიმე შენობებით ალყაშემორტყმული ჰეგელის სახლში, რომლის შესასვლელი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სწრაფი კვების ობიექტის შესასვლელს უპირისპირდებოდა, სახლის მარცხენა კედელზე კი გაკრული იყო სადემონსტრაციო ბანერი წარწერით: «der weg des geistes ist die vermittlung, der umweg». ვებგვერდზე, რომელიც შტუტგარტის ღირშესანიშნაობებს მოიცავს, ჰეგელის სახლის ამ კედელზე სხვა ბანერია გაკრული, რომელზეც ვკითხულობთ: «Alles, was ist, ist fernünftig» (ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ სადემონსტრაციო ბანერი პერიოდულად იცვლება). უკვე ის ფაქტი, რომ მუზეუმის ხელმძღვანელობამ მორიგ სადემონსტრაციო შეგონებად ჰეგელის სწორედ ეს აზრი შეარჩია, იძლევა დამშვიდების საფუძველს; თუნდაც – იმის საფუძველს, რომ გერმანიას თანამედროვე პოლიტიკური ხრიკები და სოფისტიკა ვერ გააბრწყინებს. მაგრამ ჩემი გამოცდილება უფრო მდიდარი აღმოჩნდა: ჰეგელის სახლში პირველად მოხვედრილს,

მელოდა თითქმის ორმოცნუთიანი დისკუსია ხანდაზმულ წყვილთან, რომელიც კარგად იცნობდა ჰეგელის ნააზრევს; ეს განსაკუთრებით ქალბატონზე ითქმოდა, რომელიც მამაკაცზე გაცილებით აქტიური იყო ჰეგელის კრიტიკაში; შუაგულ შტუტგარტში, ჰეგელის სახლში, უდავოდ ღრმად განათლებული გერმანელი (და გერმანისტი) ქალბატონი აკრიტიკებდა, მე კი ყველა შესაძლო არგუმენტით ვიცავდი ჰეგელს, ხოლო იმავდროულად, თითქმის ყოველ წამს, ვთრგუნავდი ჩემში თანამედროვე პოლიტიკურ კონტექსტში ჰეგელის ფილოსოფიის თემატიზების ცდუნებას და ხალხურის მიერ შევიწროებული ინდივიდუალურის მსუბუქი ანალიზით ვიფარგლებოდი. არასდროს დამავიწყდება ჩემი თანამოსაუბრის გამომეტყველების, განწყობის და ხმის დიალექტიკა, რომლის გვირგვინსაც ამ თამაშის მერე, დამშვიდობებისას (მუზეუმის სამუშაო დღე იწურებოდა, მე კი სახლის დათვალიერება უნდა მომესწრო), მის თვალებში ამოკითხული სიამაყის და სიხარულის შინაარსი წარმოადგენდა: სინამდვილეში ხომ ისიც ჰეგელის თვალით უყურებდა პლებერის ტოტალური აღზევების თანამედროვე სურათს და ახლა, ჩვენი საუბრის დასრულების მერე, კიდევ ერთხელ დაიხევდა უკან მისი ეჭვი, რომელსაც თანამედროვე ინსტრუმენტული ლიბერალიზმი (თუ მაინც და მაინც განსაზღვრებისგან «თალლითური» თავს შევიკავებთ) აჩენს თუნდაც ძლიერი კულტურული გამოცდილებით აღჭურვილ თავებში. ჩემი სიხარულის შინაარსს კი ის უჩვეულო გამოცდილება შეადგენდა, რომ ჰეგელის აღნიშნული შეგონების – «der weg des geistes ist die vermittlung, der umweg» – პირველივე დადასტურება არა მხოლოდ ცოცხალი შთაბეჭდილების ცხელ კვალზე, არამედ სწორედ ჰეგელის სახლიდან გაუსვლელად მივიღე საჩუქრად. 26.10.2013

თანამედროვე მკითხველმა უკვე დაკარგა პოეზიასთან ურთიერთობის კულტურა, პოეზიას ის ისე ექცევა, როგორც – ტელევიზორს. ის სხვა არავინ არის, თუ არა – მხოლოდ ხელში პულტმომარჯვებული მაცურებელი, რომლისთვისაც პოეტსა და მელექსეს შორის განსხვავება არ არსებობს. ის უკვე საბოლოოდ არის მართული, გაზარმაცებული და გაზულუქებული, მის ხასიათში კი მახინჯი ამბიციურობის და აგრესიის ყველა ის ჭია დაფუთფუთებს, რომლითაც ასე მდიდარია ორტეგა-ი-გასეტის მიერ აღწერილი მასის ადამიანი. ალბათ, არავინ ისეთი გაბოროტებული და აგრესიული არ არის, როგორც – ეს მასის ადამიანი პოეზიასთან, შემოქმედებით სანყისთან ურთიერთობის პროცესში. მას, გამწარებულს, შურისმაძიებლური ენერგიით აღსავსეს, ხელში სკიპტრასავით უპყრია პულტი და ერთი მელექსიდან მეორეზე ხტის, მეორიდან – მესამეზე. ასეთი დაბოღმილი და გაბოროტებული დაძრწის ის ინტერნეტშიც, რათა თავისი აღუზრდელი, დამცირებული და გადაპრიალებული სულის ჯადოსნური სკიპტრით გაათანაბროს ერთმანეთთან პოეტი და მელექსე და ის ამ საქმეს ისე სჩადის, რომ მათ შორის მისხალ განსხვავებასაც კი ვერასდროს ხვდება (მის ნაცვლად ხომ ამ საქმეს სხვა აკეთებს, ის, ვინც უკვე საფუძვლიანად იზრუნა ურიცხვი ასეთი სრულყოფილი მომხმარებლის პროდუცირებაზე). ეს ის «მკითხველია», რომელიც ყოველთვის მზად არის, თანაბარი წარმატებით გაუკეთოს კომენტარი გალაკტიონის ლექსსაც და – ინტერნეტფორუმში გამოფენილ თავისი იდიოტი მეგობრების სისულელეებსაც. ცოცხალმა პოეტმა ასეთ «მკითხველს» დათვური სამსახური არ უნდა გაუწიოს იმით, რომ უკვე ყველგან და ყველგან გამოფენილ მელექსეებს შორის გაეროს. ასეთი «მკითხველის» მოსაპოვებლად, გადმოსაბირებლად და აღსაზრდელად თუნდაც მიამიტური

ოპტიმიზმით ბრძოლა დროის და პოეტური ენერჯის უაზროდ ფლანგვა კი არა, ეგოისტური სენტიმენტალიზმია (რომელსაც არაფერი აქვს საერთო საკრალურ ეგოიზმთან, რომლისკენაც დროულად მომიწოდა ერთხელ ენცენსბერგერმა). მკითხველი, რომელსაც ხელში პულტი არ უჭირავს, პოეტის დახმარებას არ საჭიროებს, ისევე, როგორც პულტმომარჯვებულ «მკითხველს» ვერ იხსნის პოეტი. მკითხველი, რომელიც კლასიკური კულტურის ნაყოფია და რომელსაც ხელში პულტი არ უჭირავს, მაშველი რგოლების გარეშე ამყარებს კონტაქტს პოეზიასთან მაშინაც კი, როცა ეს პოეზია არსად ჩანს. 28.10.2013.

უნდა წარმოვიდგინოთ მატერიალისტური ცნობიერებისთვის უხილავი პოეზია, რომელიც პოეტთა ერთგული მკითხველია. 29.10.2013.

ზედმინევნით უნიჭო უნდა იყოს ჩვენს დროში მოკალმე, რომ კარგი ლექსი ვერ დაწეროს. ხოლო ვინც ცუდ ლექსებს არა მხოლოდ წერს, არამედ აქვეყნებს კიდევ, ან ცხრაჯერ უნიჭოა ან – ცხრაჯერ უტიფარი. რასაც მუზილი წერდა რილკეზე (რომ რილკეს მიმბაძველებს სულაც არ უჭირდათ რილკეს ლექსებზე უკეთესი ლექსების წერა), დღესდღეობით მთლიანად პოეტური ტექსტების საპრეზენტაციო მდგომარეობაა. საქართველოში ჩვენ ეს პოსტგალაკტიონური საბჭოთა პოეზიიდან ვიცით, ასევე – ვერლიბრის ეპიგონებიდან, უიტმენის ეპიგონებიდან, მეტიც – საერთოდ პოეტური ტექსტის ეპიგონებიდან. დღეს უკვე ვითარება კრიტიკულ ზღვრამდე რადიკალიზებულია და პრობლემა კარგი და ცუდი ლექსის დიქოტომია კი არა, პოეზიის და კარგი ლექსის დიქოტომიაა. კარგი ლექსის შექმნა (მითუმეტეს, პოსტმოდერნული გაერთმნიშვნელოვნების პოლიტიკის გამარჯვების მერე)

კომპიუტერსაც შეუძლია, პოეტური სულისკვეთება და პოეტური მდგომარეობა კი კომპიუტერული ლექსის და სქემატური კარგი ლექსის დიქტატურის საზღვრებსმიღმურია. რა განასხვავებს ერთმანეთისგან პოეზიას და კარგ სქემატურ (ანუ ამა თუ იმ სქემის მიხედვით და თანახმად დაწერილ) ლექსს? პოეზია დღესაც იგივე ირაციონალური კანონებით იქმნება და ცოცხლობს, როგორც – ხუთასი და ათასხუთასი წლის წინ იქმნებოდა და იწყებდა სიცოცხლეს. პოეზია ყოველთვის მოცემულ დროში და სივრცეში, მოცემულ კონტექსტში იქმნება, სქემატური კრეატიული ლექსი კი უკონტექსტოა, ის მხოლოდ მოკალმის პირად ამბიციებს, გულწრფელ ან არაგულწრფელ მისწრაფებებს აკმაყოფილებს ანუ იგი მიზნობრივია. პოეზია კი უმიზნოა. იმდენად უმიზნოა, რომ მას ნამდვილსა და არანამდვილს, ორიგინალსა და ასლს, აუთენტურსა და არააუთენტურს შორის განსხვავების დასაბუთებაც კი არ აინტერესებს, ანუ არ ერევა ადამიანურ ვნებებში, სოციალურ და სექსუალურ ლტოლვებში, სიბრძნეებში, სიბრიყვეებში. ის გულგრილია არა მხოლოდ ნებისმიერი ასეთი უტილიტარიზმის მიმართ, არამედ – საკუთარი არსებობის მიმართაც კი, როგორც – ნებისმიერი რეალობა. 31.10.2013.

იდეის და ფორმის ოპოზიციის საკითხი, რომელიც მოდერნიზმმა ფორმის სასარგებლოდ გადანყვიტა, პოსტმოდერნიზმმა კი ერთმანეთთან შეარიგა, დღესდღეობით მხოლოდ იმის ფასად არის ნეიტრალიზებული ან ინერციულად პრობლემატიზებული, რომ ავტორს ფორმის საზღვრებში მანიპულირების ფუნქციებისთვის წირავს. პოეტური მუხტის საკითხი კი იდეის ფორმის საკითხია და არა – «იდეიდან ამოზრდილი

ფორმის», «უჩვეულო ფორმის», «ზუსტად მიგნებული ფორმის» და ა. შ. 07.11.2013.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელსაც თანამედროვე სამყაროში ინტერკულტურული პოლილოგი აწყდება, არის უპირატესად მეტაკულტურული პლატფორმიდან საკითხთა ისედაც პოლიტიკურად ჩახლართული და დაშლილი სპექტრის განხილვის ამბიციები, ანუ – მოქმედების პრაქტიკულ, პირწმინდად სახელოვნებო სტრატეგიებზე კულტურულ-თეორიული რეფლექსიების დომინირების რეალობა. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? ჩვენი აზრით, კომუნიკაციის ბუნებრივი კანონზომიერებებით გაპირობებული კულტურული პოლილოგის პროცესებზე ასეთი პერიოდული თეორიული «დარტყმების», დროდადრო მათი შეფერხების, შენელების, «გაგრილების» რეალობა ისტორიაში ყოველთვის პოლიტიკური ინსტრუმენტებით კულტურის ფილტრაციის და გაკონტროლების მოთხოვნილებით იყო გამოწვეული. XX საუკუნემ, განსაკუთრებით – მოდერნისტული ხელოვნების დომინირების კლასიკურ ფაზაში, ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა და გაამწვავა. შესაბამისად, პოლიტიკურ მიზნებზე ესთეტიკური თავისუფლების მორგების სტრატეგიები კიდევ უფრო გართულდა და გამრავალფეროვნდა (როგორც ცნობილია, სახელოვნებო ბიენალეებს შორის ყველაზე ცნობილი ვენეციის ბიენალეც კი იმთავითვე სხვას არაფერს ისახავდა მიზნად, თუ არა – XIX საუკუნის მიწურულს წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკური ძლიერების ხაზგასმას ანუ პოლიტიკის სასარგებლოდ ხელოვნების ინსტრუმენტალიზაციას). ასე რომ, დღესდღეობით ნებისმიერი ესთეტიკური საკითხი უპირობოდ პოლიტიკური საკითხია და მოითხოვს არა მხოლოდ პოლიტიკისა და ხელოვნების ურთიერთობაში

თანამედროვე მდგომარეობის თეორიულ ანალიზს, არამედ – პოლიტიკისგან ესთეტიკის გათავისუფლების გზების ძიებას როგორც ნაციონალურ კონტექსტებში, ისე – ტრანსნაციონალურ დონეზე, რათა ესთეტიკური პოლილოგი არ ფერხდებოდეს, არ ყალბდებოდეს ან არ სიმულირდებოდეს პოლიტიკური მიზნების სამსახურში მისი ჩაყენებით. დღეს ფილოსოფოსებისა და კულტურის თეორეტიკოსების ერთ ნაწილში უკვე აშკარად დომინირებს აზრი, რომ ხელოვნებაში პოსტმოდერნიზმი სხვა არაფერი იყო, თუ არა – ერთის მხრივ კლასიკური მოდერნიზმის რემეიკის – ანუ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ნეომოდერნიზმის – ჩიხიდან გამოსვლის მცდელობა, მეორეს მხრივ კი – პოლიტიკასა და მოდერნისტულ ხელოვნებას შორის უკიდურესობამდე გამწვავებულ ურთიერთობებში კონსენსუსის ძიების მოთხოვნილება. ჩვენი აზრით, ეს კრიზისი მხოლოდ დროებით გადაილახა იმით, რომ ხელოვნებამ ალექსანდრიული ყაიდის ინტელექტუალიზმს შეაფარა თავი და ამაში ჰპოვა გამოსავალი, პოლიტიკამ კი მას ასეთი ქმედების შესაძლებლობა მისცა, პარალელურად კი ხელოვნების განმუხტვისა და, პოსტმოდერნის ბოლო ფაზაში, მისი სრული გადეკორატიულების პროცესს შეუწყობ ხელი (ანუ მისი ტოტალური ნეიტრალიზების ერთადერთი «ჰუმანური» სტრატეგია აირჩია). კულტურის თანამედროვე – პოსტ-პოსტმოდერნულ – ეტაპზე ინტერკულტურული პოლილოგის თემატიკება იმპლიციტურად გულისხმობს ამგვარი პოლილოგის საზრისის შესახებ საკითხის დასმას, ანუ – პირველ რიგში – სწორედ პოლიტიკასა და კულტურას შორის ურთიერთობის საკითხის დასმას, რაც მეტაკულტურული და მეტაპრაქტიკული პოზიციებიდან ინტერკულტურული პოლილოგის შესახებ საკითხის დასმის ეთიკურად გამართლებულ ერთადერთ პოზიციად

წარმოგვიდგენია ეპოქაში, რომელშიც ნებისმიერი აქტუალური თუ მოსალოდნელი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელი თეორიული პარადიგმა, შაბლონი თუ კლიშე უკვე სრულყოფილებამდეა დამუშავებული და დახვეწილი და ყველა კოგნიტური საკითხი პოლიტიკური პრაგმატიზმის პრიზმაში გარდატყდება. სხვა სიტყვებით, თანამედროვე სამყაროში, რომელშიც თეორიული პარადიგმები ამოწურულია, თეორიის დიდოსტატებს მათი დახვეწილი არანაწიროების მეტი არაფერი დარჩენიათ. ერთადერთი რეალური პრობლემა დღესდღეობით თეორიულ პარადიგმებზე (გასაღებებზე) წვდომისა და პრაქტიკულ ამოცანებზე მათი მორგების უფლების მოპოვების პრობლემაა. ახალი შეთავაზება, რომელიც კულტურამ მიიღო, გულისხმობს ან პოლიტიკის მიერ მისთვის გამოყოფილ რეზერვაციაში ცხოვრებას ან ასეთ რეზერვაციაში ცხოვრებაზე უარის თქმას, რაც ლოგიკურად გაამწვავებს ესთეტიკასა და პოლიტიკას შორის ტრადიციულ, ისტორიულ კონფლიქტს და მას ახალ ფაზაში შეიყვანს. შესაბამისად, ესთეტიკა დაიცავს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე კონფრონტაციის რეჟიმს. იმ შემთხვევაში, თუ ესთეტიკა, ხელოვნება, პოეზია პოზიციებს არ დათმობს, ის ამით ინტერკულტურულ პოლილოგსაც დაიცავს პოლიტიკური პარადიგმების «სასიკეთო» შუამავლობისგან და არ განირავს მას სტერილურ და სოციალურად უწყინარ მულტიკულტურულ ფოლკლორში დასასრულებლად.

(აბსტრაქტი მოხსენებისთვის: ესთეტიკურსა და პოლიტიკურს შორის პოსტ-პოსტმოდერნული კრიზისის კონტექსტში ინტერკულტურული პოლილოგის პრობლემის ახალი აქტუალობა). 15.11.2013

კრეატიული წერა და, საერთოდ, კრეატიული ხელოვნება, რომლის სახითაც დღეს მწერალს, პოეტს, ადამიანს, რომლისთვისაც შემოქმედება ბედისწერაა, კიდევ ერთი ახალი არარელევანტური კონკურენტი გამოუჩნდა, შესაძლოა, არც ისეთი უწყინარი იყოს, როგორც ერთი შეხედვით გამოიყურება. ეს ისტორიაში სრულიად ახალი ფენომენია, რომელიც პოსტმოდერნული ხალხოსნური მოძრაობის კიდებე გაჩნდა და პოსტმოდერნიზმზე უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. მისი კონცეპტუალური ძირები უშუალოდ უკავშირდება XX საუკუნის დასაწყისის ავანგარდულ მოძრაობას. იოზეფ ბოისმა, მაგალითად, ზღვა დრო და ენერჯია შეაღია იმის მანიფესტირებას, რომ ყველა ადამიანი ხელოვანია, მაგრამ ბოისი იმასაც აღნიშნავდა, რომ ყველა ადამიანი არქიტექტორი ან მხატვარი კი არა, სწორედ ხელოვანია. ის კარგად ხედავდა იმ საბედისწერო წინააღმდეგობას, რომელსაც დადაიბმიდან მომდინარე მისი მტკიცება შეიცავდა და რომლის გადაწყვეტა ხელოვნების, როგორც შინაგანი ბედის, თუნდაც ბედისწერის სასარგებლოდ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდებოდა. თუმცა, 60-იან წლებში ბოისსაც და სხვა ნეომოდერნისტებსაც პროფანულისგან მათივე პედაგოგიური პათოსი იცავდა. სულ მალე კი სადემარკაციო ხაზი წაიშალა და პროფანულმა საკრალურის ადგილი დაიკავა. ვისაც არწმუნებდნენ, ხელოვანი ხარო, არქიტექტორი და მხატვარი გახდა და პროფესიონალ ბიზნესმენებთან კოოპერირებით იმ სტატუსის შექმნის მეთოდებიც შეიმუშავა, რომელიც ნეომოდერნიზმის მამებმა ნორმირებული და არა განსაკუთრებული ჩალიჩის გარეშე მოიპოვეს. კრეატიული წერა სწორედ ამ პროცესის კანონიერი მემკვიდრეა და ის მხოლოდ ზედაპირულად ჰგავს ძველ აღმოსავლეთსა და ძველ იაპონიაში გავრცელებულ ტრადიციას, როცა

დიდგვაროვან აღსაზრდელთა პედაგოგიურ პროგრამაში ლექსის თხზვა პიროვნების სულიერი ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი იყო. XX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული, კრეატიული წერა საბოლოოდ შეერწყა ლიტერატურულ ბიზნესს, რაც მოსალოდნელიც იყო: როცა ადამიანი ფულს იხდის, რათა პოეტი და მწერალი გახდეს, მას ბუნებრივად უჩნდება მატერიალური ან სიმბოლური დივიდენდის მიღების მოთხოვნილება. ამ ვითარებამ თამაშის ახალი წესების შემუშავება მოითხოვა. დასავლეთში თამაშის წესებს მხოლოდ გამოუცდელი ან დაბალი პრაგმატული კულტურის მქონე ადამიანები არღვევენ, რადგან იქ უმრავლესობა იმ მორალით იზრდება, რომ თამაშის წესების დარღვევას აზრი არა აქვს და სარგებელს ადამიანური საქმიანობის არც ერთ სექტორში არ მოიტანს. ისეთ ამორფულ და მოუნესრიგებელ ქვეყნებში კი, როგორც საქართველოა, კულტურის დინამიკის ელემენტარულ კანონზომიერებებში ჩაუხედავობა პირველ რიგში სწორედ კულტურას გადაავადებს. დასავლეთში თუ აღსაზრდელი თავიდანვე თამაშის წესებში გარკვევას, მათ დაუფლებას და მერე, ცოდნით და ამ წესებით შეიარაღებული, ამა თუ იმ სექტორში თავის დამკვიდრებას ცდილობს, ჩვენში აღსაზრდელის შესაიარაღებელი მთავარი ცოდნა თაღლითობაა. მან იმთავითვე იცის, რომ თაღლითობა ძალაა. ის გარშემო გამარჯვებული თაღლითობების მეტს ვერაფერს ხედავს და რა გასაკვირია, რომ თვითონაც ამ გზით იმკვიდრებს თავს. ასეა მოკალმეების სამყაროშიც. რასაც მე ბოლო ოცი წლის მანძილზე ვუყურებ, სამწერლო ურთიერთობების იმ სისტემის პირდაპირი ნაყოფია, რომელიც საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა. ამ აზრით, საქართველოში დღეს ისევ საბჭოთა კავშირი ყვავის და იფურჩქნება (უფრო

სწორად, ის ყველაფერი, რამაც საქართველო ლოგიკურად მიიყვანა საბჭოთა სამოთხემდე). გასული საუკუნის მწერალთა კონფორმიზმმა და პოეტური საწყისის წინაშე უპასუხისმგებლობამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ შემოქმედებითი რესურსები ტოტალურად არის გალუული. დღეს უნიჭობასაც და თაღლითობასაც ახალი პატრონი ჰყავს და მისი სახელი ლიბერალიზმია. მე არ გამიკვირდება, ერთ დღეს ლიბერალიზმის სოფისტიკამ, ნიჭიერების და ინტელექტის გვერდით, მწერლობაში უნიჭობის, პრიმიტივიზმის და საშუალოობის პროგრამული მანიფესტირება რომ დაიწყოს და დემოკრატიის სახელით მათი უფლებების დაცვა მოითხოვოს ანუ იმაზე უარესი ჩაიდინოს, რასაც კომუნისტები სჩადიოდნენ, როცა ისინი მწერლობაში მუშათა კლასის გეგმიური განვების რიტუალს ქმნიდნენ. ასეთი მომავლის სიმპტომები კარგად ჩანს, რადგან ლიბერალიზმის ადგილობრივი ვარიანტი ხაზგასმულად მარტივი და სწორხაზოვანია, ეს არის არა ერთმორწმუნე ლიბერალების, არამედ – დაფინანსებული «ლიბერალების» მანიფესტაციების ველი, ანუ ყალბია არა ლიბერალიზმის იდეოლოგია (ამის მტკიცება სასაცილო იქნებოდა), არამედ – მისი ადეპტების სიმართლე. ეს სიმულაკრების პერმანენტული კვლავწარმოების ველია (აქ ურიგო არ იქნება შილერის გახსენება, რომელიც ნატიფ ეპოქებში თვითნებობად გადაგვარებულ ლიბერალიზმზე ლაპარაკობდა). რა თქმა უნდა, ნებისმიერი იდეოლოგიის მსგავსად, ლიბერალიზმიც აწარმოებს იმედებს, რომლებიც იზიდავს, აბრუებს არაშემოქმედებით, საშუალო ადამიანს და მას არა მხოლოდ დაცულობის შეგრძნებას გამოუმუშავებს, არამედ შემოქმედებითობაზე, ნიჭიერებაზე, ბედისწერით გამორჩეულობაზე რევანშსაც ჰპირდება. აი, პროფანული სწორედ ამ მომენტში გადაიქცევა ბედისწერის წინააღმდეგ მიმართულ

აგრესიად, თორემ – წინააღმდეგ შემთხვევაში – არაფერი იქნებოდა პრობლემური და წინააღმდეგობრივი პოსტმოდერნულ ხალხოსნობაში: რა თქმა უნდა, სჯობს ენერჯია წერაში, ხატვაში, ხელოვნად ყოფნის ავტოტრენინგში ან სრულ ილუზიაში განეიტრალდეს (უფრო დაბალი რანგის ისეთ გამანეიტრალებელ აქტივობათა გვერდით, როგორებიც კომპიუტერული თამაშები, პლემბურ-თინეიჯერული ინტერნეტფორუმები, პოლიტიკურ და სამოქალაქო მოვლენებში თანაჩართულობის ილუზიის მანქანები და ბევრი სხვა მექანიზმია), ვიდრე – ბანდიტიზმში, ტერორიზმში და კაცისკვლაში (ანუ იმ ყველაფერში, რაშიც ადამიანური უგუნურების პოლიტიკურ მოდუსს დამხმარე არ სჭირდება, რადგან თუნდაც ეკოლოგიური და გასტრონომიული ვერაგობები ამ საქმეს უფრო ეფექტურად და შედეგიანად აკეთებენ), მაგრამ პროფანულ-კრეატიული ამით არ კმაყოფილდება, ის თავისი აქტივობის გადამწყვეტ ფაზაში ყოველთვის პოეტურ სანყისს, ბედისმიერს უტევს, ანუ იმას უტევს, რასთან თანაზიარიც ის ვერასდროს გახდება; მისი ყველაზე დიდი სისასტიკეები თავს იჩენს სწორედ პოეტური სანყისის გადაფარვისკენ მიმართული მისი ენერჯიის აფეთქებისას. 12.01.2014.

პროფანულისა და საკრალურის ურთიერთშერევის პოსტმოდერნული დინამიკა (რომელშიც ესთეტიკის ინტერესები და გლობალური პოლიტიკური კონიუნქტურის თანამედროვე სტრატეგიები, რბილად რომ ვთქვათ, ერთმანეთს დაემთხვა) დასავლეთში არა ტექსტის და ხელოვნების დემოკრატიზაციით, არამედ ხალხის უფლებათა განვრცობით ანუ მორიგი სიცრუით დასრულდა. ესთეტიკა, როგორც ყოველთვის ხდება გარდამავალ ისტორიულ სიტუაციებში, ამჯერადაც ფსიქოლოგიურ-

სოციალურმა კატეგორიებმა გადაფარა. მას მერე, რაც მკითხველი თავისი კულტურული სტატუსით შემოქმედს «გაუტოლდა», კრეატიული წერა კი – პოეტურ მეტაფიზიკას, პროფანულმა მხოლოდ წონაში მოიმატა, საკრალური კი გაღრმავდა, გაძლიერდა და ბევრ კლასიკურ ჰერმეტიულ ტექსტზე უფრო მეტი ჰერმეტიზმი შეიძინა. დადებით შუქზე, ამ ტექსტებმა ამოისუნთქეს იმით, რომ გათავისუფლდნენ მომხმარებლებისგან და არაანგაჟირებულ და პატივმოყვარეობის ჯაჭვით დაუბმელ მკითხველებთან ინტიმური სიმარტოვე მოიპოვეს. პოსტმოდერნიზმი, დიდი ანგარიშით, პოლიტიკური ძალაუფლების ნების თამაშების იდეოლოგიურ საყრდენად გადაგვარდა (გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან). ის იმთავითვე (60-იანი წლების ბოლოდან) მართლაც დემოკრატიული პლატფორმა იყო, მაგრამ მხოლოდ – ცხვრებისთვის და არა – მწყემსებისთვის. მწყემსად ყოფნის ფუფუნება კი, ტრადიციულად, ყველგან და ყოველთვის, კლასიკურ ღირებულებათა – პირველ რიგში ეთნიკური და კულტურული ძალაუფლებისკენ-ნების – ერთგულია, ხოლო ასეთი ძალაუფლებისკენ-ნება ყოველთვის ასკეტურია და არა – ჰედონისტური, უფრო ზუსტად, ჰედონიზმი მისი ასკეტიზმის მხოლოდ ერთი – და ისიც ინსტრუმენტული – ასპექტია. მდუმარე უმრავლესობათა (თუნდაც ეთნიკურ მდუმარე უმრავლესობათა) ჰედონიზმი კი ძალაუფლებისკენ-ნებასთან დამშვიდობებული ცნობიერების ჰედონიზმია ანუ – სასოწარკვეთის ფიზიკური მოდუსი, და ეს უკანასკნელი აუცილებლად მატერიალისტურ (და არა სულიერ და სახელოვნებო) სცენაზე ხორციელდება. 30.01.2014.

პირადი გამოცდილება მარწმუნებს, რომ პოეზიის და მუსიკის ჰარმონიული თანაარსებობა იქ, სადაც ისინი

ერთმანეთს განსაზღვრავენ, წმინდა წყლის მითია. პოეზია მუსიკასთან დაპირისპირების სულიდან იბადება და ეს ბრძოლა სწორედ ლექსის ველზე მიმდინარეობს. მეტიც, ლექსი დაბადების პროცესშიც და კითხვის პროცესშიც მუსიკასთან სიტყვის ინტენსიური ბრძოლის ხდომილებაა.
17.08.2014

ქებათა ქება პარანოიას

§1

არსებობს აზროვნების ერთადერთი მოდუსი, და ეს არის აზროვნების პარანოიული მოდუსი. აზროვნება, რომელიც არ არის პარანოიული, არც არის აზროვნება.

§2

პარანოიის სიკეთის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა ნიშნავს იმის გაცნობიერებას, რომ კაცობრიობის გენიის მიერ შექმნილი ნებისმიერი წარუვალი ფასეულობა – ლექსი, რომანი, ფილოსოფიური ტრაქტატი, ოპერა, სიმფონია და ა. შ. – პარანოიული აზროვნების წმინდა ნაყოფია.

§3

მარტივ მამრავლებად პარანოიის დაშლა ან ნაკლული პარანოიის უმარტივეს და უნაყოფო გამოვლინებათა მიხედვით პარანოიაზე მსჯელობა იგივეა, რაც – ლაჯებქვეშ არაბულ ცხენად წარმოსახულ ძროხაზე ამხედრებული ადამიანის ჯირითი. მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ არა წარმოსახვის ოინებთან, არამედ პროგრამული მანიპულაციების სიუხვესთან უფრო ხშირად გვაქვს საქმე: სწორედ არაბული ცხენის სისწრაფით შეშინებული ადამიანი მხედრდება ძროხაზე და ამტკიცებს, რომ მას ლაჯებქვეშ არაბული ცხენის სისწრაფე მოუქცევია.

§4

ნაკლული პარანოიის პრიმიტიული გამოვლინებანი, რომელთა პერსონიფიკაციები უბრალო, ყოველგვარ შემოქმედებით მუხტს მოკლებული, უხილავ ფსიქიკურ,

ექსისტენციალურ და ინტერსუბიექტურ მიზეზთა გადაკვეთაზე დაბნეული ადამიანები არიან, ფსიქიატრთა ხელში ხშირად გადაიქცევიან შურისძიების იარაღად პარანოიაზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რომელიმე სანყალი ადამიანის ბოდვებთან და ფანტაზიებთან. დაუოკებელი ჟინი – რომ უძლიერესი შემოქმედებითი ენერგიით დამუხტული პარანოია გაუთანაბროს მარტივი პარანოიის იმ ტრივიალურ გამოვლენებს, რომლებიც ხალხური ადამიანური არსებობის ყველა კუთხე-კუნჭულში საცნაურია – ფსიქიატრსაც მარტივი პარანოიის პერსონიფიკაციად აქცევს. ექიმი, რომელიც არ კმაყოფილდება ხელოსნის სტატუსით და ცეცხლს ეთამაშება, ანუ, მარტივი პარანოიის მარწუხებში მოხვედრილი, შემოქმედებითი პარანოიის რედუცირებას და ხალხურამდე ინდივიდუალურის დამიწებას ცდილობს, თითქმის არაფრით განსხვავდება მარტივი პარანოიული წარმოდგენებით გატანჯული პაციენტისგან, რომელიც სტალინი, ქრისტე ან ჰიტლერია ან რომელსაც გენიალური იდეებისთვის დევნიან, უთვალთვალებენ, წამლავენ და ა. შ. (ან, თუნდაც, თანამედროვე სამყაროში ირაციონალიზმის ისეთი სასტიკი გამოვლენისგან, როგორც კოლექტიური ნაციტურ-რასისტული პარანოია და მისი სისტემური პრაქტიკებია). უკვდავებისკენ ადამიანის თანდაყოლილი ლტოლვის ეს საბრალო და ხელმოცარული გამოვლენები, პაციენტს რომ ტანჯავენ, უმალ რეაქციულ ენერგიად მობრუნდებიან, როგორც კი მათი ასპარეზობის ველად «ჯანმრთელი» ექიმის ლტოლვები და ფსიქოლოგიური სისუსტეები გადაიქცევა. ამ დროს სიტუაციის მთელ ტრაგიზმს სწორედ ის გარემოება ქმნის, რომ ძალაუფლების ნების თამაშების ყოვლისმომცველ კანონთა სამოქმედო სცენაზე გადამწყვეტი ხმის უფლება მოუპოვებია მხოლოდ ისტორიულ-სოციალური

პირობითობებით და პრიორიტეტებით განსაზღვრული ნორმატივების აღმასრულებელ ფსიქიატრს, ხოლო დათრგუნულა პაციენტის ხმა (ასე რომ არ იყოს, მაშინ, ფსიქიატრი და პაციენტი მხოლოდ ერთი მედლის ორ მხარეს უნდა წარმოადგენდნენ და არა – უმეტესს). თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს იმის დაბუსტებასაც, რომ პარანოიასთან შემხვედრი ფსიქიატრის მორალური პორტრეტი იკვეთება არა მარტივი პარანოიის სახესხვაობათა მიმართ მისი შინაგანი დამოკიდებულების დროს, არამედ – მაშინ, როცა მას ბედი არჩევნის წინაშე აყენებს: ან ერთმანეთისგან განასხვავოს მარტივი პარანოია და შემოქმედებითი პარანოია ან ძალაუფლების ნების თამაშებს ცუდი სამსახური გაუწიოს და ტრივიალურ პარანოიამდე შემოქმედებითი პარანოიის დაყვანის ტრივიალურსავე გზას დაადგეს (სხვათა შორის, ჯერ კიდევ ფსიქიატრიის გარიჟრაჟზე, არა მხოლოდ ბუსტი სამედიცინო აღლოს, არამედ ძლიერი შემოქმედებითი საწყისის საუკეთესო გამოვლინების ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს ბლოილერის მიერ შიზოფრენიებზე და არა შიზოფრენიაზე ლაპარაკი).

§5

აზროვნების უფლების საყოველთაო ლეგიტიმაციისთვის მებრძოლ ადამიანთა ომი, რომელიც წითელ ზოლად გასდევს კაცობრიობის გამოცდილებას და რომელიც ჩვენს დროში ისეთი ძლიერი ინტენსივობით გამოირჩევა, რომ ის მორიგ გადამწყვეტ ფაზაში შედის, სხვა არაფერია, თუ არა – მხოლოდ შემოქმედებითი პარანოიისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ინტუიციით დაჯილდოებულ ადამიანთა ომი მდარე ეგოიზმთან და ძალაუფლების მდარე ნებასთან, აგონალისტური

სულისკვეთების ბერძნული ეტიკის უარყოფელ ბნელ ძალებთან.

§6

შელინგის, შოპენჰაუერის და ნიცშეს მიერ დასაძირკვლებული ფსიქონალიტიკის ანბანური დონეც კი საკმარისია პარანოიის წინააღმდეგ ხმალმომარჯვებელი ადამიანის ერთადერთი რეალური მიზნის წასაკითხად, თუ ის შეგნებულად (ან უვიცობით) ურევს ერთმანეთში მარტივ და შემოქმედებით პარანოიებს: ეს არის ბრძოლა მოწინააღმდეგის პარანოიის დათრგუნვის გზით საკუთარი პარანოიისთვის გზის გასაკვალად. მსგავსი ქმედება, როგორც წესი, მოკლებულია პათიოსანი ბრძოლის წესებს; შესაბამისად, სოფისტური იარაღებით და ფსევდოეთიკური მანიპულაციებით პარანოიის წინააღმდეგ მებრძოლი სუბიექტის აგრესია მოწოდებულია ძალაუფლების ნების და არა შემოქმედებითი ნების განსახორციელებლად (ანუ ამ დროს საქმე ეხება ხმლის ქნევას სექსის – და არა ეროტიკის – სახელით და სასარგებლოდ).

§7

არავინ არის ისეთი არანაივური და სწორხაზოვანი პრაგმატიკით შეიარაღებული, როგორც – ადამიანი, რომელიც დიაგნოზს სვამს. შესაბამისად, არავინ არის ისეთი ძლიერი პარანოიით (მარტივით ან რთულით) დამუხტულ ველში მოხვედრილი, როგორც – ადამიანი, რომელიც დიაგნოზს სვამს. შესაბამისად, არავინ არის ძალაუფლების ნების თამაშების ისეთი უსუსური ობიექტი, როგორც – ადამიანი, რომელიც დიაგნოზს სვამს. ადამიანი აზროვნებას იწყებს მაშინ, როცა იგი უარს ამბობს მარტივ მამრავლებად შემოქმედებითი პარანოიის დაშლის უხეშ

პრაგმატიზმზე («აზროვნებით დაავადებული» ფსიქიატრის საუკეთესო ლიტერატურულ აღწერას, ვფიქრობ, სელინს უნდა ვუმადლოდეთ: მისი ექიმი ბარიტონის დიალექტიკა თემის ირონიული და სევდიანი შეჯამებაც არის და – შესავალიც).

§8

ექიმის ექსისტენციალური მდგომარეობის ორაზროვნება მის ფსიქიკასაც ორად ხლეჩს და მას მუდმივი შინაგანი ბრძოლების ასპარეზად აქცევს: ექიმი არა მხოლოდ სოციალურ პირობითობათა ძალით, არამედ (და, შესაძლოა, უპირატესადაც) – ამ პირობითობათა ფარგლებში საკუთარი დაცულობის განსამტკიცებლად, იძულებულია, პერმანენტულად მალავდეს იმას, რაც მასში ავადმყოფურია (სწორედ სოციალურ პირობითობათა ცვალებად შკალაზე ავადმყოფურად შეფასებულს) და მოქმედებდეს, როგორც ჯანმრთელი სუბიექტი. ხოლო რაკი მისი მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა – ურთიერთობა პაციენტთან, აღნიშნული ურთიერთობის პროცესიც, პარალელური აქციის სახით, სხვას არაფერს მალავს და გულისხმობს, თუ არა – ექიმის მიერ საკუთარ თავში ავადმყოფურის გაძევებისა და ავადმყოფურზე ძალადობის გზით ჯანმრთელობის კონიუნქტურის სასარგებლოდ აღძრულ გარჯას, შესაბამისად – ნაძალადევი ავადმყოფობის მხრიდან შურისძიების პერმანენტულ მოლოდინს. პაციენტები მოდიან და მიდიან, ექიმის ავადმყოფობა კი რჩება და მორალური ცენზორის უცვლელი სისასტიკით უტევს ნიღაბს, რომლისგანაც იგი მოითხოვს არა აღიარებას, არამედ – გათავისუფლებას, ე. ი. შიგნიდან გარეთ გამოსვლას, გაგარეულებას. განურჩევლად იმისა, თუ როგორი შედეგით მთავრდება ეს დრამა (მაღლდება თუ ვერ მაღლდება ფსიქიატრი

შემოქმედებით საფეხურზე), თვით პროცესი პირწმინდად პარანოიულია.

§9

როცა კარს ვაღებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ გა-მოღებული კარი შე-ღებული კარიც არის, და – პირიქით. სწორედ ისე, როგორც: ნივთი ან გამოცდილება, რომელიც სადღაც შეგვაქვს, იე ყოველთვის საიდანღაც შეგვაქვს, და – პირიქით. მაგრამ ეს უნდა გვახსოვდეს სწორედ მაშინ, როცა კარს ვაღებთ.

§10

პარანოიის გაუკუღმართებული გაგება მატერიალისტურ-ოპერაციული ინსტრუმენტარით მისი განმარტების კომბინატორიკაში მდგომარეობს: იგი ყოველთვის აღიწერება, როგორც პოტენციური ან რეალური საზრისით აღსავსე მოცემულობა. არადა, პარანოიის მთელ სიმდიდრესაც და ხიბლსაც მისი პრინციპულად არამატერიალური ბუნება ქმნის: პარანოია თავისუფალი ენერგიაა, გნებავთ – თავისუფალი წინარეეთერული ენერგია, რომელსაც გააჩნია არა საზრისი, არამედ – მხოლოდ საწყისი წერტილი და მიმართულება. მეტიც, იგი გამოვლინდება (ანუ ჩნდება, როგორც წინარეეთერული ენერგიის კონდენსირებული ნაყოფი: საწყისი წერტილი) მხოლოდ მაშინ, როცა იქმნება პირობები ძლიერი საზრისის გამოსავლენად, მაშასადამე, იმის გამოსავლენად, რაც საჭიროებს საწყის წერტილს და მიმართულებას. ასე რომ, პარანოია, რომელიც არ არის შინაარსის მატარებელი მოცემულობა, არც ფორმაა. იგი შინაარსის და ფორმის მიღმა აფეთქებული თავისუფალი ანუ პოეტური ენერგიაა.

§11

თუ მაინცდამაინც ადამიანური ცოდნის ფარგლებში პარანოიის გათვალსაჩინოებას მოვინდომებთ, იგი, როგორც პოეტური ენერგია, შეიძლება შევადაროთ ელექტრომაგნიტურ წრიულობას, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტულ პოეტურ ხდომილებათა უწყვეტ კვლავნარმოებას არსაიდან და არაფრიდან.

§12

არსებობს პოეტური აზროვნების ერთადერთი მოდუსი, და ეს არის პოეტური აზროვნების პარანოიული მოდუსი. პოეტური აზროვნება, რომელიც არ არის პარანოიული, არც არის პოეტური აზროვნება (რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ: ნებისმიერი აზროვნება სხვა არავინ და არაფერია, თუ არა – პოეტური ხდომილება).

აგვისტო-ნოემბერი, 2014

5. კრიტიკა

ღელა კოდალაშვილი


სულიერი გადასახლება

ოთარ ჩხეიძის წიგნს, «რომანი და ისტორია», თვალს თუ შევაკვლებთ, უნებურად გავიფიქრებთ, რომ რომელიღაც მნიშვნელოვანი მწერლის რომანის ვრცელი განხილვაა, მაგრამ პირველივე სტრიქონების წაკითხვა მიგანიშნებთ – საქმე მხატვრულ ტექსტთან გაქვთ. თუმცა, თუ კითხვა გააგრძელეთ, კიდევ მრავალგზის შეგეცვლებათ ვარაუდი, რადგან ეს სქელტანიანი წიგნი ძნელად შეიძლება, რომელსამე ჟანრს მიაკუთვნოთ. რომელიც, ერთი მხრივ, ბიოგრაფიული რომანია ვასილ ბარნოვის შესახებ, მაგრამ იქვე იკვეთება სხვა მიმართულებაც —

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი, რომელიც მხატვრულ ქსოვილშია მოქცეული და ეს მხატვრული ქსოვილი გასდევს მთელ ტექსტს, სადაც ძირითადი სიუჟეტი ისტორიული დეკორაციებით, ეპოქალური მოვლენებით იტოტვება და ყველაფერი თითქოსდა ერთგვარ პარაბოლას ქმნის, რომლის ფოკუსი – ამ წიგნის მთავარი პერსონაჟი, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მწერალი, ვასილ ბარნოვი გახლავთ.

როცა ლიტერატორი ახლო ხედით განიხილავს მწერლის შემოქმედებას, მისი ხედვის არეში მხოლოდ ტექსტები ექცევა. მაგრამ ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული ანალიზი მხოლოდ ბარნოვის რომანების განხილვას კი არ ეფუძნება, არამედ ბიოგრაფიული დეტალებით მის გამდიდრებას და ამ ყველაფრის შესაბამისი ისტორიული რაკურსის ფონზე ასახვას. ყველა ზემოჩამოთვლილის ფონზე ჩანს ოთარ ჩხეიძის დამოკიდებულება საკვლევ მასალასთან, ასევე ზოგადად, ხელოვანთან და ხელოვნებასთან მისი მიდგომა.

«რომანი და ისტორია» ათი მოზრდილი, დასათაურებული თავისგან შემდგარი ტექსტია. და სანამ წაიკითხავ, თითოეული ნაწილისგან ათ მოზრდილ ამბავს ელი, ათ სხვადასხვა საფეხურს, ხედვას, მიგნებას ვასილ ბარნოვის იმ საინტერესო მწერლური მემკვიდრეობის მიმართ, რომელიც ოთარ ჩხეიძემ საკუთარ მწერლურ პრიზმაში გარდატეხა, საკუთარი ენობრივი წიაღები გამოატარა და ამ სრულიად განსაკუთრებული ფორმით წიგნად დაწერა.



პირველივე თავი, «პაექრობანი ტოლათსოფელში», უცნაურად და სიმბოლურად იწყება.


რომანის მთავარი პერსონაჟი ეკლესიის გასწვრივ მდგარ კოშკს დაინახავს. კოშკი და ეკლესია, ამ შემთხვევაში, ალბათ, როგორც ერთმანეთის გამომრიცხავი სიმბოლოები (ქრისტიანობა და ქრისტიანობისმიღმა სიმბოლო), როგორ ერთის მეორიდან გამომდინარეობა (ისტორიულ ქრონოლოგიას თუ გავითვალისწინებთ), როგორც

ქრისტიანობის თვალსაწიერის შემოუფარგვლელობისკენ სწრაფვა, გამომრიცხავ ცნებათა მიღება, უნდა აღვიქვათ. ეს ორი კონსტრუქცია-მეტაფორა თავის თავში მრავალშრიან ადამიანურ მეხსიერებას მოიცავს, იმას, რაც საუკუნეების მანძილზე დაუგროვებია კაცობრიობას და კულტურათა კლიშეებში მოუქცევია. კოშკისა და ტაძრის გარშემო კი უკიდეგანო სამყაროა და უნებურად იქნებ სწორედ ეს გარე, მიღმიერი, შემოუსაზღვრავი სივრცე არის

მწერლის კვლევის არეალი თუ არსებულის მიმართ პროტესტი...

ვინც ოთარ ჩხეიძის ენას, წერისა და აზროვნების სტილს არ იცნობს, ის «რომანი და ისტორიას» ერთ მონოლითურ მხატვრულ ტილოდ აღიქვამს. ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარს ხელოვნების ნიმუშების კატეგორიებად დაყოფა. არადა, ჟანრიც რომ თავისებური შეზღუდვაა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის მწერლისთვის, ამის მაგალითად სწორედ ეს წიგნი გამოდგება, რადგან ავტორი აქ უარს ამბობს ამგვარ კლიშეზე და გვთავაზობს სქელტანიან წიგნს, რომელიც ოთარ ჩხეიძის მწერლური ჯადოქრობის მეშვეობით ერთდროულად არის კლასიკური მხატვრული რომანი, რომელიც მოიცავს ბიოგრაფიულ მომენტებს და დოკუმენტებს თავისი ისტორიული რაკურსით. მეორე მხრივ კი – ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური კვლევა, რომელშიც ჩართულია მხატვრული პასაჟები წარსულის დეკორაციების ფონზე.

და მაინც, მე ვიტყვოდი, რომ მთელი ეს ვრცელი ნააზრევი არის ოთარ ჩხეიძის, როგორც მოაზროვნისა და როგორც ფსიქოლოგიური ინდივიდის ერთგვარი სულიერი გადასახლებაა ვასილ ბარნოვის მწერლურ და ფსიქოლოგიურ სამყაროში, საიდანაც ახალი რაკურსით ხდება სამყაროს შეცნობა. თითქოს გაერთკაცებული ეს ორი ინდივიდი, სრულიად სხვადასხვა ენისა და განზომილებების მექონე ორი მწერალი ერთმანეთს შეერწყა და სამყაროსეული გაუგებრობების შტურმით აღება განიზრახა. ერთობლივი ძალით შეეჭიდა იმ მარადიულ კითხვებს, რომელიც მუდმივად აწუხებს მოაზროვნე ადამიანს.



ერთი შეხედვით, რომანში
უსაშველო ქაოსი ტრიალებს.
მითოსი, წარმართობის
დროინდელი არქეტიპები,
რელიგიური პერსონაჟები,
ხალხი, თავად ვასილ ბარნოვი,
შემდგომი თაობა, მისი
პერსონაჟები, ავტორი,
რომელიც ავტორად რჩება და
ავტორი, რომელიც მთავარ
პერსონაჟს შეერწყა... მაგრამ ეს
მხოლოდ ერთი შეხედვით,
რადგან ამხელა სპექტრი
სწორედ იმიტომ არის
წარმოდგენილი, რომ

მკითხველმა უფრო ნათლად დაინახოს
მსოფლმხედველობათა ჭიდილი, ეპოქებს შორის სხვაობა,
ადამიანთა შორის წინააღმდეგობები და საერთოდ, მთელი
ის მწყობრი სისტემა, რაც, სინამდვილეში, განვითარების
ბუნებრივ კანონს ემორჩილება.

მცირე ფორმატის პირობებში ძნელია რომანის თითოეულ
თავზე გამოწვლილვით საუბარი, რადგან, თავის მხრივ, ეს
თავებიც ცალკეულ სათქმელთა მთელი მარაგია. მაგრამ
შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ, ერთი შეხედვით,
ჰერმეტიკული ქართული სივრცის გამჭვირვალობა, როცა
რომანის მეოთხე თავში, «რას აჭხირებოდა ბალზაკი
სკოტსა», ოთარ ჩხეიძე ოსტატურად ახერხებს, ევროპელ
მწერალთა მსოფლმხედველობის, მიზნების, ხედვის და
ზოგადად, ისტორიული კონტექსტის მეშვეობით
«გაათვითცნობიეროს» შემოქმედებით წვაში მყოფი
ბარნოვი, რომელსაც, თავის მხრივ, მიზნად დაუსახავს,

გააცოცხლოს ისტორია და გაითვალისწინოს ყველა ის ცოდნა, რაც მწერლურ წიაღში არსებობს არამხოლოდ საქართველოში. მწერალი ევროპას მიმოიხილავს და წარსულისკენ, მე-18-19 საუკუნეების პერიოდისკენ იმზირება. ბაირონის, უოლტერ სკოტის, ბალზაკის, ჰიუგოს ეპოქას ხატავს. მცირე შტრიხებით ავლენს თავის დამოკიდებულებას მის მიმართ. სწორედ ასეთ ნიუანსებში ვლინდება ამ ავტორის ირონიანარევი იუმორი, რომელსაც ზომიერების დაცვით, ზედმინევნით აკურატულად გვანვდის: «ჰო, შორს გავიდეთ და ისიც გავიხსენოთ, უოლტერ სკოტი რო ყოველთვის ბევრს ეტანებოდა; ვაითუ ნიჭი არ მეყოს და ეგება დიდძალმა მასალამ დამიფაროს ნიჭის უკმარისობაო. შიშობდა და არცა ჰფარავდა, სინრფოებითა და გამარჯვებულის სიამაყით გაემჟღავნებინა უევერლეის ციკლის 1829 წლის გამოცემაში, თავიც გაეცა, «უევერლეის» ავტორი მე ვარო, თავიც გაეცა და არც შიში დაემალა. ან ნეტავი რაღად უნდა დაემალა, აღიარებულყო იმისი ნიჭი»... მაგრამ ამ თავის ხიბლი მხოლოდ ამგვარი პასაჟები არ არის. ავტორი მიმოიხილავს მე-19 საუკუნის საუკეთესო რომანებს და მათ ავტორებს. რადგან წიგნის მთავარი პერსონაჟი მწერალს ჯერ მხოლოდ ცხოვრების შუა გზაზე ჰყავს და შემოქმედებითი პროცესებიც წინაა...

დაღმასვლა მხოლოდ ბოლო თავებში იგრძნობა. ეს არ არის ავტორის პესიმიზმი ან იმედგაცრუება ცხოვრების წარმავალობის მიმართ. ეს რეალობის ასახვაა. ამჯერად ამ რეალობას – განვითარება, ნაყოფიერება, შრომა, კვლავ შრომა და ბოლოს, ამქვეყნიური ცხოვრების მიწურული ჰქვია. «ეს სხვა იყო, მომხდართა თუ აღწერილთაგან განსხვავებული, უცნაური, განუმეორებელი: აზრი საღი ჰქონდა, წარმოსახვა უსაზღვრო, შთაგონება კვლავ

ჭეშმარიტი, ოღონდ აღარ ემორჩილებოდა აღარცა ხელი, აღარცა ტუჩები, ვეღარ დაეწერა, ვეღარც გამოეთქვა, – როგორღა შეეთხზა, როგორღა შეექმნა და რო არ შეექმნა, როგორღა ეცოცხლა?! ეს სულ სხვა იყო, ეს ტრაგედია არც დაწერილა». მთავრდება რომანი მწერლის შემოქმედებითი სიკვდილით. ოთარ ჩხეიძემ ბარნოვის ბიოგრაფიის დასასრულად მისი სწორედ ამგვარი «სიკვდილი» არჩია და ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ რაც მანამდე წავიკითხეთ, ყველაფერი, თვით ცხოვრებისეული, პრაგმატული, ყოფითი დეტალებიც კი, მხოლოდ იმდენად იყო საინტერესო, რამდენადაც ეს ყველაფერი ვასილ ბარნოვს, როგორც შემოქმედს განაპირობებდა და შეადგენდა.

ოთარ ჩხეიძემ ამ წიგნით, რომელიც სულ ახლახან თავიდან გამოსცა გამომცემლობა «ჩვენმა მწერლობამ», უიშვიათესი სიღრმის მწერლური პორტრეტი შექმნა და გაგვაცნო ის ვასილ ბარნოვი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ალბათ ბევრი ჩვენგანი არ იცნობდა...

მაკო ჯანჯიბუხაშვილი

ბეგბედერი - ანტიკაპიტალიზმი და სხვა თანამდევნი თემები


თანამედროვე საფრანგეთს ისევე ჰყავს მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი მწერლები, როგორც ჰყავდა XIX-XX საუკუნეებში. ესენიც ტრადიციას აგრძელებენ, წერენ ყველაზე აქტუალურზე და წერენ უკომპრომისოდ, რაც ამშვენებს მწერლობას და ხელოვნებას. მათ რიგში კი უთუოდ დგანან მიშელ უელბეკი და ფრედერიკ ბეგბედერი, ერთი შეხედვით, იქნებ, ერთმანეთის მსგავსი მწერლები, რაც გარეგნულად ტოვებს ამგვარ შთაბეჭდილებას, მაგრამ სათქმელის სიღრმის თვალსაზრისით, უელბეკი მაინც სხვა მასშტაბების ავტორია, მისი ე.წ. ინტელექტუალური რესურსი იშვიათი სიღრმით და საინტერესო ინტერპრეტაციებით გამოირჩევა. რა თქმა უნდა, ეს მწერლის არჩევანია, თავის სათქმელს როგორი ფორმით და რა საშუალებებით გამოხატავს, მაგრამ ამის გარდა, უელბეკის თემატიკა – მომავლის შემზარავი სურათების მთელი სიმძაფრით დახატვა, მაინც განსხვავდება ბეგბედერის მხატვრული «მიმართულებისგან». ეს უკანასკნელი უფრო ლაღად და მსუბუქად ახერხებს ფონს გასვლას, მისი სტილი და წერის მანერა სწორედ ამ მხრივ განსხვავდება უელბეკის მანერისგან. ასეა თუ ისე, ბეგბედერიც ძალზე საინტერესო და «წასაკითხი» მწერალია, ბოლოს და ბოლოს, იგი იმ სამყაროს აღგვიწერს, რომელშიც ჩვენც ვცხოვრობთ, თუმცა, შიგნით შეხედვის საშუალება არ გვაქვს.

ფრანგულ მწერლობას ყოველთვის უყვარდა სოციალური თემატიკა (ან კი, რომელ მწერლობას არ უყვარს?!), თუმცა, მისი მიდგომა მაინც სპეციფიკური იყო, სპეციფიკურად

ფრანგული, რაც მწერლის თანამედროვე სამყაროს ერთდროულად წარმოაჩენდა, როგორც მისი მორალურ-ეთიკური, ისე – სოციალური კუთხით. თუმცა, ადრინდელ ეპოქაში მწერლობა უფრო დელიკატური იყო, მწვავე თემებსაც უძებნიდა ერთგვარ «უმარილს». თანამედროვე სამყარო დელიკატურობის შენარჩუნებას აღარ ცდილობს, ის მანერა ძველმა დრომ გაიყოლა თან, უახლესი ფრანგული რომანი კი ისეთი ხისტი და უკომპრომისოა, როგორც არასდროს. მესიჯი ასეთია – თანამედროვეობას შელამაზება და მოპირკეთება არ სჭირდება, უფრო სწორად, ამის ღირსი არ არის, იგი მთელი მისი სიმახინჯით უნდა აჩვენო. ამაში უელბეკი და ბეგბედერი «ძმები» არიან. ისეთ ულტრანატურალისტურ სურათებს ხატავენ, ზოლას შეშურდებოდა.

მატერია, რომლის ტყვეებიც ვართ ჩვენ, ადამიანები, კონკრეტულად კი, თანამედროვე ადამიანი, ჩვენზე ბატონობს და ბატონობს იმდენად, რომ თითქმის მთლიანად გვაცლის ნებას და არჩევანის თავისუფლებას. ჩვენ ჩვენს სამყაროში გაბატონებული ტექნოლოგიების ტყვეები ვართ, თან გვაღიზიანებს მისი მიღწევები, თან ვემორჩილებით, რომ იტყვიან, ორ წყალს შუა ვართ.

შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე ფრანგებს ხშირად და საბედისწეროდ ახსენდებათ კამიუ, მისი «აბსურდის ადამიანი» და ამ ადამიანის თვალით დანახული სიცოცხლის აზრის საკითხი, რომელსაც სულ არ სჭირდება დიდი მეცნიერული წიაღსვლები, ისედაც ნათელია – რაც მეტი დრო გადის, სიცოცხლის აზრი მით უფრო საეჭვო ხდება, რაც უფრო კომფორტული და იოლი ხდება ცხოვრება, რაც უფრო მეტად ერთობა და «მსუბუქდება» იგი, მით მეტად ეჭვდება მის ღირებულებაში ადამიანი. ამიტომაც, ბოლოს და ბოლოს, მიწაზე



ყველ
აფერ
ი
გული
ს
ამრე
ვი
ხდებ
ა,
მით
უფრ
ო, –
ფულ
ი და
სიმდ
იდრე
.
შეუძ
ლებე
ლია,
ადამ
იანმა
მიალ
წიოს
დიდ
სიმდ

იდრეს და დიდი გულზიდვები არ დაეწყოს, თუ უდიადესი იდეები არ ამოძრავებს და ამ ფულის კეთილშობილ საქმედ ქცევა არ შეუძლია. მილიარდერებზე გატუტუცებული ადამიანები არ არსებობენ, მაგრამ თუ მილიარდებს ინტელექტი ამშვენებს, ის, უბრალოდ, მილიარდი კი აღარ არის, არამედ «ქეისებად» ქცეული

უზარმაზარი «კარადაა», რომელშიც უამრავი სასიკეთო «ნივთი» ინახება.

ამიტომ არის, რომ ბილ გეიტსმა და სტივ ჯობსმა ასე სანიმუშოდ მოახერხეს თავიანთი მილიარდების «დაბინავება», ასეთებს ფული ვერ ერევათ. მაგრამ რა შეუძლია ფულს, როდესაც იგი მხოლოდ ზედაპირული, მხოლოდ მატერიაზე ორიენტირებული ადამიანის კუთვნილება ხდება – რა შეუძლია და – საშინელებების ჩადენა – ქილერებთან «თანამშრომლობა», ბუნების «რეკონსტრუქცია», ნარკოტიკებით გამოთაყვანება, ანდა ჭამა-სმით დახრჩობა. დიდმა ფულმა მსოფლიო მატერიალური კულტურაც შექმნა და მასობრივი განადგურების იარაღიც. ასეა თუ ისე, ფული ძალაა და მას თავისი კალაპოტი სჭირდება.

ფრანგების იუმორს რა შეეძრება?! ფილმი «სათამაშო» მახსენდება, სადამდე მიდის ჰოლდინგის მფლობელის ამბიციის, როგორ აქცევს სათამაშოებად თავის ქვეშევრდომებს და როგორ იშორებს ყველაფერს, რაც მას გზაზე გადაელობება.

ბეგბედერიც ამ სამყაროს მანკიერებაზე წერს, მაგრამ მისი სამყარო კიდევ უფრო გამძაფრებული და კიდევ უფრო გამოფიტულია – აქ მეფობს აღვირახსნილი გართობა, ნარკოტიკები, სასმელი, მაღალი მოდა, რაც ადამიანს თავისუფლებას ართმევს და მონად აქცევს: «მაღლე ქვეყნებს ფირმები შეცვლიან. ჩვენ ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეები კი აღარ ვიქნებით, არამედ, სავაჭრო ნიშნების მცხოვრებლები: მაიკროსოფტში ან მაკდონალდლენდში ვიცხოვრებთ, ან სულაც კელვინკლაინელები ან პრადელები ვიქნებით» («99 ფრანკი»).

დაწერო ბეგბედერზე ისე, რომ ფულს სათანადო ადგილი არ მიუჩინო, წარმოუდგენელია. ეს არის მწერალი, ვინც კაპიტალიზმს აკრიტიკებს ფულისა და მატერიისადმი სწორედ მისი უსაშველო სიყვარულის გამო და, ეგებ, არც ცდებოდეს, მაგრამ რიტორიკული კითხვაც იბადება – მემარცხენეობასა და სოციალიზმშიც რომ არ არის ხსნა?! იმაზე უკეთესად ვინ დაინახავდა სოციალიზმის ვულგარიზმს, როგორც ჩვენ ვხედავდით, ყოფილი საბჭოელები?! საბჭოთა სოციალიზმს თავისი დიდი ჭირი სჭირდა – მილიარდები იხარჯებოდა ადამიანის დამორჩილებისთვის, ამ მორჩილების პროპაგანდისთვის, ნების წართმევისთვის, ე.წ. ჰომო-სოვიეტიკუსად ქცევისათვის, რომელსაც საკუთარი არაფერი უნდა ჰქონოდა, გარდა პირველადი მოხმარების ნივთებისა. დანარჩენი მისი «დიადი ქვეყნის» განკარგულებაში უნდა ყოფილიყო და მას ებრუნა და განესაზღვრა, საით მიემართა ადამიანის გონი თუ ემოცია. პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქე, ვისაც თავის თავზე აქვს ნაწვნივი ამგვარი სოციალიზმის «სიკეთე», უფრო ფხიზლად და კრიტიკულად უყურებს კაპიტალიზმის კრიტიკას და სოციალიზმის ქებას. საბჭოთა პროპაგანდამ მას თავის დროზე ყელში ამოუყვანა «დამპალი კაპიტალიზმის» კრიტიკა, იქამდე მისული, რომ დასავლელი ფილოსოფოსები მიკროსკოპულ დაკვირვებაში ჰყავდათ და სალანძღავი ეპითეტების გარდა ვერაფერს იმეტებდნენ, ჩვენ მათი ნაშრომების ორიგინალში წაკითხვაც კი გვეკრძალებოდა, მხოლოდ კრიტიკა და კრიტიკა, რაც, ძირითადად, ლანძღვა იყო იმ «დამპალი» სამყაროსი. რაც შეეხება ფრანგების თუ შვედების სიმპათიებს სოციალიზმისადმი, მათი დამოკიდებულება სრულიად განსხვავდება ჩვენთვის ნაცნობი სოციალიზმისგან. განვითარებული კაპიტალიზმის

ქვეყნები სოციალიზმსა და მემარცხენეობას, ძირითადად, მოქალაქეთა სოციალური დაცვის თვალსაზრისით იწონებენ და ეწინააღმდეგებიან იმ ჭარბ კაპიტალს, რაც, შესაძლოა, სახელმწიფოს, ანდა ადამიანის ხელში აღმოჩნდეს მაშინ, როდესაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი ცხოვრების უდაბლეს დონეზე დგას. ყოველ შემთხვევაში, ჰუმანისტების მემარცხენეობას და სოციალისტობას სხვა მიზეზი არ უნდა ჰქონდეს. შეუძლებელია, ამაში არ დაეთანხმო – საარსებო კი არა, ღირსეული ცხოვრების პირობები რომ უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ადამიანს.

ფრედერიკ ბეგბედერის ე.წ. მემარცხენე იდეები საქვეყნოდ ცნობილია, მის მიერ შიგნიდან დანახული და «შარაზე გამოტანილი» კაპიტალიზმი მილიონებმა გაიცნეს. იგი, ერთი მხრივ, ამ «დამპალი კაპიტალიზმის» პირმშოა, მისი ყველა სიკეთით სარგებლობს, მის მიერ გაკერპებული ფირმებისა და ბრენდების რეკლამირებით არის ცნობილი, მაგრამ, მეორე მხრივ, არც ამ ბრენდებს ინდობს და არც საკუთარ თავს. ის ირონია და თვითირონია, რაც ბეგბედერის პროზას ახასიათებს, ზუსტი შესატყვისია თემებისა, რაზეც იგი წერს. ამ მანერის გამოც არის მისი პროზა ფასეული – თანამედროვე სამყაროსთვის ირონიისა და იუმორის გარეშე ყურება კრახია! ის მომხვეჭელობა და «პატარა ადამიანის სინდრომი», რაც მეტ-ნაკლებად ახასიათებს თანამედროვე სამყაროს, შეუძლებელია, მწერლის ბასრ იარაღს გადაურჩეს, რადგან სიხარბე, ფულისა და ნივთების გადაჭარბებული სიყვარული, თავისთავად, უკვე ირონიის საგანია. ფასეულობები, რაც ოდესღაც, კარგად დავინყებულ წარსულში ჩამოყალიბდა, ფაქტობრივად, არც შეცვლილა, ასევე არ შეცვლილა ანტიფასეულობები, სუროგატები, რომელთაც ეთაყვანება

ადამიანი, მაგრამ თავისთავად არც ისე დიდი ღირებულება აქვს, ოქრო იქნება, ფული თუ, ზოგადად, მატერიალური ნივთი.

ვერც მეგაპოლისები და უკიდეგანო გართობის ცენტრები გადაურჩა ბეგბედერის სარკაზმს – «მაიამი სოდომის, გომორის და ბაბილონის დაძმობილებული ქალაქია».

ბეგბედერისთვის ყველაფერი ირონიის საგანია, რაც ფორმალურად იქცა, თუნდაც, თავის დროზე სხვა, უფრო კეთილშობილური საფუძველი ჰქონოდა მის ჩამოყალიბებას. დავუშვათ, ოჯახი, როგორც ერთგვარი ზეწოლის იარაღი და თავისუფლების დაკარგვის მიზეზი. «99 ფრანკის» გმირი (და, არა მხოლოდ მისი გმირი) ამ ინსტიტუციას უმხედრდება, თუმცა ზოგჯერ ისე აშარჟებს ამ ამხედრებასაც, არ შეიძლება, სიმპათია არ გამოიწვიოს («სიყვარული ცოცხლობს სამ წელს»).

კაპიტალიზმის «შიგნიდან» ძირის გამოთხრით ბეგბედერი მარხო პიუზოს ემსგავსება, რომელმაც იტალო-ამერიკული მაფიის მთელი «ღირსება და სიდიადე» უჩვენა მსოფლიოს და, ფაქტობრივად, გაასაჯაროვა ის საიდუმლო მექანიზმები, რაც კლანებსა და მაფიებს ახასიათებდა. თუმცა, პიუზო ამას დრამატულ კონტექსტში სვამს, რასაც თავისი მიზეზები აქვს, ხოლო ბეგბედერი მხოლოდ ირონიითა და, თითქმის თანაგრძნობის გარეშე ააშკარავებს თავისი კრიტიკის ობიექტების ნამდვილ სახეს. მას სხვა ეპოქაში უხდება ცხოვრება და თემაც უფრო სნობურ-კონიუნქტურულია, ამიტომაც ირონიას და სარკაზმს იხდენს.

ბეგბედერის კითხვისას არაერთი აქტუალური თემა წამოტივტივდება და ფაქტობრივად, ყველა თემა

საინტერესოა თანამედროვე ადამიანისათვის, ეს არის
სწორედ მიზეზი, რომ მას კითხულობენ და უყვართ კიდევ.

6. ფოლკლორი

გიორგი არაბული

ხოლიგათ თათარას და ქისტი ქალის ამბავი

*«მივლნატრი გუროს ციხესა, ქვაზე ნედებსა ქვასაო,
შიგა ნაჯდომსა ვაჟკაცსა ხოლიგათ თათარასაო...»*

ხევსურულ ხალხურ პოეზიაში საგმირო-საისტორიო ლექს-სიმღერები სჭარბობს, რაც გამოწვეულია ხევსურეთის გეოგრაფიული მდებარეობით, ყოფით, მეომრული სულით. ხევსურ მთქმელთა უმრავლესობაც მამაკაცია. თითოეული ხალხური ლექსი ხევსურთა დაუნერვლი ისტორია, პიროვნების ცხოვრებაა.

იყვნენ პოეტი ქალებიც, მცირედ, მაგრამ თავისი სიტყვებით უფრო მრავლისმთქმელნი, ჩვეულებრივ მელექსეებზე უფრო მაღლა მდგარნი. თუმცა «ეს არ იყო ქალის საქმე». თავიანთ სათქმელს **ხმით ნატირლებით** იძახდნენ, მათი ლექსები კი «თიკუნით» ან **სხვა პიროვნების სახელით ქვეყნდებოდა**.

ერთ-ერთი, სადაც ქალი თავისუფალი იყო, გახლდათ სატრფიალო ჟანრის ლექს-სიმღერები («რაც არ იყო კაცის საქმე»). ეს მოდიოდა ხევსურთა უძველესი და იღუმალის ჩვეულებიდან – **სწორფრობიდან**, მაგრამ მთქმელის ვინაობა აქაც უცნობია, პოეტი ქალის სახელი არ იკითხება, აქაც მხოლოდ მინიშნებაა.

ახალგაზრდა მთქმელი ქალი ლალია, მძაფრი გრძნობით გამოხატავს სურვილს, სიყვარულს, თავის სულიერ მდგომარეობას, სწორფრობისადმი დამოკიდებულებასა და ტრფიალს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **მთქმელისთვის აქ პოეზია და მუსიკა განუყრელია**. მელოდია ტექსტთან შედარებით წინა

ადგილზე დგას. ხევსურული ლექსი («სიმღერე») ჰანგით, მღერით ფანდურზე სრულდება.

ქალ-ვაჟი სიყვარულს სწორფრობაში გამოხატავს, უმღერის ამ წმინდა გრძნობას და ხშირ შემთხვევაში ეს გრძნობა მათ სიკვდილამდე მიჰყვება: სწორფერთა დაქორწინება, როგორც წესი, იშვიათად ან არ ხდება.

სწორფრობა სიყვარულია, გრძნობა, რომელსაც ვერ ახსნი, ვერ მისწვდები, არ ბერდება, მაგრამ წარმავალია.

კაცს ცოლი მოჰყავს, ქალი თხოვდება. ოჯახი ხევსურთათვის უფრო მტკიცე ეკონომიკური კავშირია, ვიდრე სიყვარულზე აგებული ურთიერთობა.

შესაძლებელია კი გიყვარდეს ერთი და ცხოვრობდე სხვასთან?! თუმცა ეს ხომ ხევსურთა ცხოვრების ჩვეულებრივი წესია: ეჭვიანობა – ასეთი გრძნობა და სიტყვა აქ არ არსებობს.

მითხოელი ქისტის, ფუნჩას ოჯახი ხევსურეთშია ამანათად გადმოხვეწილი. ხევსურების გვერდით ცხოვრობენ, მათ ჭირ-ლხინს იზიარებენ.

ქისტის ახალგაზრდა **ქალიშვილსაც ჰყავს სწორფერი, გუროელი თათარა** ხოლიგასძე (გოგოჭური).

თათარას ჰყავს საცოლე, ჯერ კიდევ ყმაწვილობაში, **აკვანში დანიშნული** ხიტალიონი გამახელა თადიაურის ქალი.

ხევსურ ახალუხლებში კი საუბრობენ:

«თათარამ ვერცხლის ბეჭედა აჩუქა სწორფერს»

«თათარას ხმლის სამხარიღლიობზე ქისტის ქალის მოქარგული იარაღთსამბელი ხელსახოცი აქვს შემბული»



«თათარას
არას
მაჯაზ
ე
ქისტის
ქალი
ს
მიერ
მძივი
თა
და
სირმ
ით
მორ
თულ
ი
ხელს

«ახვიელა უკეთია»

«თათარას ცოლად მოჰყავს ქისტის ქალი»

«ქიტი ფუნჩა ხევსურ სასიძოს ურბეთს სთხოვს»

«მე არ დაგიშლი მაგ ქალის მოყვანასო, უთქვამს ქალს თათარასთვის.»

«გუროელმ ქისტს უარი უთხრა ურბეთის მიცემაზე»

«თათარამ მოიტაცა ქისტის ქალი»

«ახალშეუღლებულები არხოტში გადასულან»

«თათარას ცოლი მამისახლში წავიდა, მაგრამ ქმრეულებმა უკან დააბრუნეს»

«ქისტს უკან წაუყვანია ქალი»

...

ლექსი პირიქითიდან მალე პირაქეთ ხევსურეთშიც გადმოვიდა. კარგახანს საუბრობდნენ და მღეროდნენ ფანდურზე.

ამ სიყვარულის დრამატულ ისტორიასაც სხვადასხვა მეანდრებზე გამოუჩნდა. ყველა ლამაზად ჰყვებოდა ქალ-ვაჟის ძველ ამბავს.

«ქისტის ქალს უყვარდა ხევსური ხოლიგათ თათარა, გაგიჟებული იყო იმისთვის, მაგრამ მამამ სხვაზე გაათხოვა, «ურჯულოს» არ მისცა.. (თედო რაზიკაშვილი).

«შატილში ხევსურთა შორის გაზრდილი ქიტი ქალის ნათქვამი ყოფილა. მას ხევსური, გუროელი ხოლიგათ თათარა ჰყვარებია... მაგრამ ქისტები ხომ არ მისცემდნენ ქრისტიანს ქალს?! ამიტომ შატილიდან შეყვარებულები არხოტ გადაიხვეწნენ, მაგრამ ისინი მალე დააშორეს ერთმანეთსო» (ნათელა ბალიაური).

«არ იყო შატილიონი, არხოტელი ქალი იყო შატილს ესრ თქვიან. გუროელთა და არხოტიონთ ერთი მთა ჰყოფს. იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს...» (ბაბუკა ჭინჭარაულ-ალუდაური. შატილელი. ხახმატს გამოთხოვილი ქალი. გარდაიცვალა 1984 წელს).

გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ერთსა და იმავე დროს, მითხოს მთებიდან ეული მონადირის თოფის ხმა ექოდ გადაუვლიდა თოვლიან მწვერვალებს და ჩაიკარგებოდა მთიელთა სოფელში. ეს ხმა მხოლოდ ერთ ადამიანს ესმოდა, აძლევდა ნიშანს, გულს უჩქროლებდა და სევდიან მოგონებებს აღუძრავდა.

* * *

ჯალაფთ მწყემსობად წამლალეს, გორშუ ვაძოვებ
ცხვარსაო,
გავხენებ პირდაპირადა თვირთვლიანსა მთასაო,
შინავ მოვიტან საგძალსა სამწყემსოს წანატანსაო,
შემოხდა მონადირეი, ვაყურებ თოფის ხმასაო,
თეთრ ჩოხამ გარმაიარა, მასრან იცემდეს თვალსაო,
ვაფერე ჩემსა ნანდობსა, ხოლიგათ თათარასაო,
გუროს მივლნატრი ციხესა, ქვაზე ნადებსა ქვასაო,
მემრე შენ, გუროელაო, გაზრდილო სასლის ტანსაო,
დაგვედვა ჭორი, საძრახი, ნუ ჩამაიტან თავსაო,
მე'დ-შენ ესრ ვიყვნათ ძმობილო, ერთუცის პირობასაო,
ნურც შენ მაიყვან დიაცსა, არც მე წაუოლ ქმარსაო,
არა გი, ნუ გეშინია, არ გარმავხდები მთასაო,
არ წაგილალავ შინითა, გამახელაის ქალსაო,
კიდევ ვინ მისცემს ურბეთსა ჩემსა მამასა, ძმასაო,
ვაკეთებ ხილისახოცსა, მალიმალ დავწერ ჭვარსაო,
გადაჯე თავის ლურჯაზე, შამაუყენე გზასაო,
ეეგ ლექს დაუბარებავ ქისტის ფუნჩაის ქალსაო.

ნეტავ ვინ იყო ის საურბეთე «ქისტის ქალი»,
ძმობილისთვის სამახსოვროდ მოქარგულ ხელსახოცზე
ლამაზი ჭვრები რომ გამოჰყავდა?! ან თუ შეუსრულეს
პირობა ერთმანეთს?!

7. ახალი თარგმანები

უილიამ ბლექი

ქორწინება სამოთხისა და ჯოჯოხეთისა

უდიდესი ინგლისელი პოეტი, მხატვარი და ვიზიონერი უილიამ ბლეიკი 1757 წელს დაიბადა ლონდონში. მამამისი ვაჭარი იყო და მისი ოჯახი საშუალო ფენას განეკუთვნებოდა. განათლება სახლში მიიღო. სკოლაში ათი წლის მერე არ უვლია. ადრეული ასაკიდანვე გამოიჩინა მხატვრობის ნიჭი და დაეწყო მისტიკური ხილვები. ერთხელ მან დაინახა ანგელოზებით სავსე ხე. მისი ხილვები მშობლებს დიდად არ მოსწონდათ, სამაგიეროდ ხელს უწყობდნენ მისი მხატვრული ნიჭის განვითარებას. თოთხმეტი წლისა იგი მონაფედ მიაბარეს ჯეიმს ბებირს. ბატონი ბებირი შესანიშნავი პედაგოგი გამოდგა. იგი ხშირად აგზავნიდა ბლეიკს ვესტმინსტერის სააბატოში ჩანახატების გასაკეთებლად. ამ გოთური სტილის გრანდიოზულმა შენობამ თავისი ლეგენდებით და მიცვალებული მეფეების საფლავებით დიდი გავლენა იქონია ბლეიკის შემოქმედებაზე. ბლეიკის ცხოვრება და მოღვაწეობა დაემთხვა ლონდონში არეულობას, გორდონის ამბოხს და სიღარიბე-გაჭირვების პერიოდს. ეს ყველაფერი ხშირად პოულობს გამოძახილს მის ლექსებში.

წარუმატებელი რომანის შემდეგ მან ცოლად შეირთო კატერინა ბუშერი, ქალი, რომელმაც წერა-კითხვაც კი არ იცოდა. საქორწინო კონტრაქტში მისი სახელის გვერდით ჯვარია დასმული. ბლეიკმა ასწავლა მას წერა-კითხვა და ხატვა, რათა თავის საქმიანობაში დახმარებოდა.

1783 წელს ბლეიკმა მეგობრების დახმარებით დაბეჭდა პირველი ლექსების კრებული «პოეტური სკეტჩები». მისი ეს ტექსტები არ გამოირჩევა ღრმა ფილოსოფიური და სიმბოლური დატვირთვით. იგი უძღვნის ლექსებს

წელიწადის დროებს, ვარსკვლავებს, მუზებს. «მშვენიერი ელინორი» გოთური სტილის ტიპური ბალადაა. «გვენი, ნორვეგიის მეფე» პოემაა რევოლუციაზე. «მეფე ედვარდ III» კი დაწერილია შექსპირის გავლენით.

ალექსანდრე გილტრასტის თანახმად, ბლექი წერდა ბავშვებისა და ანგელოზებისთვის და არა – უბრალო ხალხისთვის. თვითონ ბლექი თვლიდა, რომ მისი ნამუშევრები ყველასთვის იყო და მათ გაგებას შეძლებდა ფართო მკითხველი. იგი წერს კიდევ ერთ-ერთ ლექსში: «მესტვირევ, დაჯექი და დაწერე, / წიგნი, რომელსაც ყველა წაიკითხავს». და მაინც, ვინც არ იცის კარგად ბიბლია, ბერძნული და აღმოსავლური მითოლოგია, გოთური სტილის მწერლობა და ხელოვნება, იმ პერიოდის ევროპის ისტორია და პოლიტიკური მოვლენები, იმ დროის აქტუალური მწერლობა, ზოგადად – სახვითი ხელოვნების ისტორია, და არქაული ინგლისური, მისთვის ბლექის წაკითხვა იოლი არ იქნება.

ბლექის შემოქმედებაში გამორჩეულია ერთმანეთისგან დაახლოებით ექვსი წლის ინტერვალით გამოცემული «უმანკოების სიმღერები» და «გამოცდილების სიმღერები». ისინი აზრობრივად ისე ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, რომ ძნელია მათი აღქმა, როგორც ორი სხვადასხვა წიგნის. როგორც აღნიშნავენ, ეე სარის ბლექის და ინგლისური ლიტერატურის ყველაზე კითხვადი და განხილვადი წიგნები.

«უმანკოების სიმღერები», როგორც ეს სათაურიდან ჩანს, უმანკონი და ბავშვურად მხიარულნი არიან. მხიარული მესტვირე ღვთის სადიდებელ სიმღერებს მღერის, ბავშვები უდარდელად თამაშობენ, დადებითი ემოციებით და სიკეთით არის სავსე ქვეყანა.

სამაგიეროდ, «გამოცდილების სიმღერები» სულ სხვა ტინალობას იძენს. აქ მხიარული მესტვირე კი არ უკრავს ბავშვებისთვის საამურ სიმღერებს, არამედ მკაცრი ბარდი ითხოვს, ყური დაუგდონ მის დარიგებას. ამ ორი პარადიგმის შეპირისპირებით ბლეიკი ხაზს უსვამს პოეზიის ორმაგ ბუნებას, მის სიამოვნების მომგვრელ, გამახალისებელ, იმავდროულად კი დამრიგებლურ, დიდაქტიკურ ფუნქციას. ამ ორი წიგნისთვის დამახასიათებელია წყვილ-წყვილი, ერთ თემატიკაზე, მაგრამ სხვადასხვა ტონალობაში დაწერილი ლექსები. მაგალითად, «უმანკოების» პირველ ლექსში ვხვდებით მხიარულ მესტვირეს, «გამოცდილების სიმღერებში» – მკაცრ ბარდს; «წმინდა ხუთშაბათი» «უმანკოებაში» რელიგიური დღესასწაულია, როცა უმანკო და მხიარული ბავშვები ყვავილების მდინარესავით მიედინებიან ეკლესიაში, «გამოცდილებაში» კი იგივე დღესასწაულზე ბავშვებს ჩაგრავს ცივი და ფულს დახარბებული ხელი; «უმანკოების» ბუხრის საკვამურების მწმენდავი მხნედ უდგება თავის სამუშაოს გასაჭირის მიუხედავად, «გამოცდილების სიმღერებში» კი იგი მოთქვამს, მშობლებისგან მიტოვებული, და მეფეს და ეკლესიას ადანაშაულებს თავის უბედურებაში; «უმანკოებაში» ძიძას უხარია, მინდორში მოთამაშე ბავშვების ჟრიამული რომ ესმის, «გამოცდილების» ძიძა კი თავის გარდასულ ყმანვილობას მისტირის და ბავშვებსაც თავისნაირ ბედს უწინასწარმეტყველებს. ამ ლექს-კონტრასტებით ბლეიკი გვიხატავს ორ განსხვავებულ სულიერ მდგომარეობას, სიმბოლურ გადასვლას უმანკოებიდან გამოცდილ მდგომარეობაში.

ბლეიკი ხშირად არც თუ ისე პოზიტიურად მოიხსენიებს ეკლესიას. ლექსში «სიყვარულის ბაღი» კარჩაკეტილი

ეკლესიაა აშენებული იმ მწვანე მდელოზე, რომელზეც იგი ბავშვობისას თამაშობდა და რომელზეც ყვავილების ნაცვლად საფლავის ლოდებია მიმოფანტული, ეკლესიაში კი მღვდლები მიმოდიან და ბოჭავენ მხიარულებას, პატარა ბავშვებს გროშების ფასად ამუშავებენ ბუხრის მწმენდავებად და შემდეგ ეკლესიაში მიერეკებიან, რათა მათ, მუხლებზე დაჩოქილებმა, ეკლესიას მადლობა გადაუხადონ გულუხვობისთვის.

ბლეიკის აზრით, სექსუალური ენერჯია, რომლის გამოვლინებაც ამორალური ქცევის მწვერვალად ითვლებოდა იმდროინდელ ინგლისში, თავისთავად არ არის ბოროტება, მაგრამ მისი შეზღუდვა, შეკავება ინვესს ბოროტებას. ბლეიკი, ცხადია, არ ყოფილა აღვირაბსნილობის მომხრე, ის მხოლოდ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნას უპირისპირდებოდა. ბლეიკის პირადი ცხოვრება ამის ცოცხალი მაგალითია. მას უყვარდა თავისი მეუღლე და მისი ერთგული იყო. საერთოდაც, ბლეიკის და მისი მეუღლის ურთიერთობა, გარკვეული აზრით, ორი უმანკო ადამიანის ურთიერთობაც კი იყო. ერთხელ მასთან სტუმრად მისულმა მისმა მეგობარმა, ტომას ბატსმა წყვილი შიშველი აღმოაჩინა ბაღში. ბლეიკი და მისი მეუღლე ჯონ მილტონის «დაკარგული სამოთხიდან» ნაწყვეტების კითხვით გართულიყვნენ.

ბლეიკისთვის წარმატება არ მოუტანია მის პოეზიას და მხატვრობას. ფინანსურად ყოველთვის უჭირდა. ბევრი ცდილობდა, იგი «ჭკუაზე მოეყვანა», სტილი შეეცვლევინებინა. მისი ერთ-ერთი მფარველი, ბ-ნი ტრასლერი, მედიცინის სტუდენტი, წიგნების კოლექციონერი და ავტორი წიგნებისა «გზა სიმდიდრისაკენ» და «სიცოცხლის გახანგრძლივების

უტყუარი საშუალებები», მეგობარს სთხოვდა – აქტუალურ თემებზე ეხატა და ეწერა. ერთხელ მის დაჟინებულ თხოვნას ბლეიკმა ასე უპასუხა: «რამდენიმე დღის განმავლობაში ვცდილობდი, ამესრულებინა თქვენი თხოვნა, მაგრამ ჩემი ცდები ამაო გამოდგა. მე არ მინდა სხვის ნაკვალევს მივყვე, რაოდენ პატივცემულიც უნდა იყოს ის სხვა. მაპატიეთ, სხვანაირად არ შემიძლია, ეს ჩემს ძალებს აღემატება».

პოეტი 1827 წელს გარდაიცვალა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მის თავთან მჯდომარე მეუღლეს სთხოვა, ყოველთვის ჩემი ანგელოზი იყავი და უნდა დაგხატოო. დახატა, მერე სიმღერა დაიწყო, ხოლო სიმღერის შეწყვეტა და მისი გარდაცვალება ერთმანეთს დაემთხვა.

«ქორწინება სამოთხისა და ჯოჯოხეთისა» უილიამ ბლეიკის შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური ტექსტია, რომელიც მან 1790-1793 წლებში დაწერა. მისი სათაური მომდინარეობს მეთვრამეტე საუკუნის შვედი თეოლოგის, ემანუელ სვედენბორგის ნაშრომიდან «სამოთხე და ჯოჯოხეთი». თუმცა ბლეიკი არა მხოლოდ ეწინააღმდეგება მის ნააზრევს, არამედ წარმოგვიდგენს სრულიად საპირისპირო სინამდვილეს. «ქორწინება სამოთხისა და ჯოჯოხეთისა» ექვსი ნაწილისგან შედგება, თითოეული მათგანი კი ბლეიკის ილუსტრაციებით არის გაფორმებული. წიგნი პოეტის ჯოჯოხეთში მოგზაურობაზე მოგვითხრობს, მოგზაურობაზე, რომელიც არ არის შემზარავი და უპირისპირდება მკაცრ და დოგმატურ ბუნებას სამოთხისა. ნაწარმოები იწყება ავტორის მიერ შექმნილი პერსონაჟის – რინტრაჰის – გამოჩენით, რომელიც მრისხანების პერსონიფიცირებული სახეა. ამ ეპიზოდში ბევრი რამაა სიმბოლური, მაგალითად: წითელი თიხა ადამთან, სიცოცხლესთან ასოცირდება, რომელიც «გადათეთრებულ

ძვლებზე» იბადება. ხოლო გველი, რომელიც თითქოს არღვევს აღწერილ იდილიას, ასევე სხვადასხვანაირად გაიაზრება: ზოგი მიიჩნევს, რომ მასში ავტორი ინგლისის ეკლესიას გულისხმობს, ზოგი კი ბიბლიური გველის უცვლელ სახედ მიიჩნევს მას. ნაწარმოებში უილიამ ბლეიკი, სვედენბორგის გარდა, ისეთ ავტორებზეც ამახვილებს ყურადღებას, როგორებიც არიან: პარაცელსუსი, ბოემე, პლატონი, არისტოტელე, დანტე, შექსპირი, მილტონი, ესაია წინასწარმეტყველი და ეზეკიელი, დიოგენე... აღსანიშნავია ისიც, რომ ნაწარმოების შექმნიდან ორი წლის შემდეგ ბლეიკმა საფრანგეთის რევოლუციის საპასუხოდ დაწერა ბოლო ნაწილი, გარკვეულწილად პოლიტიკური ხასიათის «თავისუფლების სიმღერა», რომელიც ბიბლიის სტრუქტურას იმეორებს და აჯამებს მთელ ტექსტს.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ნაწარმოებმა ავტორის სიცოცხლეშივე ვერ ჰპოვა აღიარება, დღესდღეობით ბლეიკით ინსპირირებული მხატვრების, მწერლების, პოეტების, მუსიკოსების თუ რეჟისორების რიცხვი მართლაც რომ «ზღვაში ქვიშაა». აღარაფერს ვამბობთ ფილოსოფოსებზე, ფსიქოლოგებზე თუ სხვა დარგის სპეციალისტებზე, რომლებიც ინტენსიურად იკვლევენ ბლეიკის ფენომენს.

ქეთი გელაშვილი, ხატია გაგნიძე

არგუმენტი

რინტრაჰი გმინავს და მძიმე ჰაერს ცეცხლის ალებით აპობს;
მქრქალი ღრუბლები ლივლივებენ უფსკრულის თავზე.

უნინ უშფოთველი, კაცი უცოდველი,
ბილიკს დაადგა სიკვდილის ხეობაში.
ეკალ-ბარდებში ვარდებიც ბევრია,
და შიშველ ველზე ამოზრდილ მანანებს
ფუტკარი სიმღერით შეერია.

და აღმოცენდა ბილიკი სახიფათო:
ნაკადულები მიუყვებოდა
ყოველ კლდესა და საფლავს,
და გათეთრებულ ძვლებზე
წითელი თიხა გაჩნდა.

მაშინ უწმინდურმა შეწყვიტა სვლა იოლ გზებზე,
რათა დასდგომოდა ბილიკს სახიფათოს
და შეეტყუებინა უცოდველი კაცი ხრიოკ მინაზე.

აი, მისრიალებს გველი გესლიანი,
როგორც თვინიერი, როგორც უწყინარი,
უდაბურებაში დრტვინავს კაცი უცოდველი,
იქ, სადაც ღრიალებენ მძვინვარე ლომები.

რინტრაჰი გმინავს და მძიმე ჰაერს ცეცხლის ალებით აპობს;
მქრქალი ღრუბლები ლივლივებენ უფსკრულის თავზე.

I

გამოჩნდა დასაბამი ახალი სამოთხისა, ოცდაცამეტი წელი
გავიდა მისი შექმნიდან: განახლდა მარადიული

ჯოჯობეთიც. და, აი! სვედენბორგი სამარესთან მჭდომარე ანგელოზია: მისი ნაწერები ამქვეყნიური შემოგრაგნილი ტილოს სამოსია. ახლა ედომის დიდებისა და ადამის სამოთხეში დაბრუნების ხანაა (იხ. ესაია, თავი XXXIV და XXXV).

დაპირისპირებათა არსებობის გარეშე არ არსებობს წინსვლა. მიზიდულობა და განზიდულობა, მიზეზი და ენერგია, სიყვარული და სიძულვილი, ყოველი მათგანი საჭიროა ადამიანის არსებობისთვის.

ამ დაპირისპირებებიდან გამომდინარეობს ის, რასაც მორწმუნე უწოდებს კეთილსა და ბოროტს. სიკეთე პასიურია და ემორჩილება მიზეზს. ბოროტება აქტიურია და ენერგიიდან გამომდინარეობს.

სიკეთე სამოთხეა, ბოროტება – ჯოჯობეთი.

ხმა ეშმაკისა

ბიბლია და წმინდა წერილები შემდეგი შეცდომების მიზეზებად იქცნენ:

1. რომ ადამიანს აქვს ორი ჭეშმარიტი საფუძველი არსებობისა, სხეული და სული.
2. რომ ენერგია, ბოროტებად წოდებული, განცალკევებულია სხეულისგან და რომ მიზეზი, სიკეთედ წოდებული, განცალკევებულია სულისგან.
3. რომ ღმერთი მარადიული სატანჯველით დასჯის ადამიანს ენერგიისკენ სწრაფვის გამო.

თუმცა ჭეშმარიტია მათი საწინააღმდეგო:

1. ადამიანის სხეული განუყოფელია სულისგან; ამიტომ სხეული სულის ნაწილია, რომელიც ხუთი გრძნობით

გამოიკვეთება, სულისკენ მიმავალი მთავარი გზებით ამ ცხოვრებაში.

2. მხოლოდ ენერჯიაა სიცოცხლე და იგი სხეულისმიერია, მიზეზი კი შემომსაზღვრელია, ენერჯიის გარეგანი მდგომარეობა.

3. ენერჯია მარადიული სიამოვნებაა.

II

ისინი, ვინც საკუთარ თავში ახშობენ სურვილებს, იქცევიან ასე იმის გამო, რომ მათი სურვილები საკმარისად სუსტია იმისთვის, რომ შეიზღუდონ; ხოლო შემზღუდველი, ან მიზეზი, ხელთ იგდებს მათ ადგილს და მართავს უსურვილობას.

და თავშეკავება თანდათანობით გარდაიქმნება უმოქმედობად, მანამ, სანამ სურვილებს მათივე ჩრდილები არ ჩაანაცვლებს.

ამბავი ამის შესახებ მოთხრობილია «დაკარგულ სამოთხეში», და მთავარი, იგივე მიზეზი, მესიად იწოდება.

ხოლო პირველი მთავარანგელოზი, მფლობელი ძალაუფლებისა ღვთაებრივ მნათობებზე, ეშმაკად ან სატანად მოიხსენიება; შვილები მისი არიან ცოდვა და სიკვდილი.

თუმცადა, იობის წიგნის მიხედვით, მილტონის მესია სატანაა.

ეს ამბავი ორივე მხარემ გაიზიარა.

ნამდვილად ჩანდა, რომ კეთილმა მიზეზმა ხორციელი სურვილები სრულად განდევნა, თუმცა, ეშმაკის

დამსახურებით მესია დაეცა და თავად შექმნა სამოთხე, რომელიც მან უფსკრულსა და ქაოსს ჩუმად გამოსტაცა.

ყოველივე ეს სახარებაშია ნაჩვენები, როდესაც იგი ლოცულობს მამის მიმართ, რათა ნუგეში მიიღოს მისგან, ან ამცნოს იმ სურვილზე, რომელზეც, ალბათ, შემდგომ მიზეზი დააშენებდა საკუთარ აზრებს. ბიბლიური იეჰოვაც სხვა არავინაა, თუ არა ის, ვინც მოგიზგიზე ცეცხლში სახლობს.

იცოდეთ, რომ ქრისტე სიკვდილის შემდეგ იეჰოვა გახდა.

თუმცა მილტონთან მამა ღმერთი ბედისწერაა, ძე – გონება, რომელიც ხუთ გრძნობას მოიცავს, და სულიწმინდა კი – სიცარიელე!

შენიშვნა. მიზეზი იმისა, რომ მილტონი შებორკილი იყო, წერდა რა ღმერთსა და ანგელოზებზე, მაშინ, როდესაც შვებას გრძნობდა ეშმაკებსა და ჯოჯოხეთზე საუბრისას, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი ჭეშმარიტი პოეტია და – გაუცნობიერებელი მოკავშირე ეშმაკისა.

დაუვიწყარი ხილვა

როდესაც მივაბიჯებდი ჯოჯოხეთური ალებით გარშემორტყმული და სულის ნეტარებებით განცვიფრებული, რაც ანგელოზთათვის ტანჯვა და სიგიჟეა, მე შევაგროვე რამდენიმე მათი ანდაზა, ვფიქრობდი რა, რომ როგორც გამონათქვამები გამოხატავს ერის ხასიათს, ასევე ანდაზები ჯოჯოხეთიდან გვიჩვენებდა ბოროტი სიბრძნის ბუნებას უფრო ნათლად, ვიდრე – ნებისმიერი შენობისა და სამოსის აღწერა.

როცა შინ მივედი, ხუთი გრძნობის პირველყოფილ ქაოსში, სადაც ციცაბო კლდე უბღვერს ქვეყნიერებას, ვიხილე შავ ღრუბლებში გახვეული ძლიერი ეშმაკი, ღრუბლებში,

რომლებიც ლივლივებდნენ ლოდის გარშემო. მწველი ცეცხლის ალებით მან დაწერა წინადადება, ან უკვე აღქმული კაცთა გონებით, დედამინაზე მათ მიერ ამოკითხული:

განა არ შეიძლება, რომ ყოველი ჩიტი, რომელიც კვეთს ჰაეროვან გზებს, იყოს ვეებერთელა სამყარო სიამოვნებისა, დაფარული შენივე ხუთი გრძნობისთვის?

ანდაზები ჯოჯობიდან

ისწავლე თესვისას, მკისას ასწავლე, ზამთარში კი ისიამოვნე.

გადაუარე გარდაცვლილთა ძვლებს შენი გუთნით და ორთვალით.

გზა გადამეტებისა სიბრძნის სასახლემდე მიგიყვანს.

წინდახედულობა მდიდარი, მახინჯი, უმოქმედო შინაბერაა.

ის, ვინც გატაცებულია დიდი სურვილით, მაგრამ არ მოქმედებს, შავ ჭირს ასაზრდოებს.

წელში განყვეტილი მატლი პატიობს ურემს.

მდინარეში ჩაძირე ის, ვისაც წყალი უყვარს.

სულელი ვერ ხედავს იმავე ხეს, რომელსაც ბრძენი ამჩნევს.

ის, ვისი სახეც არ ასხივებს სინათლეს, ვარსკვლავად ვერ იქცევა.

უსასრულობას უყვარს დროის მდინარება.

მშრომელ ფუტკარს დარდისთვის დრო არა რჩება.

უმიზნოდ დაკარგულ დროს საათი ზომავს, ბრძნულად დახარჯულს – არაფერი.

კეთილი ნაყოფი მახეებისა და ქსელების გარეშე მოიპოვება.

სიღარიბეში დაინწყე ფიქრი რიცხვზე, წონასა და ზომაზე.

არცერთი ჩიტი არ მიიწევს უსაზღვროდ მაღლა, თუკი ის საკუთარი ფრთებით დაფრინავს.

მკვდარი სხეული შურს არ იძიებს ჭრილობებისთვის.

ყოველივეზე დიდებულია, როდესაც შენამდე სხვას დააყენებ.

უგუნური რომ ჯიუტად იცავდეს საკუთარ უგუნურ აზრებს, ის ბრძნად იქცეოდა.

უგუნურება მუნდირია თაღლითობისა.

მორიდება კი სიამაყის მოსასხამია.

ციხეები აგებულია კანონთა ლოდებით, საროსკიპოები – რელიგიის აგურებით.

სიამაყე ფარშევანგისა ღმერთის დიდებაა.

თხის ვნებები ღმერთის საჩუქარია.

ლომის მრისხანება ღმერთის სიბრძნეა.

ქალის სიშიშვლე ღმერთის ქმნილებაა.

ზედმეტი დარდი სიცილად იქცევა, ზედმეტი მხიარულება – ტირილად.

ლომების ღრიალი, მგლების ყმუილი, მძვინვარება ქარიშხლიანი ზღვისა, და გამანადგურებელი ხმალი

უსასრულობის ნაწილებია, მეტისმეტად დიადი, რომ ადამიანმა შეიცნოს.

მელა ხაფანგს მოსთხოვს, და არა – საკუთარ თავს.

ბედნიერებანი ნაყოფიერდებიან. მწუხარებანი შობენ.

ნება მიეცით კაცს, ატაროს ლომის ფაფარი, ქალს – ცხვრის სანმისი.

ჩიტისთვის – ბუდე, ობობისთვის – ქსელი, ადამიანისთვის – მეგობრობა.

თავკერძა და მომღიმარი ბრიყვი ან პირქუში და მოღუშული სულელი, ორივე შეიძლება იყოს ბრძენი ან უბრალოდ – ხის ნაფოტი.

რაც ან უკვე დამტკიცებულია, უნინ მხოლოდ წარმოსახვაში არსებობდა.

ვირთხა, თაგვი, მელა, კურდღელი, შეხედე ფესვებს; ლომი, ვეფხვი, ცხენი და სპილო, შეხედე ნაყოფს.

ავზი მოიცავს; შადრევანი იფრქვევა.

ერთი აზრი ავსებს განუზომელს.

მუდამ მზად იყავი შენი ფიქრების გადმოსაცემად, და წინამძღოლი ყოველთვის თავს აგარიდებს.

ყოველივე, რისი რწმენაც შესაძლებელია, არის ჭეშმარიტების ხატი.

არწივი ისე არასდროს დამარცხებულა, როგორც მაშინ, როდესაც გადანყვიტა – ყვავისგან ესწავლა.

მელა საკუთარ თავზე ზრუნავს, ღმერთი – ლომზე.

იფიქრე დილით. იმოქმედე შუადღით. ჭამე საღამოს. იძინე ღამით.

ის, ვინც გაიძულე, რომ გახდე ვალდებული მისი, გიცნობს შენ.

როგორც გუთანი მიჰყვება სიტყვებს, ასევე ღმერთი აჯილდოებს მლოცვეს.

მრისხანე ვეფხვები უფრო მეტად არიან ბრძენნი, ვიდრე – მორჩილი ცხენები.

მდგარი წყლისგან ელოდე მონამვლას.

შენ არასდროს გეცოდინება, რა არის საკმარისი, ვიდრე არ გაიგებ, რა არის საკმარისზე მეტი.

უსმინე სულელთა საყვედურებს, ეს ხომ დიდებულთა უფლებაა.

ცეცხლოვანი თვალები, ჰაერით სავსე ნესტოები, წყლიანი პირი, წვერიანი დედამინა.

სუსტი, რომელიც გაბედულია, მოხერხებულია.

ვაშლის ხე წიფელს არასდროს ჰკითხავს, როგორ გაიზარდოს, არც ღომი ცხენს – როგორ ინადიროს.

მადლიერი კაცი უხვ მოსავალს იღებს.

თუ სხვა არავინ ყოფილა უგნური, მაშინ ჩვენ ვყოფილვართ ასეთები.

ნორჩი და ბრწყინვალე სული არასდროს წაიბილწება.

როდესაც ხედავ არწივს, ხედავ გენიის ნაწილს.

როგორც მუხლუხო არჩევს ყველაზე ღამაზ ფოთლებს, რათა კვერცხები დადოს, მსგავსად ამისა, მღვდელიც

წყველით ყველაზე ლამაზ სიამოვნებებს ამკობს.

პატარა ყვავილის შექმნა შრომას მოითხოვს წლობით.

ძირს კორსეტი: დიდება სიმსუბუქეს.

საუკეთესოა ღვინო, რომელიც ძველია, საუკეთესოა წყალი, რომელიც ახალია.

მლოცველები არ ხნავენ! მადიდებლები არ იმკიან!

სიამოვნებანი არ იცინიან! მწუხარებანი არ ტირიან!

თავის დიადება, გულის პათოსი, მშვენიერება სასქესო ორგანოთა, სიმეტრიულობა ხელთა და ფეხთა.

როგორც ცა ჩიტებისთვის ან ზღვა თევზებისთვის, ასევეა ზიზღისთვის სისაძაგლე.

ყვავმა ინატრა გაშავება ყველაფრის, ბუმ ინატრა გათეთრება ყველაფრის.

სიმდიდრე მშვენიერია.

თუკი ლომს მელა ჭკუას დაარიგებდა, ის გაიძვერა გახდებოდა.

გაუმჯობესება ქმნის სწორ გზებს, თუმცა მრუდი გზები, გაუმჯობესების გარეშე, გენიის გზებია.

აკვანში ყმანვილის მოკვლა უფრო მარტივია, ვიდრე განუხორციელებელი სურვილების გულში ჩამარხვა.

ბუნება უნაყოფოა, როცა იქ კაცი არ არის.

ჭეშმარიტება ვერასდროს იქნება გასაგები, მას ვერასდროს ირწმუნებენ.

საკმარისია! ან – მეტისმეტი.

III

ძველი პროექტები განასულიერებდნენ ყველა მგრძნობიარე საგანს, აღმერთებდნენ ან სულელებად წარმოიდგენდნენ, უწოდებდნენ სახელებს და ამკობდნენ მათ ხეების, მდინარეების, მთების, ტბების, ქალაქების, ერებისა და სხვა მრავალთა იმ თვისებებით, რომელთაც გრძნობებით აღიქვამდნენ.

უფრო ხშირად კი ისინი თითოეული ქალაქისა და ქვეყნის სულს აკვირდებოდნენ და არამინიერ ღვთაებას მიაკუთვნებდნენ მათ.

მაშინ შეიქმნა სისტემა, რომლითაც ზოგმა ისარგებლა, ძალმომრეობით ცდილობდნენ რა, რომ შეეცნოთ, ან გამოეყოთ არამინიერი ღვთაებები მათი აღმნიშვნელი საგნებისგან: და დაედო საფუძველი სამღვდელოებას.

ღირიკული ზღაპრებიდან აირჩა გზები თაყვანისცემისა.

და ბოლოს მათ განაცხადეს, რომ ღმერთმა ბრძანა ყოველივე ეს.

ამიტომ, კაცობრიობამ დაივიწყა, რომ ყოველივე ღვთაებრივი ადამიანის გულში ბინადრობს.

დაუვიწყარი ხილვა

ესაია წინასწარმეტყველი და ებეკიელი სადილობდნენ ჩემთან ერთად და მე ვკითხე მათ, თუ როგორ ბედავდნენ, ასე დარწმუნებით ემტკიცებინათ, რომ ღმერთი ესაუბრა მათ. იმ დროს, რომ არა მათი ბუნდოვანება, სიცრუე გამოაშკარავდებოდა.

ესაიამ მიპასუხა: «მე არ მინახავს ღმერთი, არც მისი ხმა გამიგია, არცერთი კონკრეტული ორგანოთი არ აღმიქვამს იგი; მაგრამ ჩემმა გრძნობებმა უსასრულობა ჰპოვეს ყველაფერში და მაშინ დავრწმუნდი და მტკიცედ მჯეროდა,

რომ გულწრფელი აღშფოთების ხმა ღმერთის ხმაა; მე არ ვფიქრობდი შედეგებზე, უბრალოდ ვწერდი.»

მაშინ მე ვკითხე: «განა განუწყვეტელი მტკიცება, რომ საგანი ასეთია, მას აქცევს ასეთად?»

მან მიპასუხა: «ყოველი პოეტი, რომელიც იქცევა ამგვარად, წარმოსახვათა დეკადებში ამ მტკიცე რწმენით მთებსაც გადადგამს. მაგრამ ბევრს არ შეუძლია, მტკიცედ ირწმუნოს რაიმე.»

მაშინ ებეკიელმა თქვა: «აღმოსავლურმა ფილოსოფიამ გვასწავლა მთავარი გზები ადამიანის მიერ შემეცნებისა: ზოგი ერთ ერთ გზას იყენებს დასაწყისისთვის, ზოგი – სხვას; ჩვენ ისრაელელებისგან ვისწავლეთ, რომ პოეტური სული (როგორც ახლა შეგიძლია, უნოდო მას) მთავარი გზა იყო და სხვა დანარჩენი უბრალოდ შემდგომში წარმოიშვნენ, რაც იქცა მიზეზად სხვა ქვეყნების სამღვდელოებისა და ფილოსოფოსების ზიზლისა, და წინასწარმეტყველებისა, რომლის მიხედვითაც საბოლოოდ დამტკიცდება, რომ ყოველი ღმერთი ჩვენი უფლიდან იღებს სათავეს და არიან მოხარკეები პოეტური სულისა; სწორედ ამიტომ, როდესაც ჩვენი დიადი პოეტი, მეფე დავითი მგზნებარე სურვილებით მოცული მოუწოდებს ამაღელვებლად, საკუთარი სიტყვებით იგი იპყრობს მტრებს და განკარგავს სამეფოებს; და ჩვენ იმდენად გვიყვარდა ჩვენივე უფალი, რომ დავწყევლეთ მისი სახელით ყველა ღვთაება სხვადასხვა ერებისა და ამაყად ვამტკიცებდით, რომ ისინი აჯანყდნენ; ამ აზრებიდან წარმოიშვა მდარე ფიქრები, რომ ყოველი ერთი ქვეშევრდომი იყო ებრაელებისა.

ეს, – თქვა მან – როგორც ყოველი მტკიცე აზრი, უკვე მომხდარა, ვინაიდან ყოველ ერს სწამს ებრაელების,

ეძიებენ და ადიდებენ ებრაელების ღმერთს. და რა უნდა იყოს უმჯობესი გამოხატულება ქვეშევრდომობისა?»

გაკვირვებულმა მოვისმინე ეს სიტყვები და გამოგიტყდებით, მეც დავეთანხმე. სადილის შემდგომ ვთხოვე ესაიას, დახმარებოდა ქვეყნიერებას თავისი დაკარგული ნაშრომებით: მან მიპასუხა, რომ ამგვარად ღირებული არაფერი დაკარგულა. ეზეკიელმაც დამიდასტურა.

ესაიას ვკითხე ისიც, თუ რამ აიძულა ტანთ განედარცვა და სამი წელი ფეხშიშველს ევლო? მან მიპასუხა: «იმავე მიზეზმა, რამაც აიძულა ჩვენი მეგობარი ბერძენი დიოგენე.»

მაშინ ვკითხე ეზეკიელს, თუ რატომ იკვებებოდა ნეხვით და რატომ იწვა ასე ხანგრძლივად ხან მარჯვენა და ხან მარცხენა გვერდზე? მან მიპასუხა: «ეს მაიძულა სურვილმა ადამიანების განდიდებისა, ვიდრე უსასრულობის შეცნობამდე, რაც ჩრდილოეთ ამერიკის ტომებსაც გამოუცდიათ. განა არის ის გულწრფელი, ვინც ეწინააღმდეგება საკუთარ გენიალურობასა და ცნობიერებას მხოლოდ დროებითი კმაყოფილებისა და სიმშვიდისთვის?»

IV

უძველესი გადმოცემა, რომ ექვსი ათასი წლის დასასრულს დედამინა ცეცხლში დაიწვება, ჭეშმარიტებაა, როგორც ეს ჯოჯოხეთში ყოფნისას შევითვალ.

ხოლო შედეგად ქერუბიმი, აღმოდებული ხმლით ხელში, ბრძანებისამებრ, სიცოცხლის ხის დაცვას შეწყვეტს, და მაშინ განადგურდება ყოველი ქმნილება და გამოჩნდება

უსასრულობა და ღვთაებრიობა იქ, სადაც ახლა საზღვრები და განუკითხაობაა.

და ეს მოხდება ხორციელი სიამოვნების ზენიტში.

თუმცაღა, თავდაპირველად, აზრი, რომ ადამიანს აქვს სულისგან განცალკევებული სხეული, უნდა მოისპოს, ამას მე ჯოჯოხეთური მეთოდების გამოყენებით შევძლებ: ზედაპირის განადგურებით, რაც ჯოჯოხეთში სამკურნალო და მარგებელია, აღნობს რა არსებულ გარსს და გამოაჩენს დაფარულ უსასრულობას.

თუკი კარნი წარმოსახვისა გაიღებოდა, ადამიანი იხილავდა ყოველივეს, მათ შორის – უსასრულობას.

რადგანაც ადამიანმა დაიხშო საკუთარი თავი, იგი ხედავს ყოველ საგანს გამოქვაბულის ვიწრო ხვრელებიდან.

დაუვიწყარი ხილვა

ჯოჯოხეთში ვიყავი იქ, სადაც წიგნები იბადებიან და ვიხილე გზები თაობიდან თაობაში ცოდნის გადაცემისა.

პირველ დარბაზში დავინახე ადამიანი-გველეშაპი, იგი წმენდდა გამოქვაბულის შესასვლელს ნარჩენებისგან, მასში მყოფი სხვა მრავალი დრაკონი კი ანგრევდა გამოქვაბულს.

შემდეგ დარბაზში ვიხილე გველგესლა, რომელიც სრიალებდა კლდესა და გამოქვაბულში, სხვები კი ამკობდნენ მას ოქროთი, ვერცხლით და ძვირფასი ქვებით.

მესამე დარბაზში ვიხილე არწივი ფრთებით და ჰაეროვანი ბუმბულებით, მისი ძალისხმევით გამოქვაბული იქცა უსასრულო გზად; გარშემო ადამიანები, არწივის მსგავსნი, ვეება კლდეებზე აგებდნენ სასახლეებს.

მეოთხე დარბაზში ცეცხლისმფრქვეველი ლომები მძვინვარებდნენ, მეტალს ალღობდნენ და მოძრავ სითხედ აქცევდნენ.

მეხუთე დარბაზში უსახელო ფორმები ვიხილე, რომლებიც მეტალს ანიჭებდნენ განფენილობას.

მეექვსე დარბაზში მჯდომარე კაცი მიიღებდა მათ და აძლევდა წიგნების ფორმას, და ისინი ბიბლიოთეკებში ნაწილდებოდა.

V

დედამინისთვის გრძნობადი არსის მიმნიჭებელი გოლიათები, რომლებიც ახლა იქ ცხოვრობენ მიჯაჭვულები, ჭეშმარიტად მისი მაცოცხლებელი ძალები არიან და – წყარო ყოველი მოქმედებისა. თუმცა ჯაჭვები სუსტთა და მორჩილ გონთა მოხერხებულობის გამოხატულებაა, რომელთაც აქვთ ძალა, რომ გაუძლონ ენერგიას; ანდაზის მიხედვით ხომ: «სუსტი, რომელიც გაბედულია, მოხერხებულია.»

ამიტომაც ყოფიერების ერთი ნაწილი ნაყოფის მომცემელია, ხოლო მეორე – დამანგრეველი. დამანგრეველისთვის შემოქმედი მიჯაჭვული იყო, თუმცა ეს ასე არ არის. მას მხოლოდ ნაწილები გააჩნია არსებობისა, და ამ ნაწილებს მთელად წარმოიდგენს.

თუმცა, ნაყოფისმომცემელი შეწყვეტდა ნაყოფის მოცემას, თუკი გამანადგურებელი ძალი, როგორც დაუდეგარი ზღვა, არ მიიღებდა ჭარბ სიამოვნებას.

ზოგი იტყვის: «თავად ღმერთი განა ნაყოფისმომცემელი არ არის?» მე ვუპასუხებ: «ღმერთი მოქმედებს და არსებობს მხოლოდ ცოცხალ არსებებსა და ადამიანებში.»

ორი ამგვარი ჯგუფი ადამიანებისა მუდამ არსებობს დედამიწაზე, და ისინი უნდა მტრობდნენ ერთმანეთს; ვინც ცდილობს მტრობის მოსპობას, არსებობას უთხრის ძირს.

რელიგია ცდილობს მათ შერიგებას.

შენიშვნა. იესო ქრისტეს სურდა არა მათი გაერთიანება, არამედ – დაყოფა, როგორც ეს ხდება იგავში ცხვრებსა და თხებზე! და იგი ამბობს: მე მოვედი არა მშვიდობის, არამედ მახვილის მოსატანად.

მესია, სატანა, ან მაცდური ოდესღაც წარმოდგენილი იყო ერთ-ერთად ღრმად მოხუცებულებიდან, რომლებიც ჩვენი ენერგიები არიან.

დაუვიწყარი ხილვა

ანგელოზი მოვიდა და მითხრა მე: «ო, შესაბრაღისო, სულელო ახალგაზრდა კაცო! ო, სისაძაგლევ! ო, მოკვდავო არსებავ! იფიქრე ცხელ და მწველ მიწისქვეშეთზე, რომელსაც უმზადებ საკუთარ თავს, საშინელ უსასრულობაზე, რომლისკენაც ასე სწრაფად მიექანები.»

მე მივუგე მას: «აღბათ, მზად ხარ, მიჩვენო ჩემი მარადიული ხვედრი, ერთად ვიხილოთ იგი და განვსაჯოთ, შენი ხვედრია ყველაზე სანატრელი, თუ – ჩემი.»

ხოლო მან წამიყვანა თავლისა და ეკლესიის გზით, ეკლესიის კამარის ქვეშ, რომლის დასასრულსაც დაგვხვდა წისქვილი: გავიარეთ რა იგი, აღმოვჩნდით გამოქვაბულში. დაკლაკნილი მღვიმის გავლით, ხელის ცეცებით მივიწვევდით დამღლელ ბილიკებზე, ვიდრე უსასრულო სიცარიელე, მიწისქვეშა ცა არ გადაგვეშალა თვალწინ, ჩავეჭიდეთ ხეთა ფესვებს და ჩამოვეკიდეთ თვალუწვდენლობაში. თუმცა მე ვკითხე: «გსურს,

დავრწმუნდეთ, ამ სიცარიელეში არის თუ არა ბედისწერა? და თუ შენ არ გსურს, მაშინ მე...» მან კი მითხრა: «არ გაბედო, ო, ახალგაზრდა ადამიანო; თუმცა, აქ ყოფნის დროს, თავად იხილავ შენს ბედისწერას, რომელიც მალე გამოჩნდება, მაშინ, როდესაც სიბნელე გაიფანტება.»

ასე რომ, მე დავრჩი მასთან, მუხის დაგრეხილ ფესვზე ჩამომჯდარი, ანგელოზი სიღრმისკენ თავმოქცეულ სოკოზე იყო ჩამოკიდებული.

ნელ-ნელა აღმოცენდა დაუსაბამო უფსკრული, ისეთივე მგზნებარე, როგორც – ხანძარმოდებული ქალაქის კვამლი; ქვემოთ, შორს, მზე გამოჩნდა, შავი, მაგრამ კაშკაშა; გარშემო, ცეცხლოვან გზებზე ბრუნავდნენ უზარმაზარი ობობები, და ცოცდებოდნენ საკუთარ მსხვერპლთა სხეულზე, რომლებიც მიფრინავდნენ, უფრო კი მიცურავდნენ უსასრულო სიღრმისკენ; ცხოველთა საზარელი ფორმები ამოზრდილიყვნენ გახრწნილებიდან და ჰაერი სავსე იყო ამგვარი არსებებით; ჰაერი თითქოს მათგან შედგებოდა. ესენი ეშმაკები არიან, ჰაერის ძალად წოდებულნი. და აი, ვკითხე ჩემს თანამგზავრს, თუ სად უნდა მეძებნა ჩემი მარადიული ხვედრი? მან მიპასუხა: «შავსა და თეთრ ობობას შორის».

უეცრად, შავსა და თეთრ ობობას შორის, ღრუბელი და ცეცხლი ამოიფრქვა და სიღრმეში შთაინთქა. ქვემოთ დაბნელდა ყველაფერი, უფსკრული ზღვასავით გაშავდა, რომლიდანაც შემადრწუნებელი ხმები იფრქვეოდა. ძირს შავი ქარიშხლის გარდა აღარაფერი ჩანდა, თუმცა აღმოსავლეთისკენ, ღრუბლებსა და ტალღებს შორის, გამოჩნდა ერთმანეთში არეული სისხლისა და ცეცხლის ჩანჩქერი, და ჩვენგან არც თუ ისე შორს აღიმართა და კვლავ დაიფარა საშინელი, გველის ქერცლიანი ხვეული.

ბოლოს, აღმოსავლეთით, ჩვენგან სამჯერ შორს, ტალღებში გამოჩნდა ცეცხლოვანი თხემი, რომელიც ნელ-ნელა ამოიზარდა და ოქროს კლდეთა მთაგრეხილს მივამსგავსეთ იგი, ვიდრე თვალს მოვკრავდით ორ სისხლისფერ, ცეცხლოვან ბურთს, რომლებმაც ჩაიქროლა კვამლის ღრუბლებში; და ახლა, როდესაც უკვე ვიხილეთ იგი, ვიცანით ლევიათანის თავი. მისი შუბლი ორად გაყოფილიყო მენამული და მწვანე ხაზებით, როგორც შუბლი ვეფხვისა. შემდგომ ვიხილეთ ურჩხულის პირი და წითელი ლაყუჩები; დუჟის ძლიერი ნაკადი გადმოედინებოდა მათ ქვემოთ. იგი ანათებდა ბნელ უფსკრულს სისხლისფერი სხივებით, და ჩვენკენ მოიწვედა არამიწიერი არსებისთვის დამახასიათებელი მძვინვარებით.

ჩემი მეგობარი, ანგელოზი, მოულოდნელად წისქვილისკენ გაემართა. მარტო დავრჩი და უცებ გაქრა შემზარავი ზმანება. ახლა უკვე მშვენიერ ნაპირზე ვიჯექი, მდინარის პირას, მთვარის შუქზე. ვილაც არფაზე უკრავდა და მღეროდა: «კაცი, რომელიც არ იცვლის აზრს, ჰგავს მდგარ წყალს, და კვებავს გონების ქვენარმავალთ.»

თუმც მე წამოვდექი და წისქვილის ძებნას შევუდექი, და აი, ვიპოვე ჩემი ანგელოზი, რომელმაც გაკვირვებულმა მკითხა, თუ როგორ მოვახერხე გამოქცევა.

მე ვუპასუხე: «ყოველივე რაც ვიხილეთ, იყო ნაწილი შენი მეტაფიზიკისა; რადგანაც, როდესაც გაიქეცი, მე მთვარით განათებულ ნაპირზე აღმოვჩნდი, სადაც არფაზე დამკვრელის სიმღერას ვუსმენდი. ახლა კი, რაკი ვიხილეთ ჩემი მარადიული ხვედრი, შემიძლია, გიჩვენო შენი?» მოისმინა რა ჩემი სიტყვები, სიცილი დაიწყო, თუმცა მე ძალის გამოყენებით მოულოდნელად ჩემს მკლავებში

მოვიქციე იგი და დასავლეთისკენ გავფრინდით, ბნელი ღამისკენ, ვიდრე თავზე არ მოვექეციოთ დედამიწის ჩრდილს. შემდეგ საკუთარი თავი მასთან ერთად მზისკენ გადავტყორცნე. აქ მე შევიმოსე თეთრი სამოსით, სვედენბორგის ჩანაწერებით ხელში განვეშორეთ დიდებულ ქვეყანას და ჩავუქროლეთ პლანეტებს, ვიდრე სატურნამდე. აქ შევჩერდი, რათა დამესვენა, და შემდგომ კი გადავეშვი სიცარიელეში, სატურნსა და ვარსკვლავებს შორის.

და ვთქვი მე, აქ არის შენი ბედისწერა, ამ სივრცეში, თუკი მას შეიძლება ეწოდოს სივრცე. მაშინ ჩვენ ვიხილეთ თავლა და ეკლესია, შევიყვანე ანგელოზი საკურთხეველში და ბიბლია გადავშალე. და, აი! გამოჩნდა ღრმა ორმო, რომელშიც ჩავედი, ანგელოზის შემდგომ; შვიდი აგურის სახლი აღიმართა ჩვენს წინაშე; ერთ-ერთის კარი ღია იყო, სადაც მრავალ მაიმუნს, ბაბუინს და ყველა მსგავს არსებას მოეყარა თავი. მიჯაჭვულები სახლის შუაგულში, იღრინებოდნენ და ხელებს იქნევდნენ, თუმცა ერთმანეთს ეფარებოდნენ ჯაჭვის სიმოკლის გამო. ვხედავდი, რომ ზოგჯერ ისინი ურიცხვნი ხდებოდნენ, სუსტს ძლიერი იჭერდა, კბილების ღრჭენით წყვილდებოდნენ, შემდეგ კი იხოცებოდნენ, ჯერ ერთ ფეხს სწევდნენ, შემდგომ – მეორეს, ვიდრე სხეული უმწეობას არ მოიცავდა. ამგვარი კოცნა და კბილთა ღრჭენა, რომელსაც სიყვარული გამოარჩევდა, მაინც სიკვდილით სრულდებოდა; დროდადრო ვხედავდი ერთს, რომელიც საჭმელად საკუთარი კუდის ხორცის ნაჭრებს აგროვებდა. როცა სიმყრალემ ორივე შეგვაწუხა, წისქვილში დავბრუნდით; ხელით მომქონდა ჩონჩხი, რომელიც არისტოტელეს «ანალიტიკას» განასახიერებდა.

ანგელოზმა მითხრა: «შენმა წარმოსახვამ შეცდომაში შემიყვანა, ამიტომ გრცხვენოდეს უნდა!»

მე ვუპასუხე: «ჩვენ ერთმანეთი შევაცდინეთ, შენთან საუბარი კი დროის ფლანგვაა, შენი ერთადერთი ქმნილება ხომ «ანალიტიკაა».

საპირისპირო ყოველივე ამისა ნამდვილი მეგობრობაა.

VI

ყოველთვის ვამჩნევდი, რომ ანგელოზები მუდამ ტრაბახობდნენ, ბრძნადმეტყველებას იჩემებდნენ; ამას ისინი სრული ამპარტავნული თავდაჯერებით აკეთებდნენ, რაც განუწყვეტელ ფიქრში აღმოცენდებოდა:

ამიტომ სვედენბორგიც ამაყად ამბობს, რომ რასაც წერს, აქამდე არავის დაუწერია. თუმცაღა მისი ნაშრომები მხოლოდ შინაარსი ან ანბანური საძიებელია უკვე არსებული წიგნებისა.

ადამიანმა მაიმუნი გამოიყენა წარმოდგენის მოსაწყობად და, რადგან მას ამ უკანასკნელზე უმნიშვნელოდ მეტი სიბრძნე აქვს, მასში აღმოცენდა პატივმოყვარეობა და საკუთარი თავი დანარჩენ შვიდზე უფრო ჭკვიანად წარმოიდგინა. ასევე მოხდა სვედენბორგთანაც: ის ეკლესიას წარმოაჩენს უცოდველად და ფარისევლობს, გვასწავლის რა, რომ ყველას რელიგია აერთიანებს და თავად კი ერთადერთია დედამინაზე, ვინც დაქსელილი გზები გაარღვია.

ახლა კი მოისმინეთ ნათელი ჭეშმარიტება: სვედენბორგს არ შეუქმნია ახალი არაფერი. მოისმინეთ შემდეგიც: მას მხოლოდ ძველი ტყუილები ეკუთვნის.

და ახლა შეიტყვეთ მიზეზი ყოველივე ამისა: ის საუბრობდა ანგელოზებთან, რომლებსაც სწამთ ღმერთი, და არა – ეშმაკებთან, რომელთაც სძულთ რელიგია, რადგანაც მას არ შეეძლო თავისი გულზვიადი და დოგმატური ფიქრებისგან გათავისუფლება.

ამიტომ სვედენბორგის ჩანაწერები შეჯამებაა ყოველი ზოგადი აზრისა და მათი არა სიღრმისეული, არამედ პათეტიკური ანალიზი.

არსებობს სხვა ცხადი ფაქტიც. ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც ნიჭი ამოქმედებს, შეუძლია პარაცელსუსისა და იაკობ ბოემეს ნამოღვაწარით სვედენბორგზე ათიათასჯერ უფრო ღირებული ნაშრომები შექმნას, ხოლო დანტესა და შექსპირის ნაწარმოებების მიხედვით – უთვალავჯერ.

თუმცა, როდესაც იგი დაასრულებს ამას, არ მისცე ნება იმის თქმისა, რომ მან საკუთარ ოსტატზე მეტი იცის, რადგან მისი სანთელი მხოლოდ მზის ქვეშ ანათებს.

დაუვიწყარი ხილვა

ერთხელ ვიხილე ეშმაკი, გახვეული ცეცხლის ალებში, რომელიც ამაღლდა ღრუბელზე მჯდარ ანგელოზზე და წარმოთქვა შემდეგი სიტყვები:

«ღმერთის დიდებაა მის მიერ ნაბოძები ნიჭის სხვისთვის გადაცემა და განსაკუთრებული სიყვარული დიდი ადამიანებისა. მას, ვისაც შურს ან ცილს სწამებს დიდ ადამიანს, სძულს ღმერთი, რადგან არ არსებობს სხვა ღმერთი.»

ამის მოსმენისას ანგელოზი გაღურჯდა, თუმცა თავს დაეუფლა, გაყვითლდა, მქრქალმა ვარდისფერმა გადაჰკრა სახეზე და ღიმილით უპასუხა:

«შენ, კერპთმსახურო, განა ღმერთი ერთი არაა? განა იესო ქრისტეში არ განსხეულდება? განა მანვე არ დაგვსაჯა ათი მცნებით? განა ყველა სხვა ადამიანი ცოდვილი, ბრიყვი და არარაობა არაა?»

ეშმაკმა უპასუხა: «დანაყე სულელი როდინზე ხორბალთან ერთად, მაინც ვერ გამოდევნი მისგან უგუნურებას. თუკი იესო ქრისტე ზეკაცია, მოვალე ხარ, გიყვარდეს იგი ყველაზე მეტად. ახლა მოისმინე, როგორ დაგვსაჯა მან ათი მცნებით: როცა ის შაბათს დასცინოდა, არ დასცინოდა შაბათის ღმერთს? მან თავად არ მოკლა ისინი, ვინც მის გამო დაიხოცნენ? ზურგი არ შეაქცია კანონს ქალის ღალატზე? მოპარა სხვებს მუშები, რათა განედიდებინათ იგი? ყალბი დასტურით განა მანვე არ მოისპო გადარჩენის გზა, ვიდრე პილატე გასცემდა ბრძანებას? განა არ შურდა, როცა ლოცულობდა თავისი მოციქულებისთვის და როცა უბრძანა მათ თავიანთი ფეხებიდან მტვრის ჩამობერტყვა, ნაცვლად იმისა, რომ არ მიეცა მათთვის თავშესაფარი? გეტყვი შენ, სიქველე არ იარსებებდა ათი მცნების დარღვევის გარეშე. იესო ქველი იყო და მას არა კანონები, არამედ ძალა ამოძრავებდა.»

როდესაც ეშმაკი ამ სიტყვებს ამბობდა, დავინახე, როგორ გაიწვდინა ხელები ანგელოზმა მოგიზგიზე ცეცხლის ჩასახუტებლად, ის შთაინთქა და აღდგა, როგორც ელია.

შენიშვნა. ის ანგელოზი, რომელიც ეშმაკად იქცა, ჩემი განსაკუთრებული მეგობარია; ჩვენ ხშირად ვკითხულობთ ბიბლიას ერთად, ვკითხულობთ ჯოჯოხეთზე, რასაც მთელი მსოფლიო დაიმსახურებს, თუკი სწორად იმოქმედებს.

მაქვს ჯოჯოხეთის ბიბლია, რომელსაც მსოფლიო მაინც იხილავს.

კანონი, რომელიც საერთოა ლომისტვისა და ხარისტვის,
ჩაგრავს მათ.

თავისუფლების სიმღერა

1. ამოიოხრა უკვდავმა ქალმა! მისი ხმა მთელს დედამიწას
მოეფინა.
2. ალბიონის სანაპირო უსუსურია, ჩუმი; ამერიკის
მდელოები – უფერული!
3. წინასწარმეტყველების ჩრდილები თრთის
მდინარეებისა და ტბების გასწვრივ, ისინი ბუტბუტებენ
ოკეანეში. საფრანგეთო, გაანადგურე მიწისქვეშა
საპყრობილენი.
4. ოქროს ესპანეთო, გაარღვიე საზღვრები ძველი რომისა.
5. მოისროლე გასაღებები, ო, რომო, რათა სიღრმისკენ
მიისწრაფოდნენ, თუნდაც უსასრულოდ.
6. და იტირეთ!
7. მთრთოლვარე ხელებით მან აიყვანა ახალშობილი
პირქუში შიში.
8. ამ უსასრულო სინათლის მთებში, ატლანტის ოკეანით
შემოზღუდულში, ახალშობილი ცეცხლი წარსდგა წინაშე
ბრწყინვალე მეფის.
9. ნაცრისფერწარბება თოვლის დროშებით და
მოღრუბლული სახეებით, ეჭვიანი ფრთები უფსკრულის
თავზე ირხეოდნენ.
10. შუბმომართული ხელი აღიმართა, ცხვრის ფარა
გაშვებული იყო, მეოთხედ გამოჩნდა ეჭვიანობის ხელი
აღმოდებულ თმებში, და ვარსკვლავებიან ღამეში
გადმოსტყორცნა ახალშობილი სასწაული.

11. ცეცხლი, ცეცხლი ცვივა მიწაზე!

12. აიხედეთ! ზემოთ აიხედეთ! ო, ლონდონის მკვიდრო, გაიფართოვეთ თვალსაწიერი! ო, ებრაელო, შეწყვიტე ოქროს თვლა! დაუბრუნდი შენს ზეთს და ღვინოს; ო, აფრიკელო! შავო აფრიკელო! (ფრთაშესხმულო ფიქრებო, გააფართოვეთ მისი თვალსაწიერი).

13. ცეცხლმოკიდებული ტოტები, აღმოდებული თმები, გატყორცნილნი, როგორც ჩაძირული მზე დასავლეთის ზღვაში!

14. მარადიული ძილიდან გამოღვიძებულმა, გრგვინვამ სმენადი სტიქიისა თავი გაითავისუფლა.

15. ეჭვიანი მეფე დაბლა დაეშვა ფრთების ტლაშუნით, თუმცა – ამოდ: მისი ნაცრისფერწარბებიანი მოკავშირეები, მჭექარე მეომრები, გარსმოხვეული ძველი მებრძოლები, ძალაუფლებებს, ფარებს, ეტლებს, ცხენებს, სპილოებს, დროშებს, სასახლეებს, შურდულებსა და კლდეებს ამოფარებოდნენ.

16. დაცემა, დევნა, აოხრება! ნანგრევებში ჩამარხული, ურთონას კბილებში.

17. ყოველი ღამე ნანგრევების ქვეშ; მაშინ პირქუში ალები გაიცრიცა და გულჩათხრობილი მეფის გარშემო ამოტივტივდა.

18. ცეცხლით და ჭექა-ქუხილით გაუძღვა თავის მოკაშკაშე ცის მნათობთ ხრიოკი უდაბნოსკენ, გამოუცხადა მათ ათი მცნება, გადაავლო თავისი ბრწყინვალე ქუთუთოები თავზარდამცემ სიბნელეს უფსკრულში,

19. სადაც ცეცხლის ძე აღმოსავლეთის ღრუბლებში, მაშინ, როდესაც დილა ოქროს მკერდზე ფრთებს ისწორებს,

20. წყევლით დაწერილ ღრუბლებს ჰკრავს ხელს, ბეჭედს
ასვამს ქვაზე დაწერილ კანონებს, რომელთაც მტვერი
დაედება, ღამის ეშვებიდან უკვდავ ცხენებს
გათავისუფლებს და ხმამალა ამბობს:

«იმპერია აღარ არსებობს! და ამიერიდან ლომიც და
ვეფხვიც შეჩერდებიან!

გუნდი

მიეცით უფლება განთიადის ყორანთა მღვდლებს,
რომლებიც უკვე განეშორნენ შემადრწუნებელ სიშავეს,
ხრინნიანი ხმით დასწყევლონ სიამოვნების ძენი. ვერც
მისი სანდო საძმო, ტირანები, რომელთაც უწოდებს
თავისუფალთ, ვერ დააწესებენ ზღვარს და ვერ დააშენებენ
სახლზე სახურავს. ვერც მქრქალი რელიგიური
გარყვნილება, ქალწულებად წოდებული, რომელსაც სურს
და არ მოქმედებს!

რადგან წმინდაა ყველაფერი, რაც კი არსებობს.

ინგლისურიდან თარგმნა ხატია გაგნიძემ

შარლ ბოდლერი



პოეტური პროზა (სპლინი)

გეგმები

მიყრუებულ ბაღში სეირნობისას, ერთ კაცს ფიქრები აეშალა: «მშვენიერ, მყუდრო საღამოს, ირგვლივ ბაღებითა და აუზებით დამშვენებულ სასახლეში, დიდებულად მორთულ-მოკაზმულ სამოსში გამოწყობილი ჩემი სატრფო კიბეზე ჩამოდის. ო, რა სანახავი იქნებოდა! სინამდვილეშიც პრინცესას ჰგავს!»

ოცნების მერე ქუჩას გაუყვა და გრავიურის ხელოსნის ჭიხურთან შეჩერდა. მუყაოზე ამოტვიფრულ ტროპიკულ პეიზაჟზე შეაჩერა მზერა... და კვლავ ოცნება ეწვია...

«არა, სასახლეში სატრფოს სანუკვარ ცხოვრებას პატრონობას ვერ გავუნევ, ვერც თავს ვიგრძნობთ შინაურულად. ოქროთი გადაჭედნილ კედლებზე ადგილსაც ვერ გამოვინახავთ მისი სურათის ჩამოსაკიდად, საზეიმოდ მოწყობილ დარბაზებში ერთ მყუდრო კუნჭულსაც ვერ მივაგნებთ სასიყვარულოდ. გადანწყდა, მხოლოდ აქ, ამ ტროპიკულ ბუნებაში უწერია ჩემს ოცნებას ახდენა».

გრავიურა ყურადღებით შეათვალიერა და მოწონებულ პეიზაჟზე ფიქრი გააგრძელა...

«აი, ზღვისპირას ხის ლამაზი სახლი დგას, უცნაური, მოელვარე ხეებით გარშემორტყმული, მათ სახელებს ვერ ვიხსენებ... ამოუხსნელი, მათრობელა სურნელით გაჟღენთილია გარემო... შინ ვარდის და მუსკატის მძაფრი სურნელი ტრიალებს. ჩვენი პატარა სამკვიდროდან მოშორებით, ზღვის მოალერსე ტალღებზე ანძები ირხევიან. პორტუგალიურ როკოკოს სტილში მოწყობილ ოთახში, სადაც ფარდების გამო გაცრეცილი ვარდისფერი

შუქი იღვრება, ხის ორი, მუქი ფერის სავარძელი დგას. ოთახი ახალთახალი ჭილოფებით და მათრობელა ყვავილებით არის მორთული (აქ ჩემი ქალბატონი უშფოთველად მოისვენებს, რადგან თრიაქიანი თამბაქოს კვამლით გაჟღენთილი ოთახი კარგად არის განიავებული). ისმის ჩიტების ატეხილი ჟიჟივი და პატარა, შავკანიანი გოგონების გაუთავებელი ლაპარაკი... მერე ღამე ჩამოდგება, მოშრიალე ხეთა სევდიან ჰანგს მოვუსმენ და ოცნებაში ჩავიძირები!

რა ბედენაა სასახლე, მერწმუნეთ, სწორედ აქ, აქ არის ის სილამაზე, რასაც ვეძებდი».

მერე ერთ დიდ გამზირს დაადგა. გზად მიმავალმა, მოშორებით ერთი კოპწია სასტუმრო შენიშნა. ფანჯარას ინდური ფარდები ახალისებდა, საიდანაც ორ მხიარულ, სასურველ ქალს თავი გადმოეყო. ამის დანახვა იყო და კვლავ ფიქრმა წაიღო... «ღმერთმანი, ჩემს ფიქრს ხეტიალი ჰყვარებია. რალა შორს ვეძებ იმას, რაც თურმე აქვია, ჩემთან. სიამოვნება ბედნიერება სწორედ ამ პირველშემხვედრ სასტუმროში მომელის, ნეტარებით სავსე სასტუმროში, რომელსაც შემთხვევით წავაწყდი. აქ ყველაფერი კაშკაშებს. სუფრას ნათელი ფერის ფაიფური და ჩინებული ღვინო ამშვენებს, ვახშამს ვერ დაუნუნებ, განიერზე განიერი საწოლი უდგათ, ოდნავ მჭახე ფერის, მაგრამ ახალთახალი თეთრეულით განყობილი. უკეთესს რას ინატრებ კაცი?!»

შინ იმ დროს დაბრუნდა, როცა გარე ცხოვრების ხმაური კლებულობს და ხელს არ უშლის ადამიანის ბრძნული აზრის დაბადებას.

«დღეს ოცნებით სამი ადგილსამყოფელი შემოვიარე. სამივემ ერთნაირი სიამოვნება მომგვარა. მაშ, რა ძალა

მადგას, წამდაუნუმ სხეული აქეთ-იქით ვარბენინო, როცა ჩემი სული ასე მარჯვედ ახერხებს მოგზაურობას. ან გეგმების აღსრულება რას ემსახურება, როცა თავად გეგმა საკმარისად გახალისებს?»

მარტოობა

ერთი გაზეთის ფილანთროპი ჟურნალისტი^[13] მეუბნება, რომ მარტოობა ადამიანისთვის მავნებელია. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად, როგორც ყველა ურწმუნო, ეკლესიის მამების სიტყვებს იშველიებს.

ვიცი, რომ დემონი სიამოვნებით სტუმრობს უკაცრიელ ადგილებს, სადაც მარტოობის დროს მკვლელობის და ავხორცობის ჟინი იოლად დაინთება ხოლმე, მაგრამ ეს მარტოობა სახიფათოა მხოლოდ უსაქმური, მოხეტიალე სულისთვის, რომელიც მას ლტოლვებს და ფუჭ ოცნებას შთააგონებს.

ცხადია, ყბედი, რომლის უზენაესი სიამოვნება კათედრიდან ან ტრიბუნიდან ხმამაღლა ლაპარაკია, რობინზონის კუნძულზე გააფთრებულ «გიჟად» იქცეოდა. ჩემი ჟურნალისტიდან კრუზოს გმირულ საქციელს არ მოვითხოვ, მაგრამ ვთხოვ, ნუ დაადანაშაულებს მარტოობის და იდუმალების მოტრფიალეთ.

ჩვენს მოლაყბეთა მოდგმაში ისეთი ერთეულებიც არიან, უზენაეს სასჯელს შეეგუებოდნენ, თუკი უფლება მიეცემოდათ ეშაფოტის სიმაღლიდან უხვი, მაღალფარდოვანი სიტყვა წარმოეთქვათ იმ იმედით, რომ სიკვდილმისჯილთა თანმხლები სანტერის მედოლეთა დამსჯელი რაზმი მათ სიტყვას უდროოდ არ შეაწყვეტინებდა.

ამ ადამიანებს არაფერს ვერჩი, რადგან მივხვდი, ორატორული სიტყვათფრქვევა მათში ისეთივე ნეტარებას იწვევს, რასაც სხვებში სიჩუმე და სულიერი ცხოვრებისკენ სწრაფვა; მაგრამ მოლაყბენი ჩემთვის არაფერს წარმოადგენენ.

ოღონდ ჩემი შეჩვენებული ჟურნალისტი შემეშვებოდეს, რომ ჩემს ნებაზე შევიქციო თავი. «ნუთუ არასდროს გქონიათ სურვილი ვინმესთვის თქვენი სიამოვნებანი გაგეზიარებინათ?» – მკითხა მან წმინდანის ხმით. ერთი ამ პირწავარდნილ შურიანს დამიხედეთ, კარგად მოეხსენება, რომ ვერ ვეგუები იმას, რითაც თავად სიამოვნებენ.

ის კი ჩემს სულიერებაში შეღწევას ლამობს, საზიზღარი, არაფრად აგდებს ჩემს განცდებს.

«უბედურებაა, თუ არ შეგვწევს მარტოდ ყოფნა – სადღაც უთქვამს ლაბრუიერს^[14], თითქოს და ყველა იმათ შესარცხვენად, ვინც განცდების გასაქარწყლებლად ბრბოსკენ მიიწევს, ალბათ, იმის შიშით, რომ არ ძალუძს თავად გაუმკლავდეს მათ.

მთელი ჩვენი უბედურების მიზეზია ის, რომ უნარი არ შეგვწევს მარტონი დავრჩეთ საკუთარ თავთან» – თქვა პასკალმა^[15] – მეორე ბრძენმა.

ყველა ამ გიჟადქცეულ ადამიანს, რომელიც გაქცევით თავის დაღწევასა და პროსტიტუციაში ჰპოვებდა ბედნიერებას, მოვუხმობდი სულიერების საკანში, რომელსაც ვუწოდებდი *ერთსულოვნებას*, თუ ვისურვებდი გამომეხატა ჩემი საუკუნის ჩინებულ ენაზე.

მიპატიჟება სამოგზაუროდ

ის საუცხოო ქვეყანაა, როგორც იტყვიან, ზღაპრული ქვეყანა. ჩემი ოცნებაა, ყრმობისდროინდელ მეგობარ ქალთან ერთად ვენვიო ევროპის ჩრდილოეთის ნისლეულში ჩაძირულ ამ მხარეს, რომელსაც დასავლეთის აღმოსავლეთი, ან ევროპის ჩინეთი შეიძლება ვუწოდოთ, სადაც მწველი და ჟინიანი წარმოსახვა რამდენადაც თავის ნებაზეა მიშვებული, იმდენადვე მტკიცე და ჯიუტია აქაურობის დახვეწილი და ფაქიზი მცენარეთა საფარი.

ნამდვილი ზღაპრული ქვეყანაა, სადაც სილამაზე, სიმდიდრე, სიმშვიდე და მოკრძალება სუფევს; სადაც ფუფუნება თავის თავს ეტრფის, სადაც ცხოვრება უხვია და სუნთქავ მსუბუქად, რაც უწესრიგობას, შფოთს და მოულოდნელობას გამორიცხავს, სადაც სიჩუმესაც მოაქვს ბედნიერება, სადაც სამზარეულოც პოეტურია, უხვი და ამავე დროს მადის აღმძვრელი, სადაც ყველაფერი თქვენს თავს მაგონებს, ჩემო ძვირფასო ანგელოზო!

ყოფილხართ სნეული ამ არარსებული ქვეყნის მონატრებით, მისი ნახვის წყურვილით, რომელიც მოგვიხელთებს ხოლმე შეჭირვების ჟამს? ეს ქვეყანა შენ გგავს, სადაც ირგვლივ სილამაზე, სიმდიდრე, სიმშვიდე და მოკრძალებაა, სადაც წარმოსახვით აიგო და მოირთო დასავლეთის ჩინეთი, სადაც ცხოვრება მშვენიერია, სუნთქვა გსიამოვნებს, სადაც სიჩუმესაც მოაქვს ბედნიერება; ის ადგილია, სადაც ღირს სიცოცხლე და სიკვდილიც ღირს!

ჰო, იქ უნდა ნახვიდე, ისუნთქო, იოცნებო და უსასრულო შეგრძნებებით დრო გაახანგრძლივო. ერთმა მუსიკოსმა *მიპატიჟება ვალსზე* დაწერა, ნეტავ ვინ დაწერს *მიპატიჟებას სამოგზაუროდ*, რომელსაც საყვარელ ქალს ან უსაყვარლეს დას შესთავაზებ?^[16]

ჰო, სწორედ ამ გარემოში ჯობს სიცოცხლე, აქ, სადაც ზოზინა დრო უფრო ფიქრიანია, სადაც საათები ბედნიერებას რეკავენ დიდი, ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულის მაუნყებლად.

პრიალა დაფებზე, ან უცნაური სიმდიდრით მოოქროვილ ტყავებზე კრძალვით გამოსახულან ნახატები, ღრმა, მშვიდი და ნეტარი, ისე, ვით მათი შემოქმედის სული. ჩამავალი მზით უხვად განათებულა სასადილო თუ სასტუმრო ოთახები. მათ ფერადოვნებას გულდასმით ჩასმულ ფანჯრებზე დაკიდული ლამაზი ფარდები აფერმკრთალებს და შემოსულ შუქს მრავალ ნაწილად ყოფს. ავეჯი ფართოა, იშვიათი და უცნაური, დახვეწილი სულივით სავსე საკეტებით და იდუმალებით. სარკეები, ლითონები, ქსოვილები, ოქრო-ვერცხლი თუ ფაიფური უჩინარ, უხმო, იდუმალ სიმფონიას ასრულებს. ყველა კუთხიდან, უჯრების ნაპრალებიდან თუ ქსოვილთა ნაკეცებიდან განსაკუთრებული სურნელი იფრქვევა, სუმატრას მიპატიჟება დაბრუნდით – იქ თითქოს ამ სამყოფელის სულია.

ხომ გეუბნები, ნამდვილი ზღაპრული ქვეყანაა. ირგვლივ სიმდიდრეა, ჭეშმარიტი რწმენასავით ყველაფერი სუფთაა და ბრწყინავს, ვით სამზარეულოს არაჩვეულებრივი ჯამ-ჭურჭელი, დიდებული ოქრო-ვერცხლი, ჭრელ-ჭრელი საიუველირო ნივთები! მსოფლიოს საგანძურს აქ მოუყრია თავი, როგორც იმ მშრომელი კაცის სახლში, ვისაც ეს ყველაფერი დამსახურებით მიუღია. სხვათა მჯობნი ჩინებული ქვეყანაა. აქ ოცნებამ აღმოსავლეთის პირველშობილი ხელოვნება გარდაქმნა, გადაადნო, შეასწორა და გაამშვენიერა.

დაე, ეძიონ მებაღეობის ალქიმიკოსებმა, კვლავაც ეძიონ, უსასრულოდ აფართოვონ თავიანთი ბედნიერების ზღვრები, დაე, საკუთარი პატივმოყვარული პრობლემების გადაჭრას სამოცი თუ ასიათასი ფლორინი მოანდომონ! მე კი მივაგენი ჩემს შავ ტიტას და ცისფერ გეორგინს!

მოგაგენი ტიტავ, შეუდარებელო ყვავილო, ხატოვანო გეორგინავ, ხომ მეთანხმებით, რომ სწორედ აქ, ამ ლამაზ, მშვიდ და მეოცნებე ქვეყანაში ღირს წასვლა, სიცოცხლე და ყვავილობა? ტიტავ, ხომ არ აპირებ შენნაირნი შემოიკრიბო. მათში საკუთარი თავი ამოიცი, რომ შენს ყვავილთა მრევლს მისტიკოსივით გაესაუბრო.

ოცნებები!, ოცნებები არ მეშვებიან! რამდენადაც პატივმოყვარე და ფაქიზია სული, იმდენად ოცნებები მას რეალურიდან შორს მიაქანებენ. თითოეული ადამიანი თავისი წილი ბუნებრივი თრიაქის მატარებელია, რომელიც უსასრულოდ გამოიყოფა და კვლავ განახლდება მასში. გაჩენის დღიდან სიკვდილამდე, ვინ მოთვლის, რა დრო ეთმობა ხალისით სავსე სიამოვნებას, გადანყვეტილებების მიღებას, საქმეთა აღსრულებას? ნუთუ ოდესმე ვიცხოვრებთ, ოდესმე დავმკვიდრდებით ჩემი წარმოდგენით დახატულ სანახაობაში, რომელიც შენ გგავს?

განძეული, ავეჯი, წესრიგი, ფუფუნება, სურნელი თუ გასაგიჟებელი ყვავილები, ეს ყველაფერი შენ ხარ; დიდი მდინარეები თავიანთი მშვიდი შენაკადებითაც შენ ხარ. განძეულით სავსე უშველებელი მზიდავი ხომალდები კი, საიდანაც მათი გაბმული, ერთფეროვანი ხმა გაისმის, ჩემი ფიქრებია, რომლებიც ხან თვლემენ, ხან შენს მკერდზე ირხევიან. უშფოთველად მიუძღვები მათ ზღვისკენ, უსასრულობისკენ; თან მიგყვება ფიქრი უძირო ცაზე,

რომელიც შენი ლამაზი სულის სინძინდეს ერწყმის. ზღვის ტალღებით და ყურყუმალობით დაქანცული აღმოსავლეთის შთაბეჭდილებები მშობლიურ ნავსადგურში შეიყუჩებიან, რომლებიც უსასრულობიდან დაბრუნებული, კვლავ შენკენ მომავალი ჩემი დახუნძლული ფიქრებია.

მოხეტიალე მოხუცი აკრობატი

უქმე დღეს ხალხი გარეთ გამოშლილიყო. ერთობოდნენ, მხიარულობდნენ. ეს დღე ის ერთ-ერთი დღესასწაულთაგანია, რომელზეც დიდი ხანია მოხეტიალე აკრობატები, სასწაულმოქმედი ილუზიონისტები და ცხოველთა მწვრთნელები იმედს ამყარებენ. მოარული ჭიხურის მეპატრონეები კი იმედოვნებენ აინაზღაურონ, უამინდობით გამოწვეული მცირე შემოსავალი.

ასე მგონია, ამ დღეს ხალხი ბავშვივით ყველაფერს ივინწყებს, ტკივილსაც და საქმესაც. პატარები ისვენებენ. სკოლისადმი შიში ერთი დღე-ღამით უქრებათ. დიდებისთვის კი უკეთურ ხელისუფლებასთან დაბავების, დაძაბულობისგან და საყოველთაო ბრძოლისგან სულის მოთქმის დღეა.

მაღალი წრის ადამიანები და სულიერი ცხოვრების მსახურნი ცდილობენ, თავი დააღწიონ სახალხო დღესასწაულის ალიაქოთს, მაგრამ უნებურად, ამ უდარდელი გარემოდან თავიანთ წილს მაინც ისრუტავენ.

როგორც ნამდვილი პარიზელი, მუდამ ჩავუვლი ხოლმე ამ საბეიმო – დრო-ჟამს წამოჭიმულ, სახელდახელოდ აგებულ ფიცრულებს, რომლებიც ამ დღეს მართლაც რომ ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს. იქაურობა ზოგან ბლავილის, ღმუილის, ზოგან კი ჭყვილის ხმებს აეკლო. ერთმანეთში

ირეოდა ბუკის და ნალარის, აფეთქებული შუშხუნების და მჭექარე შედახილების ხმა. მზემოკიდებული, ქარის და წვიმისგან დაშაშრულსახიანი თეატრალური გმირები – დოყლაპიები და თავზე წითელბაბთიანი მასხარები, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ, თავიანთ საქმიანობაში ბადალი არ ჰყავდათ, კომედიანტის რიგით მოსწრებულ სიტყვებსა და ხუმრობებს არ იშურებდნენ მოლიერის თეატრის ჭეშმარიტი კომიკოსებივით. ორანგუტანგებივით უშუბლო, თავისქალა განუვითარებელი გოლიათები თავიანთი უშველებელი კიდურებით თავს იწონებდნენ; ამ უქმე დღისთვის, წინა საღამოს გარეცხილ მაისურებში გამონყობილნი უდარდელად გამოიყურებოდნენ, ხოლო ფერიებივით ლამაზ, მოკუნტრუშე მოცეკვავეთა სამოსზე ფარნის შუქის ნაპერწკლები კიაფობდნენ.

გარემო მხოლოდ სინათლით, მტვრით, მხიარული შედახილებით და ხმაურით გაჟღენთილიყო. ზოგი ხარჯს სწევდა, ზოგი იგებდა. ერთნიც და მეორენიც ერთნაირად ხალისობდნენ. ბავშვები შაქრიანი ფუნთუშის მოლოდინში დედის კალთას ამოფარებოდნენ, ან მამებს შემოსხდომოდნენ მხრებზე, რომ უკეთესად დაენახათ ღმერთივით მომხიბვლელი ილუზიონისტი. იქაურობას საკმეველივით მოსდებოდა შემწვარ-მოხრაკულის სურნელი. ჩამწკრივებულ ფიცრულთა ბოლოს ერთი დაჩაჩანაკებული, მოხეტიალე აკრობატი შევნიშნე. ამ სიკაშკაშეს თითქოს მორცხვად გასცლოდა. თავისი ფიცრულის ბოძს მიჰყრდნობოდა, მოხრილი, ღონემიხდილი, ადამიანის ნიშანწყალი აღარ შერჩენოდა. მისი თავშესაფარი უფრო სანყლად გამოიყურებოდა, ვიდრე მავანი ხეპრეს ხუხულა. შიგნით ორი სანთელი

ინვოდა, იღვენთებოდა და მის შუქზე გაჭირვება კიდევ უფრო ძალუმად იკვეთებოდა.

ყველგან მოგების ჟინი, ღრეობა და მხიარულება სუფევდა, ხვალინდელი დღის რწმენა იგრძნობოდა, სიცოცხლე დულდა. აქ კი, უკიდურესი სილატაკის წარმოსაჩენად, სასაცილო კონკებში გამონწყობილ გაჭირვებას დაესადგურა. ამ სხვაობას საზეიმო სანახაობა კი არა, სილატაკე ქმნიდა. იდგა საბრალო უმოძრაოდ, არც ტირილი ერეოდა და არც სიცილი, არც ეცეკვებოდა და არც მხიარულ თუ სევდიან ჰანგზე ემღერებოდა, ყველასთვის ზურგი ექცია. არაფერს ითხოვდა. იდგა დამუნჯებული. ბედისწერამ ეს ხვედრი არგუნა. რა უძირო, დაუვინწყარი მზერით ავლებდა თვალს განათებულ გარემოს, ბრბოს, რომლის უწყვეტი ნაკადი შემზარავი სილატაკის შემხედვარე მის ფიცრულში არ შედიოდა და შორიახლოს ჩერდებოდა. ყელზე ისტერიის საშინელი ხელი შემომეჭდო. ვიგრძენი, თვალებში ურჩი ცრემლები ჩამდგომოდა და გადმოღვრას არ აპირებდნენ. რა უნდა მექნა? განა აზრი ჰქონდა ამ უიღბლოსთვის მეთხოვა, ეჩვენებინა თავისი დაგლეჯილი ფარდის უკან, აქოთებულ წყვილიაღში თუ რამ უცნაური, სასწაულებრივი გააჩნდა. გამოგიტყდებით, ვერ გავბედე. ჩემი სიმორცხვის მიზეზზე იქნებ გაგეცინოთ კიდევ, მაგრამ ვაღიარებ, ვშიშობდი თავი დამცირებულად არ ეგრძნო. ბოლოს, გავლისას, ის იყო გადავწყვიტე ერთ-ერთ მის თაროზე თანხა დამეტოვებინა, იმ იმედით, განზრახვას მიმიხვდებოდა, რომ უცებ, არ ვიცი რა მოხდა, ხალხის დიდმა ტალღამ მისგან შორს გადამისროლა.

იქიდან წამოსულს ნანახი სურათი ამეკვიატა. ვცდილობდი, ჩავწვდომოდი ჩემს მოულოდნელ ტკივილს და გავიფიქრე: ახლახან ვიხილე სახიერება მწერლისა, რომელმაც თავისი

თაობის ადამიანებზე მეტხანს იცოცხლა, ოდესღაც რომ ხალისით ავსებდა თავის თანამედროვეთ; ან იქნებ ეს იყო სახიერება უმეგობროდ, უოჯახოდ, უშვილებოდ დარჩენილი პოეტისა, გაჭირვებით და საზოგადოების უმადურებით დამცირებული ადამიანისა, რომლის ფიცრულში გულმაჟინყ ადამიანებს არ სურდათ შესვლა.

ნამცხვარი

ვმოგზაურობდი. ჩემი სამყოფელის ირგვლივ გაშლილი ბუნება დიდებულებით და სიდარბაისლით გამოირჩეოდა. რა თქმა უნდა, ასეთმა გარემომ ჩემს სულში რაღაც მოახდინა. ჰაეროვან სივრცეში ჩემი ფიქრებიც მსუბუქად დაფრინავდნენ. უხამსი გრძნობები – სიძულვილი და ბილწი სიყვარული ქვევით, უძირობისკენ მიმავალი ღრუბლებივით შორს იყვნენ ჩემგან. მეგონა, გარს მომხვეოდა ჩემი სულივით გაშლილი ცის წმინდა გუმბათი. მიწიერი მოგონებები სუსტად, შეუმჩნევლად მახსენებდნენ თავს, ისე, ვით შორიდან ისმის მთის ფერდობზე შეფენილ ნახირზე შებმული ეჟვნის ხმა. პატარა გარინდულ ტბას კი, რომელსაც სიშავე სიღრმის გამო დასდებოდა, ღრუბლის ჩრდილმა რამდენჯერმე ისე გადაუარა, როგორც ცის კამარაზე ჰაერის მფრინავი გოლიათის სამოსის ანარეკლმა.

მახსენდება ამაღლებული, იშვიათი შეგრძნება, რომელიც ამ უშფოთველმა მოძრაობამ გამოიწვია და შიშნარევი სიხარულით ამავესო. ერთი სიტყვით, ეს შთამაგონებელი სილამაზე ჩემ ირგვლივ რომ სუფევდა, უდიდეს სიმშვიდეს მანიჭებდა საკუთარი თავის თუ სამყაროს მიმართ. ყოველგვარი მიწიერი ბოროტებისგან შორს, სრულ ნეტარებაში მყოფმა ისიც ვიფიქრე, არც ისე სასაცილოდ გამოიყურებოდნენ გაზეთები, სადაც ცხადდება, რომ

ადამიანი კეთილ არსებად გაჩნდა. ვიდრე ჩემი ურჩი აზრები განაახლებდნენ მოთხოვნებს, ვიფიქრე დამესვენა და აღძრული მადა დამეკმაყოფილებინა, რომელიც ხანგრძლივად მაღლა ფრენამ გამიღვიძა. ჯიბიდან კარგად მოზრდილი პურის ნაჭერი, სამგზავრო ჭიქა და ერთი ბოთლი ბალახეულის ნაყენი ამოვიღე. იმ დროს ფარმაცევტები ამ ელექსირს ტურისტებზე ყიდდნენ, რომელიც მათ საჭიროების შემთხვევაში თოვლ-წყალში უნდა გაეზავებინათ.

პურის დაჭრას მშვიდად შევუდექი. უცებ, უმნიშვნელო ხმაური შემომესმა. გავიხედე. ჩემ წინ დაკონკილი სამოსით ერთი პატარა არსება იდგა. შავი, აბურძგნული თმა ჰქონდა. ამოღამებული თვალებით, ველური და თან თითქოს მავედრებელი მხერით სანსლავდა პურის ნაჭერს. გავიგონე მისი ამოოხვრა და დაბალი ჩახლეჩილი ხმით ნათქვამი სიტყვა – **ნამცხვარი!** ამ სიტყვის გაგონებაზე სიცილი წამსკდა, თუმცა ბიჭს, ალბათ, ჩემი არც თუ ისე თეთრი პურისადმი პატივისცემა უნდოდა გამოეხატა. კარგად მოზრდილი ნაჭერი მოვუჭერი და შევთავაზე. ის ნელ-ნელა მომიახლოვდა ისე, რომ სანადელი საგნისთვის მზერა არ მოუშორებია. მერე პურის ნაჭერს ხელი სტაცა და სწრაფად უკან გადადგა, თითქოს შეშინდა, იქნებ შეთავაზება არ იყო გულწრფელი, ან იქნებ ვნანობდი კიდევ ჩემს საქციელს.

უმალ, საიდანლაც მეორე პატარა ველური ბიჭი გამოვარდა და პირველს ხელი ჰკრა. ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. მერე ერთად გაგორდნენ მიწაზე, ერთმანეთს ეცილებოდნენ, სანუკვარ ნადავლს ვერ იყოფდნენ. არცერთს ეთმობოდა პურის ნაჭერი. გაცეცხლებული პირველი მეორეს ყურში კბილებით სწვდა და თავიანთი, კუთხური ლანძღვა-გინებით პირიდან მოწინკნილი ყურის

ნაწილი გადმოაფურთხა. ნამცხვრის კანონიერი პატრონი ცდილობდა, უკანონო მფლობელს თავისი პატარა ბრჭყალებით თვალებში სწვდომოდა; არც მეორემ დააკლო და მთელი ძალ-ღონით მეტოქეს ცალი ხელი ყელში წაუჭირა; ამასობაში პირველმა ბრძოლის საგანი ჯიბისკენ გააქანა. დამარცხებული ბიჭი სასონარკვეთამ გაახელა, გამარჯვებულს გულ-მუცელში თავი ჰკრა და მიწაზე გააგორა. რა აზრი აქვს ამ საზარელი ბრძოლის აღწერას, რომელიც მართლაც უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე მათ ბავშვურ ძალ-ღონეს უნარი შესწევდა ნამცხვრის მოსაპოვებლად.

ნამცხვარი ხელიდან ხელში გადადიოდა, ჯიბიდან ჯიბეში იცვლიდა ადგილს, მაგრამ ვაი, რომ ნადავლიც იცვლიდა ზომას. და როცა აქოშინებულებმა და გასისხლიანებულებმა ბრძოლა შეწყვიტეს, რადგან არაქათგამოცლილებს გაგრძელების თავი აღარ ჰქონდათ, სადღა იყო პურის ნაჭერი. ნამცეცებად ქცეული ქვიშასთან შერეულიყო.

ამ სანახაობამ დამინისლა ბუნების სურათი, და უშფოთველობა, რითაც ჩემი სული ხალისობდა, მანამ ამ პატარა კაცებს დაინახავდა, გამიქრო; დიდხანს გამყვა სევდა, ერთთავად ვიმეორებდი: «თურმე არსებობს ჩინებული მხარე, სადაც პურს *ნამცხვარი* ჰქვია და ისეთი იშვიათი სასუსნავია, რომ შესაძლოა მისთვის ნამდვილი ძმისმკვლელი ომი გაიმართოს.

დაკარგული შარავანდედი

ეს სად გიხილეთ, ასეთი განათლებული კაცი, ჩემო ძვირფასო! ღმერთის კერძებით იკვებებით, მიკვირს და გამკვირვებია, აქ რა გინდათ?

– ჩემო კარგო, ჩემი შიშის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, ეტლის და ცხენების დანახვაზე თავზარი მეცემა. ქუჩას სწრაფად გადავდიოდი; ტალახის გუბეს ვახტებოდი და სწორედ ამ დავიდარაბის დროს, როცა სიკვდილი ყოველი მხრიდან ერთდროულად შენკენ მოაჭენებს, უნებლიე მოძრაობით ჩემი შარავანდედი თავიდან გადამვარდა და ქვაფენილზე ტალახში ჩავარდა. შიშისგან ალება ვერ გავბედე. რად მიღირს საპატიო ჩინი, თუ ძვლების დამტვრევას არ გადავურჩები-მეთქი; ისე კი, ზოგი ჭირი მარგებელია.

ახლა, სეირნობისას, ვერავინ მიცნობს, არც ჩემი მდაბიო საქციელით მივიპყრობ ყურადღებას. ვიცხოვრებ ჩემს გემოზე, ისე, როგორც – უბრალო მოკვდავნი. ხედავთ, თქვენ გემსგავსებით!

– სხვა თუ არაფერი, ამ შარავანდედის შესახებ განცხადება მაინც გამოგეკრათ, ან კომისარიატისთვის მიგემართათ.

– ღმერთმანი, ვერ დაგეთანხმებით. აქ ძალზე კარგად ვგრძნობ თავს. ხომ ხედავთ, თქვენ ერთადერთმა მიცანით. სხვათაშორის, წოდებამ თავი მომაბეზრა. მერე, იცით, რა მახალისებს!, რომ ამ შარავანდედს ვიღაც უნიჭო პოეტი წააწყდება და ურცხვად თავზე მოირგებს. ერთ ადამიანს გავაბედნიერებ, მიხარია, მითუმეტეს, რომ იმ ბედნიერზე მე სიცილი ამიტყდება. წარმოიდგინეთ, ვინმე ხ ან ზ! სასაცილოა არა? ხომ მეთანხმებით?!

სარკე

ერთი საშინელი შესახედაობის მამაკაცი შემოდის და სარკეში იყურება.

– რატომ იყურებით სარკეში, თქვენს თავს შეხედავთ და გულისტკენას ვერ გაექცევით.

საშინელი შესახედაობის მამაკაცი მკასუხობს: ბატონო ჩემო, 89 წლის მარადიული ზნეობრივი კანონების მიხედვით ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია. მაშასადამე, სარკეში ჩახედვის უფლება მაქვს. მსიამოვნებს თუ გულს მტკენს, ამას მხოლოდ ჩემი სინდისი განსჯის.

საღად მოაზროვნე ადამიანის თვალსაზრისით, მე მართალი ვიყავი, მაგრამ კანონი მის მხარეზე იყო.

სულერთია სად, ოღონდ შორს სამყაროსგან^[17]

ეს ცხოვრება ნამდვილი საავადმყოფოა, სადაც თითოეულ სნეულს საწოლის ადგილსამყოფელის შეცვლა სურს. ზოგიერთს ბუხართან ახლოს ურჩევნია ტანჯვა, ზოგს კი სჯერა, ფანჯარასთან გამოვჯანმრთელდებიო.

მე მგონი, თავს მუდამ იქ ვიგრძნობ კარგად, სადაც არ ვიმყოფები. ადგილსამყოფელის შეცვლის საკითხი ის ერთერთია, რომელზეც ჩემს სულს ვეკამათები.

«მითხარ, ჩემო საბრალო, გათოშილო სულო, როგორ ფიქრობ, იცხოვრებდი ლისაბონში? იქ ალბათ, მზე აცხუნებს და შენც ხვლიკივით გახალისდებოდი. ეს ქალაქი წყლის პირას მდებარეობს. ამბობენ, მარმარილოთია ნაგები, ხალხს კი ისე სძულს მცენარეულობა, რომ ხეები სულ ძირფესვიანად მოუსპიათო. ესეც შენი მოსაწონი ბუნების სურათი, რომელიც სინათლეს, ნიადაგის წიაღს, და წყალს ჩააფიქრებს.

ჩემი სული დუმს.

«შენც ხომ ძალზე გხიბლავს უშფოთველობა და ახალსახლობის სანახაობა. მაშ, იქნებ შერაცხულ მიწაზე, ჰოლანდიაში^[18] გეცხოვრა? იქნებ ამ მხარემ გაგახალისოს,

მუზეუმებში მის სურათს აღტაცებაში მოჰყავდი.
როტერდამზე რაღას იტყვი? ხომ გიყვარს უთვალავი ანდა,
სახლებთან მიმდგარი გემები?»

ჩემი სული კვლავ არ მეხმიანება.

«იქნებ ბატავიამ უფრო მოგხიბლოს? სხვათაშორის, იქ
ტროპიკულ სილამაზესთან შეუღლებულ ევროპის სულს
შევიგრძნობთ.

კვლავ დუმილი, – რა, მოკვდა ჩემი სული?

ნუთუ ისე დაჩლუნგდი, რომ შენი უბედურების გარდა
აღარაფერია შენი საზრდო? თუ ეს ასეა, იმ ქვეყნებს
მივაშუროთ, სიკვდილს რომ ჰგვანან.

რახან დავთქვით, ჩემო საწყალო სულო, ჩავალაგოთ ბარგი
და გავწიოთ ტორნეოსკენ. უფრო შორსაც, ბალტიის მხარის
უკიდურეს წერტილში. შევეცადოთ, რაც შეიძლება, შორს
განვიდეთ ცხოვრებისგან. ჰო, პოლუსზე დავსახლდეთ,
არარაობის ნახევარ ნაწილში, სადაც მზე აღმაცერად თუ
ეკარება დედამიწას, სადაც სინათლის და ღამის ზანტი
მონაცვლეობა ნაირგვარობას ახშობს და ზრდის
ერთფეროვნებას. იქ შეგვეძლება წყვილიადის ხანგრძლივი
აბაზანები მივიღოთ, თუმცა დრო და დრო ჩვენ
გასახალისებლად ჩრდილოეთის ციალი თავის
ვარდისფერ თაიგულებს გამოგვიგზავნის, ვით ჯოჯოხეთის
ხელოვნური ცეცხლის ანარეკლს».

საბოლოოდ, ამოსკდა ჩემი სული და ბრძნული სიტყვა
გამაგონა: «სულერთია, სულერთია სად, ოღონდ შორს
სამყაროსგან!»

ტირსი [\[19\]](#)

ფერენც ლისტს [\[20\]](#)

რა არის ტირსი ზნეობრივი და პოეტური თვალსაზრისით ის სამღვდლო ემბლემას წარმოადგენს, მამაკაც თუ ქალ ქურუმებს ხელთ უპყრიათ და ღვთაებრიობას დღესასწაულობენ, რომელსაც თავად აღასრულებენ და ემსახურებიან. შესახედაობით, ის ერთი უბრალო ჯოხია, სვიისგან დამზადებული ჭოკი, ვაზის საყრდენი ჭიგო, ხმელი, მყარი და ლარივით სწორი. ამ ჯოხის ირგვლივ, გიჟმაჟ ხვეულებში ყლორტები და ყვავილები ირხევიან. ზოგნი ისეთი ზიგზაგით მოიკლაკნებიან, გეგონებათ, საიდანღაც გამოქცეულანო, ზოგნი კი ზარებს ჰგვანან, გადმოპირქვავებული ფიალებივით ჰკიდიან. საოცარი დიდებულება იფრქვევა ამ ხაზების თუ ფერთა ლამაზი და ფაქიზი წნულიდან. მისი გვირგვინები და ფიალები სურნელოვან ფერთა ამოფრქვევას რომ ჰგვანან, საღმრთო ჯოხის ირგვლივ თითქოს იღუმალ ფანდანგოს^[21] ასრულებენ. თუმცა, ვინ უნდა იყოს ის წინდაუხედავი მოკვდავი, რომელიც გაბედავს დაადგინოს, რომ თითქოს ყვავილები თუ მსხმოიარე ვაზი ჯოხისთვის შეიქმნა, ან რომ ჯოხი მხოლოდ საბაბია ყლორტებისა და ყვავილების სილამაზის წარმოსაჩენად? მაშინ, იმას გეტყოდით, რომ ტირსი სამყაროსადმი სწორედ თქვენს მცდარ, დუალისტურ შეხედულებას გამოსახავს ძვირფასო ვაქხ, ვნებიანი და იღუმალი სილამაზის უძლეველო და სათაყვანო მბრძანებელო. უძლეველ ბახუსზე გაჯავრებულ ნიმფას არასდროს გამოუყენებია ტირსი თავისი დაუდგრომელი მეგობარი ქალების დასატუქსად ისეთი ძალით და სიანჩხლით, როგორადაც თქვენ არ ინდობთ მოძმეთა გულებს.

ვფიქრობ, ჯოხი თქვენს ნება-სურვილს გამოხატავს ვაქხ, – სწორი, მტკიცე და შეუპოვარია, ყვავილები კი ნება-სურვილის ირგვლივ თქვენი წარმოსახვის გასეირნებას –

ეს მდედრის სტიქიაა, რომელიც მამრის ირგვლივ საოცარ ტრიალს ასრულებს.

სწორი ხაზი და კლაკნილი, სურვილი და მისი გამოხატულება, ნებისყოფის სიმტკიცე, სიტყვის მოქნილობა, მიზნის ერთიანობა თუ შესაძლებლობათა ნაირგვარობა, – თქვენ სულის განუყოფელი, უძლეველი მთლიანობა ხართ. და რომელ მკვლევარს ეყოფა გამბედაობა, განგაცალკევოთ და ერთმანეთს დაგაშოროთ!

ძვირფასო ლისტ, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ, მდინარეთა მიღმა თუ ქალაქების თავზე, ფორტეპიანო რომ აჟღერებს თქვენს სიდიადეს, მარადიული ქალაქის ბრწყინვალეობასა თუ მეოცნებე მხარეთა ნისლეულში, სადაც თქვენი სიბრძნე იღვრება, გამბრინიუსი ნეტარი და გამოუთქმელტკივილიანი ჰანგის იმპროვიზაციით ანუგეშებს გარემოს ან ქალაქებზე გადააქვს თქვენი თავისებური წვდომა.

მარადიული ნეტარების და წუხილის მგალობელო, ფილოსოფოსო, პოეტო და ხელოვანო, სალამი თქვენდა უკვდავებაში!

უპოვართა თვალები

ესე იგი, გინდათ, შეიტყოთ, რატომ ვერ გიტანთ დღეს. ალბათ გაგიჭირდებათ ამის გაგება, როგორც მე მიჭირს თქვენთვის ამის ახსნა. ვფიქრობ, ქალური შეუვალობის ყველაზე ნათელი მაგალითი ხართ, როგორსაც კი შესაძლოა გადააწყდეს კაცი. მთელი დღე ერთად გავატარეთ და მაინც რა ხანმოკლედ მომეჩვენა ეს დრო. ერთმანეთს აღვუთქვით, ფიქრით და სულიერებით ერთნი ვიქნებოდით. ეს ოცნება, რა თქმა უნდა, არაფრით არის განსაკუთრებული, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ

მამაკაცები ამაზე ოცნებობენ, მაგრამ ვინ არის
შემსრულებელი?

საღამოს, დაღლილმა, ერთი ახალი კაფეს წინ მოინდომეთ
დასვენება. კაფე ქვა-ღორღით სავსე ახალი გამზირის
კუთხეში მდებარეობდა, სადაც ჯერ კიდევ დაუსრულებელი
გზის დიდებულებას შეამჩნევდით. კაფეში
ახლადჩართული გაზი თამამად ეფინებოდა იქაურობას და
ძალუმად ანათებდა კედლების თვალისმომჭრელ
სითეთრეს, აელვარებდა სარკეების კრიალა ზედაპირს,
ოქროსფერ ბაგეტებს, კარნიზებს, დაბერილლოყება
პაჟებს, თასმით გამობმული ძაღლები რომ დაარბენინებენ,
მუშტზე დასმულ მიმინოთი მოკისკისე ქალბატონებს,
ხორციანი ღვებელით, ნანადირევით ან ხილით თავზე
შემოდგმულ ნიმფებს და ქალღმერთებს, ჰებეს და
განიმედეს ღვინის ბავარიული ჭურჭლით ან
ქანდაკებასავით აღმართული ნაირფერი ნაყინით ხელში.
ჩვენ წინაშე მთელი წარსული ცხოვრება თუ მითოლოგია
იშლებოდა მსუნაგთა დასანაყრებლად.

გზაზე, ჩვენს მოპირდაპირე მხარეს ერთი პატიოსანი კაცი
მოკალათებულიყო, სახედაქანცული, რუხი წვერით,
ორმოციოდე წლის იქნებოდა. ცალი ხელით პატარა ბიჭი
ეჭირა, მეორეთი, ჯერ ფეხადგმულიც არ იქნებოდა, სუსტი,
პატარა არსება. ეს კაცი მზრუნველი მამის მოვალეობას
კეთილსინდისიერად ასრულებდა. ძონძებში გამოხვეული
თავისი პატარები სუფთა ჰაერზე გამოეყვანა. სამივეს
საოცრად ჭკვიანი სახე ჰქონდა. მათი ექვსივე თვალი
ერთნაირი აღფრთოვანებით შესცქეროდა ახალ კაფეს,
მაგრამ ასაკი მათ მზერას განსხვავებულად გამოხატავდა.
რა სილამაზეა! რა სილამაზე! ამ საცოდავი ქვეყნიერების
მთელ ოქროს თითქოს ამ კედლებზე მოუყრიაო თავი –
ამბობდნენ მამის თვალები. პატარა ბიჭუნას თვალები კი

გვეუბნებოდნენ – რა ლამაზია!, რა ლამაზიაო! მაგრამ ჩვენისთანებს აქ ფეხს ვინ შეადგმევინებსო. სულ პანკიას მოჭადოებულ თვალებს კი მხოლოდ ის შესწევდათ, რომ განცვიფრება და უსაზღვრო სიხარული გამოეხატათ.

მომღერლების აზრით, სიამოვნების განცდა სულს აკეთილშობილებს და გულს ალღობს. ამ საღამოს, განსაკუთრებით ჩემთვის, სიმღერამ მართლაც გაამართლა. ამ ოჯახის მზერამ არამართო გული ამიჩუყა, ოდნავ უხერხულადაც ვიგრძენი თავი ჩვენი ჭიქებისა და სურების შემხედვარე, რომელიც ჩვენს წყურვილს ბევრად აღემატებოდა. მზერა თქვენსას გავუსწორე, რომ იქ, თქვენს ულამაზეს და უცნაურად თბილ თვალებში, თქვენს მწვანე თვალებში, ჭირვეულობის და მთვარეული შთაგონების სამყოფელში ჩაძირულს ჩემი ფიქრი ამომეკითხა, როცა მითხარით: «ამ საშინელებას ვერ ვუყურებ, დაღებული ჭიშკარივით დაუჭყეტიათ თვალები; სთხოვეთ, კაფეს პატრონს ეს ხალხი აქედან მოაშოროს!» ჰო, ჩემო ძვირფასო, განსხვავებული ფიქრი ხელს გვიშლის ერთმანეთს გავუგოთ, მაშინაც კი, როცა ადამიანებს ერთმანეთი უყვართ.

ველური ცოლი და კეკლუცი ქალბატონი

სიმართლე რომ გითხრათ, ჩემო ძვირფასო, მეტისმეტად თავს მამბებრებთ, არ გებრალეებით. თქვენი ოხვრა-კვნესის მსმენელს ეგონება, თქვენ მეტი სატანჯველი განუხებთ, ვიდრე თავთავის მკრეფავ სამოცი წლის ქალებს, ან კაბარეს კართან მდგომ ლუკმა-პურის მათხოვარ ბებერ დედაკაცებს.

ეს ოხვრა-კვნესა ოდნავ მაინც რომ გამოხატავდეს თქვენს სინანულს, მაშინ ღირსება შეგემატებოდათ, მაგრამ ეს, განცხრომით ცხოვრებისგან მოყირჭებული, დასვენებისგან

დაქანცული ადამიანის მოთქმად აღიქმება. აფრქვევთ და აფრქვევთ ამო სიტყვებს – სიყვარული მწყურიაო, ნუგეშს და ალერსს ნუ მომაკლებთ... ისე რომ, ვეცდები, განგკურნოთ. ჰოდა, რაღა შორს წავიდეთ, იქნებ ჩვენთან, დღეობის დროს იაფად მივაგნოთ საშველს.

მოდი, კარგად დავაკვირდეთ ამ რკინის გამძლე გალიას, რომლის სიღრმეში აფორიაქებული, ბანჯგვლიანი ურჩხული წყეულივით ყმუის. სამყოფელი შეუცვალეს და გაღიზიანებული ორანგუტანგვით არყევს გისოსებს. მოძრაობა ხან ვეფხვის წრიულ ნახტომს, ხან თეთრი დათვის ბრიყვულ ბაჯბაჯს ზედმინევნით მიუგავს. მოყვანილობა კი თითქოს თქვენსას მაგონებს.

ეს ურჩხული ერთ-ერთი ის ცხოველთაგანია, რომელსაც ზოგადად «ჩემო ანგელოზოთი» მიმართავენ ხოლმე, ესე იგი, ცოლია. მეორე ურჩხული კი, ჯოხმომარჯვებული თავგამოდებით რომ ღრიალებს, მისი ქმარია. მან თავისი კანონიერი ცოლი ცხოველივით ჯაჭვით დააბა და ბაზრობის დღეებში გარეუბნის მაცხოვრებლებს აყურებინებს, ვიტყოდ, წარმატებითაც.

კარგად დააკვირდით! ხედავთ, ცოლი როგორი სიხარბით (იქნებ არც თვალთმაქცობს) ცოცხლად ჯიჯგნის კურდღლებს, მოკრიახე ფრინველს, რომელსაც მისი გამგებელი ქმარი უგდებს.

გეყოფა, ეუბნება ქმარი, ერთიანად ნუ ანადგურებ მთელ შენს ქონებას! ამ ბრძნული სიტყვების წარმოთქმისას ცოლს პირიდან მსხვერპლს გამოგლეჯს, რომლის ნაწლავების ხვეული წამით მტაცებელს, ასე ვთქვათ, ცოლს კბილებში ეჩხირება.

დასაოკებლად ერთი გაჯოხვა კი მოუხდებოდა. ეს ჯოხი სათამაშო არ გეგონოთ. ხშირმა ბალანმაც კი ვერ დაახშო სხეულზე მისი დარტყმის ხმა, ხომ გაიგონეთ? ღმერთო ჩემო, საზარელი თვალებით ჟინიან მზერას ვერ აშორებს წართმეულ ულუფას, თვალები გადმოცვენაზე აქვს.

უფრო ბუნებრივად ყმუის. გამძვინვარებული, გამოჭედილი რკინასავით ელვარებს.

ასეთია ადამ და ევას ამ ორი შთამომავლის ცოლ-ქმრული ზნე-ჩვეულებანი. დიდება შენდა, ღმერთო! ისინი ხომ შენი ხელთქმნილნი არიან! ვერაფერს იტყვი, ეს ქალი უბედურია, თუმცა, ამ ყველაფრის შემდეგ, შესაძლოა, არ ეუცხოოს პატივით მოგვრილი სიამოვნების ჟრუანტელი! უფრო გამოუსწორებელი უბედურებებიც არსებობს საზღაურის გარეშე, მაგრამ სამყაროში, სადაც ეს ქალი-ურჩხული აღმოჩნდა, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ცოლი სხვა ხვედრს იმსახურებდა.

ახლა, ჩვენიც ვთქვათ ჩემო ძვირფასო. ვუცქერ ჯოჯოხეთადქცეულ დასახლებულ სამყაროს და როგორ გგონიათ, რას ვფიქრობ თქვენს გამოგონილ სასაცილო ჯოჯოხეთზე! იმას, რომ თქვენ, მხოლოდ თქვენი კანივით ფაფუკ ქსოვილზე ნებივრობთ, რომ მიირთმევთ მხოლოდ მოხარშულ ხორცს, ხოლო მარჯვე მსახური თქვენთვის მის ნაჭრებად დაჭრას ცდილობს.

ან რას უნდა ნიშნავდეს ჩემთვის თქვენი მსუბუქი ოხვრა-კვნესა, სურნელოვან მკერდს რომ გიფუებთ, ან წიგნებში ნასწავლი თვალთმაქცობა, დაუცხრომელი სევდა სხვას რას განაცდევინებს მაყურებელს, თუ არა სიბრაღულს, ჩემო მომთმენო, კეკლუცო ქალბატონო? სიმართლე რომ გითხრათ, ზოგჯერ სურვილი მიჩნდება შეგაგონოთ, თუ რა არის ნამდვილი უბედურება.

ფეხები ტალახში გიდგათ, ჰაეროვანი მზერა კი ზეცისკენ მიგიპყრიათ, თითქოს შესთხოვდეთ, მეფე მარგუნეო; თქვენი შემყურე ჩემო აზიზო, იცით რას მაგონებთ? ნორჩ ბაყაყს, საოცნებო მამაკაცს რომ უხმობს^[22]. ბრიყვად მიმიჩნევთ? (რაც ახლა ვარ და თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ) უფროთხილდით რეგვენს, *რომელიც დაგლრღნით, გადაგსანსლავთ და თავისი სიამოვნებისთვის სასიკვდილოდაც გაგიმეტებთ!*

ჩემს პოეტობას სიბრიყვეს ნუ გაუტოლებთ, თუმცა გსურთ, რომ ეს ირწმუნოთ. და თუ თქვენი სანუკვარი სლუკუნით თავს მომაბეზრებთ, დაისჯებით, ვითარცა *ველური ცოლი*, ან ცარიელი ბოთლივით მოგისვრით ფანჯრიდან.

ფრანგულიდან თარგმნა მარინე ჭილაშვილმა

[1] გაბრიელა მიუნტერი – გერმანელი მხატვარი და გრაფიკოსი.

[2] ნინა – კანდინსკის პირველი ცოლი.

[3] Neuilly sur Seine – პარიზის გარეუბანი.

[4] ლასლო მოჰოი ნადი – უნგრელი მხატვარი და ფოტოგრაფი.

[5] მოგოტესი – ყველაზე მაღალი დასახლება კოლუმბიაში.

[6] საშინელი წინათგრძნობის ფრინველები – იგულისხმება ხორცისმჭამელი ფრინველები, ასევე არსებობს გოიას ტილო, რომელზეც შავფრთიანი ავსული ქალია გამოსახული.

[7] მარგარიტა დურაციო – ნეაპოლის მეფის, კარლ მესამის ცოლი (მეთოთხმეტე საუკუნე).

[8] ლარს ვივალუსი – მეჩვიდმეტე საუკუნის შვედი პოეტი.

[9] ადმირალი ჩჟენ ხე – მეთოთხმეტე საუკუნის ლეგენდარული ჩინელი მოგზაური და დიპლომატი.

[10] ჰაიში ფუსაო – იაპონელი მწერალი.

[11] ჰონჯოზო შუ – საკეს სახეობა.

[12] ტექსტს აქვს დანართი, სადაც განმარტებულია ზოგიერთი სიტყვა, ფრაზა, ცნება და ისტორიული ფაქტი. იგი პირობითად არის დანომრილი. დანართს შეგიძლიათ გაეცნოთ ტექსტის წაკითხვამდე, წაკითხვის პროცესში, წაკითხვის შემდეგ ან სულაც არ წაკითხოთ.

[13] ორ ტერმინს – გაზეთის ჟურნალისტი და ფილანთროპი, ბოდლერის ცნობიერებაში დამაკნინებელი ღირებულება აქვს.

[14] ლაბრუიერი – «ადამიანთა ხასიათები»

[15] პასკალი – «აზრები».

[16] მიპატიჟება ვალსზე არის ვებერის რონდო ფორტეპიანოსთვის, რომელიც ბოდლერმა აქ ქარაგმით მოიხსენია. მიპატიჟება სამოგზაუროდ – მუსიკა კომპოზიტორმა დიუპარკმა ამავე ნაწარმოების ლექსად დაწერილი ვერსიის მიხედვით შექმნა ბოდლერის სიკვდილის შემდეგ.

[17] პროზაული ლექსი უფრო ახლოს უნდა მივიჩნიოთ ნაწარმოებთან «მიპატიჟება სამოგზაუროდ» («l'invitation au voyage») როგორც მის პროზაულ, ასევე პოეტურ ვერსიებთან.

[18] აქ, ჰოლანდია, ისევე როგორც სხვა ადგილები წარმოდგენილია ლტოლვილთა მიწად, თავშესაფარად.

[19] ვაქხის კვერთხი.

[20] ბოდლერის და ფრანც ლისტის ურთიერთობის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს, გარდა ერთი მცირე ბარათისა, რომელიც პოეტმა კომპოზიტორს დაახლოებით 1861 წლის 10 მაისს გაუგზავნა, სადაც გამოხატავს სურვილს ესტუმროს მას, რათა კომპოზიტორს გაუზიაროს თავისი სულიერი სიახლოვე, რითაც შთაგონებულია მუსიკოსის ხასიათი და ნიჭიერება.

[21] ესპანური ცეკვა.

[22] ლაფონტენის იგავი ბაყაყებზე, რომლებიც ღმერთს მეფეებს შესთხოვდნენ.